ფრენკ კოლამბუსი

თავდაყირა რუსეთი
(რომანი)

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო
კულტურული კავშირი „საზოგადოება ცოდნა“
საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება

თბილისი
2004

რედაქტორი ნ. ზედელაშვილი
გამომცემლობის რედაქტორები ტ. სტურუა, ა. ჭედია
მხატვარი დ. ლეჟავა
კორექტორი ხ. წულაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ცხვირავაშვილი
გამომშვები ა. ნოდია

ჩაბარდა წარმოებას 25.04. 2004. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 26.05. 2004

ტირაჟი 600 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

Френк Коламбус

РОССИЯ ВВЕРХ НОГАМИ
(Роман)
(На грузинском языке)

Международный научно-культурный союз Грузии "Общество Знание"
Общество Гурама Рчеулишвили

Тбилиси
2004 год

ეს წიგნი ეძღვნება

ვალენტინა მიხეილის ასულ გოცირიძეს,
სერგო ვიქტორის ძე გოცირიძეს

მადლობას გუხდი!

ამ წიგნში დასახელებული ხალხის რაოდენობა ძალიან დიდია. მე ჩემს გულწრფელ მადლიბას ვუხდი ყველას, ვინც იღვაწა და გაგებით მოეკიდა ამ საქმეს. განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო ვერა ნიკოლოზის ასულს, 20-იანი წლების პირველწყაროდ მოწოდებული მოგონებებისათვის, დოქტორ ედუარდ კანდელს მისი ერთგულებისათვის და იმ ინფორმაციისათვის, რაც ომისდროინდელ სამედიცინო სამსახურს შეეხებოდა, აგრეთვე ეკატერინე ნიკოლოზის ასულს მოგონებებისათვის ბატონ ხრუშჩოვზე, ვანო რაზმაძეს მისი ქართული ტრადიციებისათვის და ბოლოს, მაგრამ არა უკანასკნელს, მღვდელმთავარ ზნისკოს, რომლის ღვაწლი დიდია ქრისტიანობის საქმის წინსვლისათვის საბჭოთა კავშირის პერიოდში.

მე მადლობელი ვარ ლინეტ ვენ ჰელდენის. მან დაბეჭდა ხელნაწერი და მეტად სასარგებლო წინადადებები მოგვაწოდა. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო დონა დენისსა და კეტი დე გრეგორს. მათ წაიკითხეს, გაასწორეს და ფასდაუდებელი წინადადებები შემოგვთავაზეს.

Editor – **N. Zedelashvili**
Publishers – **T. Sturua, A. Tchedia**
Ilustrated By – **d. Lezhava**
Corrector – **Kh. Tsulukidze**
Technical Editor – **N. Tskviravashvili**
Producer – **A. Nodia**

Delivered for production 25.04.2004.
Signed for printing 26.05.2004.
Edition (of 600 copies)
Price by contract

"Society Tsogna" – International scientific – cultural union of Georgia "Society of Guram Rcheulishvili of Georgia"

Tbilisi
2004 year

მართალი და სინტერესო წიგნი
(ქართული გამოცემის წინასიტყვაობა)

დაშლილ-დანგრეული და უგზოუკლოდ გამქრალი საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის ცხოვრების უდიდესი ტრაგედია 1937 წელი რომ იყო, ეს ყველასათვის ნათელია. რა თქმა უნდა, არც ოცდაჩვიდმეტი წლის წინა თუ მომდევნო წლები იყო ნაკლებ გამანადგურებელი.

სისხლით შელებილი წითელი ქარიშხალი საქართველოსაც მთელი სიმძლავრით დაატყდა თავს, სულიერ-ფიზიკურად მოსრა და გააცამტვერა საზოგადოებრიობა. ამ ბოლშევიკურ წარღვნას შეეწირა რჩეული ქართველი ინტელიგენცია. უდროოდ დაიღუპნენ დიდი ქართველი მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, დირიჟორები, მსახიობები, მომღერლები, სამამულო კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, ვინც ერის ღირსებასა და დიდებას წარმოადგენდა.

საქართველოში იშვიათია ოჯახი, ვისაც ფანატიკოსი კომუნისტების მსახვრელი ხელი არ შეხებია, ვისაც არ დაუკარგავს მამა თუ ძმა, დედა თუ რომელიმე ახლობელი. დაჭერას ვერ გადაურჩა თუნდაც სრულიად უდანაშაულო მამაჩემი აკაკი წერეთელიც. პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, მწიგნობარი და ბიბლიოფილი, პატიოსანი და ზედმიწევნით განათლებული ადამიანი ათი წლით გამოამწყვდიეს ციხე-კოლონიებში, კონფისკაციით ყველაფერი წაართვეს, განთავისუფლების შემდეგ კი კვლავაც ხუთი წლით გაასახლეს ქალაქ თბილისიდან. მსგავსი რეპრესირებული ოჯახი საქართველოში ათასობით არსებობდა, აქ მძაფრი პიროვნული ტრაგედია უზარმაზარ საზოგადოებრივ ტრაგედიაში მკვეთრად იყო გადასული.

არნახული რეპრესიების თემა ამიტომაც გახდა ორგანული მწერლობისათვის. იშვიათია კეთილი ნების ისეთი მწერალი, პოეტი თუ დრამატურგი, ვინც წარსულის ამგვარ შემაძრწუნებელ სიტუაციას არ შეხებია, თავისებურად აუსახავს, ხალხის ფართო სამსჯავროზე გამოუტანია.

ეს ყველაფერი ძველ თაობებს სისხლხორცეულად ჰქონდათ შეთვისებული. ამ უკვდავი თემით ასევე აუცილებლად უნდა დაინ-

ტერესდნენ ახალგაზრდებიც, მომავალი თაობაც, რათა კარგად იცოდნენ როგორი დამთრგუნველი შიშით ცხოვრობდნენ, წერდნენ, ქმნიდნენ მათი წინაპრები, დედები და მამები, ძმები და დები.

რეპრესიების უსაშინლესი თემა ასპარეზს არ თმობს. ჯერ კიდევ არ დამცხრალა სახალხო გულისწყრომა, ჯერ კიდევ გრძელდება მრავალწახნაგოვანი მოძრაობა, რომ მსგავსი უბედურება არ განმეორდეს.

დარწმუნებული ვართ სწორედ ამ კუთხით დააინტერესებს ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას ცნობილი ამერიკელი გამომცემლის, მწერლისა და ჟურნალისტის ფრენკ კოლამბუსის ამ ორიოდე წლის წინ ნიუ-იორკში მაღალ დონეზე გამოცემული მართალი და მეტად საინტერესო რომანი დამაფიქრებელი სათაურით „თავდაყირა რუსეთი“.

მაშინ მართლა ყველაფერი თავდაყირა იდგა, ყველაფერი უკულმართად იყო მოწყობილი, ადამიანის სიცოცხლესა და ცხოვრებას ფასი ჰქონდა დაკარგული, ღვთითბოძებულ სიკეთეს ბოროტი ძალა დაუნდობლად ართმევდა ხალხს.

საოცარ დამთხვევად, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი — ადამიანური სულების თანაზიარობად და თანალმობად მომეჩვენა ერთი სასიამოვნო ფაქტი. როცა ჩემი მეგობარი ფრენკ კოლამბუსი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკში წერდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებს, ამერიკიდან ათასობით კილომეტრით დაცილებულ საქართველოში, თბილისში მე ვწერდი რომანს ზუსტად იგივე თემაზე სათაურით „დაუსრულებელი ზამთარი“.

ახალ რომანში აღწერილი მძიმე და სასტიკი ამბები ბავშვობის წლებში უშუალოდ, ცხადად განვიცადე, ანუ საკუთარ თავზე ვიწვნიე. ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო დემოკრატიის ციტადელად აღიარებულ ამერიკაშიც იგივე სამკვდრო-სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობდა, მაგრამ დამანგრეველი რეპრესია შეეხო მის ოჯახს, კერძოდ ფრენკის მეუღლეს ნადია გოცირიძის დედას და მამას, უსაზღვროდ კეთილ, სიმპათიურ ადამიანებს. საერთოდ კი გლობალური მასშტაბით რეპრესიები მტკივნეულად შეეხო ყველა წესიერ ადამიანს და მით უმეტეს შემოქმედის მგრძნობიარე სულს.

ფრენკ კოლამბუსი ამიტომაც სრულიად ბუნებრივად იჩენს მისაბაძ ადამიანურ სიკეთეს, როცა თავის ახალ რომანს უძღვნის მეუღლის მშობლების, ანუ საკუთარი სიდედრ-სიმამრის ვალენტინა მიხეილის ასულ გოცირიძისა და სერგო ვიქტორის ძე გოცირიძის წმინდა ხსოვნას.

დამეთანხმებით ასეთი კეთილშობილური შემთხვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში კი არა, საქართველოშიც ძალზე იშვიათად თუ მოიძებნება, ანდა შეიძლება საერთოდ არც მოიძებნოს. ეს მწერლის მდიდარ ბუნებაზე მიგვითითებს.

სანამ რომანს ცოტა უფრო ღრმად შევეხებოდე, მინდა ზოგიერთი ცხოვრებისეული რეალობის შესახებაც მოვუთხრო მკითხველს.

1974 წელს, მას შემდეგ რაც ყოფილი საბჭოთა კავშირი შეუერთდა საავტორო უფლებების საკითხებზე ჟენევის მსოფლიო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, დღის წესრიგში მკვეთრად დადგა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების ექსპერტ-იმპორტის ანუ გატანისა და შემოტანის საკითხი, სახელმწიფოების თუ ხალხების მეტი დაახლოების, ურთიერთნდობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესის განმტკიცება.

1975 წელს უკვე ჩატარდა მოსკოვის პირველი საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა. ამ საცდელ ღონისძიებაზე მსოფლიოს ორმოცდაათამდე ქვეყნის ასობით გამომცემლობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გამოფენაზე მუშაობის დროს ახლოს გავიცანი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის საგამომცემლო გაერთიანება „პლენუმ ფაბლიშინგ კორპორეიშენ ქომპანი ლიმითიდ"-ის ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტი ფრენკ კოლამბუსი, რომელსაც წინა შეხვედრებიდან უკვე ვიცნობდი. აქვე დაიწყო ჩვენი მეგობრობაც.

მე, საქართველოს მაშინდელი საავტორო უფლებების სააგენტოს ანუ კომიტეტის ხელმძღვანელს და ჩემს თანამშრომლებს სამსახურეობრივად გვევალებოდა მოსკოვის წიგნის გამოფენა-ბაზრობების მუშაობაში მონაწილეობა.

სისტემატური თხუთმეტ-ოცდღიანი მუშაობის დროს რაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დიდი ზარ-ზეიმით ეწყობოდა, კიდევ უფრო დავუახლოვდი იშვიათად ინტელიგენტ ფრენკ კოლამბუსს, გამომცემელსა და შემოქმედს, სიკეთით, სითბოთი და იუმორით სავსე პიროვნებას.

ამავე დროს ყოფილ საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების კომიტეტში უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე მუშაობდა ულამაზესი ქართველი გოგონა, მოსკოვის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ნადია გოცირიძე, ცნობილი ქართველი მომღერლის, ომამდე მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის, ერთ დროს საქართველოს ფილარმონიის გენერალური დირექტორის სერგო გოცირიძის უმცროსი ქალიშვილი.

მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, უფრო ზუსტად რამდენიმე წელი უყვარდათ. მერე დიდი მოწადინეობით დაძლიეს ყველა რთული ბარიერი, რაც აღმართული იყო უცხოეთის მოქალაქეებსა და კომუნიზმის მშენებელ „ძლევამოსილ“ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს შორის. გაუძლეს დროის გამოცდას და 1981 წელს შეუღლდნენ. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდნენ და საზეიმოდ აღვნიშნეთ მათ მიერ ოჯახის შექმნის სასიამოვნო მოვლენა.

ფრენკ კოლამბუსი შემდეგაც იყო თბილისში უკვე ახალი გამომცემლობის საკითხებთან დაკავშირებით. მაშინ საქმიანი შეხვედრები გვქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და სამედიცინო ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში სამამულო მეცნიერების საუკეთესო ნიმუშების ამერიკის შეერთებულ შტატებში პროპაგანდა-გატანის მიზნით.

ზემოთ აღნიშნული გამომცემლობის შემდეგ ფრენკ კოლამბუსმა ჩამოაყალიბა ახალი მსხვილი გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბლიშეზ ინკომპანი“,

გახდა მისი პრეზიდენტი, სადაც დღესაც წარმატებით მოღვაწეობს. ამ გამომცემლობაში ფუნქციონირებდა საქართველოს განყოფილება, მას პრეზიდენტის მეუღლე ნადია გოცირიძე განაგებდა და

სწორედ ურთიერთგამდიდრების პრინციპიდან გამომდინარე ბევრ კარგ საქმესაც ჩაეყარა საფუძველი.

საქართველო, ქართველი ხალხი კოლამბუსებს ძალიან უყვარდათ, მეორე სამშობლოდ თვლიდნენ.

1990 წელს ნიუ-იორკში ბრძანდებოდა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ამერიკის ქართულ სათვისტომოში კათოლიკოსს ნადია და ფრენკ კოლამბუსებიც შეხვდნენ. მათ უწმინდესს სთხოვეს ლოცვა-კურთხევა, რათა ქალიშვილები საქართველოში ქრისტიანული წესით მოენათლათ. იმავე 1990 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის მეუღლეები ნიუ-იორკიდან თბილისს ეწვივნენ და თან ორი უმშვენიერესი გოგონა ჩამოიყვანეს, უფროსი მაია და უმცროსი ალექსანდრა.

კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით სიონის საკათედრო ტაძარში გოგონების ნათლობა ჩაატარა მამა ზურაბმა. უმცროსი გოგონა ალექსანდრა მონათლა ჩემმა მეუღლემ, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ლექტორმა აზა ანთელავამ. ამ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით მე ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე ქართულ რესპუბლიკურ პრესაში იმავე წელს.

ჩვენი კავშირები კიდევ უფრო მტკიცე გახდა, როგორც ნათესაური ისე შემოქმედებითი. საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წარდგინებით გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბ-ლიშეზმა“ ქართველი ავტორების ოცზე მეტი მონოგრაფია, წიგნი, სამეცნიერო ნაშრომი თუ სტატია გამოაქვეყნა. თავად ფრენკ კოლამბუსის მიერ შენიშნული და აღნიშნული ქართული სიზარმაცე რომ არა, ეს რიცხვი შეიძლებოდა უფრო მეტი და ვრცელი ყოფილიყო.

ამავე დროს ბოლო წლების განმავლობაში გამომცემლობა „ნოვა საიენს პაბლიშეზში“ უმაღლეს დონეზე დასტამბული წიგნები ძირითადად სამეცნიერო-ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროდან, დაახლოებით 150 ტომის რაოდენობით, ფრენკ კოლამბუსმა თბილისში გამომიგზავნა. აღნიშნული ტომები სათანადო შესწავლა-ჩვენების შემდეგ საჩუქრად გადაეცა საქართველოს გ. შ. მიქელაძის სახელო-

ბის სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას, რისთვისაც მეგობარმა ამერიკელმა გამომცემელმა დიდი მოწონება და მადლობა დაიმსახურა.

აქვე გარკვეულწილად იმედს ვიტოვებ, რომ ფრენკ კოლამბუსის რომანსა და ჩემს წინასიტყვაობას ქართველი სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც გაეცნობიან. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ ვაცხადებ: სამეცნიერო-ტექნიკური თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროდან საუკეთესო, ახალი, ღირებული ნაშრომები, წიგნები თუ მონოგრაფიები ინგლისურ ან რუსულ ენებზე (რა თქმა უნდა, ჯობია ინგლისური) დაბეჭდილ-დასრულებული სახით მოგვაწოდონ ჩვენ შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0179, მ. კოსტავას ქუჩა №47, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა". მასალები შეიძლება გადასცენ კავშირის თავმჯდომარეს ან მოადგილეებს. ყველა მასალა გაიგზავნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში. გამოცემის შემდეგ საავტორო ეგზემპლარები კვლავაც აღნიშნულ მისამართზე გაიცემა, ხოლო საავტორო ჰონორარის შესახებ მოლაპარაკება მოხდება უშუალოდ ავტორებსა და გამომცემლობა „ნოვა საიენს პბლიშეზ ინ კომპანის" ხელმძღვანელობას შორის. პრობლემისადმი საპასუხისმგებლო მიდგომით ჩვენ გვექნება საშუალება პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართულ სამამულო მეცნიერებასა თუ პოლიტიკას მეგობარ ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქვე კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ბოლო პერიოდში ამერიკულმა გამომცემლობამ დიდი ადგილი დაუთმო თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურას, რაც ჩვენში უხვად შეიძლება მოვიპოვოთ და საერთაშორისო არენაზე გავიტანოთ.

გასულ 2003 წლის ივლისის ბოლოსათვის კოლამბუს-გოცირიძეების ოჯახი კვლავ ეწვია საქართველოს უკვე ორი ქრისტიანი ქალიშვილით. თბილისის კარგად დათვალიერების გარდა ისინი იყვნენ ჭიათურაში, საჩხერეში, რაჭაში, პაპის მშობლიური სოფელი ბუგეულიც მოინახულეს.

ამ პერიოდისათვის მე უკვე წაკითხული მქონდა ფრენკ კოლამბუსის რომანი „თავდაყირა რუსეთი". რომანი ძალიან საინტერე-

სოდ იკითხებოდა, რეპრესიებისა და რუსეთის თემის გარდა აქ საქართველოს თემაც წინა პლანზე იყო წამოწეული. ღრმა დაფიქრებას იწვევდა ჩვენი განვლილი ურთულესი ცხოვრების ასახვა ამერიკაში მოღვაწე გამომცემლისა და მწერლის თვალით. სწორედ ამიტომაც მოვილაპარაკეთ რომანი ქართულ ენაზეც გამოგვეცა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომადაც გაგვეხადა, რისი განხორციელებაც უკვე მოხერხდა.

როგორც აღვნიშნე და როგორც საერთოდ ხდება, რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა, ეს მხატვრული რომანიც დოკუმენტურ ცხოვრებისეულ მასალაზე არის აგებული.

რომანში ნათლად ჩანს მწერლის ფანტაზიაც, მიგნებებიც, მოსაზრებებიც,პოლიტიკური შეხედულებებიც,სიმპათიებიც და ანტიპათიებიც. თხრობა ბუნებრივია და შთამბეჭდავი, ტექსტი მიზნობრივად აღიქმება.

ამერიკელი მწერლის ნაწარმოებებში თავისებური დამაჯერებლობითაა ნაჩვენები შემაძრწუნებელი 37 წელი, სისხლიანი სამამულო ანუ მეორე მსოფლიო ომი, ომისშემდგომი რთული წლები, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, გორბაჩოვის ბატონობის პერიოდები.

ამ საოცარი სპექტრის ფონზე ნაჩვენებია სამაგალითო, ღირსეული ქართველი კაცის სერგო გოცირიძისა და მისი ასევე სამაგალითო, ღირსეული რუსი მეუღლის ნაყოფიერი ცხოვრება.

მე ღირებულ დოკუმენტურ მასალას, ალბათ, მხოლოდ იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ზოგი რამ ვიცოდი ნადია გოცირიძის მშობლების ცხოვრებიდან და პირადადაც დიდი სიამოვნებით მისაუბრია ამ დაუვიწყარ, ნათელ, გამორჩეულ პიროვნებებთან.

რომანის მოქმედება ყოფილი და დაუბრუნებლად დანგრეული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში ხდება. ეს ადგილებია რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, სტალინგრადი, საქართველო, თბილისი, ქუთაისი, მცხეთა,

რაჭა, სოფელი ბუგეული. მოქმედების ეს საუცხოო რეტროსპექტიული ცვლა მთავარ მოქმედ გმირს სანდრო სულაძეს მრავალ ცხოვრებისეულ განზომილებაში გვიჩვენებს, ხოლო ნაწარმოების მთელ

მსველობას დინამიკურ, შთამბეჭდავ სახეს აძლევს, ამშვენებს და თხრობისადმი ინტერესს აძლიერებს.

ავტორი ბევრგან წარმატებით ცდილობს, რაღა თქმა უნდა, ძირითადად ამერიკელ მკითხველს საუკეთესო კუთხითა და თვისებებით გააცნოს საქართველო. საინტერესოა თუნდაც ნაწყვეტი სანდრო სულაძის მონოლოგიდან, როცა ის რეპრესიებს გამოქცეული დროებით ბრუნდება სამშობლოში. აქ მწერალი ცნობილ ლეგენდას იყენებს: „ქართველებს ხშირად უყვართ ხოლმე თქმა – ღმერთი მიწებს რომ არიგებდა, ჩვენ ვქეიფობდითო. ბოლოს, ნაგვიანევად, მიწისათვის ღმერთს რომ მივაკითხეთ, მიწები უკვე ჩამორიგებული ჰქონდა, ამიტომ თავისთვის დატოვებული სამოთხის მიწა მოგვცაო. ეს ლეგენდა ლამის უცხოელებსაც სჯერათ და ამას იმით ამართლებენ, რომ გული მუდამ აქეთკენ მოუწევთ. მე კი იმიტომ დავბრუნდი, რომ ამ მიწის შვილი ვიყავი, ვიცოდი აქ არ მომაკლდებოდა თავშესაფარი.“

ანდა გავიხსენოთ ამაღელვებელი პატრიოტული სულისკვეთებით სავსე აზრები რომანის დასასრულს, როცა უკვე მხცოვანი, დამსახურებული, ცნობილი ადამიანი სანდრო სულაძე მეგობრებთან გულთბილი და გულახდილი საუბრისას ამბობს: „მოსკოვში ნახევარ საუკუნეზე მეტია ვცხოვრობ, მიუხედავად ამისა, ქართველად დავრჩი და ასეთი ვიქნები ბოლომდე. უსაზღვროდ მენატრება ჩემი სამშობლო, უსაზღვრო სურვილი მაქვს იქ მოვკვდე და ჩემს მიწას მიმაბარონ. საშინელ ნოსტალგიურ გრძნობას განვიცდი. თუკი თქვენ საქართველოდან ხართ, არ შეგიძლიათ თავი სადმე სხვაგან შინაურად იგრძნოთ, რაც უნდა ბედნიერი ცხოვრება გქონდეთ. ეს შეუძლებელია, ქართველები არ ვარგანან ემიგრანტების როლში. როგორადაც უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ქართველები ერთად უნდა ცხოვრობდნენ ღმერთის წილხვედრ ქვეყანაში. ვიგრძნოთ, შევიტკბოთ და ვეთაყვანოთ მისი მზის სითბოს“.

პოლიტიკურად სწორი და გამართულია ამერიკელი მწერლის მსჯელობა უსახო და უნიადაგო საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ. მინდა ამ მსჯელობიდანაც ერთი ნაწყვეტი მოვიტანო: ‘ამდენი

სხვადასხვა ტრადიციის, რელიგიის, ისტორიისა და ენების მქონე ერების ერთ სახელმწიფოში ყოფნა არაბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი ასე თუ ისე ერთგვაროვნებით გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში საერთო ენა, რელიგია ან ისტორია მაინც ჰქონდათ. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ხალხების გაერთიანებას ცდილობდა, რეპრესიებსაც ხშირად მიმართავდა, სინამდვილეში კი გამოვიდა შეუსაბამო „კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის“ უთავბოლო ნარევი. ამ უაზრო ნაკრებს არავითარი მომავალი არ ჰქონდა და ბაბილონის გოდოლივით დაიშალა“.

მოტანილი ნაწყვეტის გამოხმაურება ისმის ამერიკული გამოცემის ბოლოსიტყვაობაშიც, სადაც მცირე რეზიუმეა გაკეთებული რომანში ასახული ისტორიისა და, კერძოდ, სულაძეების მეგობრული ოჯახის შესახებ.

„ეს რომანი ასახავს ერთი ოჯახის ისტორიას. ამ ოჯახმა ცხოვრება დაიწყო და დაამთავრა ისეთ საშინელ ქვეყანაში, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიძებნება დედამიწაზე...“ ვფიქრობთ ასეთი სახის საინტერესო და დამაფიქრებელი წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი არ დარჩება გულგრილი.

მეც დაახლოებით იგივე მინდოდა მეთქვა. რახან წიგნი ამერიკაში მოეწონათ, ჩვენთან კიდევ უფრო მეტი მოწონება უნდა დაიმსახუროს. დარწმუნებული ვარ ამერიკელი მწერლისა და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ფრენკ კოლამბუსის რომანი მკითხველთა ფართო წრის დიდ დაინტერესებას გამოიწვევს.

ნუგზარ წერეთელი

პირველი ნაწილი

მოსკოვი. რუსეთი 1939 წელი

ეჰ, სანდრო ჩემო, შენ სააქაო პირი აღარა გაქვს, შენ უკვე აღარ არსებობ. ძალიან მენანები, მაგრამ ვეღარ გიშველი, ცოლ-შვილი მყავს, მათ ხომ უნდა მოვუარო, - ჩურჩულით ეუბნებოდა იგორ როტუხინი, დიდი თეატრის დირექტორი

— მესმის იგორ, მესმის.

მაგრამ სანდრო სულაძეს ვერაფერი გაეგო, რა უბედურება დასტყდომოდა თავს. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს ვარსკვლავივით ბრწყინავდა, ტაშს უკრავდნენ დიდი თეატრის სოლისტს ოპერაში „რუსლან და ლუდმილა“. მან შეცვალა შეუძლოდ მყოფი მომღერალი, რომელსაც არ უნდა ემღერა იმ დღეს, მორალურად მომზადებული არ იყო. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველაფერი კარგად დასრულდა. სპექტაკლის შემდეგ დარბაზობაზე შესანიშნავად გრძნობდა თავს, ყველანი ულოცავდნენ. თუმცა არა, ყველანი არა.

მეორე დილას, როცა რეპეტიციების დაფაზე სიას გადახედა, შენიშნა მისი გვარი არსად არ ეწერა. მას უცებ გაახსენდა, რომ არავინ მისალმებია ჰოლში, სადაც 10 თუ 15 კაცს შეხვდა. ზოგმა არც კი შეხედა, ზოგიც გვერდზე ოთახებში შედიოდა, ოღონდ მას არ შეხვედროდა. ეჰე, რაღაც საქმე ვერ არის კარგად, კარგად კი არა, ძალიან ცუდად არის.

თურმე ლავრენტი ბერიას — სუკის ხელმძღვანელს, რომელიც შიშის ზარს სცემდა ყველას, მილიონობით კაცი კი გამომწყვდეული ჰყავდა საკონცენტრაციო ბანაკებში, წინა

საღამოს ოპერაში ყოფნისას სანდროს ვინაობა გამოუკითხავს. ეტყობა ბერიას ერთ-ერთ დაახლოებულ პირს უთქვამს, სანდრო საქართველოდან არისო. ამას მორიგი შეკითხვა მოჰყვა: აბა სანდრო საქართველოში კი არა, მოსკოვში რატომ მღერისო. ამ უბრალო და, იქნებ უწყინარმა რეპლიკამ აამოქმედა სახელმწიფო უშიშროების მთელი აპარატი. რაკი ბერია ამ კაცს სახელით იცნობს და მისი ამბავიც უარყოფითი კუთხით გამოიკითხა, მაშასადამე იგი უნდა გაქრეს. ვინც გინდა იყოს ეს მომღერალი, აუცილებელია აღარ გაალიზიანოს სახელგანთქმული ბერია, თორემ მათაც თავები აღარ შერჩებათ.

მერე ისევ დილით დიდ თეატრში მივიდნენ „სტუმრები". მათ გრძელი ლაბადები ეცვათ, თეატრის დირექტორს მოკლედ უთხრეს: ამხანაგ ბერიას სანდრო სულაძე აღიზიანებს, საქართველოში კი არა, მოსკოვში რატომ მღერისო.

ამჯერად ეს მხოლოდ მეგობრული ვიზიტი იყო, არავინ არ დაუჭერიათ. დირექტორს ურჩიეს ბრძნული გადაწყვეტილება მიეღო და მომღერალი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა. ისიც უთხრეს: თუ რამე კითხვა დაგებადებათ, ტელეფონის ნომერს გიტოვებთ და დაგვირეკეთო. რა თქმა უნდა დირექტორს შეკითხვა არა ჰქონდა.

..... მაშასა და სანდროს ტკბილად ეძინათ და გაბმული კაკუნის ხმა არ გაუგიათ. ჩვეულებრივ, თუ ვინმე ღამის სტუმრებს ელოდებოდა, ლიფტის ხმაურს აყურადებდა, იმის გასაგებად თუ რომელ სართულზე გაჩერდებოდა. უცებ ეს ხმა შემოესმათ და ერთმანეთს შეხედეს. ორივეს შიშისა და მორჩილების გრძნობა დაუფლებოდა. ნუთუ სანდროს წასაყვანად მოვიდნენ ეს საზარელი ყორნები სუკის შავი მანქანით? მაშა ამისათვის მზად იყო, როგორც მზად იყვნენ თითქმის ყოველ ოჯახში. მან მაშინვე სანდროს ტანსაცმელი მოკრიფა და იმ ნივთების შეფუთვა დაიწყო, რაც ციხეში გამოადგებოდა. გუნებაში კი ღმერთს შესთხოვდა, იქნებ დაუ-

პატიჟებელი სტუმრები ცოტათი კიდევ შეაყოვნოო. მაშამ სანდროს აკოცა. კოცნა ხანგრძლივი გამოუვიდა, გულში ჩაეკრა, რაკი იცოდა, რომ ეს მათ ცხოვრებაში ალბათ უკანასკნელი იქნებოდა.

ბოლოს, ბედს შერიგებულებმა, კარი გააღეს. იქ კი მათი მეზობელი და მეგობარი ვერა აღმოჩნდა. მას ხელში მინის პატარა ფინჯანი ეკავა.

— მაშა, მომიტევე, თუ შეიძლება, ღამით რომ შემოგეჭერით. იქნებ ცოტაოდენი შაქარი მასესხოთ? რული არ მოგვეკარა, შაქარი კი თურმე გაგვთავებია და ჩაი ველარ დავლიეთ.

— ვერა, — ჩაიჩურჩულა მაშამ, სიხარული და შვება ველარ დაფარა, შემოდი, თუ ღმერთი გწამს. ვიფიქრე "სუკელები" გვიბრახუნებენ. სანდრო, არაყი გამოიტანე. ასე მგონია, თითო ყლუპი არავის გვაწყენს.

— მაპატიე, მაშა. სულ გადამავიწყდა ის შავი ყორნები. იმ ღორებს უდანაშაულო ადამიანები ღამის რომელ საათზედაც მოესურვებათ მაშინ მიჰყავთ. ბოლოს და ბოლოს, ამაზეც ხომ უნდა იფიქრონ!

— კარგი, კარგი, ვერა, შემოდი. ჩაი დავლიოთ, სანდრო არაყსაც ჩამოგვისხამს დასამშვიდებლად.

სანდრო აკანკალებული ხელით ავსებდა „მოსკოვსკაიათი" არყის ჭიქებს. რამდენიმე წვეთი სუფრაზეც დაეღვარა.

— ვერა, — თქვა მას მღელვარებისაგან ოფლი ჯერაც არ შეშრობოდა, იქნებ მეტისმეტად ვნერვიულობთ. თუმცა ყველამ იცის, რამდენი ხალხი აიყვანეს ამ გარეწრებმა. მერედა რისთვის? არაფრის გულისთვის. ანტისაბჭოთა პროპაგანდაო! იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს? ვერავის აუხსნია ამ სიტყვების მნიშვნელობა. ისინი შემთხვევით ხალხს იჭერენ ანდა იჭერენ ვიღაც-ვიღაცეების დაბეზღებით. ნორმალურად ვერავის ვერ უცხოვრია. სანდრო მათ დიდი თეატრიდან დაითხოვეს იმიტომ კი არა, თითქოს სანდრომ რამე

დააშავა, არამედ იმიტომ, რომ ვირთაგვა ბერიას შეშურდა, მაყურებლები ასე დიდხანს რომ უკრავდნენ ტაშს. ნაძირალა! ასე გვეგონა, ამ ბნელი საქმის აღსასრულებლად მოვიდნენ.

— ბოდიშს გიხდი მაშა, თავგზა ამებნა, ეს არ უნდა დამვიწყებოდა. ყველა ჩემ ნაცნობს ბოღჩები უკვე მომზადებული აქვს ქმრის ან ცოლის დაპატიმრების შემთხვევისათვის. როგორც შევიტყვე მოსკოვისა და დიდი ქალაქების საპატიმროები უდანაშაულო ხალხით არის სავსე. თურმე ესენი სადღაც იკარგებიან, მათ ადგილს კი სხვები იკავებენ. ჩემმა მეგობარმა ალამ მითხრა, ერთი კაცი მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ ხმამაღლა დაუჩივლია, ეს რა უბედურებაა ერთი შეკვრა მაკარონის გულისთვის რიგში ხუთი საათი ვიდექიო. 15 წლით უკრეს, თურმე თავი ციმბირში.

— ჩვენც მოგვისმენია ამგვარი საშინელი ამბები, — თქვა მაშამ. იგი იმდენად დამშვიდებულიყო, რომ ჩაი აღარ დაღვრია. შემდეგ ჩაი მოსვა, ისინი როცა უნდათ შარს მაშინ მოგდებენ, დამსმენები ხომ უთვალავი ჰყავთ. მალე ალბათ ყველა ენას ჩაიგდებს, საკუთარი თავისაც კი შეეშინდება. ხმები დადის, ახალი მუხლი მიიღეს ანტისაბჭოთა აზროვნებისათვისო. ისინი პრეტენზიას იმაზეც კი აცხადებენ, რაზეც ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენს აზროვნებაზე.

— ნაძირალები არიან —, თქვა ვერამ,— რატომ მიწა არ გასკდება და მათ ქვეშ არ მოიყოლებს, ჯოჯოხეთში უნდა იყვნენ, იქიდან არ მოვიდნენ?

— ამინ, — კვერი დაუკრა სანდრომ, — ვერა, არკადის ღვიძავს? იქნებ დავუძახოთ?

— არა, გმადლობთ, სანდრო. ჩვენ ისედაც შეგაწუხეთ, — და ვერამ წასვლა დააპირა. — ბოდიში, უნდა წავიდე. ხვალამდე.

— ვერა, მოიცა, შაქარი დაგავიწყდა, — შეახსენა მაშამ. და ქალებმა ისეთი თვალით შეხედეს ერთმანეთს, რაც მხოლოდ მუდმივი შიშით დაზაფრული დობილებისათვის არის გასაგები.

— სანდრო, რა გვეშველება? — ჰკითხა მაშამ, როცა მეზობელი გავიდა —, ისე შევშინდი, რომ გულს ახლაც ბაგა-ბუგი გააქვს. რატომ იღუპება ამდენი ხალხი ან ციმბირის საპყრობილეებში ჰყავთ გამომწყვდეული?

— აბა რა გითხრა. სტალინი და ბერია ამბობენ, ჩვენი მიზანია საზოგადოებას ანტისაბჭოთა ელემენტები მოვაშოროთო. პრობლემა კი მხოლოდ ისაა საზოგადოებას მარტო ისინი და მათი ნათესავები წარმოადგენენ. თუ შენ პარტიული ხარ და მაქსიმალურად იმეორებ იდიოტურ მოწოდებებს, იმიტომ დაგიჭერენ, გულწრფელი არა ხარო, თუკი პარტიის ბილეთი არ გიდევს გულის ჯიბეში, დაგაბრალებენ — სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიო. ისინი კი მთელი მოსახლეობის მხოლოდ ხუთ პროცენტს შეადგენენ — სახეზეა ეგრეთწოდებული პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ღმერთს მადლობა შევწიროთ სიცოცხლის ყოველი დღის ჩუქებისათვის. ამის მეტი აღარაფერი არ დაგვრჩენია. მაშა, მოდი აქ დაჯექი.

მაშა თუმცა ძალზე შეშინებული იყო მაინც არ უნდოდა სანდროს ეს შეემჩნია. არაფერი იცოდა, თუ რა ხდებოდა მის მშობლიურ სარატოვში. ალბათ, იქაც იგივე იყო. საბჭოები მარტო მოსკოვს როდი სჯერდებოდნენ. ჯაშუშებს გასაქანი არსად არ უნდა ჰქონდეთ. ოცი წლის მანძილზე ამ ნაძირალებმა მთელი რუსეთი ააფორიაქეს და ანტისაბჭოთა ელემენტებს ახლაც ეძებენ. ჯერ ისინი სამღვდელოებას დაერივნენ შემდეგ გლეხობას, ახლა კი შემთხვევით პირებსაც აპატიმრებენ. რა ფარისეველი უნდა იყოს კაცი — ამბობდეს 'მთელი ხელისუფლება ხალხსო", მავრამ რომელ ხალხს? ეს ჯერ ჯოჯოხეთის მოციქული ლენინი იყო, ახლა სტალინია. ფერი ფერსო. მაგრამ ამან რა [illegible] წლამდე რუსეთს მარცვლეული გაჰქონდა [illegible], ახლა კი დიდი საბჭოთა კავშირი შიმშილით [illegible]

მაშას შეშფოთებული ფიქრი ეგრეთ წოდებულ გაზეთებსა და ბოლო სამი წლის ხმაურიან სასამართლო პროცესებს მისწვდა. გენერალი ტუხაჩევსკიც კი გასწირეს! თითოეულ მათგანს ბრალად სდებენ ანტისაბჭოთა მოქმედებასა და აზროვნებას. ეს ხმაურიანი სასამართლოები მხოლოდ ხმაურიანი იყო. ისინი მილიონობით მაშასა და სანდროსნაირებს ყოველდღიურად უმტკიცებდნენ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გაესამართლებინათ და გაუფრთხილებლად სიკვდილით დაესაჯათ. ქვეყანა გადაიქცა უუფლებო მუშებით დასახლებულ მიწად. ამ მიწას მართავდნენ მკვლელები, სადისტები და მანიაკები. ტრაგედიაც ის იყო რომ ამ საქმეში დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. უღირსებო კაცი „ამხანაგად“ იქცა. იგი მზად არის გასწიროს დედა, ქმარი, ცოლი, რათა პარტიის ნდობა დაიმსახუროს. რა დაემართა დიდ რუსეთს?

მაშამ გადაწყვიტა, როგორც ყოველთვის ექვსის ნახევარზე ამდგარიყო, პური და ბოსტნეული ეყიდა, თუკი სადმე მიაგნებდა. მაინც ვერაფრით ვერ დაიძინა, თუმცა წუთები და საათები გადიოდა. მილიონობით სხვა ადამიანისავით, მაშას და სანდროს იაფი გუგულიანი საათი ჰქონდათ. ეს გუგული ყოველ თხუთმეტ წუთში თავისი ‘ბუდიდან“ გამოფრინდებოდა და გუგუ-გუს გაიძახოდა. იქნებ კომუნისტებმა ასეთი საათების ყიდვის ნება ხალხს იმიტომ მისცეს, რომ ყოველ თხუთმეტ წუთში შეეხსენებინათ, თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში? თითქოსდა მათ ცოტა რამეს შეახსენებდნენ!

მაშამ არ მოინდომა სანდრო შეეწუხებინა. დაღლილს როგორც იყო, მხოლოდ დილის ხუთი საათისათვის ჩასძინებოდა. მან აიღო ბადურა და იმ დღისათვის დასახარჯად გათვალისწინებული ფული, რაიმე სანოვაგის საყიდლად. სანდრო ნამდვილი ქართველი იყო. ის თავს არ იწუხებდა ყოველდღიური პრობლემებით და ზოგადად თუ ერკვეოდა საოჯახო საქმეებში.

მოსკოვური ზამთრისათვისაც კი ცივი დილა იდგა. მაშამ გადაწყვიტა გორკის ქუჩაზე ფილიპოვის საფუნთუშეში წასულიყო. იქ, იმ ყინვიანი ადრეული დილით დაახლოებით 150 კაცი უკვე რიგში იდგა. მაშას ვარაუდით სამი საათის ლოდინი მაინც მოუწევდა.

სურსათისათვის რიგს ეტიკეტის თავისი წესი აქვს. ურიგოდ შელწევა წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. ვინც კი რიგში დგებოდა, კითხულობდა „ბოლო ვინ არის?“ რიგში ზოგიერთი გაზეთს ან წიგნს კითხულობდა, თუმცა ბინდბუნდში ასოების გარჩევაც კი ჭირდა. ზოგი ფეხების ბაკუნით ცდილობდა გათბობას, ზოგი კი დუმდა, თუმცა ბევრი ერთმანეთს კარგად იცნობდა. ზოგიც ერთმანეთთან უწყინარ თემებზე საუბრობდა.

— მაშა, — ჩურჩულით ჰკითხა ექიმმა, რომლის სიტყვების გაგება თითქმის შეუძლებელი იყო, — გვითხარი, წუხელ თქვენ სახლში რა მოხდა?

— მოხდა? — გაუკვირდა მაშას, — რა უნდა მომხდარიყო. თუმცა ამ დროს ეჭვმა გაჰკრა, ვინმემ ხომ არ გაიგონა ვერას კაკუნი, როცა შაქრის სასესხებლად მოვიდაო.

— თქვენ ხომ ნომერ 5 სახლში ცხოვრობთ? — შეეკითხა ექიმი.

— დიახ, ნომერ 5 სახლში ვცხოვრობ.

— გავიგე, წუხელ მეორე სართულიდან ვილაცა წაუყვანიათ, — თქვა ექიმმა.

— ვერ წარმოიდგენია, — თქვა მაშამ მტკიცედ, — ვინმე რომ წაეყვანათ, აუცილებლად გავიგებდით, ასეთი რამ არ იმალება.

მაგრამ მაშამ ხომ იცოდა, რომ ხალხს შეიძლება ყველაფერი დაუმალო, აი სახელმწიფოს კი — ვერა.

სამ საათზე მეტი ხნის დგომის შემდეგ, როგორც იყო რიგმა მოუწია და 2 პური იყიდა თითო თხუთმეტ კაპიკად. პურები ბადურაში ჩადო და სანამ ბოსტნეულის რიგში ჩადგე-

ბოდა, გადაწყვიტა ის არასასიამოვნო საუბარი მოეთავებინა. იგი ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა შინ. სანამ თავის ბინაში შეავიდოდა დიასახლისის კარს მიადგა. იგი ამავე დროს სახლმმართველი და ყარაული იყო.

ლიდია ვასილიევნამ — მოხუცმა ქალმა, რომელიც თმაში ფოლადის სარჭს არასოდეს იშორებდა, თავი ასწია და მაშას პირდაპირ თვალებში შეხედა, თითქოს რეაქციას ელოდაო.

— წუხელ დაახლოებით სამის ნახევარზე, ივანე კორუგინი წაიყვანეს, — თქვა მან, — დილით დაბრუნდნენ და რაღაცას ეძებდნენ, იქნებ რაიმე სამხილს, ჭერზე ჩამოკიდებული, გაფიჩხული მისი ცოლი ირინე კი იპოვეს.

— მესმის, ლიდია ვასილიევნა. ამით ხომ არ დასტურდება, რაც მე მოვისმინე. იქნებ ჯაშუშები იყვნენ.

— ნამდვილად ასე იქნება, — დასძინა მოხუცმა, — თორემ ვინ დააპატიმრებდა?

— მართლაც, — თქვა მაშამ და ოთახიდან გამოვიდა. თუმცა კარგად იცოდა, რომ ივანე კორუგინი ჯაშუშობას არ იკადრებდა. იგი უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი არქეოლოგი იყო. მას თავის საკუთარ ქვეყანაში მტრების გარდა, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მტერი არა ჰყოლია. მის ცოლს ირინეს იგი თავდავიწყებამდე უყვარდა, უბრალოდ ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს.

მაშა ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეს ლიფტით სარგებლობის ნაცვლად. სანდრო იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ცოტა შეიცოდა მის განერვიულებას მოერიდა. მერე სააბაზანოში შევიდა და პირსახოცი აიღო. ამით პირი აიკრა, რათა მისი გოდება არავის გაეგონა. კარგა ხანს მდუღარედ იცრემლებოდა, როდის-როდის დამშვიდდა და სანდროსთან სამზარეულოში შევიდა.

— სანდრო, ეს-ეს არის მითხრეს, რომ ივანე კორუგინი წუხელ სუკში წაუყვანიათ, — ამოიოხრა მან და სანდროს წინ

სავარძელში ჩაჯდა. — დილით დაბრუნდნენ და სამხილის ნაცვლად ჩამომხრჩვალი ირინე — მისი ცოლი უნახავთ.

— ვიცი, ვიცი, — უთხრა სანდრომ. — შენი წასვლის შემდეგ დიმიტრიმ დამირეკა. ძალიან განიცდის.

მაშას ძმამ დიმიტრიმ კარზე დააკაკუნა და ოთახში შევიდა. იგი ამბის გასაგებად მოვიდა. დიმიტრი სახელმწიფო მოხელე იყო, მძიმე მრეწველობის კომისარიატში მუშაობდა. იგი მაღალ-მაღალი, ქერა ხუჭუჭთმიანი კაცი იყო, ყოველთვის მოოქროვილ სათვალეს ატარებდა. სკოლაში მაშას წყენინებას ვერავინ უბედავდა, რადგან იცოდნენ მის უფროს ძმასთან მიტიასთან ექნებოდათ საქმე.

— მიტია, ეს რა უბედურებაა მთელი ქალაქი დაშინებულია. რა ხდება? როგორ არჩევენ დასაპატიმრებელ ხალხს?

— ჩვენს კომისარიატში ხმები დადის, სუკში გეგმებს ისე ასრულებენ, როგორც ყველგანო. ამბობენ ექვს თვეში გარკვეული რაოდენობა უნდა აიყვანონ, მერე ახალი პერიოდი დაიწყებაო. გენერალური მდივანი და მისი ძმაკაცები ძველი მოედნის სართულებიდან სიებს აღნიშვნებს უკეთებენ გვარების გასწვრივ: პირველი სვეტი დეპორტაციას ნიშნავს, მეორე — დახვრეტას. ადამიანი შეიძლება შეარჩიონ ნებისმიერი საბაბით ან საერთოდ არაფრის გულისათვის, უბრალოდ იმ საბაბით, რომ გეგმა შეასრულონ. შეიძლება გაუხსენონ, არ იღიმებოდაო, ანდა მათ ცოლს აღიზიანებდა ან მათ ძაღლს გაუჯავრდა.

უჰ, რა საშინელებაა! — წამოიძახა სანდრომ.

***

მაშამ პური აიღო, ორი ნაჭერი ჩამოაჭრა და თეფშზე დააწყო კარაქის პატარა ნაჭერთან ერთად. მოსკოვში კარაქი ოქროსავით ძვირი საშოვნელი იყო.

— მაშა, მგონია, საქართველოში ჩემი დაბრუნების დრო დადგა. ნიკო თუშიშვილს დავურეკე ქუთაისში, კონსერვატორიაში. შემპირდა სამუშაოს გიშოვიო, თვით თბილისის ოპერაში როლსაც კი. ჯერ არ იცის, რომ დიდი თეატრიდან დამითხოვეს. ბოლოს და ბოლოს ფულს მაინც მივიღებ. ჩვენი მარაგი ილევა, მოქმედების დრო დადგა. აქ ცოტა ხანიც რომ დავრჩე, ჭკუიდან შევიშლები.

— იქნებ სწორიც ხარ, სანდრო, მაგრამ ბინას რა ვუყოთ? ჩემს მომზადებას რა უნდა, ერთ-ორ დღეში ყველაფერს მოვაგვარებ.

— არა, მაშა, შენ მოსკოვში უნდა დარჩე, მოკლე ხნით მაინც. იქნებ ბერიას დავავიწყდე და ქუთაისში ვერაფერი ვერც გაიგონ. არადა, რომ გაიგონ? ოთხ თვეში მოილოგინებ. ქუთაისში ცხოვრება გაგიჭირდება. მე თუ დამაპატიმრებენ, ისინი ახლა თავიანთ მსხვერპლთა ცოლებსაც სჯიან. ამას საზოგადოებაში დანაშაულს ეძახიან. მარშალ ტუხაჩევსკის ცოლი ნინა ევგენიევნა და მისი ორი ძმაც დააპატიმრეს და დასაჯეს. გახსოვდეს, მათ თვალში დამნაშავის ცოლი იქნები მუდამ. არაფერს ნიშნავს, რომ მე ცუდი არაფერი გამიკეთებია, შენც დაგიჭერენ ცოტა ხანში.

— უშენოდ აქ რა დამრჩენია? მე შენ მიყვარხარ სანდრო. ქორწინების შემდეგ ხომ უერთმანეთოთ ერთი წუთითაც არ გვიცხოვრია.

— მეც მიყვარხარ, მაშა, მაგრამ ჩვენი შვილისათვის უნდა ვიცოცხლოთ. შენ და ჩვენი შვილი აქ უფრო უსაფრთხოთ იქნებით. დამიჯერე, ამ მილეთ ხალხში შეუმჩნეველი დარჩები. ისინი მხოლოდ იმათ უთვალთვალებენ, ვინც სხვებისაგან გამოირჩევა. ამიტომაც უნდა გავითქვიფოთ ხალხში იმათსავით, ვინც თავის გადარჩენა მოახერხა საბჭოთა კავშირში. არასოდეს არ შეეხო წერილების პოლიტიკას, პოლიტიკურ დისკუსიებს. მხოლოდ შინაურების ამბავი შემატყ-

ობინე ხოლმე, ესეც ფრთხილად. ნურასოდეს დაიწუწუნებ ცხოვრების გამო, პირიქით ხოტბა შეასხი ამ ნაძირალებს, საზოგადოებას ხალხის მტრების განადგურების გამო.

— ყველაფერი ვიცი, სანდრო, მაგრამ ამას ვერ გადავიტან, თუ შენ გვერდით არ მეყოლე. შენ მე მჭირდები.

— მეც მჭირდები, მაშა, ცხოვრება კი საბჭოთა კავშირში ყოველთვის სწრაფ რეაქციას მოითხოვს, უბედურება მთელი სისწრაფით გვიახლოვდება. ორივენი ამას ვგრძნობთ და ეს ერთადერთი რამაა, რაც უნდა გავაკეთოთ.

მაშამ სიყვარულით შეხედა სანდროს და მიხვდა, იგი სწორი იყო. გარდა ამისა, ქუთაისშიც ისევე გაუჭირდებოდა, როგორც მოსკოვში.

— კარგი, სანდრო. რაკი ასეა, ასე იყოს. არის ერთი საკითხი და მინდა შენთან ერთად გავარკვიო. იმედი მაქვს გიჟად არ ჩამთვლი: ჩვენი შვილი უნდა მოვნათლო, თუნდაც ამის გამო დეპორტაცია ან სიკვდილი მელოდეს.

— ნამდვილი ქალი ხარ, მაშა. ეს მინდოდა მეთხოვა მაშინვე, როგორც კი გავიგე ფეხმძიმედ იყავი. მოახერხებ კი ამას ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს?

— სანდრო, ჩვენ ქალები, გამოსავალს ყოველთვის ვიპოვით. შენ თუ თანახმა ხარ, ყველაფერს მოვაგვარებ.

— მარტო გეთანხმები კი არა, გემუდარები კიდეც, ასე მოიქცე. გახსოვდეს, კრინტი არავისთან დაძრა. ერთი სიტყვაც კი საკმარისი იქნება ჩვენი დაღუპვისათვის.

— ვიცი, გენაცვალე, ღელავ. ღმერთია ჩვენი შემწე.

— კარგი, მაშა, მაინც გთხოვ ძალიან ფრთხილად იყავი.

— ქუთაისში წასვლას როდის აპირებ?

— ორი-სამი დღის შემდეგ. შენი ძმა დიმიტრი შემპირდა, დაგეხმარებიო. სადგურზეც ის გამაცილებს. ბილეთი უკვე მაქვს.

მაშამ უხმოდ თავი დაუქნია. შემდეგი სამი დღე ფუსფუს-

სა და სულიერ სიახლოვეში მიილია. გაურკვევლობა მუდამ აფორიაქებს ადამიანებს, მაგრამ საბჭოთა კავშირში ხომ ყველაფერი თავდაყირა იყო, და გაურკვევლობის წინასწარმეტყველება ადვილად შეიძლებოდა. მთელი ხუთი წლის განმავლობაში ყოველ ღამეს განვლილი დღით ხარობდნენ, რაკი კიდევ ერთი დღე გადააგორეს და ხვალისათვის ემზადებოდნენ. ისინი მუდამ ერთად იყვნენ სულიერადაც და გულითადაც. ახლა კი უნდა დაშორებოდნენ, ფიზიკურად მაინც.

— სანდრო, ისევ ფიქრი არ მასვენებს, შენთან ერთად ხომ არ წამოვიდე? იქნებ, ქუთაისში უფრო მშვიდად ვიყოთ-, ჰკითხა მაშამ, — ის ამ დროს ჩაის უმზადებდა ქმარს, თუმცა როგორც წესი, სანდრო თვითონ აყენებდა ხოლმე ჩაის, რაც მისთვის ხელოვნების ტოლფასი იყო.

— მეც ძალიან მინდა ჩემთან იყო, მაშა, მაგრამ ყველაფერი ხომ გადავწყვიტეთ. გახსოვდეს, ფიქრითაც და გულითაც მუდამ შენთან ვიქნები. ყოველდღე წერილებს მოგწერ, ყოველდღიური ამბების შესახებ.

— კარგი, სანდრო. მეც დღიურის წერას დავიწყებ და როცა ჩამოხვალ წაგაკითხებ.

— ძალიან კარგი, მაშა, ოღონდ ცოტა გარკვევით დაწერე, თორემ ხომ იცი, რა ცუდი ხელი გაქვს.

ორივეს გაეცინა, რაკი გაახსენდათ სანდრო რუსულად გარკვევით იმიტომ წერდა, რომ რუსული მისთვის მეორე ენა იყო.

ის დილაც გათენდა, რომლისაც ასე ეშინოდათ. გასაცილებლად დიმიტრიც მოვიდა. მაშამ სპეციალურ ჩანთაში საჭმელი ჩაულაგა და სანდროს გადასცა.

მატარებელი კურსკის ვაგზლიდან გადიოდა. შემხვედრი მანქანით მივიდნენ ვაგზლამდე და მთელ გზაზე არცერთს კრინტი არ დაუძრავს — ყველას თავისი საფიქრალი ჰქონდა. საჭირო პლატფორმა მალე მოძებნეს და მატარებელში ჩასხდომას დაელოდნენ.

— მიტია, მოუარე მაშას, ყოველდღე შეეხმიანე. შენ ხომ იცი, როგორ გვიყვარს ერთმანეთი.

— ნუ ღელავ, სანდრო, ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა დიმიტრიმ, — ყოველდღე დავურეკავ, ‘შობიაობის დრო რომ მოახლოვდება, მილა გადავა მასთან. შენს თავს მოუარე. ეს იქნება ყველაფერზე კარგი, რაც შეგიძლია მაშას და შენ შვილს გაუკეთო.

— ვეცდები, ვეცდები, ჩემო მიტია. ერთხელ კიდევ გიხდი მადლობას.

— ნახვამდის მაშა, — თქვა სანდრომ და ცოლი გულში ჩაიკრა. ‘მე შენ მიყვარხარ“ — ჩასჩურჩულა ყურში სანდრომ, რომელმაც მისი სხეულის ნაცნობი სითბო კვლავ იგრძნო.

— მეც მიყვარხარ, სანდრო, ამ ქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე მეტად —, უპასუხა მან.

— ყოველ წუთს შენზე ვიფიქრებ, — წარმოთქვა სანდრომ და ვაგონის კიბეზე ფეხი შეადგა.

— ნახვამდის, საყვარელო, ბედნიერ მგზავრობას გისურვებ, — თქვა მაშამ. მას მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული არ ეტირა. სანდროს სულ მომღიმარი უნდა ვახსოვდეო. ბოლო წამს სანდროს ჯიბეში შოკოლადის პატარა ნაჭერი ჩაუცურა, რაც თურმე ერთ თვეზე მეტხანს შეენახა. სანდროს ხომ ტკბილეული ძალიან უყვარსო, ფიქრობდა მაშა. მისი სანდრო კი დაბნეული გამოიყურებოდა. მაშა ღმერთის წინაშე ფიცს დებდა დღე და ღამ ილოცებდა სანდროს მშვიდობიანად დაბრუნებისათვის. ლოცვა მისი ერთადერთი იმედი იყო.

მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა. მაშამ და სანდრომ ერთმანეთს ხელი დაუქნიეს. ეს უბრალოდ ხელის დაქნევა კი არა, კითხვაც იყო „უერთმანეთოთ რა გვეშველებაო?“.

მეორე ნაწილი

ბუგეული. საქართველო 1918 წელი

— აქ რას აკეთებ, ბოშო? — მკითხა მოხუცმა, რომელსაც მთის თაკარა მზეზე სახე მთლად დაშაშროდა. — ჩვენებურის გარდა მარტოდმარტო აქ ამოსვლას ბევრი როდი გაბედავდა. შენც ხომ აქაურს არა ჰგავხარ, თანაც ყმაწვილი ხარ! — ეს მითხრა მოხუცმა და ცივად თვალი თვალში გამისწორა.

— დიახ, ბატონო, ყმაწვილი კი ვარ, მაგრამ ოდესღაც აქა ვცხოვრობდი. ბარში, სოფელ ბუგეულში დავიბადე. ჩემი მშობლები დადო და მაყვალა სულაძეები, ორი წლისა რომ ვიყავი, ქუთაისში გადასულან საცხოვრებლად. ახლა 13 წლისა ვარ, დედ-მამამ მითხრა, ბუგეულში წადი და ნათესავები მოინახულეო. ამიტომაც ვარ ჩამოსული. ავტობუსით წამოვედი და აი, აქ ჩამომსვეს. მძღოლმა მითხრა, ბუგეულამდე ავტობუსი არ მიდისო.

— ასეთი ფეხსაცმლით შეიძლება ნათესავები ვერც ნახო. გიჯობს მე გამომყვე, ნელა იარე, თორემ ხრამში აი იმ ლოდის გვერდით მოგიწევს წოლა. — დიდი მადლობა, ბატონო ჩემო მეგზურობისათვის. ფრთხილად ვიქნები. აჩრდილივით ტაატით მივყვებოდი მოხუცს და წუთითაც არ ვაშორებდი თვალს.

— მითხარი, ბოშო ქუთაისში რა ამბებია? ამ მთებში ახალ ამბებს ვინ გაგვაგებინებს.

— სკოლაში სწავლით კარგად ვსწავლობ და აბა, სხვა რა გითხრათ. — ძალიან კარგი, მაგრამ დიდ ომზე — პირველ მსოფლიო ომზე რას მეტყვი? გავიგე, უკვე დამთავრდაო.

— დიახ, ბატონო, დამთავრდა. ეს რადიოთიც გამოაცხადეს და გაზეთებშიც ეწერა. აქ რადიო არა გაქვთ?

— არა, არა გვაქვს. თუმცა ოდესღაც მინახავს. რაღაც უცნაური მოლაპარაკე ყუთი იყო. არა მჯერა, რასაც რადიოთი ამბობენ. მხოლოდ იმას დავუჯერებ, ვინც ლაპარაკის დროს თვალს არ გარიდებს. ქუთაისში კიდევ რას ამბობენ?

— ბევრს ლაპარაკობენ რაღაც კომუნისტებზე. იმასაც ამბობენ, საქართველოშიც მალე იქნებაო. რუსეთში რევოლუცია მოხდა და ყველა ამბობს კომუნისტები აქაც მოვლენო.

— მაინც რას აკეთებენ ეს კომუნისტები? მეფეს ემსახურებიან?

— არა, ბატონო, მათ მეფე მოკლეს, — ვუთხარი მოხუცს. იგი თავდაჯერებული სიმტკიცით მიაბიჯებდა დაღმართზე, მე კი ბორძიკ-ბორძიკით ძლივს ვეწეოდი, — მამაჩემი ამბობს, კომუნისტთა ბელადები არამზადები არიან, ისინი აცხადებენ ხელისუფლება ხალხს ეკუთვნისო, თუმცა ყველაფერი თავიანთთვის უნდათო.

— მამაშენი, ეტყობა ჭკვიანი კაცი უნდა იყოს.

— მათ ხელისუფლება ძალით ჩაიგდეს ხელში და ახლა რუსეთში სამოქალაქო ომია.

— გასაგებია, ეკლესია რაღას ამბობს?

— მამაჩემმა თქვა, კომუნისტები მღვდლებს ხოცავენ და ეკლესიებს წვავენო.

ჩემმა მეგზურმა პირჯვარი გადაიწერა და დაფიქრებულმა შემომხედა. „განა ქრისტიანებს ეს ეკადრებათ?“ — მკითხა მოხუცმა.

— მამაჩემი ამბობს 25 ბელადიდან არცერთი ქრისტიანი არ არის. ისინი ფულს საზღვარგარეთიდან იღებენ, რათა რევოლუცია მოახდინონ. მამამ ისიცა თქვა, ამ შეთანხმებით რუსეთში ერთხელ და სამუდამოდ ქრისტიანობა უნდა ამოძირკვონო.

მოხუცმა ისეთი ცივი თვალით შემომხედა, მსგავსი არც მაშინ და არც შემდეგ აღარ მინახავს.

— ბოშო, ამ კომუნისტებს თუ რაღაც ეშმაკებს, შეუძლიათ მღვდლები ამოწყვიტონ და ეკლესიები გაანადგურონ, ქრისტიანობას კი ისინი ვერ ამოძირკავენ, რადგან ეს ხალხის გულშია დამკვიდრებული. ადრე თუ გვიან ახალ ეკლესიებს ააშენებენ, ახალი მღვდლებიც მოვლენ. ეს ღვთის ნებაა, შვილო. დაიხსომე ჩემი ნათქვამი.

როგორც იყო მთის ძირამდე ჩამოვაღწიეთ. მოხუცი დამემშვიდობა. მადლობა გადავუხადე და გაკვირვებული ვადევნებდი თვალს, თუ რა მარდად ადიოდა იგი ციცაბო აღმართზე.

რაჭის სილამაზით მოჯადოებულმა ბუგეულამდე დარჩენილი ორი კილომეტრი ისე გავიარე, რომ ვერც კი გავიგე. როგორც აქ დაბადებულს, ადრე მეუბნებოდნენ ხოლმე რაჭველი ხარო და მეც მეამაყებოდა, თუმცა არც კი ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა ეს. ჩემი ცხოვრების იმ ადრინდელ ხანაში ვერც კი წარმომედგინა, მომავალში რას გავაკეთებდი. დედამამას ვეუბნებოდი, ექიმობა მინდა-მეთქი. თბილისში ვაპირებდი სწავლას. ეტყობა, მედიცინა იმიტომ მიზიდავდა, რომ მომწონდა ადამიანებისადმი ყურადღება და დახმარება. რაკი სკოლაში ურიგოდ არა ვსწავლობდი, ექიმობა კარგ იდეად მიმაჩნდა, თუმცა მასწავლებლები მეუბნებოდნენ, ექიმობა ძნელი საქმეაო.

მეორე მხრივ კი, მამაჩემს, სადაზღვევო საქმიანობის მოღვაწეს, ეტყობა, მისი საქმის გამგრძელებლად ვუნდოდი, თუმცა არჩევანში ხელს არ მიშლიდა. ისე კი მეუბნებოდა, ყველაფერი კარგად მოიფიქრეო.

ბოლოს იმაზეც ვიმტვრევდი თავს, როგორ გამეგრძელებინა სიმღერა. ყველა მეუბნებოდა, მომღერალი გამოდიო, მე კი მეშინოდა, იმდენ კარგ ქართველ მომღერალს შორის

რას მივაღწევდი. თუმცა ეკლესიაში გალობა და ქორწილებში მღერა ძალიან მომწონდა.

ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში ყოველ ცისმარე დღეს. ერთხელაც, მამამ მირჩია რაჭაში წადი, იქნებ გული გადააყოლოო. არ ვიცოდი მოვერეოდი თუ არა ჩემს ფიქრებს, მაგრამ მაინც წამოვედი, და რაც აქ ვნახე — აქოჩრილი ტყეები, ათასფერი ყვავილებით მორთული მდელოები, მოჩუხჩუხე ანკარა წყაროები, მოჟღურტულე ჩიტები — სამოთხე მეგონა. ძალიან გამიკვირდა, ჩემმა მშობლებმა ასეთი სამოთხე როგორ მიატოვეს-მეთქი.

ბოლოს დიდი სახლის კარზე მივაკაკუნე. ამ სახლის გზა მოხუცმა მიმასწავლა.

— სანდრო! — ძახილით შემეგება დეიდა მაია, — შემოდი, შემოდი. გელოდით. მამაშენი გვწერდა, სანდრო ჩამოვაო. ჩამოჯექი შვილო, ერთი დამენახე, როგორი ხარ.

— კარგად ვარ, დეიდა მაია, ერთმა მოხუცმა მომასწავლა თქვენი სახლი. აი იმ მთის პირას დავშორდით ერთმანეთს.

— მეცხვარე იქნებოდა, — მიპასუხა დეიდამ. — ისინი ყველას და ყველაფერს იცნობენ.

— აი აქ ჩამოჯექი, დაისვენე. ახლავე ხაჭაპურს გამოგიცხობ. ხომ გაგიგონია აქაურ ხაჭაპურს სულ სხვა გემო აქვს. დედაშენი და მამაშენი როგორ არიან?

— კარგად, დეიდა მაია, — ვუთხარი მე და გემრიელად ჩავკბიჩე ჯერ კიდევ ცხელ-ცხელი ხაჭაპური, — დედა სულ შინ და ეკლესიაში ტრიალებს. გაკვეთილების მომზადებაშიც გვეხმარება. მამაჩემი დიდ დროს სამსახურში ატარებს, მეგობრებიც არ ავიწყდება. მამაჩემი მეუბნება, უკვე 13 წლისა ხარ და დროა ქვეყნად რაც ხდება ერკვეოდეო. თორემ მე ან სკოლაში ვარ ანდა ვმღერი.

— მამაშენი, რა თქმა უნდა, მართალია. ჭკვიანი კაცია.

ჩემ დას გაუმართლა. ერთი, შენ სიმღერაზე მითხარი რამე. შვიდი წლის წინათ ქუთაისში რომ ვიყავი, შენ პირველ კლასში სწავლობდი და მაშინაც მეუბნებოდნენ, კარგი ხმა აქვსო, — მითხრა დეიდა მაიამ და ჭიქით მაწონი მომაწოდა.

— აბა ეს რა სათქმელია, დეიდა მაია. ეკლესიაში დავიწყე გალობა, მაგრამ ეკლესიის ლოტბარმა, ბატონმა თეთრაძემ გაჩუმება მიბრძანა. მითხრა — საქართველოში სანამ სიმღერის სწავლას დაიწყებდეს ვინმე, ჯერ მოსმენა უნდა ისწავლოსო. ისიცა თქვა, თუ მოსმენა არ იცი, გიჯობს მეცხვარეობას მოჰკიდო ხელიო.

— შენ როგორღა მოიქეცი?

— გავჩუმდი, რა უნდა მექნა? ყოველთვის, როგორც კი სიმღერას ავყვებოდი, ხელს ტუჩებზე მიიდებდა, მერე — ყურზე. მეც დავდუმდებოდი. ბოლოს, ორი წლის დუმილის და ერთი წლის მოსმენის შემდეგ, სიმღერის უფლება მომცა. ჯერ ცოტას მამღერებდა. ვერ გეტყვით, რომ არ მოსწონდა. მითხრა, ხმას უნდა გაუფრთხილდე, რადგან საქართველოშიც კი, სადაც სიმღერას ხელოვნებას ადარებენ, შენს ხმას მომავალი აქვსო.

— მერე, უფრთხილდები შენს ხმას?

— ვუფრთხილდები არა. მამაჩემი მეუბნება, სიმღერა მართალია კარგი საქმეა, მაგრამ ნამდვილი სამუშაო უნდა იშოვოო. ეს დღეც შორს აღარ არის. ექიმობა მინდა. თუ შევძელი, ქირურგი მინდა გამოვიდე.

— კარგი ხელობაა, სანდრო. კარგი ექიმები ძალიან გვჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ კარგი ექიმი იქნები. ნამგზავრი ხომ არ დაისვენებდი? ოთახი მოგიმზადე.

რაჭაში თითქმის ერთი კვირაზე მეტი დავრჩი. დეიდა მაია, ძია ვასო, მჭედლები სოლომონი და მიხო თავს დამტრიალებდნენ. ძალიან ბევრს მიამბობდნენ რაჭაზე, ისიც მითხრეს, რაჭველი მზარეულები მთელ რუსეთის იმპერიაში

არიან ცნობილებიო. ეს მართლაც მენიშნა, რადგან მამაჩემიც ხომ კარგ კერძებს ამზადებს. ჩემმა ბიძაშვილებმა ყველა კუთხე-კუნჭული შემომატარეს. ხან მთებში, დავდიოდით, ხან ხეობებში, ბობოქარ მდინარეთა ცქერით ვტკბებოდით. რამდენიმე ძველი ეკლესიაც მოვინახულეთ და სულ მიკვირდა აქ, ამ უდაბურ ადგილებში როგორ ცხოვრობდნენ და როგორ აშენებდნენ ასეთ დიდებულ ტაძრებს. ძალიან მსიამოვნებდა, რომ ყველამ თავის ღვიძლად მიმიღო. ვიცოდი ამის შემდეგ მუდამ წელ-გამართული, ამაყად ვივლიდი და შიშის მიუხედავად, ამას ვერავინ შემატყობდა.

დღეებმა გაირბინეს და საყვარელ ქუთაისში დავბრუნდი. როგორც ამბობდნენ, ქუთაისში ვინც ჩამოდის, მერე მისი მიტოვება ველარ წარმოუდგენიაო. ასე ძლიერ ხიბლავს ყველას მისი ქუჩები, ლამაზი გარემო და განსაკუთრებით არაჩვეულებრივად თბილი ხალხი.

დედას და მამას ვუამბე ჩემი ამბები, ისიც ვუთხარი, თუ რა ვიგრძენი, როცა ჩვენი ვინაობა შევიტყე.

დედაჩემი ლამაზი ქალი იყო, გრძელი შავი თმა, და მუქი წაბლისფერი თვალები ჰქონდა. მოყვარული, მზრუნველი დედა იყო, როგორც ჩვენი ქალებისათვის არის დამახასიათებელი. თუმც გული მოსდიოდა ხოლმე ჩვენზეც, მამაზეც, ბრაზს ხმამაღლაც გამოხატავდა, მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ ყველაფერი ავიწყდებოდა.

მამა უფრო თავშეკავებული იყო. ყოველ შემთხვევაში შინ. ჯმუხ კაცს დიდი შავი ულვაში და შეთეთრებული თმა ჰქონდა. როგორც ჭკვიან ადამიანს თავის წრეში დიდ პატივს სცემდნენ.

— სანდრო —, მითხრა ერთხელ მამამ და სიყვარულით გადმომხედა, — მგონია, დროა ყოველკვირეულ შაბათობაში მიიღო მონაწილეობა. შენ რას მეტყვი?

— ძალიან გამიხარდება, მამა. წინასწარ რამე ხომ არ უნდა ვიცოდე?

— არა, ისეთი არაფერი. მე და დედაშენი ხომ გარიგებდით, უფროსებთან როგორ უნდა მოიქცე. გახსოვდეს ყველასთან თავდაბალი უნდა იყო. ამით შენც ბედნიერი იქნები. ყველა ქართველი ხომ თავაზიანია, განსაკუთრებით ჩვენი მხარის წარმომადგენლები. დააკვირდი და დაიხსომე, როგორ იქცევიან ადამიანები, ისინიც დააფასებენ შენს მონდომებას. ეს ხომ ბევრჯერ გვითქვამს შენთვის.

მეც მოუთმენლად ველოდებოდი შაბათის დადგომას.

***

— სანდრო, სანდრო, რა მოხდა? ისევ იჩხუბე? მოდი აქ. სახე რამ გაგისისხლიანა? ღმერთო ჩემო, სისხლი როგორ შეგიჩერო? აქ ჩამოჯექი და ტილოს ორი ნაჭერი ღრმა იარაზე დაიდე. ვინ იყო, ვინ მოგექცა ასე? — გაიძახოდა აღელვებული დედაჩემი.

— საშიში არაფერია, დედა. სულ მალე სისხლის დენა შემიწყდება.

— როგორ თუ არაფერი, მაგას ნუ იტყვი. ლადო, ლადო, — ხმამაღლა დაუძახა მამას, — შენი ვაჟი, ლამის არის სისხლისაგან დაიცალოს.

მამა ზემოდან ჩამოვიდა, თუმცა ფეხი არ აუჩქარებია.

— ვატყობ, დღევანდელი საღამოსათვის მზად ხარ, არა შვილო? — მითხრა მამამ სიცილით. დედაჩემმა ისე შეხედა თითქოს ამბობდა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო.

— შენი შვილი ასე ემზადება მამაკაცთა საზოგადოებაში მოსახვედრად? იგი დასისხლიანებული დაბრუნდა შინ, შენ კი ეუბნები, მზადა ხარო? ორივე გამაგიჟებთ, — თქვა შეწუხებულმა დედაჩემმა. — რისთვის უნდა იყოს მზად, ფარიკაობისათვის?

— უთხარი, შვილო, როგორ ემზადებოდი, — მითხრა მამამ სიცილით.

მორჩილად თავი ავწიე, სამფეხა სკამზე გავსწორდი, ტილო სახიდან მოვიშორე და დედას ვუთხარი. 'შეგონა დღევანდელი საღამოსათვის უნდა მოვმზადებულიყავი. მე ხომ ვხედავდი ხოლმე, მამა წვერს როგორ იპარსავდა და ვიფიქრე, ეს ადვილია-მეთქი. არა უშავს, ლოყა ოდნავ დავისერე. როცა შევხედე, რომ სისხლი და ქაფი ერთმანეთში აირია, ვიფიქრე, ჩქარა გავიპარსავ-მეთქი და რაც უფრო ვჩქარობდი მით უფრო ვიჭრიდი კანს. ერთი ხელის თითებით იარებს ვერ ვიფარავდი, მეორეში ხომ სამართებელი მეჭირა. მაგრამ პარსვა მაინც დავამთავრე. ხომ მოგწონს?

დედას ლამაზ სახეზე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა, მიყურებდა, ეტყობოდა არ მოსწონდა მამის საქციელი, თავისი ვაჟისათვის გაპარსვა მაინც ესწავლებინაო. თუმცა მას ჩვენთვის არასოდეს სცალია, სულაც არ ადარდებს, მისმა ბიჭმა სახე რომ დაიღადრა. მამა მიუხვდა საფიქრალს.

— სანდროს, მაყვალა, არ უთხოვია. ანდა რომც ეთხოვა, მაინც არ ვასწავლიდი, — თქვა მამაჩემმა, თვალი ჩამიკრა და ჩაის დასალევად გავიდა.

შაბათობისათვის საგარეო ტანსაცმელში გამოვეწყე, იარები ასე თუ ისე მომიშუშდა. მამაჩემი და მე შინიდან შვიდ საათზე გავედით. დედა მამას მაინც არიგებდა, თუ როგორ უნდა ეზრუნა ჩემზე. საღამო სასტუმრო „ქუთაისის“ დარბაზში იმართებოდა. ძალიან მეამაყებოდა, რომ მამაჩემთან ერთად მივაბიჯებდი.

როგორც კი სასტუმროში შევედით, მამაჩემმა თავის მეგობრებს წარუდგინა ჩემი თავი. ისინიც მომესალმნენ. მამამ მოშორებით კუთხეში მდგარ მთავარ მაგიდასთან დამსვა და თავის მეგობრებთან მასლათი გაბა. შემოუსხდნენ თუ არა მაგიდას მამაკაცები, ოფიციანტმა დოქით წვენი მოიტანა, ეს წვენი ღვინოს ჰგავდა. მალე ვნახე, რომ მამაჩემი თამადად აირჩიეს. მანაც თავაზიანად მადლობა გადაიხადა და მოადგილედ მამია დაასახელა.

ყველა მადიანად შეექცეოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მამაჩემი დინჯად წამოდგა, სადღეგრძელოს სათქმელად.

— ძვირფასო მეგობრებო, ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ პირველი სადღეგრძელო — თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს, 162 წელზე მეტი ხომ რუსეთის იმპერიის მონები ვიყავით. ახლა კი, როგორც იყო, თავისუფლება მოვიპოვეთ.

თამადის მოადგილემ, მამიამაც წარმოთქვა სადღეგრძელო, რამდენიმე სხვამაც ადღეგრძელა საქართველო. ბოლოს ერთი ტანმორჩილი ქერა კაცი წამოდგა და სიტყვა მოითხოვა.

— მეგობრებო, მოდით დღეგრძელობა და წარმატება ვუსურვოთ ჩვენს დიდ პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას. ვუსურვოთ აყვავება მის მთავრობას, ყოველივე სიკეთე მის ოჯახსა და მეგობრებს.

სასმისები ყველამ გამოცალა. ახლა მაღალ-მაღალი მამაკაცი წამოდგა, რომელიც ისტორიის პროფესორს წააგავდა.

— ბატონებო, შევსვათ იმის სადღერგძელო, რომ ჩვენს ყოფილ რუს პატრონებს დავიწყებოდეთ საქართველო. ნულარ გაიხსენებენ მას, ჩვენი ქვეყნის სახელიც დავიწყებოდეთ, მოგვასვენონ და მოგვცენ შესაძლებლობა, ჩვენვე ვმართოთ ქვეყანა სხვების დაუხმარებლად.

ყველამ ეთხმად აიტაცა სადღეგრძელო და მქუხარე ვაშამ დარბაზი შეაზანზარა. სადღეგრძელოს სადღეგრძელოები მოჰყვა, ისმოდა ხუმრობა, სიმღერა. თუმცა ბევრი ღვინო დაილია, გამომთვრალი არავინ დამინახავს.

სუფრამ დიდხანს გასტანა, უდღეგრძელებელი თითქმის არავინ დარჩენილა. ყველა მჭერმეტყველებდა. მე ყველაფერი ძალიან გულწრფელად და საინტერესოდ მეჩვენებოდა.

ბოლოს შინ წასვლის დროც დადგა, უკვე ღამის ორი საათი იყო.

— აბა, მითხარი, როგორ მოგეწონა ჩვენი ზეიმი?

— ყველაფერი დიდებულად იყო, მამა, გმადლობ წამოყ-

ვანისათვის. ბევრი რამ ვისწავლე, მამი, ისტორიაც გავიგე, შევიტყე ჟორდანია ვინც არის, მაგრამ ის ჭიჭიკია კი რას წარმოადგენს? რა, დიდი მოხელეა? რატომ ლაპარაკობენ ასე ბევრს ჭიჭიკიაზე?

მამამ გადაიხარხარა და მითხრა: „ჭიჭიკია, შვილო მოგონილი სახელია, იმერლები ამით ერთმანეთს აქილიკებენ. იგი იმასთან არის გაიგივებული, რასაც ზოგჯერ თითოეული ჩვენგანი აკეთებს ხოლმე. ცხოვრებაში მუდამ გახსოვდეს, რომ იუმორი შენი ნაწილიც არის და ეს არასოდეს არ დაივიწყო. ყოველ სიტუაციაში წააწყდები ირონიულსა თუ სასაცილოს“.

მაშინ მამის ნათქვამის არსს ვერ ჩავწვდი. მამაჩემს მომდევნო ორი წლის მანძილზე ბევრ ასეთ შეხვედრაზე დავყავდი. იმ დროს, რა თქმა უნდა, ჭიჭიკიას ყოველთვის ახსენებდნენ. მე არასოდეს წარმომითქვამს სადღეგრძელო და არც არასოდეს შემოუთავაზებიათ. ასე მეგონა, რომ ამას ვერც მოვახერხებდი. მამაჩემი მეუბნებოდა, ქართველები სადღეგრძელოში მუდამ გულწრფელები არიანო.

1921 წელს ხალხი უკვე აღარ იკრიბებოდა ზეიმებსა და სადილობებზე. ერთხელ, როცა შინ დავბრუნდი, ეს მარტის თვეში ხდებოდა, დედა და მამა სამზარეულოში დაბალი ხმით რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ორივეს სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდათ. იმ საღამოს, ვახშმობისას, საოჯახო კრება გაიმართა.

— შვილებო —, თქვა მამამ, — თავს უბედურება დაგვატყდა. თქვენ ხომ იცით, რომ საქართველომ რუსეთს დააღწია თავი 162 წლის მონობის შემდეგ. გუშინ კი წითელი არმიის ჯარისკაცები საქართველოში შემოიჭრნენ, მიზნად აქვთ საქართველო დასაჯონ დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. მას შემდეგ, რაც გაჟლიტავენ ყველა ზემდგომ ‘თანამდებობის პირს, საპატიმროებიდან გაათავისუფლებენ იმათ,

ვინც საზარელი დანაშაული ჩაიდინა ქვეყნის წინაშე. ამ პატიმრებს უმაღლეს თანამდებობებს ჩამოურიგებენ ბოლშევიკურ მთავრობაში. ვითარება ძალიან რთულია და დაძაბული საქართველოში.

— მაგრამ, მამა, ჩვენთვის ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა ეთერმა, ჩემმა დამ. — სამი წლის წინათ რომ საქართველო რუსეთის ნაწილი იყო და ამ დროის მანძილზე ცხოვრება სულაც არ შეცვლილა.

— მართალი ხარ, ეთერ, მაგრამ ესენი რუსეთელები როდი არიან. ეს საბჭოებია. მესმის გამიჭირდება თქვენთვის ამის ახსნა. აბა წარმოიდგინეთ, ყველა მკვლელი, ბოროტმოქმედი, დამნაშავე საქართველოს სათავეში რომ დადგეს. საბჭოთა რუსეთი ჩვენზე ორმოცდაათჯერ მეტია და იქ გაცილებით მეტია დამნაშავე და სადისტი. ისინი ახლა საბჭოებს მართავენ. მათ რუსეთი, როგორც ქვეყანა, გააჩანაგეს.

— ნეტავ სად დაიკარგნენ ის კარგი რუსები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით? — ვკითხე მამას.

— ბოლშევიკებმა მილიონობით ადამიანი გაულიტეს და კვლავ განაგრძობენ ხოცვას. ბევრი თეთრ არმიას შეერთდა, რათა მათ წინააღმდეგ იბრძოლოს, ბევრმაც ქვეყანა დატოვა და ევროპას შეაფარა თავი. ჩინეთშიც კი გადაიხვეწნენ. ყველა ხომ ვერ წავიდოდა, ამიტომაც ის ეშმაკის მოციქულები მართავენ მათ.

— მაინც ვერ გავიგე რა მოგვივა ჩვენ? — ჰკითხა ჩემმა ძმამ რევაზმა. — ისინი სკოლებს დახურავენ, დაგვხოცავენ, თუ რა?

მამამ სათვალე მოიხსნა და ისეთი ხმით უპასუხა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— არ ვიცი რა მოგვივა, მაგრამ ის კი გავიგე, ხვალ ისინი აქ იქნებიან. ჰოდა, მე საშინელება მოვისმინე, იმათ, ვინც გადაურჩება, მკვდრების შეშურდებათო. მაყვალა აუხს-

ენი როგორ უნდა მოიქცნენ და როგორ ელაპარაკონ იმ გარეწრებს. მე სამუშაოზე მივდივარ, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

დედამ დაგვარიგა ძალიან წყნარად ვყოფილიყავით, მათი ყურადღება არ მიგვეპყრო. მას იმედი ჰქონდა რუსი დამპყრობლები ბავშვებს მაინც არ ახლებდნენ ხელს.

საბჭოების წარმომადგენლები ზუსტად დანიშნულ დროს შემოვიდნენ და გადატრიალებისათვის დრო არ დაუკარგავთ. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობდნენ, საბჭოების ხელისუფლების დამყარებას ბოლომდე ვერ შეძლებდნენ სანამ კაპიტალიზმის გადმონაშთებს არ ამოძირკავდნენ. უწინარეს ყოვლისა, ქალაქის თავი და ყველა თანამდებობის პირი დახვრიტეს, შემდეგ მათი ადგილები დამნაშავეებს ჩამოურიგეს. მეოთხე დღეს დააპატიმრეს ყველა მღვდელი. რელიგია ხალხისათვის ოპიუმად გამოაცხადეს, მღვდლები კი ჯოჯოხეთის მოციქულებად. ერთ კვირაში თითქმის მთელი სამღვდელოება გაჟლიტეს, მათ შორის ჩვენი საყვარელი მამა ირაკლიც. ყველა გაზეთი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს და პირველსავე დღეებში გამოაცხადეს, რომ საქართველოს მოსახლეობა სოციალისტური აღზრდისათვის უნდა მომზადებულიყო.

ჩვენი ოჯახი ყველაზე ნაკლებ დაზარალდა და ამისათვის მუდამ ღმერთის მადლიერი ვიქნები. მთელი ქონება ჩამოგვართვეს. მამაჩემის საქმე გააუქმეს, სახლი კი სახელმწიფოს საკუთრება გახდა. მამაჩემს გამოუცხადეს, მუშათა სასარგებლოდ უნდა იმუშავოო, როგორც ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელს. იგი კანტორის მოსამსახურედ გაამწესეს მთავარ სამმართველოში. მძიმე სამუშაოს შესრულება უწევდა, რათა ოჯახი ერჩინა, თუმცა გაჭირვების მიუხედავად ერთხელაც არ დაუჩივლია. დედაჩემი მთავარი პარტიულების ბინებს ალაგებდა. ორი თვის შემდეგ ჩვენი

სახლი რევოლუციური საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. სარდაფში მიგვიჩინეს ბინა და გვითხრეს, ამისთვისაც მადლობელი იყავითო.

ყველა იმ უბედურების მიუხედავად, რაც გარშემო ტრიალებდა, დედის დაჟინებული მოთხოვნით თბილისს გავემგზავრე ექიმობის დასაუფლებლად. წასვლა არ მინდოდა, მაგრამ დედას არაფრის გაგონება არ სურდა. თბილისში დეიდა ანასთან უნდა მეცხოვრა.

***

მომდევნო ხუთ წელიწადს გულმოდგინედ ვეუფლებოდი მედიცინას. ასე მეგონა ცხოვრების გზა მონახული მქონდა. ერთხელაც, როცა მეხუთე კურსს ვასრულებდი, დეკანატში გამომიძახეს.

— სულაძე, — მითხრა დეკანმა, — მინდა ამხანაგ შანიძეს, თბილისის კონსერვატორიის რექტორს შეხვდეთ.

შეხვედრის დროს რექტორმა მიმიღო თუ არა, საქმეზე გადავიდა.

— ამხანაგო სულაძე, ჩვენი კონსერვატორია მომღერალ სტუდენტთა ნაკლებობას განიცდის. საბჭოთა კავშირში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითოეული ორგანიზაცია ასრულებდეს სახელმწიფოს მიერ დასახულ მიზნებს. ყველა ჩვენგანი კომუნიზმის აშენებისათვის უნდა მუშაობდეს. ჩვენ მოვეთათბირეთ ქვეყნის მუსიკის ყველა ექსპერტს, მათ შორის თქვენი გუნდის ყოფილ ლოტბარს თეთრაძესაც. ახლა, სხვათა შორის, ტრაქტორისტია. თეთრაძემ თქვენ ძალიან კარგად დაგახასიათათ, თქვა, ამაზე უკეთესი ხმა ჯერ არ მომისმენიაო. კონსერვატორიაში გვინდა მოგიწვიოთ.

— დიდი მადლობა, მაგრამ მედიცინა ძალიან მომწონს, — ვუთხარი საკმაოდ გაკვირვებულმა.

— შენ ჩვენთან უკვე აღარ ირიცხები, სულაძე —, მითხრა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა. იგი საუბარს ესწრებოდა, — ასე რომ, გისურვებ კარგად გემღეროს...

ასე დაიწყო ჩემი მომღერლობა. მთელი წელი ვმეცადინეობდი სიმღერაში. რა თქმა უნდა, რუსულ ენასაც ვსწავლობდი, რადგან თითქმის ყველა ოპერა რუსულად იყო თარგმნილი. ბოლოს, 1930 წლის თებერვალში, პირველად შევაღე თბილისის საოპერო თეატრის კარი. მაშინ 24 წლისა ვიყავი. თავიდანვე წამყვან პარტიებს როდი ვასრულებდი, თანდათანობით, 1931 წლის დამლევისათვის სოლისტი გავხდი და ბანის ყველა ძირითად პარტიას მე ვასრულებდი. ხელფასსაც რეგულარულად ვიღებდი, რის ნაწილსაც ჩემებს ქუთაისში ვუგზავნიდი.

ჩემს გამოსვლებს მუსიკათმცოდნეები კარგად აფასებდნენ, მსმენელები ტაშით მხვდებოდნენ. ერთხელაც, დილის რეპეტიციის დროს დირექტორმა გამომიძახა. მაგიდასთან ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი რუსი იჯდა. ის რატომღაც ცივად მიყურებდა. მაშინვე სამედიცინო ინსტიტუტში კონსერვატორიის რექტორთან ჩემი შეხვედრა გამახსენდა.

— სანდრო, ეს ამხანაგი სმირნოვია მოსკოვიდან, დიდი თეატრის წარმომადგენელი.

— ამხანაგო სულაძე, — თქვა სმირნოვმა, — ორი კვირა თქვენ გისმენთ ოპერაში. დიდ თეატრში თქვენს მიწვევას ვაპირებთ. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ და საქართველოს გარდა არ გიცნობენ. ამიტომ კიბის ქვემო საფეხურიდან მოგიწევთ დაწყება. თუმცა მოსკოვში ბევრი ვარსკვლავი გვყავს, მაგრამ თქვენი ხმა მომწონს. რას მეტყვით?

ეს ჩემთვის ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ძლივსღა წავილუღლუღე: „ამხანაგო სმირნოვ! ეს ჩემთვის უდიდესი პატივია დიდ თეატრში სიმღერა“.

— ძალიან კარგი, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ

შეძლებთ. აი თეატრის დირექტორის ვინაობა და ტელეფონის ნომერი. ერთი თვის განმავლობაში მოგელით. წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ ამხანაგო სმირნოვ. ვეცდები გავამართლო. ოთახიდან გამოსულმა ვიჩქმიტე კიდეც, სიზმარი ხომ არ არის-მეთქი. დიდი თეატრი — ეს ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია! ნუთუ ყველაფერი ეს ცხადია?

დედა და მამა ბედნიერები იყვნენ ჩემი ასეთი უზარმაზარი წარმატების გამო. მოსკოვში ჩემი გადასვლა კი აწუხებდათ. დედა სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში დარწმუნების მიზნით, შესაფერისი ტანსაცმელი მიმქონდა თუ არა, თანაც უნდოდა დაერიგებინა როგორ მოვქცეულიყავი დიდ ქალაქში.

ბოლოს როცა დედაჩემმა რჩევა-დარიგებები ამოწურა, ყველანი — დეიდა ანა, ძია ილია და ბევრი ახლობელი მეგობარი, ჩემს გასაცილებლად ვაგზალში წავედით. დედა ამ ხნის მანძილზე ტიროდა, ყველა მშვიდობიან მგზავრობასა და წარმატებებს მისურვებდა.

მესამე ნაწილი

მოსკოვი. 1928 წელი

— ქალიშვილო, თქვენი ბილეთი! თქვენი ბილეთი-მეთქი, — უკვე ხმამაღლა თქვა გაბრაზებულმა კონდუქტორმა.

— უი, უკაცრავად ამხანაგო კონდუქტორო —, უთხრა მაშამ და ბილეთი გაუწოდა.

— ღრუბლებში ფრენას შეეშვით, ქალიშვილო. თქვენ მოსკოვში მიდიხართ, რომელიც ოცნებების კი არა, მოქმედების ქალაქია.

— მართალი ბრძანდებით. გმადლობთ რჩევისათვის. ვეცდები ყურადღებით ვიყო.

მაშას რაც თავი ახსოვს, მუდამ მეოცნებე იყო, მუდამ საყვარელი წიგნების გმირთა ცხოვრებით უნდოდა ცხოვრება. ზოგჯერ ისე ეჩვენებოდა პუშკინის დროინდელ პეტერბურგში ცხოვრობდა, მე მის დუელს არ დავუშვებდიო და კიცხავდა ნატალია გონჩაროვას. თავი ქალბატონ ისიმოვად წარმოედგინა, რომელსაც პუშკინმა თავის სიცოცხლეში ბოლო წერილი მისწერა.

„მოსკოვამდე 10 წუთიღა დარჩა“ — გაისმა ხმა დერეფანში. მაშა გამოერკვა და თავისი ბარგი-ბარხანის შეგროვება დაიწყო. მისი ძმა დიმიტრი უკვე ექვსი წელიწადი მოსკოვში ცხოვრობდა. მასთან და რძალთან მილასთან იცხოვრებდა. ძმა კურსკის ვაგზალზე უნდა დახვედროდა.

— მიტია, მიტია. როგორ მიხარია შენი ნახვა, — თქვა მაშამ, როგორც კი ფეხი ჩამოადგა ბაქანზე და ძმა გულში

ჩაიკრა. დიმიტრიმ მის პატარა ჩემოდანს ხელი დაავლო. გასასვლელისკენ წავიდნენ. მოსკოვში მშვენიერი გრილი დღე იდგა.

— აბა მითხარი, როგორ არის ჩემი დაიკო? კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა ამ დიდ ქალაქში. მაინც შენი არ დაიშალე. ყოჩაღ. ხომ არ დაიღალე?

— არა, რა დამღლიდა, რა გაცინებს? როცა ვხედავ ამ მაღალ სახლებს, ფართო ბულვარებს, ადამიანებს, რომლებიც აჩქარებული ნაბიჯით სადღაც მიეშურებიან, მეც მინდა მათ შევუერთდე და ახალი ცხოვრების შექმნას აქ შევუდგე.

— თუკი არ დაღლილხარ, მოდი წითელ მოედანზე მიგიყვან, თვალი გადაავლე და მერე წავიდეთ ჩემთან. მილა გველოდება.

მაშამ და დიმიტრიმ ტრამვაით იმგზავრეს მანეჟის მოედნამდე. იქედან კი ქვით მოკირწყლულ წითელ მოედანზე მივიდნენ.

— მიტია, მოედანი უფრო შთამბეჭდავი ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა, — თქვა მაშამ, რომელიც მღელვარებისაგან თავს ძლივს იკავებდა. — რა დიდებული სანახავი ყოფილა კრემლის გალავანი და ვასილი ნეტარის ტაძარი! რამდენი რამის მოწმეა ეს მოედანი რუსეთის ისტორიის განმავლობაში.

— ოდესლაც იგი სავაჭრო მოედანი იყო. სიტყვა „წითელიც“ ჩვენ რასაც ვგულისხმობთ, „კარგს“ გამოხატავს. იცი, რომ პირველი წარმოდგენა რუსეთში აქ მოეწყო? აბა აგურით გაწყობილ მრგვალ ადგილს შეხედე, იქ სჯიდნენ ხოლმე სიკვდილით.

— მიტია, იქ მართლა ლენინის საფლავია?

— დიახ, ის არის. ჯერ ხისაა, გაისად კი გრანიტისა იქნება.

— რიგში რომ ხალხი დგას, იქ შესვლას აპირებს?

— ჰო, მაშა, აქ ათასობით ადამიანი ყოველდღე დგება რიგში.

მაშა ცოტა ხანს დუმდა და მერე ძმას ჰკითხა: "ნეტავ რატომ უნდათ მკვდარი ლენინის ნახვა? იგი ხომ უკვე ოთხი წელიწადია მოკვდა"?

— ვინ იცის? ზოგს უნდა თავის მეგობრებს და ნათესავებს უთხრას, მოსკოვში ვიყავიო, მათგან უმრავლესობა მოსკოველი არ არის. ალბათ ამ ხალხში არიან ისეთებიც, რომლებსაც კომუნიზმისა სჯერათ და სურთ თავიანთი თაყვანისცემა დიდი ბელადისადმი დაადასტურონ. ზოგიერთისათვის ლენინი ღმერთია. შენ მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ თერთმეტი წელი გავიდა ქრისტიანობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური განადგურებიდან, რაც არც ერთ ქვეყანაში არასოდეს არ მომხდარა.

— ოი, ეს ხომ საშინელებაა. მაინც როგორ გამოიყურება იგი? შენც გინახავს?

— მინახავს და არა ერთხელ. ამ ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები, განსაკუთრებით ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გარეგნობა არ შეეცვალოს. მოდი ყარაულის შეცვლას დაველოდოთ.

— რა, ცოცხალივით გამოიყურება? — შეეკითხა მაშა.

— არა, ნამდვილ მკვდარს ჰგავს, — გაყვითლებული და შეშუპებულია. თუ ჩემსავით მას ახლოდან ნახავ და მის ყველა ქმედებას გაიხსენებ, მიხვდები, რომ მათ ქვეყნად მოვლენილი სატანის მთავარი წარმოგზავნილი გაყინეს.

— ბატონო დიმიტრი, გიჯობთ ფრთხილად იყოთ და ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ. დედამ დაგიბარა, ნუ ილაყბებო, თუმცა აქ, ჩვენს გვერდით კაცისშვილი არ ჭაჭანებს.

— ნუ გეშინია, დაიკო, — უპასუხა ღიმილით დიმიტრიმ, — მოდი აქ, აი რას გიჩვენებ. და გულის ჯიბიდან პატარა წითელი წიგნაკი ამოიღო.

— რაო, პარტიაში შეხვედი? — გაიკვირვა მაშამ. — მართალი ხარ, მაშა. შარშან მიმიღეს. გადავწყვიტე, რაკი

მათთან ბრძოლა არ შეიძლება, სჯობს შევუერთდე. ხომ იცი, პარტია დღედაღამ აცხადებს, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა დამყარდეს, ყველანი თანასწორები უნდა ვიყოთ, ამიტ-ომაც არა სჯობია ერთ-ერთი დიქტატორი ვიყო და არა პროლეტარი?

— მიტია, ზოგჯერ შენი მეშინია. თუმცა მათი ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ მჯერა, მაგრამ მაინც ერთი იმათგანი ხარ. იქნებ სჯობდა ვოლგაზე დარჩენილიყავი.

— ნახავ, დაიკო, ნახავ. ახლა კი შინ წავიდეთ, თორემ მილა შავ დღეს დაგვაყრის. ვხედავ, უკვე დაიღალე.

— წავიდეთ.

ლუდმილა ძალიან კარგად შეხვდა მაშას, რის შედეგაც მაშამ თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. მაშას დივანზე ეძინა. იგი თავისუფალი იყო, შეეძლო როცა მოი-სურვებდა წასულიყო და შინ დაბრუნებულიყო, მას საკუთრივ გასაღებიც კი მისცეს. დიმიტრის, როგორც პარტიის წევრსა და კომისარიატში თანამდებობის პირს, კარგი ბინა ჰქონდა. მაშა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოახლოებული მისაღები გამოცდებისათვის მზადებას შეუდგა. მას რუსული ლიტერ-ატურის მასწავლებლობა უნდოდა. გამოცდებამდე ექვსი კვირა რჩებოდა. წიგნებს ჩაუჯდა. ლუდმილას საოჯახო საქმეებ-შიც ეხმარებოდა.

პირველი გამოცდის დღეც დადგა. გამოცდები სამ ეტაპად იმართებოდა. პირველი წერითი, მეორე — ზეპირი და, ბოლოს გასაუბრება იყო. მან იცოდა, წერითი გამოცდა რთული იქნე-ბოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, კარგად დაწერდა.

ზეპირი გამოცდის ჩასაბარებლად მაშამ სპეციალური სტრატეგია შეიმუშავა. მას გაგებული ჰქონდა, რომ გამომ-ცდელი, თუ აბიტურიენტი პირველ ბილეთზე პასუხს ვერ გასცემდა, მეორე ბილეთის აღების უფლებას აძლევდა. ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტი 'ხუთიანს" ვეღარ მიიღებდა. მაშამ

პირველივე ბილეთის კითხვებს უპასუხა, წარმატებით ჩააბარა ზეპირი. გასაუბრებაღა რჩებოდა.

მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან სამი მოღუშული გამომცდელი იჯდა.

— ამხანაგო მარია ელისეევა, თქვენი ჯერია, გამობრძანდით. — ამხანაგო ელისეევა, — უთხრა მკაცრი შესახედაობის, ჭაღარა თმიანმა ქალმა, ერთხელაც რომ არ გაუღიმია. — თქვენ წერითი და ზეპირი გამოცდები ჩააბარეთ. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე კითხვას დაგისვამთ.

მეორე გამომცდელმა, საშუალო ასაკის მამაკაცმა, რომელსაც უხეიროდ მორგებული კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხი, როგორც ბურჟუაზიული გადმონაშთი, არ ეკეთა, ჰკითხა: „ამხანაგო ელისეევა, რომელ სოციალურ კლასს ეკუთვნის თქვენი ოჯახი?“

— გლეხობას, — უპასუხა მაშამ და დაინახა გამომცდელებმა ქაღალდზე რაღაც ჩაინიშნეს.

— სახელდობრ, რომელ გლეხობას, ამხანაგო? — კითხვა დაუსვა მეორე გამომცდელმა. — გაქვთ თუ არა ქონება? თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ ყოფილა სახლის, მიწის ან სხვა რაიმეს მესაკუთრე?

დიმიტრი მაშას ამზადებდა ამნაირი კითხვებისათვის, და მანაც უპასუხა: „არა, არასოდეს, ამხანაგო. ჩემი ოჯახი, ბებიაც და პაპაც მუდამ სხვის მიწაზე მუშაობდნენ. ტანსაცმელი და ავეჯი გვქონდა მხოლოდ სახლში, სადაც ვცხოვრობდით“.

— ამას არა უშავს ამხანაგო. ტანსაცმელი და ავეჯი, თუ ძალიან ბევრი არ არის, ეს საფრთხეს ვერ შეუქმნის მორალურ-სოციალურ სიწმინდეს, — თქვა მეორე გამომცდელმა.

ბოლოს ჭოკივით გრძელმა სათვალიანმა მამაკაცმა დაბალი, მოგუდული ხმით ჰკითხა:

— თქვენი ძმები ან დები, თუკი გყავთ, რა პროფესიის არიან?

— მხოლოდ ერთი ძმა მყავს, ამხანაგო. აქ, მოსკოვში ცხოვრობს, მძიმე მრეწველობის კომისარიატში მუშაობს.

— მას როდისმე ულაპარაკია სოციალიზმის მომავლის შესახებ? — ჰკითხა მესამე გამომცდელმა.

— იგი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ხშირად აღფრთოვანებული ბრუნდება ხოლმე პარტიული კრებებიდან.

დიმიტრიმ ურჩია მისი პარტიულობის ფაქტი საუბრის დროს ისე ეხსენებინა, რომ ვითომ შემთხვევას განეპირებინოს.

— მაშასადამე იგი პარტიის წევრია? — ისევ მესამე გამომცდელმა დაუსვა შეკითხვა.

— დიახ, ამხანაგო.

ყველამ თავის ფურცელზე ისევ რაღაც მონიშნეს და მალე მოითათბირეს.

— თქვენ ყველა გამოცდა ჩააბარეთ, ამხანაგო ელისეევა. დარწმუნებული ვართ, რომ ინსტიტუტში კარგად ისწავლით.

— გმადლობთ, ამხანაგებო.

***

ინსტიტუტში ყოფნის მომდევნო ხუთმა წელმა სწრაფად გაირბინა. მაშას სწავლა მოსწონდა, ბევრი მეგობარი გაიჩინა. მისი მეგობრების წრე უფრო ახლობლებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მათაც ხომ თავიანთი მეგობრებიც ჰყავდათ. ისინი ტელეფონით ესაუბრებოდნენ, ხვდებოდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებზე, უზიარებდნენ აზრებს თანაკურსელების შესახებ. მაგრამ არასოდეს არ ივიწყებდნენ, რომ შეიძლება ტელეფონით საუბრებისათვის მიეყურადებინათ.

— სწავლის დამთავრებას გილოცავ, ჩემო მაშა, — უთხრა საღამოს დიმიტრიმ. — ეს მოვლენა მინდა აღვნიშნო და დიდ

თეატრში წაგიყვანო, მაგრამ შაბათ საღამოს პარტიული კრება დანიშნეს, თანაც მარტო ერთი ბილეთის აღება შემიძლია პრემიერაზე. „ხოვანშჩინას“ წარმოადგენენ. ხომ იცი, ბილეთის შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

— მიტია, მართლაც რომ კარგი ძმა მყავხარ. გმადლობთ. თუკი მოისურვებ, მე წავალ კრებაზე, — უთხრა სიცილით მაშამ.

— დიდებული წინადადებაა, თუმცა სოციალისტური სწორი აზროვნება არა გაქვს და ვაითუ სხვებმაც შეიცვალონ კომუნისტური პრინციპები. ჩვენ ხომ ეს არ გვინდა?

— რაკი ასეა, თეატრში მე წავალ. გმადლობ, მიტია.

მაშა დიდ თეატრში პირველად მიდიოდა. სანამ თეატრში შეაბიჯებდა დიდხანს ათვალიერებდა მთელ შენობას, რაც რუსეთის არქიტექტურული და დიდი კულტურული ცენტრი იყო მუდამ. დარბაზში თავისი ადგილი მოძებნა და ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა. დარბაზი ათასფერად ჩახჩახებდა.

ანტრაქტის დროს ბუფეტში შესვლა გადაწყვიტა, დათვალიერება, სხვა თეატრალების ნახვა სურდა. ბუფეტში თანდათან ხალხი გროვდებოდა და მაშას ასე ეგონა ყველანი ჭკვიანი და განათლებული იყვნენ. მათ ხომ იცოდნენ ტაში როდის დავკრათ და როდის არა. მაშამ გადაწყვიტა მათთვის მიებაძა. ქათქათა პერანგებში გამოწყობილი რამდენიმე ოფიციანტი სწრაფად მუშაობდა. სხვადასხვა ბუტერბროდებსა და ნამცხვრებს შორის არჩევანი უჭირდა.

„რა ავიღო? — ფიქრობდა მაშა, თან გრძნობდა, რომ ანტრაქტი საცაა დამთავრდებოდა.

— ათქვეფილ ნაღებს ხომ არ ინებებდით? — შემოესმა სასიამოვნო ხმა მარჯვნიდან.

მაშამ შეხედა ლამაზ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც თეთრი პერანგი ეცვა და მაგიდის ბოლოს იდგა.

— სიამოვნებით ავიღებდი ამას, რა ღირს? — შეეკითხა მაშა. — ათი კაპიკი, — უპასუხა ახალგაზრდამ.

— კარგი, ავიღებ, — უპასუხა მან, ერთი ულუფა ნაღები აიღო და გვერდზე მიდგა. სანამ მაშა პირს იტკბარუნებდა, იმასაც გრძნობდა ყმაწვილი კაცი თვალს, რომ არ აშორებდა. მაშამ კარგად იცოდა, მამაკაცებს იგი მოსწონდათ, ინსტიტუტში ლამაზ გოგონად ითვლებოდა, იგი კი არავის ხვდებოდა, თუმცა საღამოებზე ყველა ეპატიჟებოდა ხოლმე. მაშა ბუფეტიდან ისე გამოვიდა თეთრპერანგიანი ოფიციანტისათვის არცკი შეუხედავს. იგი წარმოდგენამ გაიტაცა და ტაშსაც უკრავდა, ოღონდ მაშინ, როცა სხვებიც უკრავდნენ. მალე მეორე და ბოლო ანტრაქტის დრო დადგა. მაშამ ისევ ბუფეტში წასვლა გადაწყვიტა.

ახალგაზრდა, რომელსაც გამოელაპარაკა, ისევ იქვე, მაგიდასთან იდგა. მაშას იქით წასვლა არცკი დაუპირებია, ბუტერბროდის ყიდვა მოიწადინა მეორე მხარეს რომ ეწყო.

— შავი პურის ბუტერბროდზე რას იტყოდით? — ისევე ის ნაცნობი სასიამოვნო ხმა შემოესმა, ოღონდ საწინააღმდეგო მხრიდან. — თავს ნებას მივცემ თქვენი საყვარელი ათქვეფილი ნაღებიც შემოგთავაზოთ. მაშას გაეღიმა.

— გმადლობთ. რა ღირს ბუტერბროდი?

— წარმოდგენა არა მაქვს, ახლავე გავიგებ —, უპასუხა ხმამ.

— რას ნიშნავს "წარმოდგენა არა მაქვს?" — ჰკითხა მაშამ. — ბუფეტის მუშაკმა კი უნდა იცოდეს ფასები, თუკი გაყიდვა უნდა.

— სულაც არ მინდა მათი გაყიდვა, — გაეცინა ხმას.

— როგორ თუ არ გინდათ? მუშაკი, რომელიც ენთუზიაზმითა და ინტერესით არ ეკიდება სამუშაოს — სირცხვილია სოციალიზმისათვის.

— გეთანხმებით, მაგრამ მე აქ კი არა იქ, ზემოთ ვმუშაობ, — და თითი ჭერისაკენ აიშვირა.

— ზემოთ? იქ, რა კიდევ ერთი ბუფეტია? — გაიკვირვა მაშამ.

— რამდენადაც ვიცი, ბუფეტი არ უნდა იყოს. მომღერალი ვარ, — უპასუხა მან სიცილით.

— დიახ, რა თქმა უნდა, — თქვა მან, — აბაზანაში მეც ვმღერი.

— არ გეხუმრებით. ჯიბეში ორი ბილეთი მიდევს მომავალი სამშაბათის „ონეგინზე". თუ მოხვალთ, ნახავთ როგორაც ვმღერი.

— მომისმინეთ, ახალგაზრდავ, პირველი არა ხართ ვისაც ამგვარი ზღაპრებით ჩემი გაცნობა მოუნდომებია, მაგრამ უნდა ვაღიარო, ყველასაგან გამომგონებლობით გამოირჩევით. ის ბილეთები მიბოძეთ და თუ ისინი ყალბი არ არის, „ონეგინსაც" მოვუსმენ და ათქვეფილ ნაღებსაც მივირთმევ.

მომდევნო კვირაში ის ახალგაზრდა აღარც კი გახსენებია. მან დიმიტრის სთხოვა ოპერაში გაჰყოლოდა. იმედი ჰქონდა ბილეთები ყალბი არ იქნებოდა. ადგილებიც კარგი იყო: მეშვიდე რიგი, ცენტრის ახლოს.

— არ ვიცი, მაშა, როგორ მოახერხე, მაგრამ გეტყვი შესანიშნავი ადგილებია, — თქვა აღტაცებულმა დიმიტრიმ. ასეთ წარმოდგენაზე ბილეთების, თანაც ასეთი ადგილებით, შოვნა საერთოდ წარმოუდგენელია.

— მართლაც ბრწყინვალე ადგილებია, არა მიტია? ნეტავ როგორ იშოვა ამ ახალგაზრდამ ბილეთები. ხომ არ მოიპარა?

— შეიძლება, — თქვა დიმიტრიმ, — მოდი ამაზე ნუ ვიფიქრებთ. ანტრაქტის დროს მაშამ გადაწყვიტა ბუფეტში ის ახალგაზრდა მოეძებნა ბილეთებისათვის მადლობის გადასახდელად. ეწყინა კიდეც, რომ ვერსად ვერა ნახა.

მესამე აქტში გამოჩნდა მომღერალი, რომელიც გრემინის, ტატიანა ლარინას ქმრის პარტიას ასრულებდა. მაშა

უსმენდა და რატომღაც ეგონა ეს ხავერდოვანი ხმა მხოლოდ მისთვის მღეროდა და მისი შავი თვალებიც მას უყურებდა. რა ნაცნობი ღიმილი აქვს, — იფიქრა მაშამ. მქუხარე ტაშის აგრიალებისას უკვე დარწმუნდა, რომ ის იყო.

— მიტია, შეხედე, გრემინი სწორედ ეს ჩემი ნაცნობია ათქვეფილი ნაღები რომ ვჭამეთ, — წამოიძახა აღელვებულმა მაშამ.

— შენი ვინა? — ჩურჩულით ჰკითხა დიმიტრიმ.

— ჰო, სწორედ ის არის, ვიცნობ. რა გვარია, პროგრამაში წაიკითხე, ჩქარა.

— სულაძე, სანდრო სულაძე.

— როგორ იტყვი, შეიძლება კულისებში შევიდეთ და მადლობა გადავუხადოთ ბილეთებისათვის?

— რატომაც არა, ცდა ბედის მონახევრეაო.

— ჩვენ ამხანაგ სულაძის მეგობრები ვართ, — უთხრა მაშამ ქალს, რომელმაც უკანა შესასვლელიდან გამოიხედა.

— კარგია, მაგრამ სულაძე ვინ არის? — სასხვათაშორისოთ იკითხა ქალმა.

— გრემინი, მომღერალი, რომელიც გრემინს მღერის. ნახეთ ასეა პროგრამაში.

— აა, ქართველი? ვფიქრობ, ყველაფერი რიგზეა, რაკი თქვენ გიცნობთ. შემობრძანდით.

ნახევარ საათზე ნაკლები მოუწიათ მოცდა, ვიდრე მცირე როლების შემსრულებლები არ გამოვიდნენ.

— ამხანაგო სულაძე, — დაუძახა მაშამ, — აქეთ მობრძანდით. გამარჯობათ. ეს ჩემი ძმა დიმიტრია. გვინდა მადლობა გადაგიხადოთ ბილეთებისათვის.

— ძალიან გთხოვთ, სულაძეს ნუ დამიძახებთ. მე სანდრო მქვია.

— კარგით სანდრო. სხვათაშორის მე მაშა მქვია. ერთხელ

კიდევ მადლობა ბილეთებისათვის. ძალიან მოგვეწონა თქვენი სოლო. ჩვენი წასვლის დროა. ნახვამდის.

— მოიცადეთ. პარასკევს მე არა ვმღერი, მაგრამ ორი ბილეთი მაქვს. მინდა თეატრში დაგპატიჟოთ. არ დაგავიწყდეთ ბუფეტშიც მეგობრები მყავს.

— უკაცრავად, ამხანაგო სულაძე, უცნობებს არა ვხვდები, თუნდაც მომღერლები იყვნენ და თეატრის ბილეთებსაც მაძლევდნენ. ნახვამდის. — ერთი წუთით. იქნებ ტელეფონის ნომერს მომცემდით. ტელეფონით გიმღერებთ.

— იცით, რას გეტყვით ამხანაგო სულაძე, სცენებს ნუ მართავთ. დამშვიდდით, აი ჩემი ტელეფონის ნომერი. ოღონდ ნუ იფიქრებთ, თითქოს აუცილებლად დაგელაპარაკებით. გასაგებია?

სანდრომ, მართლაც, ყველაფერი გაიგო, ოღონდ ის, რის გაგებაც მას უნდოდა ვერ მოახერხა. ჯერ ყოველდღე რეკავდა, მერე წერილებს უგზავნიდა და, ბოლოს დეპეშებსაც. მაშას ასეთი ჯიუტი თაყვანისმცემელი არასოდეს ჰყოლია.

მათგან არც ერთს ცალკე ბინაც არ ჰქონდა, ამიტომ, ერთადერთი ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, ქუჩები იყო. ისინი სეირნობდნენ და მასლაათობდნენ, ტრამვაით უვლიდნენ მოსკოვის ქუჩებს, მშვენიერ პარკებში ისხდნენ და ისევ ლაპარაკობდნენ. ყოველი პარკი დანომრეს №1 იყო — მაიაკოვსკის მოედნის მახლობლად, №2 — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წინ, №3 — საკდესის მახლობლად, №4 — მოსკოვის უნივერსიტეტის წინ. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ არც ადამიანებს, არც ამინდს. ყოველკვირეული შეხვედრები სულ მალე ყოველდღიურად იქცა.

ერთხელ შაბათს №4 პარკში შეხვედრა დათქვეს, სადაც არყის ხეები ხარობდა, ახლა კი ხეთა მჭიდრო გუნდი თოვლით დაბურულიყო.

მაშა, წესისამებრ იგვიანებდა, სანდრო კი არ ბრაზობდა. მაშა იმ დროს მივიდა, როცა სანდრო გათბობის მიზნით ბოლთასა სცემდა.

— სალამი, სანდრო. უკაცრავად, დამაგვიანდა. მეცადინეობაზე შევყოვნდი.

— მესმის. მოხარულიც ვარ, რომ დაიგვიანე. მოდი, მერხზე ჩამოჯექი. თოვლში ადგილი დაგიტკეპნე. მაშა, შინიდან წერილი მივიღე. მამაჩემი ავად ყოფილა. დედა მწერს, კარგი იქნებოდა, თუ ერთი-ორი კვირით ჩამოხვალო. დიდი თეატრის შეფი მიშვებს, ხვალ მივდივარ.

— ძალიან მეწყინა, მამაშენის ავადმყოფობა, სანდრო. რამე სერიოზულია?

— მგონია, ასეა, მაშა. ფიზიკური ჯანმრთელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან. მამაჩემი ამაყი, წარმატებული კაცი იყო, კომუნისტებმა უმნიშვნელო მოხელედ გადააქციეს. ეს ყველამ კარგად იცის. კომუნისტებმა სრულყოფილებას სხვების დამცირებით მიაღწიეს. არსებითად, ეს უკვე მათი სიმბოლო გახდა.

— ყოველივე ეს ძალიან სამწუხაროა, სანდრო. ვწუხვარ, რომ შენს მშობლებს არ ვიცნობ, — თქვა მაშამ. ამ დროს კი თოვდა და თოვდა. ფიფქებს დაეფარა მისი ბეწვის ქუდი და ეს ძალიან უხდებოდა.

— მათ შეუყვარდებოდი მაშა, ეს ვიცი. ყოველდღე მოგწერ წერილებს. შეიძლება?

— შეიძლებაო? აბა ყური მიგდეთ, ბატონო ათქვეფილო ნაღებო, გიჯობთ წერილები ყოველდღე მომწეროთ, თორემ დიდი უსიამოვნება გელით.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმა არც ერთს არ ამოუღია.

— მაშა, დროა წავიდეთ. ხედავ როგორ აცივდა, — თქვა

სანდრომ. ფეხზე წამოდგნენ. უნივერსიტეტის სინათლის ფონზე ფიფქები მოფარფატებდნენ.

— მაშა, გთხოვ, ჩემზე გული ნუ დაგწყდება. მინდა რაღაცა გითხრა, სანამ წავიდოდე, — ეტყობა სანდრო ძალიან ნერვიულობდა, — მე შენ მიყვარხარ, — და თქვა თუ არა ეს, სანდროს გულზე მოეშვა.

— სანდრო, ჩემი გათოშილი სულელი ბიჭიკო ხარ. მეც მიყვარხარ, — უთხრა მცირეოდენი პაუზის შემდეგ მაშამ. ისინი გადაეხვივნენ და პირველად აკოცეს ერთმანეთს. ქარი სულ უფრო გაძლიერებულიყო, თოვლი ბარდნიდა, შეყვარებულები კი ამას ვერ გრძნობდნენ.

მეორე დღეს სანდრო ქუთაისში გაემგზავრა. დიმიტრი, ლიუდმილა და მეგობრები უკვე ამჩნევდნენ დიდ ცვლილებას მაშას ცხოვრებაში. მაშა კი არ დადიოდა, დაფრინავდა. სანდროს ხსენებაზე სახე წამოენთებოდა ხოლმე, თვალები უელავდა, სულ კისკისებდა. ყველა ხვდებოდა, რომ მაშა შეყვარებული იყო.

პირველი ხუთი დღე წერილებს ყოველდღიურად იღებდა, მერე სამი დღე აღარ მოსულა, რამაც მაშა შეაფიქრიანა. მერე დეპეშა მოვიდა და მაშა მის წასაკითხად მოემზადა.

„ძვირფასო მაშა! მამაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა, ამიტომ გადავწყვიტე თბილისში წავიდე. ბევრს ვესაუბრები მეგობრებს განვლილი დღეების შესახებ, ჩვენებურ ღვინოს ვსვამ. დილით იმაზე ვფიქრობდი, რაც დედაჩემმა ორი დღის წინათ მითხრა, კერძოდ, დროა ცოლი შეირთოო. რაკი ქართველ გოგონათაგან არავის ვიცნობ, შენზე ვიფიქრე. შენ რას იტყვი? მიყვარხარ. სანდრო“.

მაშამ არ იცოდა ეტირა თუ ეცინა. ამან ათიოდე წუთი გასტანა, მალე საპასუხო წერილის წერას შეუდგა და მალე მორჩა კიდეც.

„ძვირფასო სანდრო. ძალიან ვწუხვარ, მამაშენი რომ

არ მომჯობინებულა. მოხარული ვარ შენი მეგობრები ასე თავდადებულად რომ მუშაობენ სოციალიზმის საკეთილდღეოდ. ახლა რაც შეეხება დედაშენის რჩევას: გირჩევ უფრო გულმოდგინედ ეძებო ქართველი ქალიშვილი. შენ არყოფნაში უკვე ორმა ყმაწვილმა შემომთავაზა გული და ხელი და ახლა არჩევანში ვარ. ჩამოსვლის შემდეგ დამიკავშირდი. კეთილი სურვილებით, მაშა.“

ჭკუა უნდა ვასწავლო ამ ქართველ დროსტარების მოყვარულს. ღვინის წრუპვის დროს დეპეშით არ შემომთავაზა ცოლობა! ეტყობა ეშინოდა, ვითუ უარი მითხრასო, — ფიქრობდა მაშა.

ოთხი დღის შემდეგ სანდრო უკვე მაშას კარზე აკაკუნებდა. პალტოც კი არ გაეხადა, თითქმის ყვირილით ეკითხებოდა, ვინ გთხოვა ხელი? ეჭვი არ მეპარება, რუსები იქნებოდნენ!“

მაშა ყოველ ღონეს ხმარობდა, არ გასცინებოდა და თავი სერიოზულად დაეჭირა: „ამხანაგო სულაძე, იპოვეთ ქართველი გოგონა? მე ხომ ვიცი, რომ მათ ამჯობინებთ“.

„არა, მე ისინი არ მინდა!, — თქვა სანდრომ, — მე შენ აგირჩიე, მაშა. გამომყვები თუ არა ცოლად?“ — ჰკითხა სანდრომ. მაშა ფანჯარაში იყურებოდა, ეტყობოდა გადაეწყვიტა, ცოტა კიდევ გაეწვალებინა იგი. ბოლოს უპასუხა:

— რა თქმა უნდა, გამოგყვები, მაწანწალავ, თუკი მოქცევას ისწავლი. ეს თქვა თუ არა, მაშას გულიანად გაეცინა. ოჰ, როგორ უყვარს. ეს ქართველი მომღერალი!

შეყვარებულები საქორწინო სამზადისს შეუდგნენ, რაც სანდროს მშობლების ქორწინების წლისთავისთვის უნდოდათ დაემთხვიათ ივნისის თვეში.

ცოტა მოგვიანებით, როცა სანდრო უკვე წავიდა, მაშამ გადაწყვიტა ეს კარგი ამბავი ლიუდმილასა და დიმიტრისათვის ეთქვა. რა უნდა ჩაიცვას? ქორწილს სად გადაიხდიან? სდექ... სად უნდა იცხოვრონ? ისინი ისეთი აგზნებულები იყვნენ, ეს სულ დააავიწყდათ. „მე ხომ იმაზე უფრო

პრაქტიკული უნდა ვიყო“ – ფიქრობდა იგი. ახლა, ალბათ, სანდრო ღიღინით მიაბიჯებს შინისაკენო.

მაშამ იცოდა, საქორწინო რეგისტრაცია მმაჩში ხდებოდა, რომელსაც განყოფილებები მთელ მოსკოვში ჰქონდა. ალბათ სანდრო ამ პროცედურის კურსში იქნებოდა.

– მიტია, – უთხრა მაშამ, როცა სამზარეულოში ისხდნენ ჩვეულებისამებრ სასადილოდ, – კარგი ამბავი უნდა გახარო. სანდროს მივყვები ცოლად. ნათქვამი საკმაოდ მშრალად გამოუვიდა.

– გილოცავ, მაშა. მილასაც ძალიან გაუხარდება, სამუშაოდან ჯერ არ მოსულა. ჯვრისწერას როდის აპირებთ?

– ნუ ხუმრობ მიტია, თქვენ ყველანი ხომ პარტიის წევრები ხართ. მერწმუნე, ჯვრისწერა რომ შეგვეძლოს, აუცილებლად დავიწერდით. ნეტავ რატომ მოსპეს ყველა ტრადიცია, ეს მაინც დაეტოვებინათ.

– გულუბრყვილო ნუ ხარ, ჩემო დაიკო. ჯვარს სად დაიწერთ, როცა ეკლესიები აღარ არის? ამხანაგმა სტალინმა ერთხელ თქვა, ყველა პრობლემას ადამიანები ქმნიან, ამიტომ, როცა ადამიანი არ არის – პრობლემაც არ არისო! ეს შენ შემთხვევაშიც ასეა: არ არის ეკლესია – არ არის პრობლემაც. თუმცა როგორადაც უნდა იყოს, ტრადიციები მაინც მნიშვნელოვანია ერთგული სოციალისტისათვის. ზოგიერთებს მაინც უყვართ ტრადიციები, ამიტომ ვდღესასწაულობთ პირველ მაისს, რევოლუციის დღეს 7 ნოემბერს. ალდგომა, შობა აღარ არსებობს. მაგრამ ახალი წელი ხომ გვაქვს, მართალი არ არის? ვცადეთ მისი გაუქმებაც, არაფერი გამოვიდა. ყველა პროვოკაციის მიუხედავად, ახალი წელი მაინც დარჩა. ასე მსმენია, ახალი წლის გასაუქმებლად მხოლოდ დღეები უნდა ჩამოეთვალათ. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ მალე 1172-ე დღე დადგებოდა და ასე შემდეგ, არა და პარტიის ბევრმა წევრმა ამდენის დათვლაც კი არ იცის.

— მიტია, შენი საშველი არ არის. დღემდე ვერ გამიგია, პარტიაში რატომ მიგიღეს!

— მადმუაზელ, იმიტომაც მიმიღეს, რომ ნამდვილად ეშინოდათ, ჩემი გონება და საზრიანობა სოციალიზმს არ დაჰკარგოდა — გაიგე!

— მიტია, მოდი სერიოზულად ვილაპარაკოთ. შენ და მილა ჩვენი მოწმეები იყავით. გამიგონია, რეგისტრაციის შემდეგ რაღაც საშინელ ოფიციალურ მუსიკას უკრავენო. მართალია?

— ჰოც და არაც. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნება ორი ამხანაგის შეუღლება დავამოწმოთ. ხოლო რაც მუსიკას შეეხება, ყველაფერი, ჩემო ძვირფასო, გემოვნებაზეა დამოკიდებული. ნამდვილი სოციალისტური

ქორწილი გარკვეული ზარზეიმითა და ცერემონიით უნდა გაიმართოს. აი, შვილები რომ შეგეძინებათ, ისინი მშვენიერი მომავლის — კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობა უნდა გახდნენ. ამიტომაც უკრავენ შესაბამის და, დავძენ, წინასწარ შერჩეულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მოგწონს თუ არა ეს. ეს კი უნდა მოგწონდეს — ყველაფერს საჭირო ელფერს მატებს.

— შენ მონსტრი ხარ, დიმიტრი ალექსანდროვიჩ. არაფრის თხოვნას არ ვაპირებ. სულ ერთია ყველაფერზე მაინც იხუმრებ. უბრალოდ გათხოვება მინდა და მეტი არაფერი: არც პარტიის მიერ დამტკიცებული მუსიკა მინდა და არც სხვა რამე.

— არა, ჩემო ქალბატონო. ქორწინება სახელმწიფოს წმინდათა წმინდა მოვალეობაა. ორი ამხანაგის კავშირი. ისინი ერთმანეთში ამოშანთავენ ბურჟუაზიული აზროვნების ნაშთებს. ეს კომუნისტთა მშვენიერი იარაღია — ყველას შეეძლება ერთმანეთს უთვალთვალოს.

— მე მივდივარ. შენ გამაგიჟებ. ეს ახალი ამბავი მილას შენ უამბე.

— სიამოვნებით.

მაშამ და სანდრომ ტუალეტისოდინა ოთახის დაქირავება მოახერხეს. სანდროს ხელფასი თანდათან ემატებოდა, მომატებულიც კი ჩვეულებრივი მუშის შემოსავალს ოდნავ თუ აღემატებოდა.

სანდრო მომჭირნედ ცხოვრობდა და როგორც იყო ცოტაოდენი ფული მოაგროვა. თუმცა ოთახი ერთი ციცქნა იყო, ამას მაშა ყურადღებას არ აქცევდა. ეს ოთახი მათი პირველი სახლი უნდა ყოფილიყო. თითქმის მთელი მოსკოვი კომუნალურებში, ორი-სამი ოჯახი ერთ ბინაში ცხოვრობდა. სამომავლოდ ისინი სხვა ბინას მოძებნიდნენ, ახლა ნებისმიერი ოთახი ახარებდათ, ოღონდ ცალკე ყოფილიყვნენ.

მუზეუმს უფრო მოაგონებდა კაცს მმაჩის მწვანედ შეღებილი შენობა. მმაჩი გრიბოედოვის ქუჩაზე ორსართულიან ნაგებობაში იყო განთავსებული. შესვლისთანავე ორ პატარა ოთახში მოხვდებოდით, რომლებშიც გულმოდგინედ ამოწმებდნენ ყველა ქაღალდს: ნებართვებს, განკარგულებებს და სხვ. ერთი მძიმეც რომ კლებოდა ან ზედმეტი ყოფილიყო, შეიძლება ქორწინება გადადებულად გამოეცხადებინათ, სანამ შესაბამისი საბუთის გამცემ კომისარიატში მას არ შეცვლიდნენ. ხმები დადიოდა, სახელმწიფო მოხელეთათვის სპეციალური კურსებია გახსნილი, სადაც ასწავლიან, თუ 'რა მნიშვნელობა აქვთ მძიმეებს სხვადასხვა პირობებში და მათს დამოკიდებულებას ადამიანის საიმედოობისადმი". მაშასა და სანდროს ნახვისას ძალიან გაუკვირდათ მათ საბუთებში ყველა მძიმე თავთავის ადგილას იყო დასმული. ამას ალბათ დიმიტრის უნდა უმადლოდნენ, რადგან დაჟინებით მოითხოვდა ყველაფერი წინასწარ მოემზადებინათ.

პირველ ორ ოთახში სტანდარტულ რუხ საბჭოთა უნიფორმებში გამოწყობილი ორი მკაცრი შესახედაობის ქალი იჯდა. თუმცა პარტიას სიმბოლოდ წითელი ფერი აერჩია XIX საუკუნის რევოლუციური ევროპული პარტიების ასოციაციის გამო, თუმცა იმ დროისათვის მოდაში რუხი ფერი იყო შემოსული, არა ჩვეულებრივი რუხი, არამედ მუქი, შავ ფერში გარდამავალი, რაც, ალბათ, იმას გამოხატავდა, რომ სიცოცხლის ყველა სიმბოლოს უკვე დაეტოვებინა ან მალე დატოვებდა ადამიანის სხეულს.

მომდევნო ოთახში იდო წიგნი. ამ წიგნში ქორწინების რეგისტრაცია ხდებოდა. აქ არავის არ ექმნებოდა არავითარი პრობლემა გაეაზრებინა თავისი პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე. აქ ამხანაგები, უბრალოდ, ხელს აწერდნენ სარეგისტრაციო წიგნში. მძიმეების შემოწმების შემდეგ. აღთქმა ან ფიცი? არ მოგეწონება და გაეყარე. თუ ბავშვის გაჩენა არ გინდა — აბორტი და მისი ჯანი. არავითარი პრობლემა — ამაზე უკეთესი ცხოვრება სად შეიძლება იყოს?

როცა ოფიციალურმა პირმა სარეგისტრაციო წიგნი დახურა, მაშა და სანდრო ცოლ-ქმრად, უფრო სწორად, ამხანაგ სულაძეებად გამოაცხადა, საზარელი მუსიკაც დაუკრეს. ეს მუსიკა იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე, მაშას წარმოედგინა.

— მიტია, არასოდეს არ გითქვამს ეს მუსიკა თუ ასეთი საზარელი იყო, — უთხრა მაშამ, როცა ისინი გარეთ გამოვიდნენ.

— საზარელი მაინც საზარლად რჩება, დაიკო, — უპასუხა დიმიტრიმ, — ორივეს გილოცავთ.

— დიდი მადლობა, მიტია, — თქვა სანდრომ. მას ეტყობოდა ისეთ გუნებაზე იყო, რომ ახლავე რაიმე არიას იმღერებდა.

ახალ დაქორწინებულებმა ნაზად ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს. არ უკოცნიათ, მაშამ კარგად იცოდა ხალხის თვალ-

წინ არ უნდა ეკოცნა. ჯვრის წერა უკეთესი იქნებოდა, დასამახსოვრებელი, თუმცა უმძიმეს რეალობას ვერსად წაუხვიდოდი.

— ყველაზე კარგი ქმარი ვიქნები, მაშა, — ყურში ჩასჩურჩულა ცოლს სანდრომ, როცა ტრამვაის გაჩერებისაკენ მიდიოდნენ დიმიტრის სახლში ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად.

— ვიცი, — უპასუხა მაშამ, — ისე დაგაკვირდები, როგორც ის კუდიანი დედაკაცი გვაკვირდებოდა მმაჩში.

თოვლი კი ბარდნიდა, სანამ ხუმრობა-ლაღობით, ახალდაქორწინებულთა განსაკუთრებული ღიმილით გაცისკროვნებულნი მიაბიჯებდნენ ბედნიერებისაკენ.

მეოთხე ნაწილი

მოსკოვი. 1931 წელი

— თქვენ ადგილას რომ ვიყო, სულაძე, თავს გამარჯვებულად არ ჩავთვლიდი. იქნებ, საქართველოში რაღაცას წარმოადგენდით, აქ კი თითქმის არარაობა ხართ, — უთხრა დიდი თეატრის დირექტორმა იგორ როტუხინმა.

— რჩევისათვის მადლობა, ამხანაგო როტუხინ. მესმის და ვაფასებ ამას.

— თუ შეიძლება „ამხანაგ როტუხინს“ ნუ მეძახით. იგორ ივანოვიჩი დამიძახეთ, — მითხრა როტუხინმა, რომელსაც შავი სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა.

— რა თქმა უნდა, ამხანაგო, მხედველობაში მაქვს — იგორ ივანიჩი.

როტუხინმა მრგვალი მუხის მაგიდაზე დაწყობილი ერთ-ერთი ტელეფონის ყურმილი აიღო. მალე ოთახში ჯარისკაცის ნაბიჯით მკაცრი სახის ქალი შემოვიდა. ისეთი თვალით იყურებოდა, თითქოს ზამთრის სასახლე პირადად მას აეღოს. მისმა გამოხედვამ დამარწმუნა, რომ ჩემი გარეგნობა არ მოეწონა. იგი უსიტყვოდ მიუჯდა პიანინოს და მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა.

— სულაძე, კოჩუბეის არია იმღერეთ „მაზეპადან“.

— იგორ ივანოვიჩ, ეს-ეს არის დავბრუნდი ორი დღის მოგზაურობიდან. სიმღერისათვის მზად არა ვარ. ასე მეგონა მარტო ჩემი გაცნობა გინდოდათ.

— და მაინც უნდა იმღეროთ, სულაძე, თქვენზე მითხრეს თურმე კარგი მომღერალი ხართ და ამიტომაც უნდა იმღეროთ. მოდით მოგისმენთ.

მე ჩავახველე, ხმა ჩავიწმინდე და აკომპანიმენტს ავყევი. თავიდან ვღელავდი, მაგრამ სიმღერა დავიწყე თუ არა, უკვე არაფერი მახსოვდა, ხმა საუკეთესოდ ჟღერდა.

— კარგია, სულაძე, კმარა. გმადლობთ. მარგარიტა კონსტანტინოვნა, თავისუფალი ბრძანდებით.

თითქოს სკამმა შვებით ამოისუნთქაო, როცა ეს პირქუში ქალი ფეხზე წამოდგა.

— სასიამოვნოდ გაგეტარებინოთ დღე, იგორ ივანოვიჩ, — უთხრა ქალმა და ისე გავიდა, ჩემთვის არც შემოუხედავს.

— სულაძე, თქვენ კარგი ვოკალური ტექნიკა გაქვთ, თუმცა ცოტა თქვენი ყურების ამბავი მაწუხებს.

— ჩემი ყურების? — ვკითხე შეფიქრიანებულმა, ყურები თავის ადგილზე მაქვს თუ არა-თქო. თუმცა კი ვიცოდი, რომ ოდნავ დიდი ყურები მქონდა და ამან თუ მიიპყრო მისი ყურადღება.

— დაიხ, თქვენი ყურები, სულაძე. საკმაოდ სასიამოვნოდ მღერით, ამგვარი მოსმენა თქვენთვის სასარგებლო იქნება. მოგეხსენებათ, ალბათ, რომ დიდი თეატრი მსოფლიოს უდიდეს მომღერალთა სავანეა. მინდა მომდევნო სამი თვის მანძილზე ყველა სპექტაკლს დაესწროთ და უბრალოდ მოუსმინოთ. განსაკუთრებით დააკვირდით ლემეშევსა და კოზლოვსკის. თუ მათ ყურადღებით მოუსმენთ, გეგონებათ ისინი მხოლოდ თქვენთვის მღერიან. აი, სწორედ ეს აკლია თქვენს ხმას. ტექნიკური თვალსაზრისით იგი მშვენივრად ჟღერს, ამ დროს მე მისი გაგონება მარტო ყურებით კი არა, გულითაც მინდა. თუ ამას შეძლებთ, ხმა თავისთავად ამღერდება. გახსოვდეთ. თქვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს მსმენელი გულით უსმენდეს სიმღერას და არა ყურებით.

— გმადლობთ, იგორ ივანოვიჩ, — ვთქვი მე და წასასვლელად მოვემზადე. მეგონა საუბარს უკვე მოვრჩით.

— და კიდევ ერთი, სულაძე. თქვენ, ალბათ იცით, რომ

დიდი თეატრი 1776 წელს დაარსდა. აქ ტრადიციათა სული ტრიალებს, თქვენ უნდა იგრძნოთ და გაუფრთხილდეთ ამას.

— აუცილებლად, იგორ ივანოვიჩ. მადლობა რჩევისათვის. შემდეგი სამი თვის მანძილზე პატარა ოთახში დავიდე ბინა. იქვე ხმას ვავარჯიშებდი, იქიდანვე მივდიოდი საღამოს წარმოდგენებზე. ლემეშევსა და კოზლოვსკის როცა ვუსმენდი, ყოველ საღამოს ვაკვირდებოდი აღტაცებულ მსმენელს. ასე მეგონა, ისინი მხოლოდ ჩემთვის მღეროდნენ. ასეთივე გრძნობა, ალბათ, მარტო მე როდი მეუფლებოდა. პირადად ლემეშევისა და კოზლოვსკის ჯერ არ ვიცნობდი. ეს სულაც არ იყო უცნაური — ისინი ხომ ვარსკვლავები იყვნენ!

დიდი თეატრი ქალაქია ქალაქში, იქ ასობით შემსრულებელი, აკომპანიატორი, მხატვარი, კომპოზიტორი, ბალეტის მსახიობი, დირიჟორი მუშაობდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მათ არასოდეს არა ჰქონდათ თავისუფალი დრო: ისინი მუდამ ჩქარობდნენ, ფუსფუსებდნენ — რეპეტიციებს ატარებდნენ, გამოდიოდნენ, ემზადებოდნენ შემდეგი გამოსვლისათვის.

მე კი რასაც ვაკეთებდი ის იყო, რომ ვუსმენდი. სამი თვის მანძილზე რამდენჯერმე შევხვდი მარგარიტა კონსტანტინოვნას. იგი გაყინული მზერით თოშავდა კაცს. პირველხანად თვალს მარიდებდა, თითქოს მე არც ვარსებობდი. არა მგონია ცხოვრებაში ამაზე პირქუში და უჟმური ადამიანი მენახა. თურმე იგი დიდი თეატრის ერთ-ერთი მთავარი კონცერტმაისტერიც ყოფილა და ყველა მომღერალს იცნობდა. როცა ჩემი მოსმენა მთავრდებოდა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა, დარბაზში შევხვდი და ლამის გული წამივიდა, თითქოს ფიზიკურად აღიარა ჩემი არსებობა მხოლოდ გამოხედვით. ეს მკაცრი გამოხედვა გამანადგურებლად მივიჩნიე.

— სანდრო ლადოევიჩ, თუ შეიძლება ერთი წუთით ჩემთან მობრძანდით, — მთხოვა მან და თავის მყუდრო კაბინეტში შემიძღვა. მის მაგიდაზე ორი ფინჯანი, ლამბაქები, ნამცხვრები, მაგიდის კალენდარი და მოვერცხლილი კალმისტარი ეწყო.

— გამარჯობათ, მარგარიტა კონსტანტინოვნა, როგორ ბრძანდებით? — ვთქვი მე და თან ვშიშობდი, ვაითუ ლაპარაკით თავი შევაწყინე მეთქი. იქნებ რაღაცისთვის მამზადებდა. სტალინის მოკვლა ხომ არ ჰქონდა გადაწყვეტილი.

— კარგად. დაბრძანდით, თუ შეიძლება. მე თვალს გადევნებდით ამ ხნის მანძილზე და უნდა ვაღიარო, ჩვენს სოლისტებს თქვენ კარგად შეეგუეთ.

— გმადლობთ, მარგარიტა კონსტანტინოვნა, მე ჯერ არ ვმღერი, მხოლოდ ვისმენ.

მან გაიცინა და მიპასუხა:

— ოო, ეს მოსმენა. ჩვენი დირექტორი ამით ყოველთვის საგონებელში აგდებს თითოეულ ახალ მომღერალს. მისი აზრით, ეს თავმდაბლობის გრძნობას ბადებს. ჩაის შემოგთავაზებთ.

— გმადლობთ, მარგარიტა კონსტანტინოვნა. მერე რაღა ხდება? — მერე რამდენიმე პატარა როლს მოგცემთ, რათა დარწმუნდეს, მქუხარე დიდი თეატრის ატმოსფერო აღარ გაშინებთ. აქ მოგვისმენია ცნობილი მომღერლებისათვის, რუსეთიდან, ასევე სხვა რესპუბლიკებიდან. მათ დიდებული ხმები აქვთ, ოღონდ მანამდე, სანამ სცენაზე გამოვიდოდნენ. ვფიქრობ, თაყვანისცემას ამ სცენისადმი მხოლოდ ზიანი მოაქვს მათი ხმებისათვის, და ისინი ჩვეულებრივ მომღერლებად იქცევიან ხოლმე. აი, ასეა საქმე.

— მე ძალღონეს არ დავიშურებ, — ვუთხარი მე.

— თუ რამე დაგჭირდებათ, ნუ მოგერიდებათ, ნებისმიერ დროს მობრძანდით, სანდრო ლადოევიჩ —, მითხრა მან.

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, მარგარიტა კონსტანტინოვნა, არ დამავიწყდება. დღემდე ჯერ კიდევ ვეჩვევი დიდ თეატრსა და მოსკოვში ცხოვრებას.

მერამდენედ დავრწმუნდი, თუ რაოდენ მცდარია პირველი შთაბეჭდილება. იგი ხომ ძალიან კეთილი ქალი გამოდგა. შემდეგ ზედიზედ პატარა როლები მომცეს. წარმადგინეს ყველა სხვა მომღერლის, მათ შორის ვარსკვლავთა წინაშეც. ისინი უნდა გითხრათ, დადიოდნენ, საუბრობდნენ და მუშაობდნენ, ყველანი. ჩემი დაკვირვებით შევნიშნე, ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ისინი უფრო გულმოდგინედ გადიოდნენ რეპეტიციებს, მათთვის მთავარი იყო სრულყოფილება ანდა არაფერი.

თავისუფალ დროს ვსეირნობდი მოსკოვში, ვეცნობოდი ქალაქს. ქალაქში რომ არ დავბნეულიყავი, ძველ რუკას ვატარებდი. რუკაზე აღნიშნული ქუჩების დასახელებანი დღევანდელისაგან განსხვავდებოდა. ეტყობა კომუნისტური პროპაგანდის ლიდერებს ან სხვა მაღალჩინოსნებს გადაეწყვიტათ რევოლუციის ფუძემდებლები უკვდავყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ ყოველი მეორე ქუჩის სახელწოდებაში სხვა კომუნისტურ სიტყვებთან ერთად. რუკაზე იმდენი სახელწოდება გავასწორე, კითხვაც კი მიჭირდა.

საკმაოდ მოუცლელი ვიყავი. ჩემი როლები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, მათი რაოდენობა კი იზრდებოდა. ერთხელ დერეფანში მივდიოდი, გამაჩერა ედუარდ პევიცკიმ, პირველი განყოფილების უფროსმა.

— ამხანაგო სულაძე, დღეს საღამოს ჩვენი კოლექტივის შეხვედრა გაიმართება, თქვენ მოწვეულთა სიაში ხართ. თქვენი იმედი გვაქვს.

— რა თქმა უნდა, ედუარდ აბრამოვიჩ, გმადლობთ მოწვევისათვის.

პირველი განყოფილება დიდ თეატრში გაცილებით უკეთ

იყო ორგანიზებული, ვიდრე საქართველოში. ასე ვიცოდით, რომ პირველი განყოფილება ჰქონდა ყოველ ქარხანას, მთავრობის დაწესებულებას და კომისარიატს. ყველა მათგანი ოფიციალურად უკავშირდებოდა უშიშროების სამსახურს სუკში და ღიად ჰქონდათ შექმნილი კომუნისტებს. მისი არსებობა ყველამ იცოდა. პირველი განყოფილების მთავარი ფუნქცია კადრების მართვა იყო. სახელწოდება 'პირველიც" შემთხვევით არა ყოფილა: პირველი აზროვნებაში, პირველი მოქმედებაში და პირველი მნიშვნელობით. ამას ისიც ემატებოდა, რომ თითოეული ორგანიზაციის შიგნით იყვნენ ჯაშუშები. და, ბოლოს თითოეულ ორგანიზაციაში არსებობდნენ საიდუმლო, ყველასათვის უცნობი დამსმენები. დასმენაში კი ისინი გასამრჯელოს იღებდნენ.

შეხვედრა იმართებოდა კონფერენცდარბაზში. ეს დარბაზი სპეციალურად ასეთი მოვლენებისათვის იყო შექმნილი. პევიცკი გრძელი მაგიდის თავში იჯდა. მაგიდაზე გრაფინი, ჭიქები და რამდენიმე საქაღალდე ეწყო. მის გვერდით ორი ფერმკრთალი მამაკაცი ჩანდა მაგიდასთან. მათ თვალების ნაცვლად თითქოს ფოტოობიექტივები ჰქონდათ. ისინი, საყოველთაო ყურადღება რომ არ მიეპყროთ, ათვალიერებდნენ ოთახს, აღნიშნავდნენ დამსწრეებს, უპირატესად იმათ, ვინც არ ესწრებოდა. თავიდან ამას ვერ მივხვდი. ჩემი აზრით, განხილვის მონაწილეებს, ყურადღება უნდა დაეთმოთ იმისათვის, რომ ორგანიზაციის თითოეული წევრი სამ თვეში ერთხელ დასწრებოდა თათბირს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგებო, — თქვა პევიცკიმ აშკარა ენთუზიაზმით, — მოხარული ვარ, რომ აქ მობრძანდით. ახლებსაც ვხედავ. მოგესალმებით. გთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს განხილვაში. არსებული წესების თანახმად ავირჩიეთ სპეციალური თემა: „მუშაობა და ცხოვრება დიდ თეატრში ლენინის პრინციპების შე-

საბამისად“. ეს ძნელი თემაა დიდი თეატრისა და სხვა კულტურული ორგანიზაციების მუშაკებისათვის, რომლებიც ირჯებიან მუშათა კლასის სასარგებლოდ, თუმცა ჩვეულებრივ კარგად არ იცნობენ უბრალო მუშების ცხოვრებას.

ამ დროს მეორე რიგიდან წამოდგა ჩემთვის უცნობი პიროვნება და თქვა: „ამხანაგებო, მე მგონია ლენინური პრინციპები მოგვიწოდებენ,უფრო სწორად,მოითხოვენ,რათა ვმართავდეთ მეტ სპექტაკლებს. ამ სპექტაკლებში უფრო დიდი ყურადღება დაეთმობა მუშათა კლასის როლსა და გაშუქებული იქნება ექსპლუატატორთა როლი საზოგადოებაში“.

— ბრწყინვალე წინადადებაა, ამხანაგებო, — თქვა პევიცკიმ. იგი ეტყობოდა კმაყოფილი იყო მოვლენების ასეთი შემობრუნების გამო. — ჩვენი განყოფილება გულდასმით მუშაობს დირექტორთან, რათა სწორედ ასეთი ცვლილებები მოხდეს. ოპერათა უმრავლესობა ჩვენს რეპერტუარში კლასიკურია, სწორედ ისეთი რისი მოსმენაც მაყურებლებს უნდათ. ჩვენ მოვითხოვთ უმნიშვნელო ცვლილებები შევიტანოთ ამ ოპერებში, ყველაზე ცნობილ მომღერლებს ვეძებთ მუშათა კლასის გმირთა როლების შესასრულებლად და ოდნავ ვცვლით სცენებს. მაგრამ სახის გაკონტროლება ჭირს და გარკვეულწილად ამას ვსწავლობთ თავად პროცესის დროს. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანმა თავის თავში უნდა დაძლიოს წარსულის კვალი. ეს კი ადვილი როდია, მინდა პირველმა ვაღიარო, — მეც მაქვს ასეთი ნაკლი.

ირგვლივ შეძახილები გაისმა: „ყოჩაღ, ყოჩაღ“.

— ამხანაგო პევიცკი, — თქვა მამაკაცმა, რომელიც წინა გამომსვლელის გვერდით იჯდა, — რას გვეტყვით ახალი ოპერების შესახებ, სადაც აისახება უბრალო ადამიანების მაღალი როლი და არისტოკრატიის ნამდვილი პარაზიტიზმი? უდავოა, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი კომპოზიტორია. მათ კი ხელეწიფებათ ეს დავალება.

— სწორია, სწორია, — მხარი დაუჭირა გამომსვლელს ზოგიერთმა დამსწრემ.

— ამაზე ვმუშაობთ, ამხანაგებო. აქ წინდახედული უნდა ვიყოთ. მსმენელებმა, განსაკუთრებით ისეთმა გამოცდილებმა, რომლებიც დიდ თეატრში დადიან, შეიძლება მაშინვე იგრძნონ სიყალბე. უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა წარმოდგენა აუცილებლად უმაღლესი ხარისხისა იყოს. ჩემთვის სასიამოვნოა მოგახსენოთ — მომავალ სეზონში წარმოგიდგენთ, ალბათ, ორ ან სამ ოპერასაც, მათ სწორი პოლიტიკური შეფერილობა ექნებათ.

ტაში.

ხდებოდა, რომ ზოგიერთი ტაშს არ უკრავდა, ამის გამოც ყურადღებას იპყრობდა. ამიტომ,თუკი ამას იგრძნობდა, მაშინვე ტაშისცემას მოჰყვებოდა.

— საინტერესოა როგორ უნდა აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რასაც თქვენ შეეხეთ? — შეეკითხა იგივე მამაკაცი. იქნებ სპექტაკლები მუშათა კლუბებში, სამხედრო დაწესებულებებსა და ქარხნებში გაგვემართა. მაყურებელთა რეაქციის მიხედვით გავიგებდით როგორი წარმატება ექნებათ ახალ ოპერებს.

— ბრწყინვალე წინადადებაა, ამხანაგო. ამ იდეას დირექტორს გავაცნობთ. ვერც კი წარმომიდგენია რაიმე მიზეზების გამო ჩვენს მდიდარ კულტურასთან მშრომელთა გაცნობის წინააღმდეგი ვიქნებოდით.

მეორე წინადადების აკტორი კვლავ ფეხზე წამოდგა: „ამხანაგებო, ყველა ეს წინადადება ლოგიკურად და ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ამ დროს როგორ უნდა ვიყოთ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის დროს მარქსიზმ-ლენინიზმის საკმაოდ კარგი მიმდევრები ვიქნებით? ჩემი მოკრძალებული იდეაა უკლებლივ ყველა — დირექტორიდან მებილეთემდე

მივიდეთ ქარხნებში, რკინიგზებზე და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ დიდ რევოლუციაში. ბოლოს და ბოლოს, თვეში ორ-სამჯერ მაინც ვეცადოთ, მუშებს კი არ ვასწავლოთ, არამედ მათგან ვისწავლოთ". დაასრულა თუ არა წინადადება, დარბაზი ტაშმა შეაზანზარა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!!!

ახლა პევიცკი სიხარულით გაიბადრა: „ამხანაგებო, ვფიქრობთ დამეთანხმებით, დღეს დასაბამი მივეცით რამდენიმე კარდინალურ გაუმჯობესებას დიდ თეატრში და გამოვკვეთეთ მისი როლი სოციალიზმის აშენებაში. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ. სისტემატურად თვის მანძილზე განცხადებათა დაფაზე ნახავთ ინფორმაციას, თუ როგორ ხორციელდება ეს მნიშვნელოვანი წინადადებანი".

აბა, როგორ შევიკავებდი თავს, არ დამეთვალა ისინი, ვისაც ეს სისულელეები სჯეროდა. ალბათ, ყველას! ორნი, რომლებიც პირველ მაგიდას უსხდნენ და თავს აქეთ-იქეთ ატრიალებდნენ, ეტყობა, ამგვარ გათვლებს აწარმოებდნენ. მეგონა მეტისმეტი ენთუზიაზმის გამოვლენაც საჭირო იყო, ამიტომ გადავწყვიტე სჯობია მაგარი ტაში დამეკრა, ოღონდ საშუალო ენთუზიაზმით და არაფერი წამომეძახა, რათა ჩემს ხმას არ გავეცი. ვცდილობდი ისეთი გამომეტყველება მქონოდა, თითქოს დაინტერესებული ვიყავი ამ დრამით, მახესაც რომ შეიცავდა, და არ შემეხედა პირდაპირ თვალებში პევიცკისათვის. არადა, პირდაპირ შეხედვის შემთხვევაში, თვალები უეჭველად გამცემდნენ. ესენი თვალთა პირდაპირი კონტაქტის ამოხსნის ექსპერტები იყვნენ, ამაში მათ წვრთნიდნენ. ეს თვალები სიკვდილის ველს წარმოადგენდნენ. სპობა-განადგურება ამ თაობამ მოუტანა ქვეყანას.

ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მივეჩვიე მუდმივ ჩაის სმას მარგარიტა კონსტანტინოვნასთან. შევიტყვე, რომ ქმარი ჰყავდა, სახელად ბორისი. იგი ერთხანს მასწავლე-

ბლად მუშაობდა. თუმცა არ უთქვამს, თუ რას აკეთებდა ამჟამად. ქალბატონმა ჩემი აკოპანიატორობა იკისრა. ამისათვის დიდი მადლობელი ვიყავი.

მარგარიტა კონსტანტინოვნას ბევრ ცნობილ მომღერალთან უწევდა მუშაობა. მას შემდეგ, რაც რეჟისორი ჩემთან ხვეწდა საჭირო ჟესტებს, სცენაზე შესვლასა და გასვლას, მუდამ მივდიოდი მის კაბინეტში რეპეტიციაზე. მარგარიტა ანგელოზივით მომთმენი იყო. ძალიან ბევრს ვმეცადინეობდი. ასე ხდებოდა მედიცინის დარგის დაუფლების დროსაც. თუმცა სიმღერა ძალიან მიყვარდა, ზოგჯერ ვნანობდი კიდეც, რომ ქირურგი ამ გამოვედი. ეს სფერო ჩემი ოცნების საგანი იყო.

1938 წლის მარტში შინიდან წერილი მივიღე. მატყობინებდნენ, რომ ჩემი ინსტიტუტელი მეგობარი დიტო ნატროშვილი მოსკოვში ჩამოდიოდა, ვიცოდი ახლა დიტო ცნობილი პათოლოგანატომი იყო.

მე და დიტომ გადავწყვიტეთ ოთხშაბათს შევხვედროდით დიდი თეატრის წინ სკვერში, სადაც ხშირად ვიჯექი ხოლმე შესვენების დროს და შევცქეროდი თეატრის დიდებულ ფასადს. აქ ხშირად მიფიქრია, თუ მოსკოვში შეგიყვარებდნენ, მაშინ საუკეთესოდ გაღიარებდნენ მსოფლიოში. თუმცა ასეთი მსმენელის გულის მონადირება ხომ ადვილი საქმე არ იყო.

— დიტო, აქეთ, — დავუძახე იმ დროს, როცა ჩემი ძველი მეგობარი კრემლის მხრიდან გამოჩნდა. დიტო მომიახლოვდა და მომესალმა. — გამარჯობა. — გამარჯობა, ძმაო, — ვუთხარი და გულში ჩავიკარი.

— როგორა ხარ, დიტო, გავიგე, თურმე საქართველოში წარმატებით მუშაობ პათოლოგანატომად. აქ სამუშაოდ ჩამოხვედი თუ მივლინებაში?

— არა, ცოტახანს დავრჩები. პირველ სამედიცინო ინსტიტუტში წავიკითხავ ლექციებს.

— ძალიან კარგი იქნება. ეს რაღაც დიდ თეატრს ჰგავს, ოღონდ მედიცინის სამყაროში.

— მეც ასე მგონია, — მითხრა სიცილით. — ყოველ შემთხვევაში ასე მითხრეს, როცა აქ მიწვევდნენ. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

— კვლევას განაგრძობ? — ვკითხე მე, რაკი ვიცოდი გამოჩენილი მკვლევარიც იყო.

— რა თქმა უნდა, რეგულარულად ვმუშაობ გვამებზე, შენ მაინც იცი მუდამ მაინტერესებდა გულის დაავადებები, ეს კი შესაძლებლობას მომცემს დავეხმარო გულით ავადმყოფებს.

— კარგი საქმე იქნება, — ვუთხარი მე.

— ქირურგის სპეციალობას დიდ თეატრში მღერა ამჯობინე, მითხარი მოგწონს ეს საქმე?

— იცი, ეს მართლაც მომწონს. ხანდახან მომენატრება ხოლმე მედიცინა, დროდადრო ამ დარგის წიგნებსაც ვკითხულობ, თუმცა დიდ თეატრში მუშაობა იმდენ დროს მოითხოვს ძნელია სხვა საქმის გაკეთება.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებ? — შემეკითხა დიტო, როცა დინჯად მივსეირნობდით მეოდანზე.

— გაზეთებს ვკითხულობ, ვსეირნობ მოსკოვში, ვცდილობ დავიხსომო ქუჩები, თანაც შეყვარებული მყავს.

— მაშ დროს როგორღა პოულობ სამღერად, — გამეხუმრა დიტო.

— ზოგჯერ არც მყოფნის, ბევრი პრობლემა მაქვს. რას იტყვი, ჩემთან შაბათს რომ მესტუმრო? დიდი მოსკოვის ორიენტირებაში დაგეხმარები.

— გმადლობთ, სანდრო. ეგ ნამდვილად კარგი საქმე იქნება, თორემ კინაღამ ამებნა ქუჩები. თბილისი მეგონა დიდი ქალაქი. თურმე მოსკოვთან რა მოსატანი ყოფილა.

შაბათს დილის 10 საათზე სანდრო ჩემს პაწაწკინა ოთახში მეწვია კუზნეცკის ხიდთან.

— სანდრო, მართლა წაკითხული გაქვს აქ მიყრილ-მოყრილი ამდენი გაზეთი, თუ რაიმეს შესახვევად იყიდე?

— რა ვქნა, მიყვარს მათი შესწავლა და არა მარტო ეს. — პირველად მესმის, რომ გაზეთებს თურმე წაკითხვის გარდა სწავლობენ კიდეც. მათში პარტიის, მუშათა და გლეხთა ფანტასტიკურ წარმატებებზეა ლაპარაკი.

— სწორი ხარ, დიტო, მაინც უნდა ისწავლო მათი კითხვა. ჯერ ერთი, გაზეთში უნდა ამოიკითხო ის, რაზეც დუმილს ამჯობინებს. ის რასაც ბეჭდავენ და ის, რაც სტრიქონებს შორისაა. რა თქმა უნდა, ყველა გაზეთი „პრავდა“, „იზვესტია“, „ტრუდი“, „კომსომოლსკაია პრავდა“ და სხვებიც გადაჭრელებულია პარტიული მოწოდებებით. მათში დაბეჭდილი ფოტოსურათითა თუ გვარებით გაიგებ, ვის მოწყალე თვალით უყურებენ და ვის — არა.

— მესმის სანდრო, ოღონდ რა გავლენას ახდენს ის, თუ რა ადგილას და ვის გვერდით დგას ფოტოზე ან ვის შემდეგ არის მოხსენებული რომელიმე მოხელის გვარი? ანდა ჩვენ რა შუაში ვართ?

— კარგი, გეტყვი. ჩვეულებრივ ეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე უშუალო გავლენას არ ახდენს, თუმცა დამიჯერე, თუ ჯანმრთელობის დაცვის კომისარს დიდი კაცის გვერდით ბევრჯერ მოიხსენებენ, ნიშნავს, რომ მისდამი კეთილად არიან განწყობილი და შენი საავადმყოფოც სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერით ისარგებლებს.

— ეროვნულ კუთვნილებაზე რაღას იტყვი? — შემეკითხა დიტო, — როგორ ფიქრობ,

რაკი სტალინი ქართველია ჩვენი ხვედრი უფრო მსუბუქი იქნება? მაშინ რატომ დაწიოკდა ამდენი ხალხი საქართველოში?

— ეს მეც ვერ გამიგია. შესაძლოა, ის ვინც ხელისუფლების სათავეში მოდის, ცდილობს თავიდან მოიშოროს თავისი ძველი მტრები. ვინ იცის? ეჰ, გვეყოფა, წამო წავი-

დეთ. ჩემ ძველ რუკას წამოვიღებ და ქალაქის ცენტრში გავისეირნოთ, რათა უფრო ადვილად გაერკვე ქუჩებში.

— ნეტავ როგორ არჩევ ამ რუკას, ისე დაგიჯღაბნია, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.

— ეს რუკა 1915 წელს არის გამოცემული. ჰოდა, რევოლუციის შემდეგ ქუჩების 800 სახელწოდება შეიცვალა ან რომელიმე ბოლშევიკის ანდა კომუნისტური იდეოლოგიის უკვდავსაყოფად. მეც ძველ ქუჩებს ახლით ვასწორებ.

— საქართველოშიც. ასეა, ვერავინ ვერ მიმხვდარა, რატომ უცვლიან ქუჩებს სახელებს, სულ ერთი არ არის, მაინც ძველი სახელწოდებებით მოიხსენიებენ, — თქვა დიტომ.

— კარგი, ძველ თაობას ეს ახსოვს, მომავალს აღარ ეხსომება? ასე თუ ისე, სახელწოდებანი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური იარაღია. ამიტომაც საბჭოებს სურთ კომუნიზმის აჩრდილი ხალხს მუდამ თან დასდევდეს. პროპაგანდა მთელი ძალით გვიტევს და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენც მისი სიტყვებით არ ავლაპარაკდებით.

— ეს მეც მენიშნა საავადყოფოს პერსონალი ძალიან ხშირად იმეორებს პარტიულ ლოზუნგებს, თუმცა ეს მსოფლმხედველობის ცრუ აღქმა მეგონა, — შენიშნა დიტომ.

— ნუ იფიქრებ, რომ ეს ცრუ აღთქმაა. ადამიანებზე მუდმივ თავდასხმებს საოცარი შედეგები მოაქვს. ფრთხილად იყავი საავადმყოფოში. გირჩევ — არავის არ ენდო. შენც თუ გაიმეორებ იმ სისულელეებს, კარგი იქნება.

— იქნებ, სწორიც ხარ, — მითხრა დიტომ, — მართლაც, ეს საშინელებაა. მოდი ახლა ამას შევეშვათ, შენი სასიყვარულო ამბავი მიამბე.

— აბა რა გითხრა? მგონია მისი ყველაფერი მომწონს. ლამაზი რუსი გოგონაა, სარატოველია. მასწავლებლად მუშაობს.

— რუსია? — მკითხა დიტომ, — შენ იმდენად გაუგე, ასე ძალიან შეგიყვარდა კიდეც?

— კარგი შეკითხვაა. ქალებს რას გაუგებ, ეს ხომ ასეა. იგი რომ ქართველი იყოს, ალბათ, საერთოდ არავითარი პრობლემა არ მექნებოდა, თუმცა, ვიმეორებ ქალს რას გაუგებ. ასე მგონია მასაც მოვწონვარ, თუმცა მთლად დარწმუნებული არა ვარ. სულ რუსულ ლიტერატურაზე ლაპარაკობს. მეც ხომ ვსწავლობდი ქუთაისის სკოლაში, მეც ვიცი რუსული ლიტერატურა. თუ ასე გააგრძელებს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ექსპერტი ვიქნები.

— მედიკოსი-სტუდენტი ოპერის მომღერალი გახდი, ახლა კი რუსული ლიტერატურის ექსპერტობაც მოისურვე? — გაეცინა დიტოს, — ეტყობა, შენი შეყვარებული, რაღაც მართლაც განსაკუთრებულია.

— განსაკუთრებულია და მეტიც და ბოლომდე ვერ გამიგია მისი. წერილებს ვწერ, თავს ვევლები, მთელ თავისუფალ დროს მასთან ვატარებ, ერთად ვსეირნობთ პარკებში, დღემდე კი არ ვიცი, რას გრძნობს ჩემდამი.

— აიღე და შენც ჰკითხე! — მითხრა დიტომ.

— რაო, ჰკითხეო? მეხუმრები? იმან კი ის მითხრას რის გაგონებაც არ მინდა, მაგალითად, თანამოაზრე ამხანაგები ვართ, ერთად რომ ვაშენებთ სოციალიზმსო?

— მართლა ასეთია? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არა, ასეთი არ არის, მაგრამ, იქნებ, შესაფერის მომენტს უცდის.

— თუ გიმღერია მისთვის? — ღიმილით მკითხა მან.

— დიტო, გიჯობს მედიცინის შესწავლა განაგრძო, ქალების არაფერი გაგეგება.

დიტოსთან გამოთხოვების შემდეგ, მთელ დარჩენილ დროში ჩვენი საუბრის შესახებ ვფიქრობდი. ერთი და იგივე კითხვა მიტრიალებდა თავში: ოდესმე ბოლომდე გავუგებ თუ არა რუსებს, ანდა ისინი გაუგებენ კი ქართველებს? ამ გზაზე ხომ ამდენი დაბრკოლება იყო. ჩვენ ყოველთვის არ

გვიყვარდა რუსები და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ისინი დიდხანს ბატონობდნენ საქართველოში. ვინ ეპატიჟებოდათ მათ? ჩვენ მათთვის მხოლოდ არსებობის საშუალება ვიყავით და მეტი არაფერი. ჩვენ მათ არასოდეს ვეძახდით არც ადრე არც ახლა. რაში გვდებენ ბრალს? რუსები საქართველოში დაახლოებით იმდენი ხანი ბატონობდნენ, რამდენიც მონღოლები რუსეთში. მაგრამ რა — რუსები ყოველ შემთხვევას იყენებენ, ცდილობენ ხაზი გაუსვან თავიანთ მეგობრობას მონღოლებთან? არა მგონია.

მეორე მიზეზი რუსებთან ქართველების უთანხმოებისა რაღაც გროტესკულია: სიხარბე არყისადმი. მართალია, ქართველებიც დიდი რაოდენობით სვამენ ღვინოს — და ჩვენ გვაქვს საკუთარი ტექნოლოგიის არაყი — ჭაჭა, მაგრამ ის არ გვათრობს ღვინოსავით. საქართველოში მოყვანილი ღვინო, განსაკუთრებით შავი, საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. ადგილზევე იმდენი ღვინო ისმება, საექსპორტოდ აღარა რჩება. ამასთანავე შეუძლებელია ძალიან მთვრალი ქართველის ქუჩაში ნახვა. ჩვენ შეგვიძლია წესიერი სმა. რუსები კი არაყს ყლურწავენ უბრალო გათლილი ჭიქებიდან, რაც ხშირად მათს უკულტურობაზე მიგვანიშნებს, მათ უბრალოდ წესიერად არც იციან როგორი უნდა იყოს ურთიერთობა სპირტიან სასმელებთან. მეორე მხრივ მე მოსკოვში ბევრ რუსთან ვმეგობრობ და მათი საკმაოდ დიდი ნაწილი საერთოდ არ სვამს არაყს. ჩვენ იშვიათად გვინახავს ისეთი კულტურული რუსები საქართველოში. მოსკოვში კი ისინი ბევრნი იყვნენ. მეჩვენება, რომ მთვრალი ხალხი აქ ყველგან კითხულობს — რიგებში, მეტროში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში. მე არსად არ მინახავს ამდენი მკითხველი. უნივერსიტეტები აქ მსოფლიოს სტანდარტების დონეზე იყვნენ. დიდი თეატრის მაყურებლებმა ყველა ოპერის ნებისმიერი ნიუანსი იცოდნენ. ეს არაჩვეულებრივი იყო.

შემდეგ მე მაშას შევხვდი. როგორც კი ის დავინახე, მივხვდი აუცილებლად უნდა გამეცნო. ჩემი პირველი პრობლემა მისი ყურადღების მიქცევა იყო. დავინახე რა დიდი თეატრის ბუფეტში, გავიფიქრე — თუ მივიდოდი იმ წუთში ვერ მივიქცევდი მის ყურადღებას. მომენტი დაკარგული იყო, რაც თითქმის მოხდა კიდეც! მე ვეცადე ამომექმედებინა მთელი ჩემი ქართული მომხიბვლელობა, ოღონდ ყოველგვარი ეფექტის გარეშე. ბოლოს და ბოლოს მაშა დამეთანხმა შეხვედრაზე. ალბათ, საბოლოო შედეგის მიხედვით რაღაცამ მაინც იმოქმედა. მე მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მაშამ პირველი და თუნდაც მეორე შეხვედრაზეც სერიოზულად მიიღო ჩემი თბილი გაარშიყება. შემდგომ იგი ნელნელა დაინტერესდა ჩემით, არ ვიცი რით შევძელი მის განცვიფრება, მე ნათლად ვგრძნობდი ჩვენ ნელნელა ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. საოცარია რა მძიმე შეიძლება იყოს ეს დილემა. მე ვცდილობდი შევწყობოდი მის რომანტიკულ განცდებს. ის კი გამუდმებით მიყვებოდა პუშკინზე, ლერმონტოვზე, ტიუტჩევზე.

ბოლოს და ბოლოს მე დავარწმუნე იგი ჩემს უსაზღვრო სიყვარულში და მაშამ თანხმობა მომცა ჩემი მეუღლე გამხდარიყო. უნდა ვაღიარო, ამ ფაქტის შემდეგ საკმაოდ შეიცვალა ჩემი შეხედულება სამყაროზე. გარკვეულ ფარგლებში გამიჩნდა ინტერესი ყველაფრისადმი — ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფით მიწიერ საკითხებშიც კი.

დაუცხრომელი ენერგიით სავსე მაშა ავსებდა და ანათებდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ჩვენ ერთად ვგეგმავდით მომავალ ცხოვრებას, ვხუმრობდით, გულიანად ვიცინოდით. (მე განსაკუთრებით მომწონდა, როდესაც მაშა ჩემს ხუმრობებზე იცინოდა, თუმცა, ახლა ეჭვი მეპარებოდა ისინი ნამდვილად სასაცილო იყო თუ არა). ჩვენ ვსწავლობდით ერთად ცხოვრებას. მარტო ცხოვრების შემთხვევაში მხ-

ოლოდ შენ თავზე ფიქრობ, მაგრამ თუ ორნი ხართ და მით უმეტეს პატარებიც მოგემატნენ, მაშინ ყველას მაგივრად ფიქრობ და გრძნობ პასუხისმგებლობას მათ წინაშე. დაოჯახების შემდეგ მე ბევრი ვისწავლე და ვტკებოდი მეუღლისა და ბავშვების გვერდით ყოფნით. მაშას ღიმილი კარგი ღვინოსავით მათრობდა და მისი სხეულის ჩემსაზე შეხება კიდევ უფრო გვაახლოებდა.

მეხუთე ნაწილი

მოსკოვი, 1935 წელი

ალიარებას სანდრომ დიდ თეატრში თანდათან მიაღწია. მრავალ ოპერაში ასრულებდა წამყვან პარტიებს და რამდენიმე ფირფიტაც ჩაწერა. თეატრში ძალიან ბევრს მუშაობდა, სხვა საქმისთვის დრო თითქმის არ რჩებოდა, მათ შორის ოჯახისთვისაც. ბუნებით ოჯახური სიმყუდროვის მოყვარულს და ერთგულ მეუღლეს ძალიან არ უნდოდა მის პოპულარობას ხელი შეეშალა ჩვეული საოჯახო ცხოვრებისთვის.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დიდი თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლში დაკავებული კაცი, ვინც სრულყოფილად ფლობდა ორ უცხო ენას, ცოტა არ იყოს დაბნეული იყო. თუ არ შეახსენებდნენ, საერთოდ არ გაახსენდებოდა ჰალსტუხი, თუმცა რუსებისთვის უჰალსტუხობა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ხოლო ქართველები ცხელი კლიმატის გამო იშვიათად ხმარობდნენ მას. როგორც წესი, ნივთებს იქ ტოვებდა, სადაც მოიხმარდა, შეეძლო უსწორმასწოროდ შეეკრა პერანგი. ხშირად ცხვირში რაღაცას ქართულად ბურტყუნებდა. დიდხანს ეძებდა კალამს, რომელიც პერანგის ჯიბეში ედო. ეს ყოველივე ერთი შეხედვით მოუწესრიგებელი კაცის იერს აძლევდა. მადლობა ღმერთს, ეს ასე არ იყო, უბრალოდ ზოგჯერ მისი არ ესმოდათ.

მიუხედავად ყველაფრისა, ის უნიჭიერესი მომღერალი იყო. მარგარიტა კონსტანტინოვნამ, მისმა კოლეგამ დიდი თეატრიდან, ახლა კი მაშას უახლოესმა მეგობარმაც, ერთხ-

ელ აღნიშნა, რომ მისი ხმა ეს ღვთის წყალობაა, რასაც თვალის ჩინივით უნდა მოფრთხილება. კარგად იცოდა საკუთარი ნათქვამის სიმართლე. ქალბატონს მრავალი მომღერლისთვის მოუსმენია დიდ თეატრში, უფრო მეტისთვის, ვიდრე მოსკოვის მახლობლად ტყეში წვიმის შემდეგ ამოსული სოკოებია.

მაშა სადილს ამზადებდა, როცა სანდრო მოვიდა. მას სახეზე ზიზღი შეყინვოდა.

- შენ იცი რას უპირებენ ისინი მაცხოვრის ეკლესიას? — ჰკითხა მან.

- არა, მე არაფერი ვიცი.

- მუშები დინამიტით აფეთქებენ. აფეთქების ხმა ყველგან ისმის, მიწასთან ასწორებენ. ხალხში ჩურჩულს გაიგონებ, რომ ეს სტალინის პირადი ბრძანებით კეთდება და ამ ადგილას კომუნისტური პარტიის ყრილობათა სასახლე უნდა ააშენონო.

მაშამ უხმოდ გადაიწერა პირჯვარი.

- რა მართლა მხეცები არიან? რა აქვთ ეკლესიის და რწმენის საწინააღმდეგო? რა დაუშავა მათ უძველესმა ეკლესიამ, ეს ხომ მოსკოვის ღირსშესანიშნაობაა.

- მე ვფიქრობ, სწორედ ამაშია მაშა საქმე. ეს ეკლესია მათთვის სწორედ იმის სიმბოლოა, რის მიწისგან პირისა აღგვასაც აპირებენ.

- ქრისტიანობის სიმბოლოსი?

- ალბათ ასეა. შეხედე მათ ისტორიას. არც ერთი ბელადი, პარტიის შემქმნელი ქრისტიანი არ ყოფილა. ჭეშმარიტი კოშმარის პირველივე დღიდან, რასაც ისინი რევოლუციას უწოდებენ, ყოველმხრივი შეტევა დაიწყეს ქრისტიანობაზე. ამასწინათ გავიგე ოთხასი ეკლესიიდან მხოლოდ ოცდახუთს დატოვებენ ღვთისმსახურებისთვის, იმათშიც ყველას უთვალთვალებენ და თუ მორწმუნე ხანდაზმული არ არის,

მალე მიაკითხავენ სამსახურში, უფრო ხშირად კი სახლში სხვებისთვის კარგი გაკვეთილის ჩატარების მიზნით.

- მე არაფერი მესმის ამ ადამიანების. ქრისტიანობას ხომ მათი იდეებისთვის საფრთხე არ მოაქვს, - დარწმუნებით თქვა მაშამ.

- არა მაშა, ამ საკითხში ისინი ზუსტად მართლები არიან. სწორედ ქრისტიანობაა მათთვის ყველაზე დიდი საფრთხე. ოცი წლის მანძილზე კომუნისტური თავდასხმები რელიგიაზე, განსაკუთრებით კი ქრისტიანობაზე, კიდევ უფრო ძლიერდება. ვერც მათმა პროპაგანდამ და ვერც დაცინვამ ვერ აღმოფხვრა რწმენა. ამ ქრისტიანულ ქვეყანაში, ისევე, როგორც ვერ შეძლეს ქართული სულის ჩაკვლა საქართველოშიც. თუ ღრმად ჩავიხედავთ ადამიანების გულში, ჯერ კიდევ არაერთ ქრისტიანს დავინახავთ.

- მე ვიმედოვნებ, რომ შენ მართალი ხარ სანდრო. მაგრამ მათი გავლენა დიდია. წარმოიდგინე ურწმუნოთა კავშირიც კი შექმნეს. მასში მილიონობით ადამიანი გაერთიანდა და მას მეცნიერული ათეიზმი უწოდეს. ეკლესიები დახურულია, მუდმივი დევნაა გამოცხადებული და განა რამდენი დარჩა ყოველივე ამის შემდეგ ქრისტიანი?

- ქრისტიანობა მარადიულია, ვინ არ ხელყოფდა ამ წმინდა რელიგიას? ხომ კარგად გახსოვს წმინდა მიწაზე შემოსევები, ნერონი, მონღოლები, შინააშლილობები. მან ყველაფერი უკან ჩამოიტოვა მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, რადგან ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტებაა.

- შენ თვლი, რომ 20-50 წლის შემდეგ რუსეთში ან საქართველოში ქრისტიანობა კიდევ იარსებებს? - იკითხა მაშამ.

- ის, რაც მომავალ თაობას ეხება, ჯერ კიდევ საკითხავია. ძალზე უცნაურია, მე ასეთი წინათგრძნობა მაქვს: არა აქვს მნიშვნელობა ეს კომუნისტები კიდევ რას იზამენ. ქრის-

ტიანობა ისე მყარად და ღრმად არის თითოეულ რუსში, რომ ყოველთვის შეუძლია აღორძინდეს. ხომ ხედავ როგორ ცდილობენ ლენინისა და სტალინის გალმერთებას. მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ ადამიანები არიან და მეტი არაფერი, ცხადია, მით უმეტეს, ვერც ღმერთები იქნებიან, თითოეულმა იცის ეს, მათ შორის თავადაც კარგად უწყით.

- სანდრო, ნუთუ ლოცვას შეუძლია ასე ძლიერ იმოქმედოს ჩვენს ცხოვრებაზე?

- ჩემი აზრით, ლოცვის მნიშვნელობის შეუფასებლობა არ შეიძლება. ლოცვა მოთმინებას გვასწავლის.

- შეიძლება, - თქვა მაშამ, მაგრამ ვერ ვხვდები ღმერთი რატომ არ სჯის ამ გარეწრებს ისევე, როგორც ისინი ანადგურებენ ეკლესიებს და მღვდლებს?

- მაშა, მე ღვთისმსახური არა ვარ, თუმცა მგონია ღმერთი რასაც აკეთებს, ან ვისი მეშვეობით აკეთებს, ეს სცილდება ჩვენი გონების ჩარჩოებს.

- მაგრამ დრო მიდის, მე კი სულ უფრო და უფრო ნაკლებად მესმის რელიგიის არსი, გარდა ჩვეულებრივი ბანალური ფრაზებისა, როგორიცაა "ოპიუმი ხალხისთვის", "კაპიტალიზმის გადმონაშთი", "ცრუმორწმუნეობა".

- მაშა, მომისმინე, კომუნისტები აცხადებენ, რომ ღმერთი არ არის, ე.ი. არც რელიგია არსებობს. ისინი დიდ ენერგიას და დროს ხარჯავენ იმის მოსასპობად, მათსავე განცხადებას თუკი დავუჯერებთ, რაც არ არის. მე ეჭვიც კი არ მეპარება, ზოგადად ისინი მიაღწევენ წარმატებას. მიუხედავად ამისა, ხვალ რომ ეკლესიები კვლავ გახსნან, მთელ ქვეყანაში ხალხით იქნება ჩვეულებრივ გაჭედილი.

- სანდრო, შეიძლება შენ მართალი ხარ, ამის მეც დიდი იმედი მაქვს. აქამდე არც ერთ ბარბაროსს არ მოსვლია თავში აზრი მხსნელის ეკლესია გაენადგურებინა.

- მაშა, მათ დაანგრიეს კედლები და ყველაფერი რაც

შიგნით იყო, ერთის გარდა და ეს რწმენაა. ამის დანგრევას ისინი ვერ შეძლებენ, ვერა, ვერაფრით შეძლებენ.

- მოდი სანდრო ისადილე, ალბათ მშიერი ხარ, - თქვა მაშამ და თეფშზე ხახვში შემწვარი კარტოფილი გადმოუღო, ჭიქაში კი სანდროს საყვარელი ქართული ღვინო დაუსხა.

სადილის შემდეგ მაშამ დაიწყო ერთი ამბის მოყოლა. მაშა ჯერ კიდევ 12 წლის იყო, სწორედ მაშინ მის სოფელსაც გადაუარა ანტირელიგიურმა ტალღამ. იმ დროს მრევლი ჩვეულებისამებრ ზეიმობდა რელიგიურ დღესასწაულებს, ღვთისმშობლის დაბადებას, აღდგომას. ეს წმინდა დღესასწაულები ტრადიციული ღამის ღვთისმსახურებით და გალობით მიმდინარეობდა. მას გაახსენდა ყველა საეკლესიო დღესასწაულები და ტრადიციები, განსაკუთრებით საალდგომო კვერცხების შეღებვა. ზოგიერთი კვერცხი ისეთი ხელოვნებით იყო გაკეთებული, მუზეუმებშიც კი გამოიფინებოდა. განსაკუთრებით კარგად სოფლის მღვდელი მამა ბოგდანი ახსოვდა. იგი სოფლის საეკლესიო ცხოვრების სული და გული იყო. მამა ბოგდანს და მის მეუღლეს დედილო ვერონიკას სამი შვილი ჰყავდათ. ბავშვები გუნდში მღეროდნენ და ყველა ტრადიცია კარგად იცოდნენ. მაშასნაირ მოზარდებს ეს ძალიან ეხმარებოდა, რადგან მათ ზოგჯერ ავიწყდებოდათ სადღესასწაულო დღეების თარიღები. ეს ბავშვები გუნდშიც ყველაზე კარგად გალობდნენ.

სოფელ ტერსას მცხოვრებთათვის, მამა ბოგდანი, სიკეთის სიმბოლოს წარმოადგენდა. ის ყოველთვის, ნებისმიერ დროს, მზად იყო ნათლობისთვის, ნიშნობისთვის, წმინდა მოვალეობად მიაჩნდა ავადმყოფისთვის ან გარდაცვლილისთვის ელოცა. იგი ყველა საქმეს დაუღალავი ოპტიმიზმითა და მისთვის დამახასიათებელი იუმორითაც ეკიდებოდა. თითოეული გრძნობდა, რომ თუ არსებობდა სოფლების შემაკავშირებელი, გამაერთიანებელი ძალა, უპირველეს ყოვლისა, მამა ბოგდანი

და მისი მეუღლე იყვნენ. შემდეგ მოვიდნენ დამსჯელები და მამა ბოგდანი დააპტიმრეს. მას ანტისოციალისტური აზროვნება დააბრალეს. იგი გაასამართლეს გლეხთა ექსპლუატატორისა და დემორალიზატორის ბრალდებით. თითქმის ორი თვე, უფრო ზუსტად კი, 57 დღე მამა ბოგდანი გაქრა სოფლიდან. შემდეგ ის ბადრაგის თანხლებით, ერთი დღით, დაბრუნდა. წვერი გაპარსული ჰქონდა, თმა კი მოკლედ შეჭრილი.

მამა ბოგდანი აიძულეს გლეხებისთვის სახალხოდ მოეხადა ბოდიში, რელიგიური მოძღვრებით შეცდომაში შეყვანისთვის. რა თქმა უნდა, ეს კაცი, რომელიც ნელა გაატარეს მთელი სოფლის წინ, მამა ბოგდანი იყო, თუმცა არაფრით ჰგავდა საკუთარ თავს. დედილო ვერონიკამ და ბავშვებმა მასთან ერთად დატოვეს სოფელი. ვიღაცამ მოგვიანებით თქვა, რომ მთელი ოჯახი ციმბირში გადაასახლეს. სოფლის ეკლესია ფიცრებით აჭედეს, მანამდე კი იქიდან ყველა ხატი გამოიტანეს და სოფლის მოედანზე დაამტვრიეს. ეს ქმედება ბოლო შტრიხს ჰგავდა, ეკლესიაზე აჭედილ ფიცრებზე საბჭოური ლოზუნგები მიაკრეს.

მაშამ გადაწყვიტა მარგარიტასთვის დაერეკა და მასთან მისულიყო. შეიძლება სუფთა ჰაერს გამოეფხიზლებინა მისი გონება. სანდრო სისტემად ქცეული წესისამებრ გაზეთის კითხვაში ჩაეფლო.

მარგარიტას ქმარი ბორისი სუკში მუშაობდა, ეს ყველასთვის ძალიან კარგად ნაცნობი ორგანო იყო. "ლუბიანკის" ციხის მცველები ძირითადად დუმდნენ თავიანთ საქმიანობაზე, ზოგიერთ მათგანს ხანდახან მაინც დასცდებოდა თითო-ოროლა სიტყვა, თუ რა ხდებოდა ამ კედლებს იქით. შეიძლება ინფორმაციის გაჟონვა შემთხვევითი არც იყო. აბა ტერორი რა ტერორია, თუ მასზე არავინ არაფერი იცის.

- ბორის, - შენ უკვე მიდიხარ სამსახურში? - სამზარეულოდან გასძახა მარგარიტამ.

- ერთი წამი და უკვე მზად ვიქნები.

- მშვიდ ღამეს გისურვებ, ბორის, - უთხრა მაშამ.

- ნახვამდის მაშა, ნახვამდის მარგარიტა, შევხვდებით დილით.

***

ბორისის მუშაობა ციხის სპეციალურ განყოფილებაში ღამის ცვლას ემთხვეოდა. ეს განყოფილება ღრმა სარდაფში იყო მოთავსებული. "ლუბიანკა" "ბავშვთა სამყაროს" პირდაპირ მდებარეობდა. ეს იყო ყველაზე დიდი მაღაზია ბავშვებისათვის მთელს საბჭოთა კავშირში.

სავსე მთვარიანი ღამე იდგა. ასეთი ღამე ბორისში რატომღაც ყოველთვის მღელვარებას და შეშფოთებას იწვევდა. მისი ფიქრები ამ დროს მიჯაჭვული იყო მხოლოდ მთვარეზე და "საშინელებათა სახლზე", სადაც ის მუშაობდა. ბორისი სკოლის მასწავლებელი იყო სანამ დაცვაში დაიწყებდა მუშაობას. ყველაფერს კი ის განსაზღვრავდა, რომ აქ ბევრად მეტს უხდიდნენ, ვიდრე სკოლაში. იგი იმ განყოფილებაში მუშაობდა, სადაც ე.წ. "სპეციალური" პატიმრები ჰყავდათ. ყოველ ღამე, განსაკუთრებით კი, როცა მთვარე სავსე იყო, მას საშინელი ყვირილი ესმოდა. ეს ხმები მუქი წითელი კარების იქედან ისმოდა, კარებისა, სადაც მხოლოდ სპეციალური დაცვის გარდა ვერავინ შედიოდა და ამ სექტორს "წითელ კურსს" ეძახდნენ.

ბორისმა ის-ის იყო დაამთავრა პირველი შემოვლა, როცა მუქი წითელი კარიდან მისი სკოლის ამხანაგი პავლე ბურენკო გამოვიდა. პავლე წითელი კარების იქით მომუშავე მცველთა "ელიტარულ" ჯგუფს მიეკუთვნებოდა.

- საღამო მშვიდობისა, ამხანაგო ბურენკო და როგორც ყველა, ბორისიც ისე მიესალმა ყოფილ თანაკლასელს.

- სალამი ბორის, მოეშვი "ამხანაგ ბურენკოს", ძველებურად პაშა დამიძახე.

- რა თქმა უნდა, ამხანაგ... ხო, პაშა, დღეს მშვენიერ გუნებაზე ხარ!

- ხო, ახლახან ჩემი ძაღლის წვრთნა დავამთავრე, ძალიან დავიღალე, წამო ბუფეტში, ვილაპარაკოთ.

- მე ვერ დავტოვებ ჩემს პოსტს, - თქვა ბორისმა.

- მომაწოდე ერთი ტელეფონი, - თქვა პაშამ და დაცვის უფროსს დაურეკა. შმიტ, ბურენკო გელაპარაკება. მე და შენი მცველი ბორისი ჩაის დასალევად მივდივართ, ვფიქრობ, შენ წინააღმდეგი არ იქნები და ყურმილი დადო.

ისინი სუკის სპეციალურ ბუფეტში შევიდნენ. ვიღაც უცნობი ყავას სვამდა, სხვა ორნი ბუფეტის კუთხეში ისხდნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

- ბორის, როგორაა საქმეები? იმედი მაქვს, ცოლ-შვილი კარგად გყავს.

- გმადლობ, კარგად არიან. შენ როგორ ხარ, პაშა?

- გმადლობ, ყველაფერი რიგზე მაქვს. თუმცა ჩემი მსგავსი მძიმე სამუშაო ნებისმიერს გადაღლიდა, მაგრამ არა მე, ყველაფერი რიგზეა. ზოგჯერ "წითელი კურსი" მცველებზეც პატიმრების მსგავსად მოქმედებს.

- მე გამიგია "წითელ კურსზე", თუმცა არ მესმის რა არის ეს, - თქვა ბორისმა.

- ახლა ეს კურსი უკვე დამუშავებულია. ჩვენ პატიმართა ორი ტიპი გვყავს. ერთნი ელოდებიან სასამართლოს, მეორენი კი ასე ვთქვათ საცდელნი, - თქვა ბურენკომ. მას ნელ-ნელა კარგი განწყობა დაუბრუნდა. შენ ალბათ წაგიკითხავს ან გიხახავს ფილმები სასამართლო სხდომებზე. ამასაც შეამჩნევდი, როგორი ხალისით აღიარებენ ისინი თავის დანაშაულს. აი, ეს არის ჩვენი საქმე და მისი დამთავრების შემდეგ, ისინი აღიარებენ ყველაფერს, რასაც მოისურვებ.

"საცდელებიც" გაივლიან "წითელ კურსს". მათ მხოლოდ საცდელი მოდელების მსგავსად ვიყენებთ. ფსიქიატრები პატიმრებთან ჯერ კიდევ 1918 წლიდან მუშაობენ და სულ უფრო მეტი პატიმრის მოყვანას მოითხოვენ საკუთარი ექსპერიმენტების გასაგრძელებლად.

- ყვირილი რომ ისმის, ეს რა არის? მათ ურტყამენ? - იკითხა ბორისმა.

- არა, ეს ადრე ურტყამდნენ, ახლა ექიმები ამბობენ, ახალი მეთოდები ბევრად უფრო ეფექტურიაო.

- ამით რისი თქმა გინდა, რომ ყველა პატიმარს ერთი და იგივე მეთოდით უტარებენ წამებას? - იკითხა ბორისმა.

- შეიძლება ითქვას, ეს ასეცაა. ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფსიქიატრთა დეტალური ინსტრუქცია. "წითელი კურსი", იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხუთ კვირას გრძელდება. პირველი კვირა პატიმარი ჰყავთ კამერაში, სადაც სიგარეტსაც კი იღებს. ყოველდღე დაჰყავთ დაკითხვაზე. დაკითხვა საკმაოდ კეთილმოწყობილ ვითარებაში ტარდება, საუბრები მიმდინარეობს. ძირითადად ეკითხებიან სოციალიზმთან მათი დამოკიდებულების შესახებ; ეკითხებიან სტალინის, ოჯახის, მეგობრების შესახებ და სხვა ზოგად საკითხებზე.

- ეს არც ისე საშიშია, - შენიშნა ბორისმა.

- პირველ კვირას ჩვენ მათ მხოლოდ ვამზადებთ, - ჩაიცინა ბურენკომ. — მეორე კვირას შუა დღეებიდან მათ აღარ აძლევენ სიგარეტს და არც საჭმელს. მიუჩენენ უხეშ მცველებს. შუაღამეზე გამოჰყავთ საკნებიდან, გაამწკრივებენ და მათ წინ ჩაატარებენ იმ პატიმრებს, რომლებმაც უკვე გაიარეს "წითელი კურსი".

- როგორ რეაგირებენ ისინი ამაზე? - იკითხა ბორისმა.

- მათ სახეზე უკვე შეშფოთება ისახება. ითხოვენ ისევ გამომძიებელთან შეხვედრას, სურთ შეავსონ საკუთარი ჩვენებე-

ბი. ამ დროს პასუხად კატეგორიულ უარს იღებენ, თან პირდებიან, რომ მალე ექნებათ საშუალება შეხვდნენ "წითელი კურსის" მცველებს. მცველები კი ყოველდღიურად უფრო და უფრო აგრესიულები ხდებიან, ლანძღავენ და აგინებენ მათ.

- და მერე რა იქნება? - ჰკითხა ბორისმა. მას შუბლიც ოფლით დაეცვარა.

- მერე კი იწყება სამი სპეციალური კვირა. ჩვენ მათ ვათავსებთ სხვა ერთადგილიან საკნებში. მანამდე კი ორადგილიანებში ისხდნენ. ცხადია, მათ საუბრებს ჩვენ სრულად ვიწერთ ფსიქიატრთათვის. ჩაწერა 24 საათის განმავლობაში ხორციელდება. თავიდან ვაიძულებთ გაშიშვლდნენ, მიგვაქვს ტანსაცმელი და ვტოვებთ მარტო. შემდეგ მოდიან სპეციალური მცველები და მოაქვთ სხვა პატიმრების ჩვენებები. ისინი ყვირიან, აძლევენ პროვოკაციულ შეკითხვებს. ბოლოს აცხადებენ, რომ მოცემული ვითარება მოითხოვს სერიოზულ ჩარევას და პატიმარს სჭირდება სპეციალური აღზრდის ჩატარება. ამ დროს მცველი მთელი ძალით ურტყამს თავში ხელკეტს პატიმარს. ის კარგავს გრძნობას. გრძნობის დაბრუნებისა და გამოფხიზლების შემდეგ აღმოაჩენს, რომ მისი სასქესო ორგანოები მიერთებულია სპეციალურ მანქანაზე. ამ მანქანას მცველი არეგულირებს, თანაც კითხვებს აძლევს. ცხადია, ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია და მცველიც რთავს აპარატს. ჩართვა უსაშველოდ მტკივნეულ შოკს იწვევს. ერთი გაგაგონა მათი საშინელი ღმუილი, ან იქნებ შენ უკვე გაგიგია კიდეც. ეს ყოველივე რამდენიმე წუთი გრძელდება.

პროცედურა ყოველ 24 წუთში მეორდება სხვადასხვა ინტენსიურობით. ჯერ ძლიერად, შემდეგ სუსტად, შემდეგ უფრო სუსტად. ამის მიზანია პატიმარს ეგონოს, რომ მცველს ის ეცოდება. შემდეგ მათ ვუკეთებთ ორ ნემსს, ადრენალინისას ყოველგვარი დაძინების საშუალების მოსასპობად

და მეორეს - ძლიერი ჰალუცინაციების გამოსაწვევად. ჩვენ კიდევ გვყავს ადამიანთა საცდელი ჯგუფი. მათ ორგანოები ასევე აპარატზე აქვთ მიერთებული. აქ შოკს არ ვიყენებთ. ისინი მხოლოდ შეშინებულები არიან. ასეთი ქმედებიდან ზოგჯერ ეფექტი უფრო დიდია, ვიდრე შოკის გამოყენებისას.

- შენ ნებისმიერ ფსიქიატრს მისცემდი ფორას. - თქვა ბორისმა. მან თვალნათლივ წარმოიდგინა წამების ყველა საშინელება.

- შემდგომი ოთხი დღის განმავლობაში საკნებში სინათლეს არ ვთიშავთ. უძილობა და ნემსები თავის საქმეს აკეთებენ. ამის შემდეგ მცველები კარს იქიდან იწყებენ პატიმრებთან ლაპარაკს. სიტყვები, ცხადია, ინსტრუქციის მიხედვით არის შერჩეული. მაგალითად, მცველი ამბობს: "როგორ ხარ ამხანაგო". შემდეგ ამბობს ნებისმიერ სახელს. ამ ქმედების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ პატიმრის ცნობიერებაში მხოლოდ ერთმა ხმამ დაიბუდოს. სხვას ყველას ლაპარაკი აკრძალული აქვს. საჭმელად პატიმრებს ამ პერიოდში დილასაღამოს წყალწყალა ფაფას აძლევენ, ერთ ჭიქა წყალთან ერთად. სხვა დროს, ყოველ შემთხვევაში პატიმარს ეჩვენება, რომ ესმის მუსიკა ან უკითხავენ პოლიტიკურ მოხსენებას, ხმის დონე 175 დეციბელს შეადგენს. შენ ალბათ იცი, რომ 130 დეციბელი წარმოადგენს ადამიანისთვის მტკივნეულ ბარიერს.

- ისინი უძლებენ ამას? - ნერვიულად იკითხა ბორისმა.

- უცნაური ისაა, ზოგიერთები ჯერ კიდევ უძლებენ ყოველივე ამას. სპეციალური კურსის მეორე კვირაში, ან საერთო კურსის მეოთხე კვირაში, მცველები ჯერ კიდევ "ამხანაგოთი" მიმართავენ მათ, მერე კი მხოლოდ ნომერს, ვთქვათ 42-ს ასახელებენ. მათ არ იციან, რომ ეს ასაკობრივი კოდირებაა. ფსიქოლოგები ამბობენ, ჩვენი მიზანია მათ ფსიქიკაში გამოვიწვიოთ ისეთი ცვლილებები, თავი 80 წლის

მოხუცად წარმოიდგინონო. ყოველთვის არა, თუმცა ხშირად ისე ხდება, რაც უფრო მეტი ასაკისაა პატიმარი, ნაკლები ზემოქმედებაა საჭირო. მუსიკა და ლაპარაკი გამაძლიერებლიდან თანდათან უფრო ხმამაღლა ისმის. შემდეგ მცველები ნაკლები დოზით უკეთებენ ჰალუცინოგენურ ნემსებს. როგორც წესი, ამის შემდეგ პატიმრები ველარ უძლებენ მდგომარეობას და ცდილობენ კედლებზე აბობღებას როგორმე გაქცევის მიზნით. რა თქმა უნდა, აქედან ვერავინ გაიქცევა და ეს მათაც კარგად იციან.

ბორისი ოფლისგან დასველდა. ბურენკოს სულაც არ სჭირდებოდა წახალისება, ის თხრობის ეშხში იყო შესული.

- მეოთხე კვირას ჩვენ მათთან ყველა საქმეს ვამთავრებთ. სწორედ ახლახან ერთ მათგანთან დავამთავრე საქმე, ამიტომაც ვარ ესე აღგზნებული. მეხუთე კვირას, ჩვენ ხან ჩავაქრობთ საკანში სინათლეს, ხან ავანთებთ, მცველი კი მიმართვას "ამხანაგოს" ცვლის "ძაღლით". დაახლოებით ასე: ძაღლო 42. ამ კვირას, უფრო ზუსტად, მეოთხე დღეს საკნიდან საწოლი გაგვაქვს და ახლა მას არა მარტო იატაკზე, არამედ განავალში უწევს წოლა, რადგან ფეკალის ვედრო ორი კვირის წინ გავიტანეთ. მეშვიდე დღეს, აი, ასეთი დღე იყო ჩემი დღევანდელი პატიმრისთვის, ვუბრძანებთ მთელი ღამე იყეფოს. თუ ყეფას შორის ინტერვალი 60 წამს აღემატება, მცველი ელექტროშოკით რეაგირებს. ეს კარგი გაკვეთილია, პაუზები ფაქტობრივად, აღარ არის. შენ ალბათ მოგისმენია ძაღლის ყეფა. დილით მცველი შედის კამერაში და უბრძანებს პატიმარს ალოკოს ფეხსაცმელი, როგორც ამას პატრონის მოყვარული ძაღლი აკეთებს. თუ პატიმარი ფეხსაცმელს უხალისოდ ულოკავს, მაშინ მცველი პირდაპირ თავზე აშარდავს მას. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, აქამდის ისინი არ ტყდებოდნენ. ეს მომენტი კი წესისამებრ მთლიანად ამსხვრევს მათ ფსიქიკას. შემდეგ პატიმარი გაჰყავთ

სხვა ოთახში. აქ რაღაც ძველმან ტანსაცმელს აძლევენ, სვამენ სკამზე ბნელ კუთხეში. ისინი იქ სხედან საათობით მორჩილად და მდუმარედ.

- კი მაგრამ, ყოველივე ამის შემდეგ როგორი შესახედნი იქნებიან სასამართლოზე? - იკითხა ბორისმა.

ბურენკო თხრობას რიტმის დაურღვევლად აგრძელებდა.

- ყოველივე ამის შემდეგ ისინი აღიარებენ ყველაფერს, რაც გნებავს. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა აღვუდგინოთ სახელი, რადგან მათთვის საკუთარი პიროვნება უკვე აღარ არსებობს. ძალიან სასაცილოა ასეთი ფაქტიც - ხელმოწერა ყოველთვის ემთხვევა, რაც ჩვენთან შემოსვლისას ჰქონდათ, თუმცა ვინ არიან, პრაქტიკულად აღარ ახსოვთ.

- ის საექსპერიმენტოები, შენ რომ ამბობდი, ისინიც გადიან ყოველივე ამას? - ჰკითხა ბორისმა.

- კი, მაგრამ სასამართლომდე ვერ მიდიან. ფსიქიატრები მათზე ცდიან წამლებს სხვადასხვა დოზით და ვარიანტებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ექსპერიმენტებს ატარებენ. პრაქტიკულად მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებს პატიმრების დასაშინებლად მათ წინ გავატარებთ, მერე ვკლავთ და მოსკოვის მახლობლად საერთო საფლავში ვმარხავთ. ეს რომ არ ვქნათ, რამდენი თანხები დაიხარჯება მათ შენახვაზე და, რაც მთავარია, ახლებისთვის აღარ გვეყოფა საკნები. ახლები კი ყოველ კვირას მოჰყავთ, მათ ჩვენ დელეგაციებს ვეახით.

- ასეთი მიდგომა ყველა პატიმარზე ამართლებს? - იკითხა ბორისმა.

- ყველაზე, მღვდლების გარდა. მათი უმრავლესობა კურსის დამთავრებამდე ვერ აღწევს. როგორც უფროსი მცველები ამბობენ, ისინი უკვე მეოთხე კვირას კვდებიან და წესისამებრ, სულის ამოხდენისას პირჯვარს იწერენ. ფსიქიატრებმა მათზე ყველა პრეპარატი გამოცადეს. მაინც არა-

ფერმა უშველა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი უბრალოდ თავის თავს უბრძანებენ მოკვდნენ. რევოლუციის შემდეგ ათასობით მღვდელმა გაიარა ჩვენს ხელში და ყველა ნაადრევად მოკვდა. ამის განსაზღვრა ნამდვილად არავის შეეძლო.

- იქნებ სამუშაოზე დაბრუნების დროა, პაშა?

- ჰო ალბათ, - თქვა ბურენკომ და დარჩენილი ცივი ჩაი შასვა. სასიამოვნო იყო შენთან საუბარი, ბორია. დამირეკე, როგორმე გავალთ სადმე, ვისადილებთ, ცოტას დავლევთ კიდეც ადრე გამომუშავებული ჩვეულების თანახმად.

- ნახვამდის პაშა, იმედი მაქვს, ასეც იქნება.

ბორისმა ცვლა დილის 6 საათზე დაამთავრა. ამ დროისთვის "წითელ კურსშიც" დამთავრდა ღამის ყვირილი და არაადამიანური ღმუილი. ძლივძლიობით მიაღწია სახლამდე. ბურენკოს სიტყვები ღრმად ჩაიბეჭდა მის გონებაში.

მარგარიტამ გაოცებით შენიშნა, რომ ბორისმა კარადიდან არყის ბოთლი გამოიღო და უხმოდ თითქმის ნახევარი დალია. ბოლოს ჩამოჯდა და ცოლთან ჩაის სმა დაიწყო. "შენ არ დამიჯერებ მე ამ ღამეს რა გავიგე..."

***

დიდი თეატრიდან სანდროს გათავისუფლება, ალბათ, ბერიას ბრძანებით მოხდა. ამის გამო მაშა ყოველდღე უფრო და უფრო ნერვიულობდა, თუმცა კარგად იცოდა ნერვიულობა ცუდად აისახებოდა მომავალ ბავშვზე. მას შემდეგ, რაც სანდრო ქუთაისში დაბრუნდა, პირველად დარჩა მარტო. მისი ძმა დიმიტრი და რძალი მილა საცხოვრებლად თავისთან იწვევდნენ, მაგრამ არ გადადიოდა, არ უნდოდა თავისი პრობლემები მათთვის თავს მოეხვია. ჯერ კიდევ რამდენიმე თვე შეეძლო ლიტერატურის ინსტიტუტში ესწავლებინა. საღ-

ამოობით ან სანდროს წერდა წერილს, ან კითხულობდა ან თავისი მომავალი შვილისთვის ქსოვდა ტანსაცმელს. საღამოები კი ფეხმძიმე ქალისთვის ძალიან ნელა გადიოდა. წიგნს ყოველთვის ხმამაღლა კითხულობდა ან უსმენდა კლასიკურ მუსიკას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს საშოში მთვლემარე მომავალ შვილს უკვე სარგებლობას მოუტანდა.

მოახლოვდა მშობიარობა. დიმიტრიმ იგი სამშობიაროში წაიყვანა. მესამე დღეს ვაჟი შეეძინა. ბიჭუნას ანდრია დაარქვეს. წმინდა წერილის თანახმად, წმინდა ანდრია რუსეთის მფარველად და ქრისტეს პირველ მოწაფედ ითვლება. მას დამატებით ანდრია პირველწოდებულსაც უწოდებდნენ. სწორედ მოციქულმა ანდრიამ დაარსა რუსეთში პირველი სამრევლოები, ასევე საბერძნეთში, მაკედონიასა და სხვა ქვეყნებში (ანდრია პირველწოდებული რუსეთში არასოდეს ყოფილა. იგი საქართველოში იყო და სწორედ ამიტომ ეწოდება ქართულ ეკლესიას სამოციქულო ეკლესია).

მეორე კვირას მაშა შვილთან ერთად გამოწერეს სამშობიაროდან. არაჩვეულებრივი შვილი შეეძინა მაშას, ბიჭი კი არა, გოლიათი. ნამდვილი მეომარი! სანდროს მსგავსად, ალბათ, ისიც კეთილი, ჭკვიანი და ნიჭიერი იქნება. იბრძოლებს სიმართლისთვის და თავის არჩეულ პროფესიაში დიდ წარმატებებს მიაღწევს. ბიჭუნას თუ დახედავდით, ძნელი იყო მაშას არ დათანხმებოდით.

მალე სანდროც ჩამოვიდა და თავისი ვაჟი იხილა. როგორც მაშა ფიქრობდა, სანდრო მეტად მზრუნველი მამა გამოდგა. მათ გადაწყვიტეს, ბიჭი 4 თვის შემდეგ, სანდროს მეორედ ჩამოსვლისას მოენათლათ.

მაშას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მოენათლა შვილი. მოსკოვში ეს ძალზე საშიში იყო. ასეთ შემთხვევაში პასუხი ყოველთვის დიმიტრის ჰქონდა. მოსკოვიდან 137 კილო-

მეტრზე ერთი სოფელი იყო. იქ შეიძლებოდა ბავშვი მოენათლათ. სანდრო კვლავ მხოლოდ ერთი კვირით ჩამოვიდა და ამიტომ უნდა ეჩქარათ. წინასწარ შეთანხმდნენ დიმიტრი და მილა - ორი საათით ადრე მატარებლით უნდა გამგზავრებულიყვნენ და სოფელში დალოდებოდნენ. სწორედ ისინი იყვნენ ნათლიები.

მგზავრობა ოცნებებით და იმედებით იყო აღსავსე. მაშა მატარებლის ფანჯრიდან თვალს ადევნებდა სოფლებს, რომელთაც იერი ასი წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლოდათ. ისევ ისეთი ტალახიანი და გაუვალი გზები, ისევ ისლით დახურული სახლები და უძველესი პრიმიტიული ტექნიკა. მაშა ფიქრობდა, რომ სოფლებში ადამიანთა დეგრადაცია უფრო მკვეთრად შესამჩნევია, ვიდრე ქალაქში.

სანდრო, მაშა და პატარა ანდრიუშა დროულად ჩავიდნენ პატარა სოფელში. დიმიტრი და მილაც მომზადებულნი დახვდნენ. ყველამ ერთად ტყის დაბურული ბილიკებით გასწია, რაც ნათლობის წინა ილუსტრირებულ პრელუდიას წარმოადგენდა. თითქმის 40-45 წუთის სიარულის შემდეგ ტყეში მოხუცი ქალი შემოხვდათ, რომელსაც მომწვანო-მოყვითალო შალი მოესხა. მოხუცებულმა ანიშნა უკან გაჰყოლოდნენ.

კიდევ ერთი კილომეტრი გაიარეს და ტყის პირას მდგარ ძველ საბძელთან აღმოჩნდნენ. შიგნით თითქმის არაფერი ჩანდა. საბძელში აქეთ-იქით თივა ეყარა და სადღაც ახლოდან ცხენების ჭიხვინი ისმოდა. უეცრად წვერიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მოსულებს ძალიან თბილად მოესალმა. მან თქვა, რომ მღვდელია და სწორედ ის ჩაატარებს ნათლობას. მღვდელმა დამსწრეებს განუმარტა, თუ რა იყო ნათლობა. არც ერთი სახელი არ ყოფილა ნახსენები. ეს ორივე მხარისთვის საშიში იყო. მღვდელი რამდენიმე წუთით გავიდა გარეთ. მოხუცმა ქალმა ყუთებიდან თივის გადმოყრა დაიწყო. როგორც გაირკვა, ეს ყუთები ხატების

სადგმელები აღმოჩნდა. შესასვლელის თავზე მას შემდეგ, რაც თივისგან გაწმინდა, დიდი ჯვარი გამოჩნდა. ნათლობის დროს მაშა თითქოს გრძნობდა ღმერთის იქ ყოფნას, მოსკოვისგან დაშორებულ ამ პატარა სოფელში.

"მამისა, ძისა და სულიწმინდის სახელით დღეს და სამარადჟამოდ ვილოცოთ ღმერთისათვის."

მღვდელმა და ორმა მგალობელმა, თუკი ორი ჩაითვლებოდა მგალობელთა გუნდად, ჩაატარეს ნათლობის ცერემონია. ყველაფერი საუკეთესო საკათედრო ტაძრის მსგავსად ხდებოდა.

ცერემონიის ბოლოს მღვდელმა ბიჭუნა ხელში აიყვანა, ლოცავდა მას და სამჯერ ჩააყურყუმალა ემბაზში, რაც ჩვეულებრივ დიდ კასრს წარმოადგენდა.

თითოეული იქ მყოფი უდიდესი სიხარულით იყო აღსავსე. დიმიტრი, მილა და სანდრო დაეხმარნენ მოხუც ქალს კვლავ თივით შეენიღბა ხატები. 15 წუთში საბძელმა ძველი სახე მიიღო.

უსაფრთხოების მიზნით მოსკოვში კვლავ ცალ-ცალკე დაბრუნდნენ. მაშას და სანდროს ცხოვრებამ ახალი შინაარსი შეიძინა, მათი შვილი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო.

მეექვსე ნაწილი

მოსკოვი. 1941 წელი

საჭვოა, რომ ვინმეს ახსოვდეს თარიღები, მით უმეტეს, მასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს თარიღები ჩვენ გვეჩვენება მოსაბეზრებელ ნივთებად, რითიც კიდევ უფრო მეტად გვამახსოვრებენ თავს ჩვენი მასწავლებლები და მშობლები და რაც ჩვენ უსარგებლოდ გვეჩვენება. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს წელი, მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი თარიღებით, თუმცა ეს საჭიროა ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში. ჩვენ ვიცით საკუთარი დაბადების თარიღი, მშობლების, ძმების და დების დაბადების დღეები. მაგრამ ვიცით კი, როდის დაიბადნენ ჩვენი ბებიები და პაპები, ბიძები და დეიდები? არა, თუ ეს რომელიმე დღესასწაულთან არ არის დაკავშირებული.

თუმცა, ზოგჯერ მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სურვილის მიუხედავად, რჩება მახსოვრობაში. ჩვენ არა მარტო ვიმახსოვრებთ თარიღს, არამედ ზუსტად გვახსოვს, რას ვაკეთებთ იმ დღეს. ჩემთვის და ჩემი თაობისთვის 1941 წლის 22 ივნისი ისე ჩაიბეჭდა მეხსიერებაში, რომ სანამ ცოცხლები ვართ, არასოდეს დაგვავიწყდება არც ეს დღე და არც ის, რას ვაკეთებდით იმ დღეს.

გამთენიისას გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მოსკოვში მე საქართველოდან სამი დღით ადრე ჩამოვედი. მთელი შაბათი ოჯახში გავატარე. ვთამაშობდი ანდრიუშასთან, ვგეგმავდი მომავალს მაშასთან ერთად. გერმანელი ფაშისტების შემოჭრის ამბავი შევიტყვეთ, დეტალების გარკვე-

ვა გვინდოდა, ირგვლივ კი სრული ქაოსი იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს არავინ არაფერი იცოდა და ყველაფერი ჭორის დონეზე არსებობდა, თან ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. მხოლოდ ერთი იყო გარკვეული, საკუთარი მთავრობით გაწამებულ ქვეყანას თავს დაატყდა კიდევ ერთი საშინელი მონსტრი-ჰიტლერი. განა რა დავაშავეთ ისეთი, რომ უმძიმესი ბედი გვერგო.

ყველა არმიაში ეწერებოდა ვერაგ მტერთან საბრძოლველად. მეც გადავწყვიტე არ დავლოდებოდი გაწვევას და მოხალისედ ჩავწერილიყავი არმიაში. თან იმედი მქონდა, ბერიას ხალხი არ დამიწყებდა იქ ძებნას. მე თითქოს ძალზე უმნიშვნელო ვიყავი, მაგრამ ამავე დროს ძალზე განვსხვავდებოდი მათგან.

- მაშა, მე გადავწყვიტე არმიაში წავიდე. თითოეულმა ადამიანმა უნდა იბრძოლოს. მე ჯანმრთელად ვგრძნობ თავს და ხვალვე ჩავეწერები.

მაშას არაფერი უთქვამს, მხოლოდ საწყალობლად გადახედა ჩვენ შვილს.

- ჰო, სანდრო, მე მესმის, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება? ხომ უნდა ვიფიქროთ უსაყვარლეს ორი წლის შვილზე. შენ რომ მოგკლან, ხომ საბოლოოდ დავიღუპებით?

- მე თავს გავუფრთხილდები მაშა. ეს აუცილებელი საქმეა. მე სხვა რამესაც გპირდები, ვინ იცის, იქნებ მათ მითხრან კიდეც, რახან კარგი მომღერალი ხარ, უნდა დაბრუნდე დიდ თეატრში და გააგრძელო სასცენო მოღვაწეობაო.

ჩვენ ჩავეკარით ერთმანეთს, მაშა ასლუკუნდა. მე ვეფერებოდი მის რბილ წაბლისფერ თმას.

- მაშა, აზრი მომივიდა. რატომ არ უნდა დაბრუნდე სახლში, ვოლგაზე? და რაც შეიძლება სწრაფად. დედაშენს ძალზე გაუხარდება შენი და ანდრიუშას ნახვა. იქ უსაფრთხოდ იქნები, მე კი ხშირად მოგწერ და პირველი შემთხვევისთანავე ჩამოვალ თქვენთან.

იმ ღამეს ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, თითქოს ჩვენი სხეულები წებოთი იყო შეწებებული. ორივეს გვაშინებდა მომავალი. კარგად გვესმოდა, რომ ცხოვრებაში ჯერ ძალზე ცოტა გვქონდა გაკეთებული.

მეორე დღეს კომისარიატში მივედი და ყველა ფორმალობა შევასრულე.

- სულაძე ალექსანდრე, - წამოიყვირა გამხდარმა მამაკაცმა რუხ სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა და მიუჯდა ოვალურ, მთლიანად დაკაწრულ საწერ მაგიდას.

- აქ ვარ, - ვუპასუხე ხმამაღლა და შევედი ოთახში. მე და იქ მყოფთ გვიბრძანეს დავლოდებოდით.

45 წუთის შემდეგ ოთახიდან სერჟანტი გამოვიდა და პატარა, შედარებით მყუდრო ოთახში შემიყვანა.

- სულაძე ალექსანდრე, რას საქმიანობთ თქვენ?

- მე ვმღერი, - ვუპასუხე.

- მეც, სულაძე. მე ზუსტად მინდა ვიცოდე, რას საქმიანობთ და თქვენი ჰობი სულაც არ მაინტერესებს.

- დიახ, მესმის, რასაც ბრძანებთ, თუმცა მე ნამდვილად მომღერალი ვარ, ვმღეროდი დიდ თეატრში.

- თქვენს ანკეტაში წერია, რომ დაამთავრეთ ან თითქმის დაამთავრეთ სამედიცინო ინსტიტუტი.

- დიახ, ეს სიმართლეა.

- ძალიან კარგი, სულაძე, ახლა თქვენ იქნებით მედიკოსი. ჩვენ არ ვაპირებთ სიმღერით გერმანელების დაბანგვას. ასე არ არის?

ცხადი იყო მასთან კამათი უაზრობას უდრიდა. მისი სახის გამომეტყველება სულ სხვა კუთხით განაწყობდა ადამიანს. ასე რომ, მე გავხდი ექიმი. ახლა უნდა წარმომეჩინა მთელი ჩემი ცოდნა. წარმოდგენაც კი არ მქონდა, საით გამიშვებდნენ. მხოლოდ ერთი შემეძლო მეთქვა - მშვიდობიან პერიოდში იმისთვის, რომ ექიმი გამხდარიყავი, უნდა გა-

გეკლო სპეციალური მომზადება, თუმცა ოდნავადაც არ უნდა აგვერიოს 1941 წელი მშვიდობიან პერიოდთან. სამი თვე დასჭირდათ გერმანელებს მოსკოვის საზღვრებთან მოსასვლელად. ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს ლენინგრადს, დაიპყრეს ბელორუსია, მოლდავეთი, უკრაინის უდიდესი ნაწილი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათ ვერაფერი შეაჩერებდა წყნარი ოკანის სანაპიროს გარდა. ეს ელვისებური ომი ყველაფერს ანადგურებდა თავის გზაზე, ყოველდღიურად 80 კილომეტრით მიიწევდა წინ.

მილიონობით ადამიანის ცხოვრება და ბედი არ იყო ის, რაზეც შეიძლებოდა ყურადღების გამახვილება, ადამიანები არაფრად უღირდათ.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი ჯარების განადგურება საბოლოოდ მტერმა ვერ შეძლო. ომის პირველივე დღეებში ჩვენი სამხედრო წარმოება გადატანილი იქნა აღმოსავლეთში, სადაც მტერი ვერაფრით მისწვდებოდა. ისინი დღე-ღამეში 24 საათი შეუსვენებლად მუშაობდნენ. ჯერ კიდევ არ იყო შენობა, კედლები, სახურავი და საწარმოები კი უკვე ტანკებისა და თვითმფრინავების გამოშვებას იწყებდნენ. უკლებლივ ყველა, მამაკაცი, ქალი, ბავშვი მობილიზებული იყო. ჩვენ არ ვაპირებდით გერმანელების მონები გავმხდარიყავით, ამიტომაც მზად ვიყავით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის.

თავიდან მეთოთხმეტე სამედიცინო კორპუსში დამნიშნეს. ყველა ჩვენგანმა დაახლოებით იცოდა, რა უნდა გვეკეთებინა. მე ასე ვთვლიდი. ჩვენს ჯგუფში შედარებით კარგად ვფლობდი სამედიცინო ცოდნას, ვინაიდან სამედიცინო ინსტიტუტის მხოლოდ ბოლო კურსი არ დამიმთავრებია. ჩვენ გვითხრეს, რომ მონაწილეობას მივიღებდით მოსკოვისთვის ბრძოლაში. ყველამ კარგად იცოდა გერმანელთა დარტყმის მთავარი მიმართულება სწორედ მოსკოვისკენ იყო გამიზნული.

- ამხანაგებო, - თქვა ჩვენი ნაწილის მეთაურმა კაპიტანმა ბელიაკოვმა, - თქვენ უნდა იცოდეთ მედიცინა. ისე აქ ვერც მოხვდებოდით. ზოგიერთი თქვენგანი შეიძლება მკურნალი ექიმიც გამოსულიყო. თუმცა მე ვიცი, რომ ზოგიერთის ცოდნა მედიცინაში მხოლოდ სახვევის დადებით შემოიფარგლება. სამართლე გითხრათ, ჩემთვის ეს სულერთია, უკვე სამედიცინო კორპუსის პერსონალი გეწოდებათ. თქვენი საქმიანობის ძირითადი მიზანი არის ის, რომ დამაკავშირებელი რგოლი ხართ ცოცხლებსა და მკვდრებს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა დივიზიამ უნდა ეძებოს ბრძოლის ველზე დაჭრილები, გამოვიყვანოთ დასახიჩრებულები, ვისაც კიდევ ექნება შანსი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდნენ ბრძოლის ველს. დაწყებული სამუშაო უდავოდ მეტად სახიფათოა. მრავალი თქვენგანი ასევე, ალბათ, დაიღუპება, თუ ბრძანებას არ დაემორჩილებით. მე თვითონ დაგხვრეტთ. ჩემს სიტყვებში ჯერ ეჭვი არასოდეს არავის შეუტანია. თქვენ ქირურგები არა ხართ, ძირითადი სამუშაოა დახარისხება. თქვენი გადასაწყვეტი იქნება, ვისი გადარჩენა შეიძლება და ვისი - არა. საქმიანობისას მოისმენთ მრავალ კვნესას და ყვირილს. მე ახლახან დაებრუნდი ფრონტიდან და მერწმუნეთ, ეს სულაც არ არის სასიამოვნო ხმები. მე პედიატრი ვარ და ჩემი მოწოდებაა სიცოცხლისთვის ვიბრძოლო. თქვენ დაუშვებთ შეცდომებსაც. ეს საქმიანობის მუდმივი თანამდევია, განსაკუთრებით ღამის პირობებში. მიუხედავად ამისა, მომდევნო დაჭრილისკენ მაინც წახვალთ, ვინც სისხლისგან იცლება და დახმარება სჭირდება. ჯერ არც ერთ თქვენგანს ომი არ უნახავს. როგორც კი მას ნახავთ, თვალის დახამხამებაში ვეტერანები გახდებით. მე არ მაინტერესებს თქვენი აზრი, საერთოდ წარმოდგენა არა გაქვთ რა გელოდებათ წინ. მხოლოდ გახსოვდეთ - სიკვდილ-სიცოცხლის შუაში დგახართ. დაუშვებთ შეცდომას და ამით ჯარისკაცი დაიღუპება. თქვენ

არ გაქვთ არავითარი დაგვიანების უფლება. ბოლოს ბოდიში მინდა მოგიხადოთ გამოყოფილი ტანსაცმლის გამო. ჩვენ სპეციალურად დიდები შევარჩიეთ. ეს ტანსაცმელი თქვენს შემცვლელებსაც უნდა მოერგოს. გისურვებთ წარმატებას.

ალბათ, ძალიან რბილად იქნება ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველანი გაოგნებულნი ვიყავით ასეთი მომართვისგან, მე უკვე რამდენიმე მეგობარი გამიჩნდა. ომი აყალიბებს ისეთ მეგობრულ ურთიერთობებს მთელი ცხოვრების განმავლობაში რომ რჩება. ერთ-ერთი მათგანი მოსკოველი გეოლოგი იური პეტროვი იყო. მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ როგორ გააერთიანეს გეოლოგია და მედიცინა - ალბათ, ეს ვიღაცის წარმოუდგენელი ფანტაზიის ნაყოფი იყო.

- ეს რა თქვა, - იკითხა პეტროვმა, - მგონი მან ისიც კი თქვა, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ იცოცხლებს, ვის გაუკეთებს ოპერაციას ქირურგი, თუმცა კარგად ვერ გავერკვიე, როგორ უნდა მოვახდინოთ ეს "დახარისხება".

- წარმოდგენა არ მაქვს, - ვუპასუხე მე, - ალბათ შეამჩნიე როგორ გვიყურებდა ლაპარაკის დროს. თითქოს ხაზს უსვამდა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ვიყავით ან რას ვაკეთებდით აქამდე. თან ჩვენს ტანსაცმელზე გამოთქმული შენიშვნა უფრო ჩვენზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის გამიზნული იყო, თუმცა უნდა აღვნიშნო, ტანსაცმელი ჩემთვის პატარაა, ალბათ დამთხვევაა.

- მომისმინეთ ბიჭებო, - თქვა ნიკოლოზ კალაშნიკოვმა, კიდევ ერთმა ახალმა ამხანაგმა, ყოფილმა მათემატიკის მასწავლებელმა, - ჭრილობის ხარისხის, გადარჩენის შესაძლებლობის შეფასება არცთუ ისე რთულია. მე ვფიქრობ, ეს იყო ბრწყინვალე სიტყვა. რაც შეეხება დიდ სამხედრო ფორმას, მე უკვე მქონდა ასეთი.

- მათემატიკური შესაძლებლობა, ნიკოლოზ, მგონი შენ ასე თქვი, იფეთქა პეტროვმა, - ჩვენ რა ბლოკნოტით ხელში ჩამოვჯდებით და დავიწყებთ შესაძლებლობების კანონების გამოთვლას? სხვათა შორის, მოძებნილი მაქვს ზუსტი პასუხი: მე მოვხვდები ან ჯოჯოხეთში ან ნაცისტებთან.

- იქნებ მან არ იცის, რას ლაპარაკობს, - ვთქვი მე, - ის იყო ფრონტზე, ჩვენ - არა. ჩვენ ყველამ კარგად გავიგონეთ, რომ დაჭრილები ძალიან მძიმეები არიან.

- შეიძლება, - თქვა კალაშნიკოვმა, მაგრამ მე ვფიქრობ ის უბრალოდ პროფესიონალია, მეცნიერულად გვამზადებს ჩვენ დავალებისთვის, რაც წინ გველოდება.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ნათელი იყო, რომ ჩვენს წინაშე იდგა დიდი შეშფოთების გამომწვევი ამოცანა. მოსკოვის დასაცავად სამი ფრონტი იყო შექმნილი: დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის. წარმოდგენა არ გვქონდა, რამდენი გერმანელი მოიწევდა ჩვენს წინააღმდეგ. ერთი კი ნათელი იყო, ეს ნამდვილად უზარმაზარი რაოდენობა იქნებოდა. მათ ჰყავდათ ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარისკაცები და ძლიერი წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის არტილერია, სატანკო ნაწილები ჰქონდათ. ჩვენი ერთადერთი შანსი მხოლოდ ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიგვეყენებინა მათთვის. ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჩვენ კოღოები ვიყავით და გერმანულ სპილოს ვუპირებდით დაკბენას. ჩვენი ძალების ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო დასავლეთის ფრონტზე, სწორედ იქით იქნა გადასროლილი ჩვენი ქვედანაყოფი. ჩვენ მეთაურობას გვიწევდა გენერალი კონევი, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მარშალი ჟუკოვი ამ კანდიდატურის წინააღმდეგი იყო. საქმის განხილვისას კი ისე ჩანს, სტალინს თავისი მოსაზრება ჰქონდა, ამიტომაც მოხდა ამ სახის დანიშვნა.

თავად მოსკოვი ამ დროს ნამდვილ ციხე-ქალაქს წარ-

მოადგენდა. ყველგან დანაღმული მინდვრები, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და ბარიკადები ჩანდა. გაძლიერებული იყო საჰაერო თავდაცვა. მრავალი ადამიანი ევაკუირებული იქნა ქალაქიდან. ადამიანების დიდი მასა მუშაობდა ქალაქის მისადგომების გასამაგრებლად. მათ შორისაც აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ისინი ჯერ კიდევ გუშინ ბიბლიოთეკარები, მასწავლებლები, მეცნიერიმუშაკები იყვნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი მაშაც მათ შორის იყო. ჩვენ ვიცოდით, გერმანელები ყველაფერს სპობდნენ თავის გზაზე, ამიტომ ეს იყო ბრძოლა, როგორც სამშობლოსთვის, ასევე თითოეული ჩვენგანის გადარჩენისთვის.

1941 წლის 12 ოქტომბერს მეხუთე არმიის შემადგენლობაში მივიღეთ პირველი საბრძოლო ნათლობა. ადრე ყოველთვის მეგონა, ომი უფრო მოწესრიგებული საქმიანობა იყო. ეს ალბათ თეატრში სამხედრო სცენების დადგმის შთაბეჭდილებიდან დამრჩა. რაც მე ვნახე, მისთვის ყველაფერი შეიძლებოდა მეწოდებინა, გარდა მოწესრიგებულებისა. ეს იყო ყოვლისმომცველი ქაოსი. ირგვლივ ფეთქდებოდა ჭურვები, ტყვიები დაზუზუნებდნენ ორივე მიმართულებით, ყოველი მხრივ გუგუნით მოძრაობდნენ ტანკები. ისეთი ხმაური იდგა, საკუთარ ხმას ვერ გაიგონებდა კაცი. ქირურგთა ბრიგადა ფრონტის ხაზიდან 20 კილომეტრში მუშაობდა. ჩვენი ჯგუფის საქმიანობა ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ საკაცეებით გავსულიყავით მოწინავე პოზიციებზე და მოგვეძებნა დაჭრილები. ჩემი მეწყვილე პეტროვი აღმოჩნდა. სულ ჩვენს ჯგუფში 58 ასეთი წყვილი იყო. მთავარი ბაზიდან მოწინავე პოზიციებამდე სატვირთო მანქანებით მივყავდით. იქ უკვე წელში მოხრილები გავრბოდით ბრძოლის ველისკენ. წარმოიდგინეთ თქვენი თავი მინდორში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ბრძოლა, თანაც უნდა მოძებნო დაჭრილი და გადაარჩინო. სწორედ ამას ვაკეთებდით ჩვენ. არაერთი სანი-

ტარი გაქვავებულა ერთ ადგილზე პირველად ამ სცენის დამნახავი.

- სანდრო, დამიძახა პეტროვმა, რომელიც თითქმის მიწის პირზე მიცოცავდა, - იქით ვიღაც ყვირის.

- მისი მუნდირის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, რომ ეს ოფიცერია. მოდი დავაწვინოთ საკაცეზე. მე თავსა და ხელს შევუხვევ, შენ კი დამიჭირე, - ვუთხარი მე.

სასწრაფოდ შევუხვიე ჭრილობები და ფრთხილად ავწიეთ საკაცე. ნორმალურ ვითარებაში მამაკაცი საკმაოდ მძიმეა, ომის ვითარებაში სიმძიმეს საერთოდ ვერ ვგრძნობდით, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი კონკრეტული შემთხვევის დროს მაინც. ჩვენ წელში მოხრილები, რაც შეიძლება სწრაფად უკან დავბრუნდით და ვცდილობდით საკაცე სწორედ დაგვეჭირა. კაპიტანს ბევრი სისხლი ჰქონდა უკვე დაკარგული და ბოდავდა. დაჭრილი სატვირთო მანქანაზე დავაწვინეთ და უკან დავბრუნდით. გზაზე სხვა სანიტრები გვხვდებოდნენ, მათაც სატვირთო მანქანებისკენ დაჭრილები მიჰყავდათ.

ნისლი ჩამოწვა და წვიმაც დაიწყო. ამან თითქოს განწყობილება სულ მცირედით მაინც აგვიმაღლა.

- იურა, შენ ხედავ რამდენი კაცია მიმობნეული. შეხედე, შეხედე, უმეტესობა თითქმის ბავშვები არიან, ფრთხილად ფეხი არ დაადგა.

- საშინელებაა, მარჯვნივ გაიხედე, მგონი იქიდან ტირილის ხმა მესმის, - მითხრა პეტროვმა.

- ამხანაგო, ამხანაგო, რა გჭირს? - ვკითხე დახოცილ ჯარისკაცებს შორის მდგარ ახალგაზრდას, რომელიც ოცი წლის ძლივს იქნებოდა. - თქვენ თავად როგორა ხართ?

ახალგაზრდა კაცი უაზრო თვალებით მიყურებდა. შუბლიდან ჩამოსული სისხლი წარბებთან დედდებოდა. მე მგონი ეს მისი სისხლი არ იყო, რადგან დაჭრილს არ ჰგავდა.

- მეგობარო, რა გქვიან? - ყურში ჩასძახა პეტროვმა. ცისფერთვალება ბიჭმა, სიტყვის უთქმელად, ავტომატი შემართა და ტყვია თავში დაიხალა. მეც და პეტროვსაც გული აგვერია და კიდევ კარგა ხანს გვქონდა გულის რევის შეგრძნება.

- წამო სანდრო, სჯობია ვინმე სხვა მოვძებნოთ, თორემ ჩვენი ნაძირალა კაპიტანი ჩაის დროს ტყვიას დაგვახლის.

- ამ მავთულხლართის იქით კვნესა ისმის, ფრთხილად იყავი, ძალიან ბასრია, - ვთქვი მე.

როგორც იქნა, ვიპოვეთ მკვნესარე ჯარისკაცი. ტალახში იწვა. ერთი ხელი თითქმის მოგლეჯილი ჰქონდა, ფეხებიდან კი სისხლი სდიოდა. იქვე შევუხვიეთ და მანქანებისკენ დავიძარით. ახლოს ფეხის ხმა გავიგონეთ.

- სდექ, მანდ ვინ ხართ, - დაუყვირა პეტროვმა. ესენი რომ გერმანელები აღმოჩენილიყვნენ, წასული იყო ჩვენი საქმე.

- ხმა ჩაიწყვიტეთ, - შემოგვესმა პასუხად და რამდენიმე ჯარისკაცი მოგვიახლოვდა. - ჩვენ ვაგროვებთ მოკლულების იარაღსა და ამუნიციას.

არა მარტო წესიერად დასაფლავების, არამედ მკვდრების პატივის მიგების დროც არ იყო. ჩვენ სწორედ ამ სცენას შევესწარით, როგორ ხდიდნენ მკვდრებს ტანსაცმელს და აგროვებდნენ იარაღს.

- ამ მანქანაში არის ერთი ადგილი, - ვთქვი მე, როდესაც ტალახით მოთხვრილ მომწვანო-მოყავისფრო სატვირთო მანქანასთან მივედით. კიდევ 15 საათი ვეძებდით დაჭრილებს. ჩემთვის ძალზე ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ შევაჩერებდით გერმანელთა შემოტევას. ნოემბრის დასაწყისში ჩვენთან წესისამებრ ზამთარი დგება, თან მოაქვს სიცივე და თოვლი. იმ წელს კი რაღაც განსაკუთრებული სიცივეები დაიჭირა. ყინვამ უკვე 25 გრადუსს მიაღწია. ზამთრის თბილი ფორმა გვეცვა. ჩვენ ვიცოდით, რომ გერმანელებმა მოსკოვის

მიმართულებით მილიონამდე ჯარისკაცი გადმოისროლეს. ისინი ისე იყვნენ დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რომ ნახევარზე მეტს ჯერ კიდევ საზაფხულო ფორმა ეცვა.

გერმანელთა შეტევა 5 დეკემბერს დამთავრდა. სწორედ ამ დროს დაიწყო ჩვენი კონტრშეტევა. ამ პერიოდში ჩვენი დანაკარგები უზარმაზარი იყო. მარტო ჩვენმა ნაწილმა ათასადე ჯარისკაცი დაკარგა. ეს კი მთელი შემადგენლობის ნახევარს უდრიდა. დაიღუპა ნიკოლოზ კალაშნიკოვი. მას ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა მაშინ, როდესაც დაჭრილი გამოიყვანა ახლოს მდებარე პოზიციებიდან. ჩვენს საწყალ მეგობარს გადარჩენის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა - მე პირჯვარი გადავწერე მას, წავიკითხე ლოცვა და წავედი ფეთქებად ღამეში.

ჩვენი ჯარები აგრძელებდნენ შეტევას, ვიდრე თებერვალში არ ამოიწურა რეზერვები და საბრძოლო მასალები. მაგრამ ერთი ფაქტი იყო: ძლიერმა და აქამდე უძლეველმა გერმანელების არმიამ პირველი ბრძოლა წააგო და ვერც ჩრდილოეთში შეძლო ლენინგრადის აღება.

- პეტროვი და სულაძე ჩემთან, - დაიძახა უკვე მაიორის რანგში აღზევებულმა ბელიაკოვმა, - თქვენთვის კარგი ინფორმაცია მაქვს. ჩვენ შევირბინეთ მის კარავში, რა გასაკვირია ომში ხომ ძალზე ცოტა სასიამოვნო ინფორმაციის მიღების შანსია. ის მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა ღამეში საკუთარი თავის დათვალიერებისას ტყვიების ნაკვალევს ან გახვრეტილ ადგილებს ვერ აღმოაჩენდი.

- სულაძე, მე თქვენ დიდი ხანია, გადევნებთ თვალს, — მითხრა მაიორმა, — თქენ მიერ მოყვანილი დაჭრილები ბევრად უკეთ არიან მოვლილი, ვიდრე სხვებისა. თქვენს დოკუმენტებს გავეცანი. ფაქტობრივად, სამედიცინო ინსტიტუტი გაქვთ დამთავრებული, თან რუსულად, ეს კარგია. ამიტომ გაწინაურებთ. დღეიდან ქირურგი ხართ, ხოლო პეტროვი

თქვენი ასისტენტი იქნება. ჰო, კიდევ ერთი, ხვალ სტალინ-გრადში მიემგზავრებით. გისურვებთ წარმატებებს.

- გილოცავთ, ამხანაგო სულაძე, - ნახევრად ხუმრობით მითხრა პეტროვმა.

- ხმა ჩაიწყვიტე იურა! როგორ ვიქნები ქირურგი, მე ხომ მომღერალი ვარ. კარგად ვიცი, როგორ ვიმღერო და არა როგორ გავჭრა.

- გაუშვი სანდრო, შენ შეგიძლია ამის გაკეთება. სამედ-იცინო ინსტიტუტში ალბათ ყველაფერი გასწავლეს და თუ ვერ გაჭრი, უმღერებ მაინც დაჭრილებს.

- პეტროვ, შენ აქ უნდა დარჩე და მე დამელოდო: გადავიტან რაღაც-რაღაც ხელით საზიდრებს. შენ კი რჩევას მოგცემდი, უფრო მეტად ზრდილობიანი იყო საკუთარ უფროსთან, თორემ პრობლემები შეგექმნება.

- მესმის! - თქვა პეტროვმა და ხელით სალამი მომცა, რაც მხოლოდ გიმნასტურის ჯიბეებამდე მიიტანა და თანაც ქუსლები მიარტყა ერთმანეთს.

მეორე დღეს სხვა ნაწილებთან ერთად ჩვენც სტალინ-გრადისკენ გავემგზავრეთ. უკვე ვიცოდით, რომ ამჯერად გერმანელები სამხრეთის მიმართულებით უტევდნენ. ხელმძღ-ვანელობას ვთხოვე სამდღიანი შვებულება ვოლგაზე ჩემი ოჯახის მოსანახულებლად. მოულოდნელად თანხმობა მივიღე მე იქ არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა მაშას დედა ელენე ვლადიმერის ასული ჩვენთან იყო რამდენიმე თვე მოსკოვში სტუმრად, ასე რომ, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. სოფელში მათ სახლს იოლად მივაგენი. ანდრიუშა ხის ძირას რაღაც სათამაშოებით თამაშობდა, ბებიამისი კი სარეცხს ფენდა. ძალიან მაინტერესებდა ამდენი ხნის შემდეგ თუ მიცნობდა შვილი.

- შენ სულაძე ‘ხარ? - ვკითხე ბიჭს.

- მე მქვია ანდრია ალექსანდრეს ძე სულაძე, - მიპა-სუხა მან, — თქვენ რა გქვიათ?

- მეც სულაძე ვარ, - ვუპასუხე მე.

- სტყუი, ეს მე ვარ სულაძე, - მითხრა მან.

- მეც ვარ, - ჯიუტად ვუთხარი ისევ.

- ახლა უფრო დაკვირვებით შემომხედა, თითქოს რაღაცას იხსენებსო და უცბად წამოხტა.

- მამა, ეს შენ ხარ, ეს შენ ხარ! შემომახტა, ხელები კისერზე მომხვია და სიხარულის ცრემლები დაედინა მის პატარა, მრგვალ სახეს. ერთ ხანს ასე ჩახუტებულები ვეფერებოდით ერთმანეთს.

- წავიდეთ სახლში, დედა ვნახოთ, - ვუთხარი მე.

- ეი, თქვენ ვინ ხართ? - დამიყვირა ელენე ვლადიმერის ასულმა. მე ამ ბავშვის ბებია ვარ და თუ ახლავე ხელს არ გაუშვებთ, ძვალ-რბილს გაგიერთიანებთ.

- გამარჯობათ, ელენე ვლადიმერის ასულო, მიხარია, რომ კვლავ გხედავთ, - გაღიმებულმა ვუთხარი მე.

კარგად დამაკვირდა და მივხვდი, ძლივს მიცნო.

- სანდრო, სანდრო, აქ რას აკეთებ? მაშას არ უთქვამს, რომ ჩამოხვიდოდი.

- მან არ იცოდა, სიმართლე რომ ვთქვა, არც მე ვიცოდი, ეს ისე მოულოდნელად მოხდა. გაიცანით ჩემი მეგობარი იური პეტროვი. ჩვენ ერთად ვიბრძოდით მოსკოვთან, ახლა კი სტალინგრადში მივემგზავრებით.

- გამარჯობათ, წავიდეთ მაშასთან.

სამი დღე ჩვენ კვლავ ერთად ვიყავით. არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცოდით შევხვდებოდით კიდევ ერთმანეთს თუ არა. სამმა დღემ ელვის სისწრაფით გაიქროლა.

აქამდე კარგადაც კი არ მქონდა გააზრებული, რამდენად ძვირფასი იყვნენ ისინი ჩემთვის. განშორება ძალზე მძიმე იყო, ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე პირველად.

ჰოსპიტალი, სადაც ჩვენ გამოვცხადდით, შუა ქალაქში იდგა.

- ამხანაგო მაიორო, - მოვახსენე მაიორ ვიქტოროვს, - ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სულაძე გამოცხადდა თქვენს განკარგულებაში. მე მითხრეს, რომ დანიშნული ვარ ქირურგად, მაგრამ არ მაქვს მთლიანად დამთავრებული თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ გამომიყენოთ, როგორც სანიტარი, ასევე ამხანაგი პეტროვიც.

- ამხანაგო სულაძე, მე გავეცანი საბუთებს. თქვენ გაცილებით უკეთესი სამედიცინო განათლება გაქვთ, ვიდრე აქ მყოფ სხვა ქირურგებს. თქვენ სწორედ ის ხართ, ვინც მე მჭირდება.

- იმედი მაქვს, ამხანაგო მაიორო, ჩემს მიმართ უფრო შემწყნარებელი იქნებით, რადგან მე მომღერალი ვარ და სხვა არაფერი მეხერხება.

- მეც მიყვარს სიმღერა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში. ხვალ რვა საათიდან შეუდექით საქმეს, მანამდე კი შტაბში გამოცხადდით.

მთელი მომდევნო თვე ქირურგობას ვსწავლობდი. მივხვდი, რომ ქირურგია ისევე მომწონდა, როგორც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას. პირველი ჩემი დავალება იყო მაიორის ან სხვა ქირურგების მიერ ოპერაციაგაკეთებული ჯარისკაცების გაკერვა. რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე ვფიქრობდი კიდეც, როგორ გამეუმჯობესებინა ზოგიერთი პროცედურა.

1942 წლის აგვისტოში გერმანელთა განთქმულმა მე-6 არმიამ დაიწყო ყოველმხრივი შეტევა სტალინგრადზე. ეს მართლაც ვერმახტის საუკეთესო ნაწლები იყო. მათ დაიპყრეს საფრანგეთი, ლამანშს იქეთ გადარეკეს ინგლისელები, გაიარეს იუგოსლავია თავისი პარტიზანებით. მართალია გერმანელები დავამარცხეთ მოსკოვთან, მაგრამ მათ შეძლეს ჩვენი შეტევის შეჩერება და კონტრშეტევაზეც კი გადავიდნენ მოსკოვის მიმართულებით.

აქ სტალინგრადში, ბოლშევიკების მოსვლამდე (მას ცარიცინი ერქვა), ნამდვილი ჯოჯოხეთი იდგა. სტალინგრადი სიდიდით მესამე ქალაქს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში. ქალაქი განთქმული იყო თავისი ბაღებით და ნაგებობებით. როგორც ჩანს, გერმანელებმა გადაწყვიტეს მოსკოვისა და ლენინგრადის ჯავრი სტალინგრადზე ეყარათ და ქალაქი პრაქტიკულად მიწასთან გაასწორეს. უკვე ოქტომბრისთვის ქალაქში არც ერთი ნაგებობა აღარ იდგა.

ოქტომბრის ბოლოსთვის მე უკვე ჩვენი ნაწილის მეორე ქირურგი ვიყავი. ყოველდღე 10-15 ოპერაციას ვაკეთებდი. პეტროვი დაჭრილთა დახარისხებით იყო დაკავებული.

- საღამო მშვიდობისა, ყმაწვილო, თავს როგორ გრძნობთ?

- ვკითხე კარვის კუთხეში მწოლიარე ჯარისკაცს. გუშინ დილით გავუკეთე მას ოპერაცია. იგი მკერდსა და მუცელში იყო დაჭრილი, თან ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

- ყველაფერი რიგზეა ექიმო. დიდ მადლობას მოგახსენებთ, როდის გამწერთ აქედან?

- სამი დღის შემდეგ გაგგზავნით ზურგში. თქვენ სრულ გამოჯანმრთელებას ექვსი-შვიდი კვირა დასჭირდება. სასწაულად ხართ გადარჩენილი. ორი ტყვიით და რამდენიმე ნამსხვრევით იყავით დაჭრილი. ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ გაჩენილი.

- მომისმინეთ ექიმო, ზეგ მე წავალ ფრონტზე, არ ვაპირებ აქ ტყუილად ჯდომას. ჩემი ნაწილი შურისმაძიებელთა პოლკია. თქვენ გაგიგიათ რამე ჩვენს შესახებ?

- არა, არ გამიგია. რა არის ეს?

- იმისთვის, რომ ჩვენს პოლკში მოხვდე, ადამიანმა თავის თავზე უნდა გამოსცადოს გერმანელთა მთელი სისასტიკე. თითოეულ მათგანს, ვინც ნახა ეს ნაძირალები, თუ რას

უშვრებოდნენ ჩვენს ხალხს, უნდა შური იძიოს. სამი დღის წინ კიდევ ერთხელ ვნახე მათი სისასტიკის შედეგი. ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს მოჭრილი ჰქონდა ხელები და ფეხები, მუცელი კი - მთლიანად გაფატრული. ჩვენთან არის ხალხი, ვისაც უნახავს ხელფეხმოჭრილი ბავშვები. თუ ისინი ნაწილებად არ ჭრიან ადამიანებს ან არ თხრიან თვალებს, ისეთ ჭრილობებს აყენებენ, რომ მათ წამებით დალიონ სული. ექიმო, მე თქვენ ჯარისკაცებზე არ გელაპარაკებით, მე რუს ქალებზე, ბავშვებსა და მოხუცებზე გესაუბრებით და თუ დავიღუპებით მათ გადასარჩენად ბრძოლაში, ეს ღირს ამად.

არაფერი მქონდა სათქმელი. ორი დღის შემდეგ იგი წამოდგა საწოლიდან, აიღო იარაღი და თავის ნაწილს შეუერთდა. ჩვენ მისთვის ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგვეძლო.

ვერაფრით გამეგო, რა უნდოდათ გერმანელებს, რატომ წამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ცხოვრების დონით ისინი ბევრად აღგვემატებოდნენ. ჩვენ მათთვის არაფერი დაგვიშავებია. ისინი ჩვენზე უკეთ ცხოვრობდნენ. მათ არაჩვეულებრივი გზები, თბილი და ნათელი სკოლები, სურსათით სავსე მაღაზიები ჰქონდათ. რატომ ჩვენ? - აი ეს კითხვა მიღრღნიდა გულს.

ზაფხულში სტალინმა გამოსცა თავისი ცნობილი 227
ბრძანება. ეს ბრძანება ტყვედ ჩავარდნილებს და უკან დახეულებს ეხებოდა. მათ ემუქრებოდა ბევრი რამ, მათ შორის, მათი ოჯახების შრომით ბანაკებში გადასახლებაც. ამის საპასუხოდ ჰიტლერმა გამოსცა ბრძანება - უკან არ დაეხიათ არავითარ შემთხვევაში. ყოველი გერმანელი ვალდებული იყო, მომკვდარიყო და უკან არ დაეხია. გერმანელებმა კი ბრძანების შესრულება იცოდნენ.

ზამთარი ჩვეულებისამებრ ნოემბერში დაიწყო. გერმანელებს რატომღაც ჩამოუყალიბდათ ტრადიცია, შეტევა გვიან შემოდგომაზე დაეწყოთ. ეს გასაკვირი იყო, რადგან მათ კარგად იცოდნენ რუსული ზამთრის ამბავი, თუნდაც 41 წლის ზამთარი მოსკოვთან რად უღირდათ. ჩვენც ვგრძნობდით ზამთრის სუსხს საკუთარ თავზე. პაციენტები თავად ადევნებდნენ თვალს სუნთქვის მდგომარეობას. ზოგჯერ თბილი ხელთათმანებით გვიხდებოდა ოპერაციის გაკეთება, რომ ხელები არ გაგვყინოდა. ამ დროისთვის ურალში ევაკუირებული და თავიდან შექმნილი საწარმოები სრული დატვირთვით მუშაობდა და არა ისე, როგორც მოსკოვისთვის ბრძოლის დროს. თბილი ტანსაცმელი, იარაღი, ტანკები და თვითმფრინავები ყოველდღე მოედინებოდა ფრონტისკენ. კვებაც აშკარად გაუმჯობესდა. ყოველივე ამან და იმის გაგებამ, რომ ჩვენ სიმართლისთვის და ჩვენი სამშობლოსთვის ვიბრძოდით, ომის ჩარხი ჩვენსკენ შემოაბრუნა. ნოემბრის ბოლოსთვის ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამ ოპერაციას მარშალი ჟუკოვი ხელმძღვანელობდა. ის არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ჰოსპიტალში, მაგრამ ბევრი რამ გაგვეგონა მის შესახებ. ჯარისკაცებს ან უყვარდათ ის, ან სძულდათ, შუალედური არ არსებობდა.

დეკემბერ-იანვარში ჩვენმა ბრძოლამ ახალი ხასიათი მიიღო. 31 იანვარს გერმანელთა განთქმული მე-6 არმია ფელდმარშალ პაულიუსის მეთაურობით ალყაში მოექცა. გერმანელებმა დაკარგეს მილიონნახევარი ჯარისკაცი, ათასობით ტანკი და თვითმფრინავი. არავის დაუთვლია ჩვენი დანაკარგები, არადა, ეს იყო უზარმაზარი რაოდენობა, როგორც სამხედროების, ასევე სამოქალაქო პირთა სახით.

ვის შეუძლია გათვალოს, რა მოხდება ომში? გერ-

მანელების განადგურების ჩვენი შანსები თავიდან ძალზე უმნიშვნელო იყო და აი, ჩვენ უკვე მეორედ გავანადგურეთ ისინი. უკვე ჩვენმა სამხედროებმა გადაწყვიტეს მათი პრუსიული უკანალები ისევ გემანიაში შეეტენათ.

ამ დროისთვის მე უკვე ნამდვილი ქირურგი ვიყავი. ჩემმა თითებმა შეიძინეს ქირურგისთვის დამახასიათებელი სიმკვრივე. ყოველდღე მიხდებოდა უამრავი ოპერაციის გაკეთება. მე თვითონ ვიყავი მოწმე სტალინგრადში არაერთი ადამიანის გმირობისა. თითოეული მათგანი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

არსებობს მრავალი ახსნა, თუ რატომ მოვიგეთ ომი, მაგრამ ჩემი შეხედულება იმაზე შეჩერდა, რომ ჩვენმა მხარემ უარი თქვა დანებებაზე, უარი თქვა დამარცხებაზე. თითოეული ჩვენგანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ქალი თუ კაცი, ვერ დამარცხდებოდა. ეს იყო ინდივიდუმების და არა სამხედრო სიძლიერის ან სტრატეგიის გამარჯვება.

- სულაძე, - დამიძახა მაიორმა ვიქტოროვმა, - მოემზადეთ, თქვენ სასწრაფოდ ლენინგრადს მიემგზავრებით. იქ ძალზე მძიმე სიტუაციაა. მათთვის უკვე ერთი კვირის შემდეგ საჭიროა ქირურგები.

- იურა, გაიგე რა თქვა მაიორმა? მოემზადე.

სწრაფად შევაგროვეთ ჩვენი ნივთები. ერთ დროს მშვენიერი სტალინგრადი ნანგრევებად იყო ქცეული.

- სანდრო, შენ როდისმე გინახავს მსგავსი რამ? - მკითხა პეტროვმა, - ნახე რა დარჩა ქალაქიდან.

- ჰო, სტალინგრადი განადგურებულია, მაგრამ არ არის სიკვდილი. შენობები ერთ მშვენიერ დღეს ისევ წამოიმართება. გახსოვს ის ჯარისკაცი, შურისმაძიებელთა პოლკიდან? დადგა შურისძიების ჟამი. ახლა ჩვენ მათ უკან გავგზავნით

ბერლინში, საიდანაც მოვიდნენ. იქაც მივაკითხავთ, ჩვენი ჯარისკაცები შეძლებენ ამას, შენ მხოლოდ ცქერა მოასწარი.

- გავიგე, რომ ლენინგრადში ძალზე მძიმე სიტუაციაა. შენც გაიგე სანდრო?

- რაც აქ ვნახეთ, - ვუთხარი მე, - ამაზე საშინელება რაღა იქნება? მაგრამ იქ მართლაც გაცილებით უარესი საშინელება იყო, თუკი მსგავსი რამ შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს.

მეშვიდე ნაწილი

თბილისი. საქართველო. 1948 წელი

ქართველებს ხშირად უყვართ ხოლმე თქმა - ღმერთი მიწებს რომ არიგებდა, ჩვენ ვქეიფობდითო. ბოლოს, ნაგვიანევად, მიწისთვის ღმერთს რომ მივაკითხეთ, მიწები უკვე ჩამორიგებული ჰქონდა, ამიტომ თავისთვის დატოვებული სამოთხის მიწა მოგვცაო. ეს ლეგენდა ლამის უცხოელებსაც სჯერათ და ამას იმით ამართლებენ, რომ გული მუდამ აქეთკენ მოუწევთ. მე კი იმიტომ დავბრუნდი, რომ ამ მიწის შვილი ვიყავი, ვიცოდი აქ არ მომაკლდებოდა თავშესაფარი. არ მასვენებდა კითხვა, სად უფრო მშვიდად შეიძლება ცხოვრება? რაკი ლავრენტი ბერია მოსკოვში იყო, ალბათ, თავი უსაფრთხოდ უფრო თბილისში უნდა მეგრძნო, აქ უნდა დავბინავებულიყავი. სინამდვილეში ხომ ბერია საქართველოს მოსკოვიდანაც მართავდა, მაგრამ, ჩემი აზრით, თბილისში ყოფნა სჯობდა. არადა, ჩემი დანაშაული ის იყო, რომ თბილისში კი არა, მოსკოვში ვმღეროდი, პოლიტიკაში არ ვერეოდი, მხოლოდ გაზეთებს ვკითხულობდი, ეს კი დანაშაულად ხომ არ ითვლება. ვინ იცის, იქნებ ითვლება კიდეც!

***

სამედიცინო ინსტიტუტში ქირურგიის პროფესორის ადგილი მომცეს, საავადმყოფოშიც მიწევდა ოპერაციების გაკეთება. იმის მიუხედავად, რომ მედიცინა დიდ ძალისხმე-

ვას, ცოდნას მოითხოვდა. ჩვენი ხელფასი ტაქსის მძღოლის შემოსავალზე ბევრად ნაკლები იყო. ამიტომ ზოგიერთი ექიმი ამა თუ იმ ფორმით ფულს, საჩუქრებს იღებდა. დროთა განმავლობაში იმ დასკვნამდე მივედი, რომ პარტიას არ სურდა ექიმებს მაღალი ანაზღაურება ჰქონოდათ. საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრება, რომლებსაც ექიმები უნდა მკურნალობდნენ, სულაც არ აინტერესებდა.

ფული რომ დამეზოგა, ჩემი ბიძაშვილის დალის ბინაში ერთი ოთახი ვიქირავე. ფულის გამორთმევა არ უნდოდა, მე კი არ მოვეშვი. ორივესთვის ეს სასარგებლო იყო: მას ცოტაოდენი შემოსავალი გაუჩნდა, მეც საშუალება მომეცა ახლობლებთან ვყოფილიყავი და შინ მესადილა. დალი ქმართან - გარსევანთან და ორ შვილთან - რევაზთან და ლელასთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვები 10 და 8 წლისანი იყვნენ. ყოველთვის მათი შემხედვარე ანდრიუშა მენატრებოდა.

- სანდრო, შაბათ საღამოს გეცლება?

- არ ვიცი, დალი. გამოძინებას ვაპირებდი. ინსტიტუტსა და საავადმყოფოში დიდი სამუშაო მქონდა, მინდა დავისვენო.

- მე და გარსევანი ვაპირებთ ბავშვები მცხეთაში წავიყვანოთ. დროა მათ იცოდნენ ჩვენი წარსული. შენც ხომ არ წამოხვიდოდი? შემომეხმიანა მეორე ოთახიდან დალი, რომელიც პიანინოდან მტვერს წმენდდა. მან მოისურვა შვილებს მუსიკა ესწავლათ. ზოგჯერ თვითონვე ამეცადინებდა. იმათგან, ვისაც ვიცნობდი, დალი ყველაზე ენერგიული, მოძრავი და უსაზღვროდ ოპტიმისტი იყო. მას ღმერთის დიდად სწამდა და ალბათ, ეს აძლებინებდა ვითარებაში, რაც ირგვლივ ხდებოდა.

- კარგი, დალი. იქნებ გარემოების შეცვლამ სარგებლობა მომიტანოს.

მცხეთაში ტიპიური ექსკურსიამძღოლი შეგვხვდა. იგი ცდილობდა არაფერი ეთქვა რელიგიური კულტურის ძეგლებზე და არ ეხებოდა კიდეც. შეიძლება გეფიქრა, ექსკურსიამძღოლი სატრაქტორო სადგურზე ლაპარაკობდა. ექსკურსია როგორც კი მორჩა, გარეთ გამოვედით.

- ექსკურსიაზე ხომ არ გამომყვებით? - გვკითხა ხის ქვეშ მდგარმა მაღალმა ჭაღარა მამაკაცმა. მან გაგვიღიმა და ქათქათა კბილები გამოაჩინა.

- არა, გმადლობთ, უკვე მოვამთავრეთ, - უპასუხა დალიმ.

- თქვენ მაგას ექსკურსიას ეძახით? მე ნამდვილი ექსკურსია მაქვს მხედველობაში. მოდით, შევთანხმდეთ: თუ ექსკურსია მოგეწონებათ, თითო მანეთი ჩამოდით, თუ არა - თქვენი კაპიკიც არ მინდა.

- დრო კიდევ დაგვრჩა, - თქვა გარსევანმა, - ხომ არ გვეცადა? თანახმა ვართ.

- თუკი ასეა, წამოდით, - გვითხრა "ექსკურსიამძღოლმა". მას თავისი სახელი არ უთქვამს. ისე გაგვიძღვა საკათედრო ტაძრისკენ. გზადაგზა ჩუმად გველაპარაკებოდა, თუმცა არც ერთი სულიერი იქ არ ჭაჭანებდა.

... და მან მთელი მართლმადიდებლური სარწმუნოების ხატების წარმომავლობისა და მთელი საქართველოს ისტორია ისე კარგად და შთაგონებით გვიამბო, რომ ბავშვებიც კი მოხიბლულები დარჩნენ. არც ერთ ჩვენგანს სიტყვაც კი არ გვითქვამს, მხოლოდ მადლობა გადავუხადეთ და შეპირებული გასამრჯელოც მივეცით. თბილისში ავტობუსით დავბრუნდით. კვლავ თვალი მოგვტაცა ცას მიბჯენილმა დიდებულმა ჯვრის მონასტერმა. თუმცა აფორიაქებული ვიყავი, აღარც კი მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექი უჩუმრად.

- ძია სანდრო, - ფიქრი შემაწყვეტინა ლეილამ, - მოგეწონათ ექსკურსია?

- ძალიან, ლეილა, ძალიან, - ვუპასუხე.

- სხვაგანაც წამოგვყვებით? - მკითხა ლიმილით გოგონამ.

- ჩემო პატარაე, აი რას გეტყვი: მე რაჭაში დავიბადე, ქუთაისში გავიზარდე და თბილისში ვსწავლობდი, - ვუთხარი სიცილით, - ჰოდა, უკვე უფრო მეტი რამ დამავიწყდა, ვიდრე თქვენ უახლოეს ათ წელიწადში ისწავლით.

- ეს რა გამოდის ძია სანდრო, თქვენ ხომ მოხუცი ხართ, საქართველოში რატომ არ ცხოვრობთ? - მკითხა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა რევაზმა.

- აქ იმიტომ არ ვცხოვრობ, რომ ოჯახი მოსკოვში მყავს. თქვენ ხომ აქა ხართ და აი, ჩამოვედი, რათა შეგამოწმოთ და ვნახო, ჩააბარებთ თუ არა გამოცდას.

- თანახმა ვართ, დაიწყეთ, - ერთდროულად მითხრეს მათ.

- კარგია, აი ასეთ შეკითხვას დაგისვამთ. თქვენ ორივენი ფიქრობთ, რომ მე მოხუცი ვარ, კარგით ასე იყოს! ისე კი გეტყვით, ორმოცს გადავაბიჯე. აბა, თუ მეტყვით, მსოფლიოში რომელი ქვეყანაა, სადაც ას წელზე მეტი ხნის ადამიანები ცხოვრობენ, უფრო მეტნი, ვიდრე საქართველოში?

- სომხეთში, - თქვა ლეილამ.

- ბულგარეთში, - წარმოთქვა რევაზმა ამაყად, რითიც უნდოდა ეჩვენებინა, თუ რა კარგად იცოდა სასკოლო გეოგრაფია.

- არა, არც ერთის პასუხი სწორი არ არის. ას წელზე მეტი ხნისანი ჩვენში - საქართველოში ცხოვრობენ. ჩვენთან გუნდიც კი არის, სადაც ას წელზე უხნესი მომღერლები არიან. თბილისშიც კი შეგიძლიათ მათ მოუსმინოთ, თუ მოისურვებთ.

- ძია სანდრო, 100 ბევრად მეტია, ვიდრე 40?

- არა, არც ისე ბევრია. აი ბოლო კითხვაც. ყურადღებით იყავით, თუ სწორად მიპასუხებთ, ხვალ "მამალოებს"

მოგიტანთ. ალბათ იცით მე და მამათქვენი ზოგჯერ, თუ თავს შეუძლოდ ვიგრძნობთ ხოლმე, თბილისის გოგირდის აბანოებში დავდივართ. აბა, მითხარით, რამდენი ცხელი წყაროა აქ?

- ხუთი ათასი, - მიპასუხა ლეილამ.

- არა, ორი მილიონი, - იყო რევაზის პასუხი.

- ვერ მიპასუხეთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახლა ექვსიღა დარჩა, ოდესღაც 68 იყო. რა თქმა უნდა, იქ მხოლოდ მოზრდილები დადიან. მე განსაკუთრებით მომწონს ტალახის სამკურნალო. იქ მთელ ტანზე ტალახს გისვამენ.

- ტალახს? რაო ტანზე ტალახს გისვამენ? - მკითხა მეტისმეტად გაკვირვებულმა ლეილამ, - მე კი, ყოველთვის, თუ ტალახში ამოვიგანგლები, დედა მიჯავრდება და დაბანას მაიძულებს.

- გეტყვით, ჩემო პატარებო, თქვენი პასუხით კმაყოფილი ვარ, ამიტომ ვფიქრობ, "მამალოები" დაიმსახურეთ.

მეორე დღეს მართლაც ვუყიდე "მამალოები". დღემდე არ ვიცი, დავარწმუნე თუ არა ჩემს ქართველობაში, თუ ისევ მოსკოველ ბიძიად ვრჩები. ბავშვებისა და მოზრდილთა უმრავლესობისათვის ხომ ჩვეულებრივი ამბავია მიაწებონ იარლიყები და ისინი ადამიანებთან გაიგივონ, მაგალითად: ფეთხუმი კაცი, თავსედი რუსი, ლაქლაქა ქალი, კეთილი კაცი, ხალხის მტერი. იდეოლოგი-მანიპულატორები მუდამ და ყოველთვის მარჯვედ იყენებდნენ ამ ფენომენს, დაუნდობლად უტევდნენ ადამიანთა გონებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით. ყოველდღე ვცდილობდი განმესაზღვრა მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ის, რასაც მე მმმ-ს მასმედია-მანიპულირებას ვუწოდებ. მმმ კვლავ და კვლავ სხვადასხვანაირი სიტყვებითა და სხვადასხვაგვარი გამოთქმებით, სანამ იარლიყი სამუდამოდ არ მიეკვრება რაიმეს ან ვინმეს, ანდა არ ჩაიკირება

იმათ გონებაში, ვისაც ამას უნერგავდნენ, ან თავად მანიპულატორების ტვინში. ალბათ, ეს მათი მთავარი იარაღია.

ორშაბათს საავადმყოფოში სამუშაოდ ერთგვარად სულიერად დამშვიდებული მივედი, რაც მანამდე არ შემინიშნავს.

- ძია სანდრო, - მითხრა რევაზმა, როგორც კი შინ შემოვედი, - სამზარეულოში ვიღაც კაცი გელოდებათ.

მაშინვე გონებაში გამიელვა, თუ ეს კაცი სუკიდან არის, ალბათ მარტო არ მოვიდოდა და არც სამზარეულოში მომიცდიდა, თუმცა არასოდეს არაფერში დარწმუნებული არ შეიძლება იყოს კაცი. თურმე იგი ჩემი ძველი მეგობარი თომა ყოფილა, ისიც ჩემსავით მოსკოვში ცხოვრობდა. მოსკოვი ხომ საბჭოთა კავშირის ცენტრს - დედაქალაქს წარმოადგენდა და ცხოვრების პირობებიც იქ უფრო მაღალი იყო, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ამიტომაც მოსკოვში ყველა ჯურის ხალხი იყრიდა თავს.

- გამარჯობა, სანდრო. შაბათს დაგირეკე მოსკოვში და მაშამ მითხრა, თბილისშიაო. წერილი გამომატანა.

- გმადლობთ, თომა. მოდი თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ.

- მხოლოდ გადღეგრძელებ, წასასვლელი ვარ. მართლაც თომა მალე გამომემშვიდობა და წავიდა. მე კი ჩემი მაშას წერილის კითხვა დავიწყე:

"ჩემო ძვირფასო სანდრო! იმედი მაქვს, ჯანმრთელად ხარ, დალიც და მისი ოჯახიც ალბათ, კარგად არიან. ანდრიუშა თავს მშვენივრად გრძნობს, უკვე დიდი ბიჭია. ორივეს ძალიან მოგვენატრე, სულ იმას ვფიქრობ, როდის გნახავ.

სანდრო, სამწუხარო ამბავი უნდა შეგატყობინო. ხუთშაბათს მარგარიტა ისე მესტუმრა, რომ წინასწარ არაფერი უთქვამს. ხომ გახსოვს, მისი ქმარი ბორისი წინათ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, მერე კი ლუბიანკაზე მცველად გადავიდა. მარგარიტას წინათაც უთქვამს, სულ უფრო მეტსა

და მეტს სვამს, თუმცა წინათ ასე არასოდეს თვრებოდაო.

გასულ კვირას ღამის მორიგეობიდან დაბრუნებულ ბორისს მთელი ბოთლი დაულევია. მერე დასაძინებლად დაწოლილა, მარგარიტა კი სამსახურში - დიდ თეატრში წასულა. შინ რომ დაბრუნებულა, ბორისი თავისი ქამრით დამხრჩვალი უნახავს. მარგარიტა ამას რომ მიამბობდა, ერთი ცრემლიც კი არ წამოსვლია. ეტყობა, იგი უკვე გამოტირებული ჰყავდა. მხოლოდ ის მითხრა, რომ ძალიან უყვარდა ქმარი და ციხეში მუშაობა მისთვის პირდაპირ წამებას წარმოადგენდა. მას ისევ სკოლაში დაბრუნება უნდოდა, რადგან ძალიან მგრძნობიარე კაცი იყო.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვილაპარაკეთ, როგორც იტყვიან, ქალურად წავიჭორავეთ. იგი ხომ მაინც ქალია, თუმცა არასოდეს ამჟღავნებდა თავის გრძნობებს. იქნებ, მარგარიტა ასეთნაირად ცდილობდა დაეცვა თავი გარეშეთაგან. იგი ეთამაშებოდა ანდრიუშას, სანამ გასტრონომში ვიყავი საყიდლებზე. ეტყობა, ამან ცოტა შვება მისცა და გაამხიარულა. თითქმის არავინ იცის, თუ რა შეემთხვა ბორისს. მარგარიტა ისევ დიდ თეატრში მუშაობს, უთქმელად იკლავს დარდს გულში.

იმედი მაქვს, მალე გნახავ. ანდრიუშას მასწავლებელი მეუბნება, ძალიან კარგად სწავლობსო. იმის მიუხედავად, რომ იგი დაწყებით კლასშია. ეტყობა, სწავლა მოსწონს. წარმოიდგენდი ამას?

მიყვარხარ, გკოცნი, მაშა."

საწყალი, საწყალი, მარგარიტა! ამ ქალმა ლამის დედობა გამიწია დიდ თეატრში. მისი გულითადი ზრუნვა რომ რა, ალბათ გუდა-ნაბადს ამიკრავდნენ თეატრიდან. ერთმანეთის გვერდით მუშაობით ხომ ბევრ რამეს ვგებულობდით. მარგარიტამ პროფესიულ დონეზე მარტო სიმღერის ტექნი-

კური ასპექტები კი არ იცოდა, არამედ მუდამ გრძნობდა, როდის უნდა შეეშველებინა ხელი კაცისათვის.

მის ქმარს, ბორისს, ახლოს არ ვიცნობდი, მას მხოლოდ რამდენჯერმე შევხვედრივარ და მაშასგან ვიცოდი, ის "ლუბიანკაზე" საზარელი ციხის მედილეგე იყო. მანამდე კი მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში. ციხეში მუშაობა მარტო იმიტომ დაიწყო, რომ მეტი შემოსავალი ჰქონოდა. თავის სამსახურის შესახებ მარგარიტას გარდა არავის არ ელაპარაკებოდა. ისე კი მესმოდა, ბორისს ახალი სამსახური ნამდვილად სძულდა. რა თქმა უნდა, გამიჭირდებოდა მედილეგეების შეცოდება, თუ მარტო შენ კი არ ხარ პატიმარი, არამედ მთელი ქვეყანაა დატუსაღებული კომუნისტთა ხელმძღვანელობით. მედილეგეები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი: ვისაც სიამოვნებას ანიჭებს საბჭოთა ტერორის სადიზმი და ვინც ბორისის მსგავსად მისი მსხვერპლი გახდა.

1951 წლის დადგომისთანავე, სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი შინ დაბრუნების უდიდეს სურვილზე. ცოტაოდენ შვებას მაძლევდა ის, რომ წელიწადში ორჯერ მოსკოვში ჩავდიოდი, ზაფხულობით კი ანდრიუშა და მაშა ჩამოდიოდნენ საქართველოში. არა, მე ის კი არ მაფიქრებდა, თითქოს თბილისში ცხოვრება არ მინდოდა, არამედ ოჯახთან განშორება მაწუხებდა.

გარსევანი კავშირგაბმულობის სამინისტროში მუშაობდა, ამიტომ ყველა გაზეთს იღებდა, მათ შორის იყო მოსკოვისაც.

- გარსევან, ყველა გაზეთი გადაჭრელებულია ცნობებით მოძმე ქვეყნების - პოლონეთის, აღმოსავლეთ გერმანის, უნგრეთის, რუმინეთის შესახებ. რაო, ისინი გგონია მართლა "მოხიბლულები" არიან ჩვენი მაგალითით? - ვკითხე ერთ-ერთ საღამოს ნავახშმევს, როცა თითო ჭიქა ღვინის დალევა გადავწყვიტეთ. - ზოგიერთ ქვეყანაში ნამყოფი ვარ და, რა

ვიცი, ვერსად შევატყვე, რომ ვინმეს გულზე ვეხატებოდეთ.

- ალბათ, იქ ადამიანთა რომელიმე ჯგუფს მოსწონს საბჭოთა კავშირი, - მითხრა დინჯად გარსევანმა და ჩიბუხი გააბოლა.

- აი, შენ ამბობ "ჯგუფებიო", მაგრამ ეს ხომ უმრავლესობა არ არის.

- ძნელია უმრავლესობაზე ლაპარაკი, - მითხრა გარსევანმა და ბოლქვ-ბოლქვად გამოუშვა ბოლი. - მგონია ამ ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა ვერ იქნება კომუნიზმით აღტაცებული, ეს მათთვის უბრალოდ უცხოა. თუნდაც ისინი გარეგნულად ეთანხმებოდნენ კომუნისტურ მოწოდებებს, ეს არავითარ გავლენას არ ახდენს მათ შინაგან მრწამსზე. ცხოვრებისეული გამოცდილება ამ თეორიებს თავდაყირა აყენებს.

- რა თქმა უნდა, გეთანხმები, - ვუთხარი მე, - მაგრამ განა მათ ტვინს არ უჭედავენ, თითქოს მომავალში ეს გამართლებული იქნება? ხომ გაჩნდა ახალი საბჭოთა ადამიანი!

- ბუნებრივია, ამას აკეთებენ. მაგრამ აბა შეხედე ჩვენს ბელადებს: მათთან არ აიგივებენ ახალ საბჭოთა ადამიანს. შენ ხომ არა გგონია ხალხს ესმის, თუ რას წარმოადგენენ ისინი? ძნელია მუდმივად ხალხის გასულელება, ამან შეიძლება მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე გასტანოს.

- აბა, რატომ ვრცელდება კომუნიზმი სულ უფრო მეტ ქვეყნებში? - შევეკითხე და ვთქვი, თუნდაც არა სჯეროდეთ ის, რასაც ჩვენს გაზეთებში წერენ, კომუნისტური იდეები ხომ მაინც ვრცელდება?

- სანდრო, შენ ხომ ექიმი ხარ, კიბო განა არ ედება ორგანიზმს, თუმცა ადამიანს ეს არ უნდა? - დამისვა კითხვა გარსევანმა. მის ჩიბუხს ჩემდა შეუმჩნევლად ოთახში ისეთი კვამლი დაეყენებინა, ეშმაკურად მომღიმარე სახე ძლივს გა-

ვარჩიე. მან ისევ მკითხა, - მითხარი, კიბო როდის აჩერებს თავის ზრდას?

- როცა კაცი კვდება, - ვუთხარი მე, - გგონია, იგი უკვე მკვდარია?

- ვერაფერს ვიტყვი პოლონეთის ან სხვა სოციალისტური ქვეყნების შესახებ, საბჭოთა კავშირი კი უკვე დიდი ხანია, მიიცვალა.

- აბა, ამის თქმის საბაბს რა გაძლევს, - წამოვიძახე მე, - ვერა ხედავ, რამდენი ხალხი იმეორებს პარტიის ლოზუნგებს! ეს კი დაკლების ნაცვლად პირიქით მატულობს.

- სწორედ ეს თუთიყუშობანაა ამის საწინდარი, ადრე თუ გვიან ნორმალური ადამიანები შეიგნებენ, რომ დასაკარგავი არაფერი აქვთ და მოქმედებას შეუდგებიან.

- გარსევან, გადაჭარბებით ხომ არ აფასებ ხალხის ძალას, მათ სურვილს რაიმე შეცვალონ.

- ალილო და ხვალეო, - მითხრა გარსევანმა. ჩვენ უკვე ვცლიდით ბოთლს და წესისამებრ, ცოტა ეწყინა კიდეც, რომ ღვინო უკვე შემოგვესვა, თითქოს მეგობარი დაგვკარგოდეს.

მგონია ყველა ოდესმე საკუთარ თავს შეეკითხება, რა როლი ეკისრება მას მსოფლიოში. უფროსი თაობა, ჩვეულებრივ, ახალ თაობას აკრიტიკებს. მაგრამ ჩვენ რას გვიშვრებიან საბჭოთა კავშირში? ტირანიის მიზანი ის არის, რომ ამოძირკვოს ქრისტიანობა და ქრისტიანული მორალი თითოეულ საბჭოთა მოქალაქეში. აბა იმაზე უკეთესი რა შეიძლებოდა მოეფიქრებინათ, ვიდრე ადამიანთა ხოცვა, ვინც შვილებს უეჭველად ქრისტიანულ ღირებულებათა სულისკვეთებით აღზრდიდნენ! საბჭოთა ერის გენოფონდის მთლიანი შეცვლა უნდოდათ. ეს მნიშვნელოვანწილად მოახერხეს კიდეც. იმდენად მაინც ვერა, განზრახული რაც ჰქონდათ და უნდოდათ.

ზოგჯერ ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებსაც სიცოცხლე მოუსწრაფეს. ნუთუ ისინი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულები არიან? განა მათი ოცნება ჩვენიც არ იყო? მათი იმედები - ჩვენიც? კომუნისტები სპობდნენ ათეულ მილიონობით კაცს, მაგრამ ამ ნაწამებ ადამიანთა ხსოვნა მარადიულია და სწორედ ამ ხსოვნიდან აღმოცენდება კომუნისტური ურჩხულის გამანადგურებლის თესლი.

მერვე ნაწილი

მოსკოვი, 1953 წელი

– სანდრო, გაიღვიძე, რაღაც მოხდა! ყველა რადიოსადგური გადმოსცემს მხოლოდ შოპენს. ქუჩებში გიჟებივით დაჰქრიან აქეთ-იქით მანქანები. სანდრო, მოდი რა, ადექი.

– კარგი, კარგი, მე უკვე ვდგები, წაიბურტყუნა სანდრომ და მოიფშვნიტა თვალები, – ალბათ ეს არის პარტიის ყრილობა, სხვა რა შეიძლება იყოს.

ოთხი საათის შემდეგ რადიოში გამოაცხადეს გასაოცარი ამბავი: ინსულტით გარდაიცვალა ამხანაგი სტალინი, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, ჩვენი დიდი ბელადი.

– ვის შეეძლო ეფიქრა, რომ სტალინი მოკვდებოდა!

– ყველა კვდება, მაშა, სტალინიც კი. მაგრამ ვინ შეცვლის მას? აი რა მაწუხებს მე!

შემდეგ დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და "მოძმე ქვეყნებიდან" ასიათასობით ადამიანი მოაწყდა მოსკოვს.

ათასობით და ათასობით ხალხი დგებოდა რიგში, რათა უკანასკნელ გზაზე პატივი ეცათ და ჯეროვნად დაეფასებინათ სტალინი. მოსკოვი დაემსგავსა ერთ დიდ დამკრძალავ ბიუროს: ხალხი "მავებში იყო ჩაცმული. ხალხთა მამა იოსებმა, უდიდესმა გენერალსიმუსმა ვერ შეძლო თავი აერიდებინა სიკვდილისთვის.

ვინაიდან სანდრო რამდენიმე თვეში ერთხელ ჩამოდიოდა მოსკოვს და ისიც მხოლოდ ერთი კვირით, მაშამ

თავის ბინაში დააყენა ლერა ნინიძე, ახალგაზრდა სტუდენტი საქართველოდან. იგი სამართალს სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ფულის გარდა, რასაც ლერა იხდიდა და რაც თავისთავად არასოდეს ზედმეტი არ არის, ის თოთხმეტი წლის ანდრიუშასაც დაუმეგობრდა.

- ლერა, შენ წახვალ დღეს დაკრძალვაზე? - შეეკითხა მაშა.

- დიახ, მინდა ვნახო. ჩემი მეგობრები მიშა და ლენა გამომიელიან. თქვენ უნდა გახსოვდეთ, ისინი ბევრჯერ ყოფილან აქ. ო, ზარია, ალბათ მოვიდნენ კიდეც... - სალამი, მობრძანდით, მიესალმეც დეიდა მაშას.

ორი მეგობარი მიესალმა და ამავე დროს, კიდევაც დაემშვიდობა მაშას, რათა შეერთებოდნენ გორკის ქუჩაზე კრემლის მიმართულებით მიმავალი ხალხის მასას.

მაშამ და სანდრომ გადაწყვიტეს სახლი არ მიეტოვებინათ და ანდრიუშა არ გაეშვათ ქუჩაში, სჯობს შორს იყოს ყოველივე ამ სიგიჟისაგანო.

როცა ლერა მეგობრებთან ერთად წავიდა, მაშა დაფიქრდა, თუ რა ხდებოდა მოსკოვის ქუჩებში. ყველა ადამიანი საკუთარი ოჯახისა და მეგობრების გარდა, ასე თუ ისე, კავშირშია თავის ქვეყანასთან, შესაძლებელია აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ერთადერთი ბელადი, რომელიც ახსოვდა მაშას, გარდაიცვალა. მან იცოდა, რომ სტალინი შემზარავ ურჩხულს წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, ის არასდროს თხოულობდა თავისთვის. ცხოვრობდა მოკრძალებულად, უბრალოდ. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ თუ ვინმეს დადანაშაულება შეიძლებოდა, ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესების გამო, ეს არ იყო სტალინის ბრალი. ყველაფერი ბრალდებოდა მის გარშემო მყოფებს. შესაძლებელია ეს იყო ვირთაგვა ბერია და მასთან ერთად სხვა სისხლისმსმელი დამქაშები.

- სანდრო, მოდი ისაუზმე. გუშინ ვიყიდე შენი საყვარელი ყველი. რას ფიქრობ, ვინ დაიკავებს სტალინის ადგილს? შენ ყოველთვის ყურადღებით ეცნობი გაზეთებს, როგორც რომაელები თავის დროზე სწავლობდნენ წიწილების შიგნეულობას.

- ძალიან მეშინია, ასე მგონია, ეს შეიძლება ბერია იყოს, - თქვა სანდრომ. მან განაგრძო ჩაის სმა და გადაწყვიტა საყვარელი ჟოლოს მურაბა დაეყოლებინა. ფანჯრის მინა მისი ზურგის უკან ისე იყო გაყინული, რომ თითქმის ქუჩა არ ჩანდა. ოდნავ იყო გაღებული სარკმელი, საიდანაც შემოდიოდა ჰაერის ცივი ნაკადი. - სხვას ვის აქვს კიდევ ამდენი ძალაუფლება? ვნახოთ, ვინც სამგლოვიარო ცერემონიალის დროს საპატიო ყარაულში იდგება, სწორედ ერთი იმათგანი იქნება შემდეგი. შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ ბერიას აქვს სხვების მიმართ ნამდვილი ან მოგონილი სამხილი. მე ფსონს ვდებ ბერიაზე.

ამ დროისთვის უკვე არსებობდა ბერიას პიროვნების კულტი. ის განასახიერებდა ბოროტებასა და სიკვდილს. იმ შემთხვევაში, თუ სტალინი იყო კარგი, მაშინ ბერია ნამდვილად ცუდს განასახიერებდა.

უმრავლესობა ასე ფიქრობდა. ლაპარაკობდნენ, რომ ლავრენტი თავად ხოცავდა ხალხს. მთელი მისი საქმიანობა მთლიანად საიდუმლოებით იყო მოცული: საიდუმლო პოლიცია, საიდუმლო ინფორმაცია... ვინ იცოდა რა იყო მართალი, ვის სჭირდებოდა სიმართლე? მრავალი წელი ის იყო სუკის სათავეში, მრავალი მილიონი ადამიანის დახოცვისთვის პასუხისმგებელ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

- ეს საშინელებაა. - თქვა მიშამ, - ისევ დაიწყება დაპატიმრებები. შენ გაგიგია, რას ყვებიან, როგორ იტაცებს ქალებს პირდაპირ ქუჩებში და მიჰყავს სახლში. უცნაურია ის, რომ შემდგომ მათ უშვებს.

- არასოდეს გამიგია, ასეთი ხმები ჭორებს უფრო ჰგავს, - უპასუხა სანდრომ.

- ეს სიმართლეა, ყველამ იცის ამის შესახებ. მე ვიცნობ ერთ ადამიანს, რომელსაც ბერიამ წაართვა ნაცნობი ქალი ქუჩაში. მე ისიც გამიგია, რომ ის არის ძალიან ნაზი საყვარელი, სულ არ ჰგავს მასობრივ მკვლელს, შეიძლება ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი.

- მხოლოდ ქალებს შეუძლიათ დაუკავშირონ მამაკაცის რეპუტაცია მის თვისებებს. რა შეგიძლია თქვა შენ ჩემს შესახებ?

- თქვენ ბატონო მომღერალო ქირურგო, ყველა თვისებებით ხართ გასაოცარი, თქვა მაშამ ისეთი ღიმილით, რაც ცოლიანი მამაკაცისთვის ნიშნავდა თხოვნას ნაგავი გაიტანეო. კიდევ კარგი, შორს მაინც არ იყო წასაღები.

- მგონი ახალგაზრდები უკვე ბრუნდებიან სახლში, - თქვა მაშამ.

- დეიდა მაშა, იქ რაღაც საშინელება ხდება. მიშას ზურგზე აქვს ჭრილობები. თუ გაქვთ რამე დეზინფექციისთვის? უნდა შევაჩეროთ სისხლდენა.

- მე უფრო კარგი რამ მაქვს, მეზობელ ოთახში მყავს ექიმი. სანდრო მოდი აქ. ჩანდა მიშას ძლიერი ტკივილი აწუხებდა, თუმცა ამას არ იმჩნევდა.

- სალამი მიშა. მე სანდრო მქვია. მოდი შევხედავ შენ ზურგს. მართალია გაქვს რამდენიმე ჭრილობა, თუმცა არც ერთი საშიში არ არის. გაიხადე პერანგი. ჭრილობები უნდა დამუშავდეს. ყველაფერი წესრიგში იქნება, რა მოხდა ასეთი?

- ჩვენ ლერასთან და ლენასთან ერთად შევუერთდით კრემლისკენ მიმავალი ხალხის ტალღას. თავიდან ყველაფერი კარგად იყო. მანეჟის მოედანთან მისულებს ხალხი მთელი ძალით მოგვაწვა. გარშემო ტიროდნენ და ყვიროდნენ. მე რაც კი შემეძლო, ვცდილობდი დამეცვა ისინი ხალხისგან.

- მიშა, რას ნიშნავს დამეცვა ისინი ხალხისგან? - იკითხა სანდრომ.

- მეც, ყველას მსგავსად, სასტიკად ვარ გაოცებული. საშინელებაა, ყველაფერი სამყაროს დასასრულს ჰგავს. ეს ადამიანი იყო გმირი, მაგალითი ყველა ჩვენთაგანისთვის.

- ესეც ასე. წამოჯექი, შეგიძლია ჩაიცვა პერანგი. მე დაგისხამ ჭაჭას, დაგამშვიდებს.

სანდრომ დაასხა, მაშამ კი სადილის მომზადება დაიწყო. სამზარეულო შედარებით პატარა ოთახი იყო. მიუხედავად ამისა, აქ იყრიდა თავს ყველაზე მეტი ხალხი.

- გმადლობთ ექიმო. მე პირველად დავლიე ჭაჭა. მის დალევას დარტყმის ძალა აქვს.

- ამგვარი დარტყმა დაგამშვიდებს, მიშა. ოღონდ თუ მეტს დალევ, წაგაქცევს.

- დიდი მადლობა. სჯობია წავიდე.

- ნახვამდის მიშა, დარწმუნებული ვარ, ზურგი მალე მოგიშუშდება.

- გმადლობთ ბიძია სანდრო, - უთხრა ლერამ, დაემშვიდობა მასპინძლებს და წავიდა მეგობრებთან ერთად.

- კარგი ახალგაზრდები არიან. ვინ არის მიშა? - იკითხა სანდრომ.

- ლერასთან და ლენასთან ერთად სწავლობს სამართალს. შენ შეამჩნიე მისი აქცენტი? რატომ შეკითხები? - გაიღიმა მაშამ.

- კი შევამჩნიე, რომ მას აქვს უჩვეულო აქცენტი, მე არ მინდოდა პირველს მეთქვა შენთვის, - უპასუხა სანდრომ.

- მოსკოველი არ არის, სტავროპოლელია.

- რა გვარისაა?

- არ ვიცი, მამის სახელი კი მგონი სერგოს-ძეა, ძლივს გავიხსენე - ლერა ამბობდა, რომ გვარად გორბაჩოვია.

- კარგი ბიჭია, გოგოებზე ზრუნავდა. ლერა ყვებოდა,

ზურგით გადაფარებია მათ და არ დაძრულა ადგილიდან, თუმცა მაგრად დაუჟეჟავთ.

- კი, კარგი ახალგაზრდა ჩანს. რად გინდოდა დასალევად ეს საშინელი ჭაჭა რომ მიეცი? ვიღაცამ, მახსოვს, მითხრა ამ "ჭაჭას", თურმე ანტიფრიზად ავტომობილებში იყენებდნენ.

- რა საჭიროა ასეთი სიფრთხილე, ქალბატონო, - უპასუხა სანდრომ და მაცივარში შედგა არყის ბოთლი, რომელსაც სიმაგრის მაჩვენებელი ჯაჭვები ჰქონდა მოდებული. სანდრო იშვიათად სვამდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ სტუმრების მოსვლისა და გამასპინძლების დროს.

სანდრო თბილისში შემდეგ კვირას დაბრუნდა. მოვლენები უცნაურად ვითარდებოდა. სულ ფიქრობდა: თუკი ძალაუფლებას ბერია ჩაიგდებს, მაშინ კიდევ რამდენი ადამიანი დაიღუპება? ალბათ ბავშვურ ტიტინად მოეჩვენებათ ის ტერორი, რაც გადაიტანეს, წინ რაღა ელოდებათ მათ?

თომა ისევ აპირებდა გამგზავრებას თბილისში და მაშამ გადაწყვიტა წერილი მიეწერა სანდროსთვის. თომას შეეძლო ამ წერილის გადაცემა.

"ძვირფასო სანდრო, არ ინერვიულო, ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. ანდრიუშა სკოლაში ხუთებს იღებს. გონიერი ბიჭია. მე დარწმუნებული არა ვარ, რომელ ჩვენგანს ჰგავს უფრო მეტად.

ცოტა ვიღლები: მთელი დღე სამსახურში ვარ, შემდეგ სადილს ვამზადებ, ვეხმარები შვილს საშინაო დავალებების მომზადებაში. ძალიან მენატრები. მთავარი ახალი ამბავი: ბერიამ ყველა გააკვირვა. მან ვერ შეძლო ხელისუფლების ხელში ჩაგდება. გავიგეთ, ამ კვირას თვითონ ის დაუჭერია მარშალ ჟუკოვს. უშიშროების სამინისტროს შენობა ალყაში მოაქცია ჯარმა და დააპატიმრეს ყველა მისი მთავარი თანამშრომელი.

არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ. ალბათ, კოლექტიური მმართველობა იქნება. ჩემთვის ეს სახელწოდება "კოლექტიური მეურნეობების" მსგავსად ჟღერს. ბავშვები მოწყენილები არიან უშენოდ. მიყვარხარ და გკოცნი, მაშა."

ივლისის დასაწყისისთვის სანდრო მოსკოვს დაბრუნდა იმ იმედით, რომ შინ დარჩებოდა, სამუდამოდ დარჩებოდა აქ. ბერია უკვე დაპატიმრებული იყო, რაც მისთვის უმთავრესს წარმოადგენდა, თუმცა მოსალოდნელიც იყო ერთ დღეს დამნაშავე გაენთავისუფლებინათ.

- მაშა, მივიღე შენი წერილი, სადაც შენ ბერიაზე მწერდი. ეს ხომ განსაცვიფრებელია! როგორ ვერ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში?

- მე რა შემიძლია ვთქვა, სანდრო? ეს შენ ხარ ჩვენს ოჯახში პოლიტიკური ანალიტიკოსი.

- როგორც ჩანს, ვიღაც არის ხელმძღვანელობაში მასზე ძლიერი. ჩემი აზრით, მას შეეძლო გამარჯვება, კარგად რომ მოენდომებინა. შეიძლება გადაამეტა კიდეც თავის შესაძლებლობას და გადაწყვიტა - არსად ეჩქარებოდა.

დარჩება კი ბერია პატიმრობაში? განა ეს ნორმალურია, რომ ცხოვრება, ტანჯვა, ამდენი ადამიანის სისკვდილი დამოკიდებულია განსაკუთრებულად ძლიერი პოლიტიკური ლიდერების ახირებაზე? ლიდერებმა უნდა უხელმძღვანელონ და არა დასაჯონ.

- როგორ ფიქრობ, ვინ იქნება სათავეში? - არ ვიცი. მე ვფიქრობ, შეევეკითხო დიკას, შეუძლია თუ არა მიმიღოს საერთო ქირურგიის ინსტიტუტში.

- ეს კარგი იქნებოდა, სანდრო. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნებოდი. როდის შეეკითხები?

- არ ვიცი. ამ ბოლო დროს რატომღაც მიჭირს რაიმე საკითხების ირგვლივ კონცენტრირება. სიტყვები, აზრი ირევა ჩემს გონებაში. შენ არ გეჩვენება, რომ მე ამ ბოლო დროს დაბნეული ვარ?

- დიახ, დაბნეული ხარ. რაშია საქმე? კარგად გრძნობ თავს? - შეეკითხა მაშა. მას ეტყობოდა, რომ ღელავდა.

სანდრომ ჯიბიდან ამოიღო მაშას დაჭმუჭნული წერილი. ბოლო წინადადებას ხაზი ჰქონდა გასმული.

- ზოგჯერ მე ასევე პრობლემები მაქვს რუსული ენის მრავლობით რიცხვში, ამიტომ მინდა ამიხსნა რას ნიშნავს: "ბავშვები მოწყენილები არიან უშენოდ."

მაშამ იგრძნო სიწითლემ როგორ გადაუარა სახეზე: სიტყვა არ დაუძრავს, უყურებდა სანდროს თვალებში და განაგრძობდა ღეჭვას.

- იქნებ დაგავიწყდა, რომ ექიმი ვარ. უფრო სწორად, ქირურგი - ეს მედიცინაა. როდის ელოდები ბავშვს? - ნოემბერში. მგონი მე უკვე ბებერიც კი ვარ, მყავდეს პატარა ბავშვი.

- ბებერი? ვის შეუძლია იყოს უფრო ახალგაზრდა? სტალინი მკვდარია, ბერია დატუსაღებულია. დედამიწაზე არ არსებობს ხალხი და ქვეყანა ჩვენზე ახალგაზრდა. შეიძლება მე დავესწრო მშობიარობას.

- ერთი წუთით, ეს ჩემი ბავშვიცაა, ვერ დაესწრები, თუნდ ექიმის სპეციალობის მიუხედავად. შენ პერანგის შეკვრაც კი არ შეგიძლია სწორად. შეხედე საკუთარ თავს - ისევ მოგწყდა ღილები! მე დარწმუნებული ვარ შენს კარგ ქირურგობაში. შენი საქმე იქნება მხოლოდ წამიყვანო საავადმყოფოში და შემდეგ წამომიყვანო უკან.

- როცა ბრაზდები, ლამაზი ხდები, კიდევ უფრო ლამაზი - როცა ბავშვს ელოდები.

- აბა, წადი ნაგავი გადაყარე.

მაშა ხედავდა, როგორი ბედნიერი იყო ბავშვის მოლოდინით შინაგანად აღელვებული სანდრო. მამაკაცები ასეთ შემთხვევაში ყოველთვის წინასწარმეტყველები არიან, იმედი აქვთ, რომ გაჩნდება კიდევ ერთი მეგობარი მათ ცხოვრებაში,

ვისაც შეგეძლება უთხრა "აღუ-აღუ" და ვისთანაც შეგიძლია ითამაშო იატაკზე. უხარიათ, რომ ვიღაცა "მამას" დაუძახებს და არასდროს ფიქრობენ მაინცდამაინც სერიოზულად ამ მომავალ ადამიანზე. ო, რა თქმა უნდა, როგორც თვითონ ამბობენ, ისინი ფიქრობენ მათ მომავალზე, სინამდვილეში - არა. მათ თუ შეეკითხები, აქვთ თუ არა ფული ბავშვის აღზრდისთვის - მხრებს იჩეჩენ. იმედს გამოთქვამენ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი მოგვარდებაო. საშუალება რომ იყოს, მათი ყველას სურვილია, ჰყავდეთ ოცდახუთი და მეტი ბავშვი.

1953 წლის ნოემბერში სულაძეების ოჯახში მატება მოხდა: დაიბადა გოგო. პაწაწას დაარქვეს ვალენტინა. სანდრო გადაბარგდა მოსკოვში. დაიწყო მუშაობა ქირურგად. ძალიან ყურადღებიანი მამა იყო. საქმეში ჩაუხედავად ადამიანს მოეჩვენებოდა, რომ მან ყველაფერი კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ამ დროს კი, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ შეიძლებოდა სახვევის შეცვლა ან თუნდაც ამის სწავლა. ანდრიუშას აინტერესებდა ახალი არსების გაჩენა, თან ეტყობოდა უზომოდ ბედნიერი არ იყო. ოჯახში მთელი ყურადღება პატარისკენ იყო მიმართული.

ნატვრა ახდა, ოცნება ასრულდა, ბოლოს და ბოლოს მაშას გოგო ეყოლა. მას ყოველთვის უნდოდა გოგონა. როცა დედას ებადება ბიჭი, მასში ხედავს თავისი მეუღლის თვისებებს, გოგოში კი თითქოს საკუთარ თავს იმეორებს. გახარებული დედა ფიქრობს: ის ხომ გაიგებს იმას, რაც მე არასდროს გამიგია; გააკეთებს იმას, რაც მე ვერ შევძელი გამეკეთებინა; გაემგზავრება იქ, სადაც წასვლაზე მე ოცნებაც კი არ შემეძლო. უპირველესად, უნდა ვასწავლო, გავაგებინო, როგორი უნდა იყოს გოგო, შემდეგ - ქალი. ის თავბრუს დაახვევს თავისი სილამაზით და ჭკუით არაერთ მამაკაცს. პაწაწინა ვალენტინამ უკვე მიაღწია იმას, რომ მამა მასზე გიჟდება.

თუმცა ეს არ იყო ძნელი. აი მისი ძმა ანდრიუშა კი სულ არ ჰგავდა დას.

შემდეგი ორი წელი მაშასათვის ზრუნვისა და გარჯილობის წლებად იქცა. ის დაბრუნდა ინსტიტუტში, სადაც ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ზრდიდა ვალენტინას, ყურადღებას აქცევდა ანდრიუშას და ამასთან, სანდროც ჰყავდა კონტროლის ქვეშ. მას არაფერი გამოუვიდოდა, თუ არა დასახმარებლად ჩამოსული დედა. რუსი ბებია ხშირად ხდება მეორე დედა. ის არასოდეს საყვედურობდა, რომ საათობით იჯდა დათოვლილ პარკში და ბავშვის ეტლით ტარებას, რათა ვალენტინა თანდათან შეჩვეოდა სუფთა ჰაერს.

ბებია ასწავლის, ამზადებს, არ ერევა ოჯახურ კინკლაობაში. ის ბოლოს და ბოლოს ხომ ბებიაა. იგი ამაყობს იმით, რომ შეუძლია თავის შვილებს დაეხმაროს. ერთი ძველი რუსული ანდაზა ამბობს: მშობლები უნდა ეხმარებოდნენ თავის შვილებს მანამ, სანამ პენსიაზე გავლენრო, და უმრავლესობა ასეც იქცევა.

მაშამ გადაწყვიტა მოეწყო დღესასწაული სანდროს იუბილეს აღსანიშნავად: 1956 წლის 5 იანვარს მას 50 წელი შეუსრულდა.

რიგში დგომა და სურსათის ნაკლებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირისთვის, თუმცა დაბადების დღეს მაინც ზეიმობდნენ. მამაც წავიდა ცენტრალურ ბაზარში ხორცისა და მწვანილისთვის, ტიშინის ბაზარზე კი კარტოფილისთვის.

დიკა დაპირდა განსაკუთებულ სოსისს, რასაც არიგებდნენ სასურსათო ულუფის სახით თავისავე ინსტიტუტში. მარგარიტა კი ალბათ ცოტა ხიზილალას მოიტანდა.

საკუთარი სახლის წინ მდებარე საცხობში მაშამ კვერცხი და ტორტი იყიდა. ტორტის შეკვეთის მისაცემად საჭირო იყო 2-3 საათი რიგში დგომა, მხოლოდ მეორე დღეს წაღების

იმედით. ხალხი დილის ოთხი საათიდან იკავებდა რიგს. ტორტის მიღება კი ხდებოდა მხოლოდ ორი საათის განმავლობაში.

დილის ოთხი საათი ზაფხულში, ეს არც ისე საშინელება იყო, თუმცა ზამთარში შეიძლება სულ მთლად გათოშილიყავი. განთიადის ცივი ქარი ვერაფრით ვერ ხვდებოდა ასე უთენია რატომ ხეტიალობდნენ ადამიანები და მთელი ძალით უბერავდა.

ასეთი მსხვერპლის გაღება სჭირდებოდა სადღესასწაულო მაგიდას.

მოწყობილი დღესასწაული სამუდამოდ დაამახსოვრდებათ მათ. სანდრო და დიკა ერთმანეთის მიყოლებით სვამდნენ სასმელს და ამბობდნენ სადღეგრძელოებს. ხმაურიც იყო და მხიარულებაც. ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა.

1956 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ იგრძნო რაღაც სიახლე, რაღაცის შეცვლა, თუმცა ბევრი ვერ მიხვდა ამას მარტის თვემდე. სიტყვებმა "პარტიის XX ყრილობამ" განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრებისათვის. ნელ-ნელა ჟონავდა ხმები ნიკიტა ხრუშჩოვის ღამის მოხსენებაზე: თავდაპირველად ქარხნებში, პარტიულ ყრილობებზე, და ბოლოს, ამაზე ალაპარაკდნენ გაზეთებიც.

მაშა და მისი მეგობრები ვერა და მარგარიტა ყოველთვის ვინმეს ოჯახში იკრიბებოდნენ კვირაში ერთხელ, კარტის სათამაშოდ. ვერას ქმარი არკადი სადღაც იყო გადასახლებული ციმბირში და რამდენადაც იცოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი გადარჩენისთვის ჯახირობდა. მარგარიტას ქმარმა კი ვერ გაუძლო უმძიმეს დროს და თავი მოიკლა.

- თქვენ მოისმინეთ ხრუშჩოვის სიტყვა პარტიის ყრილობაზე? - იკითხა მაშამ კარტის არევის დროს. ამჯერად მეგობრები მაშასთან იყვნენ შეკრებილები.

- მე გავიგე, რომ ყველა სხვა ქვეყნის დელეგატებს სთხოვეს შუა ღამის შემდეგ შეკრება, - თქვა ვერამ, - მერე კი ის ხუთი საათი ლაპარაკობდა სტალინსა და პიროვნების კულტზე.

მარგარიტამ გადააბრუნა თავისი კარტი, თვალი გადაავლო რა შეხვდა და დასძინა:

- გავიგე თითქოს ლენინი იყო სტალინის წინააღმდეგი. მას კი არავინ უსმენდა. შემდეგ თითქოს ის ამბობდა, რომ არსებობს მისი სიტყვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- რა თქმა უნდა, ლენინი მართალი იყო, - შენიშნა მაშამ, - ხომ არ შეიძლებოდა ის შემცდარიყო?

ადამიანი შვიდი წელი იდგა სახელმწიფოს სათავეში, სანამ გარდაიცვლებოდა.

- განა ეს ჩვენთვის რამეს ცვლის? - შეეკითხა ვერა.

- რასაკვირველია, შეიძლება ძალიან ბევრსაც ცვლის. თუ სტალინს ადანაშაულებენ იმაში, რომ ის უსამართლო რეპრესიებს მიმართავდა და ხოცავდა მილიონობით ხალხს, თან ეს ყველამ იცოდა, მაშინ კრემლში მყოფი ადამიანები შეეცდებიან მონახონ ქვეყნის მართვის სხვა გზა, - თქვა მარგარიტამ და დააგდო მაგიდაზე კოზირის კარტი. მე ისიც გავიგე, რომ ხრუშჩოვი ასევე გამოვიდა ბერიას წინააღმდეგ, - დაამატა მაშამ.

- ბუნებრივია, ეს ხომ არც ისე რთულია, - აღნიშნა ვერამ, - მათ ბერია უკვე მოკლეს და ველარ შეძლებს საკუთარი სიმართლის დაცვას.

- მგონი ამგვარ მდგომარეობას ეძახიან დესტაბილიზაციას, - თქვა მარგარიტამ.

- ვერა, ასევე დადის ხმები, რომ შეიძლება მოხდეს ბანაკებში მყოფი პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაცია. ალბათ, არკადიც დაბრუნდება სახლში, - თქვა მიშამ. თამაში შეწყდა.

- ღმერთო ჩემო, მე ამის დიდი იმედი მაქვს. უმისოდ საშინელ მარტოობას ვგრძნობ, - თქვა ვერამ, მას სახე დაემანჭა ტკივილისგან. საერთოდ ვერა ძალიან გაიტანჯა არაფრისთვის, სრულიად არაფრისთვის.

- სანდრო, - მიმართა მაშამ სამსახურიდან ახალდაბრუნებულ და სამზარეულოში შემოსულ მეუღლეს, - რას ლაპარაკობენ თქვენთან საავადმყოფოში ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ?

- ყველა ლაპარაკობს რაღაც თავისას, თუმცა ყველა დარწმუნებულია ერთში, ის, ვინც დღეს სტალინს ეძახის ურჩხულს და ადანაშაულებს, რომ გადაუხვია ლენინის გზას, მასთან იყვნენ და ერთსულოვნად მოქმედებდნენ, სულაც არ არიან ნაკლებად დამნაშავეები. აწი შეგიძლია იყვირო: "ყველაფერი ეს გააკეთა სტალინმა!"

- ეს კარგია თუ ცუდი? - შეეკითხა მარგარიტა.

- ყველაფერი, რასაც შეუძლია ქვეყნის განთავისუფლება ტერორისგან, - ძალიან კარგია, - თქვა სანდრომ და მოსვა მაშას მომზადებული ცხელი ჩაი. აი რა მინდოდა თქვენთვის მეთქვა. როცა დასავლეთ ევროპაში ვიყავი, კარგად დავინახე რაშია მთავარი განსხვავება იქ და აქ მცხოვრებთა შორის. ეს მათი სახეებია.

იქ ადამიანთა სახეები მოდუნებულია, მშვიდია; აქ კი დაძაბული, მღელვარებით სავსე. თუმცა დღეს მომეჩვენა, ხალხი ნაკლებშეშფოთებულად გამოიყურება, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოიხსნეს, რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, მე სასურველი მიმელო სინამდვილედ. დააკვირდით ხალხს ყურადღებით და შეიძლება თქვენც შეამჩნიოთ რაიმე ამისდამაგვარი.

- რატომ ადანაშაულებს ხრუშჩოვი უწინარეს ყოვლისა, სტალინს, - შეეკითხა მაშა, - ის ხომ მისი ერთ-ერთი მთავარი თანაშემწე იყო.

- ვინ იცის, შეიძლება უნდა პოპულარობა მოიხვეჭოს ან გახდეს პირველი თანასწორებში, - თქვა სანდრომ, - ან გამოიყურებოდეს სტალინის ფონზე კეთილად. შეიძლება სწორედ ეს უნდა. ის ხომ ხუთი საათი ლაპარაკობდა.

- სანდრო, საკონცენტრაციო ბანაკები? - აკანკალებული ხმით შეეკითხა ვერა, - თუ სტალინმა და ბერიამ მოახდინეს უდანაშაულო ადამიანების დეპორტაცია, ხომ შესაძლებელი იქნება აწი პატიმრების განთავისუფლება?

- ამბობენ, უკვე დაუწყიათ განთავისუფლება იმ ხალხისა, ვისაც შედარებით უმნიშვნელოდ ჰქონდა მისჯილი და თითქოს დაიწყეს პოლიტპატიმრების საქმეების განხილვა, გამოჰყვეს ის სისხლის სამართლის დამნაშავეებისგან. გვრჩება იმედი, რომ ამ მიმართულებით გააგრძელებენ. თანაც ვეჭვობ, იქნებიან ძალზე ფრთხილები, ტუსაღები ხომ უფასო მუშახელს წარმოადგენენ, მათი გამოყენება ძალზე მოხერხებულია მთავრობისთვის. ვფიქრობ, ყველაფერს ნათელი მოეფინება უახლოეს ნახევარ წელიწადში.

- იმედი მაქვს, არკადის გაანთავისუფლებენ, - მას ხომ ცუდი არაფერი გაუკეთებია, - უკვე ცრემლებს ველარ ფარავდა ვერა.

მაშა ფიქრობდა მაგიდის ირგვლივ მსხდომ თავის მეგობარ ქალებზე. მარგარიტამ დაკარგა ქმარი. მან თავი მოიკლა იმ სისაძაგლისთვის, რისი მოწმეც თვითონ გახდა ციხეში მუშაობის დროს. ვერას ქმარი დაიჭირეს და გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკში; იქნებ მის გამოც ქმარმა დაკარგა სამუშაო და იძულებული იყო დაეტოვებინა ქალაქი. მას ყველაზე მეტად გაუმართლა. ნუთუ შეძლებს ხრუშჩოვის სიტყვა, დააბრუნოს მილიონობით მიცვალებული, შეუმსუბუქოს ტანჯვა იმათ, ცოცხლად გადარჩენილებს? ვინ იცის, რაზე ლაპარაკობდა სინამდვილეში? ლაპარაკობდა სტალინის შეცდომებზე, მილიონი მისი მომხრეების საქმიანობასა და შეცდომებზე. ეს ხდებოდა იმ მიზეზით, რომ იყვნენ არაად-

ამიანურნი, ანდა იყვნენ ანტისაბჭოურნი. თუკი ხრუშჩოვი ამტკიცებდა "არაადამიანურს", მაშინ მის სიტყვას ექნებოდა ნამდვილად ეპოქალური მნიშვნელობა. მაგრამ, თუ ის ლაპარაკობდა "ანტისაბჭოურზე", მაშინ ეს იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ახალი გრანდიოზული მცდელობა მიეყვანა სრულყოფამდე საბჭოთა ადამიანი. სწორედ ეგ იყო საჭირო: თითქმის სრულყოფამდე სვლა და შემდეგ სრულყოფა.

სტუმრები წავიდნენ. მაშამ ისინი გააცილა, მერე სანდროს შეეკითხა:

- სანდრო, კიდევ რა შენიშნე მის სიტყვაში?

- ყველა მკითხაობს რაზე ლაპარაკობდა ხრუშჩოვი, სასურველი კია ყურადღება მიექცეს იმას, რაზეც გაჩუმდა. სადაც არ ულაპარაკია იმის შესახებ, თვითონ ან ვინმე სხვა ბერიას გარდა, რომ დამნაშავეა. კომუნისტური და სოციალისტური პრინციპები ხელშეუხებელი დარჩა. პირიქით, აწი ჩვენ გავწევთ წინ უფრო ჩქარა. აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, ამ უზარმაზარ ქვეყანაში პირველად გახდა შესაძლებელი თავისუფლად სუნთქვა, რაც მე კარგა ხანია არ მახსოვს.

დარწმუნებული ვარ, რომ მართალი ხარ, - უთხრა მაშამ. - შესაძლოა, მომავალი თაობა, ანდრიუშას მსგავსები მაინც შეძლებენ ნორმალურ ცხოვრებას.

- გვრჩება მხოლოდ მოლოდინი, - დაეთანხმა სანდრო.

"დიახ, ახალგაზრდა თაობა", - ფიქრობდა მაშა. როგორი მომავალი ელით მათ? მაშას თაობამ ბევრი რამ გადაიტანა: შიმშილი, ომი, საკონცენტრაციო ბანაკები. ახალგაზრდობა იყო უფრო სკეპტიკური. მას არ სჯერა ერთმნიშვნელოვნად იმისა, რასაც ლაპარაკობს პარტიული ფუნქციონერი.

ახალგაზრდობას ასწავლიდნენ, არ დაესვა ზედმეტი კითხვები, მაგრამ მაინც სვამდა. მან იცოდა, რომ თავისთავად არ გამქრალა მილიონობით ადამიანი. ახალგაზრდობა იშედით შეჰყურებდა მომავალს. ნათელი ხდებოდა - გუშინდელი

ტირანია მეტი არ ამოქმედდებოდა. შესაძლებელია ხრუშჩოვის სიტყვა უჩვენებდა ამგვარ მიმართულებას.

სანდროს აზრები სიმართლეს შეეფერებოდა ერთში: ადამიანთა სახეები უკვე ნაკლებდაძაბული იყო. ეს უკვე სახეები იყო და არა გაყინული ნიღბები, ყველასთვის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩანდა ყველა ბანაკში დაწყებული მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია.

***

1958 წლის ბოლო დღეებში სანდრო შინ დაბრუნდა. ხელთ დიპლომატი ეჭირა. მაშას ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, გაიფიქრა ალბათ სადმე რაღაც იყიდაო: შეიძლება ფორთოხალი, ღვინო ან კიდევ ბულგარული პამიდორი.

- სალამი, - მიესალმა სანდრო მომღიმარი სახით, - მე შენთან სათხოვარი მაქვს, რა იქნება დედაშენს ვთხოვოთ ვალენტინა და ანდრიუშა წაიყვანოს დიმიტრისთან და იქ დარჩნენ ამ ღამით?

- რას ლაპარაკობ, ხომ არ შეიშალე? რატომ უნდა მოიყარონ თავი დიმიტრისთან. სისულელეა რაღაც.

- მაშა, საყვარელო, მითხარი ოდესმე შენთვის ამისდაგვარი რამ მითხოვია?

მაშამ კითხვის ნიშნად შეხედა მეუღლეს, ასწია წარბები და თქვა:

- თქვენ ბატონო, რა გაქვთ მხედველობაში?

- იმის შემდეგ, როცა ყველას გაისტუმრებ, ჩვენ გვეჭნება მსუბუქი ვახშამი, შემდეგ კი წავალთ დასაძინებლად.

- მისტერ სულაძე, როგორ არა გრცხვენია? გააგდო კარს მილმა დედა და ბავშვები, რომ დრო კარგად გაატარო? მე მგონი ამ დღეებში თქვენ იგნორირებული არ ყოფილხართ?

- ამაში ჩანს მთლიანად შენი სახე. ამის შესახებ მე მაქვს იდეები, ახლა კი წავალ და დავიძინებ, ავდგები საღამოს 10 საათზე.

- ათზე. ღმერთო ჩემო, რისთვის? - შეეკითხა მაშა, იგი ჯერ კიდევ ვერაფერს ხვდებოდა.

სანდრომ წაიხემსა, ჩაიცვა პიჟამო, დაამთქნარა და დაწვა დასაძინებლად. იყო საღამოს მხოლოდ შვიდი საათი. მაშამ მიიღო აბაზანა, ჩაიცვა ღამის პერანგი და შევიდა საწოლ ოთახში, მოლოდინით, თუ რას მოიმოქმედებდა მისი ქმარი. სანდროს კი მაგრად ეძინა.

გაურკვევლობაში იყო მაშა, ბოლოს და ბოლოს, გაფიქრა - იქნებ სანდრო საღამოს ელის მეგობრებსო. სწორედ ამ მიზნით ლოგინიდან ადგა ათის ნახევარზე და გაშალა სუფრა ექვს კაცზე, თან ფიქრობდა მოულოდნელად ვერავინ ველარ დაადგებოდა თავს. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. მაშა დარწმუნდა, რომ ბავშვებს მაგრად ეძინათ. მას აზრადაც არ მოსვლია გაეშვა შვილები სტუმრად, ისიც ღამით.

10 საათზე სანდრომ გაიღვიძა, გაემართა სამზარეულოსკენ და თან წაიღო დიპლომატი. გაშლილი მაგიდის დანახვაზე გაეცინა და მაინც გზა განაგრძო. მაშას კი ჟესტით ეპატიჟებოდა უკან გაჰყოლოდა.

სამზარეულოში შესულებს მაშას დედა დახვდათ. მათ დანახვაზე მოხუცმა ხელები მაღლა ასწია, თითქოს ამბობდა "მე აქ არა ვარო". სანდრომ თვალი ჩაუკრა, ისე ჩანდა, მოხუცი საქმის კურსში უნდა ყოფილიყო.

- აი ჩემი გეგმა, ქალბატონებო, თუ თქვენ დამეთანხმებით. ჩვენ რიგრიგობით მოვამზადებთ ჩაის. ვისაც კი მოუნდება საუბარი, შეუძლია, თუმცა მაინცდამაინც არ არის სასურველი.

მაშა ვერ მიმხვდარიყო, ბოლოს და ბოლოს, რა დაემართა მის ქმარს. სანდრომ გახსნა დიპლომატი. ამოიღო ქაღალდების მსხვილი დასტა. შემდეგ პირველი ფურცელი დადო მაგიდაზე.

- სანდრო, ეს ყველაფერი საიდან მოიტანე? ვინმემ რომ გაიგოს, სამსახურიდან გაგანთავისუფლებენ. რამდენი ხნით გათხოვეს?

- ხვალ დილამდე, - უპასუხა სანდრომ, ოჯახის წევრებს წინ ედოთ შედევრი, ბორის პასტერნაკის "დოქტორი ჟივაგო". ამ წიგნს 1958 წელს მიენიჭა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია. პრემიის მიღებაზე კი პასტერნაკმა მთავრობის ზეწოლით უარი განაცხადა.

შოკოლადის ფაბრიკაში მოხვედრილი ხარბი ბავშვების მსგავსად, ეძგერნენ წიგნს: პირველად კითხულობდა მაშას დედა, შემდეგ - მაშა, ბოლოს კი სანდრო. თერთმეტის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა გუგულიანი კედლის საათი.

შემდგომი 9 საათის განმავლობაში არ წარმოთქმულა არც ერთი სიტყვა. ისმოდა მხოლოდ ფურცლების შრიალი და გუგულის ხმა. ყოველი საათის შემდეგ ვიღაც დგებოდა ჩაის დასამზადებლად. მაშას, ალბათ, ისიც შეეძლო წარმოედგინა, თითქოს მის წინ იჯდა ლერა...

ის თავიდანვე ვერ იტანდა კომაროვსკის. გონების თვალით მაშამ სანდრო და დოქტორი ჟივაგო შეადარა, შეუპირისპირა ერთმანეთს.

სრულიად ნათელი იყო ამგვარ წიგნს არასოდეს გამოაქვეყნებდნენ საბჭოთა კავშირში. პასტერნაკი ებრაელი იყო, ადრეულ ასაკში მონათლეს. მისი რწმენა და გაგება ისტორიის ამ შესანიშნავ ნაწარმოებში იყო შესული, რუსულ სულში ქრისტიანობის შეტანის მსგავსად.

არავის ესმოდა გაღვიძებული ქალაქის ხმები. როგორც ვერ გაიგებდნენ სატვირთო მანქანების მოძრაობის ხმაურს მარსზე, ისე არ ესმოდათ ქუჩიდან შემოჭრილი ხმები. ფანჯრის მინაზე მოცეკვავე მზის სხივებიც კი არ შეუნიშნავთ.

უკანასკნელი ფურცლები წაიკითხეს დილის რვა საათზე. არ უთქვამთ არც ერთი სიტყვა.

სანდრომ სწრაფად გაიპარსა და მოემზადა საავადმყოფოში წასასვლელად, მაშა კი სამსახურში მიდიოდა.

მაშას დედა გაემართა ბავშვების გასაღვიძებლად. არც ერთ მათგანს სიტყვაც არ დაუძრავს აზრის გაზიარების მიზნით, ყველა სდუმდა. ყველაზე საოცრად შთამბეჭდავი გავლენა მოეხდინა წიგნს.

რუსული ლიტერატურა მაშასთვის მხოლოდ სპეციალობას არ წარმოადგენდა. ის ცხოვრობდა ამით. სამწუხაროდ, რუსულმა ლიტერატურამ მსოფლიოში თავისი მდიდარი მემკვიდრეობით, შეწყვიტა განვითარება, როდესაც საბჭოებმა გადაყლაპეს რუსეთი. თანაც ისე გადაყლაპეს, რომ არც კი დაუსლოკინებიათ.

ლიტერატურად იქცა პროპაგანდა, შეტევა ადამიანთა გონებაზე. კარგი მწერლების სამაგიდო წიგნები იქმნებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ განადგურებული ყოფილიყვნენ ცენზურით. ნიჭიერი მწერლები იძულებული იყვნენ ემუშავათ ამ სისტემისთვის ან მათ საერთოდ არ დაბეჭდავდნენ. ხომ არ შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს დაბეჭდილიყო ყველა ეს უაზრობა. სად მიიყვანდა მწერლობას ამგვარი მიმდინარეობა? რა თქმა უნდა, არა ლენინთან და არა მარქსთან. მერე და ახლა რა მოხდა? "ჟივაგო" დაწერილი იყო. საოცარი კონსპირაციით მოხდა რომანის საზღვარგარეთ გადაგზავნა, სადაც დაუყოვნებლივ დაბეჭდეს. ახლა კი, ვინც კითხულობდა რუსულად, შეეძლო დამტკბარიყო ამ წიგნით. ნაწარმოები თარგმანშიაც დარჩა შედევრად, რაც იშვიათობას წარმოადგენდა. შესაძლოა რუსული ლიტერატურა ჯერ კიდევ არ მომკვდარა და არ დამარხულა. შესაძლოა ის იძულებული გახდა წასულიყო რელიგიის მიბაძვის გზით, გამხდარიყო საიდუმლო წიგნად ყოველ ოჯახში? ბორის პასტერნაკის ამ წიგნით შეძრწუნებული იყო ქვეყანა. ამგვარი რამ შესაძლებელია თავს დასტყდომოდა მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას და რუსეთი იქნებოდა სიის თავში.

მეცხრე ნაწილი

მოსკოვი, 1960 წელი

– მერე რა, რომ ვიღაცას არ მოსწონს ხრუშჩოვი? - ლაპარაკობდა მაშა და ათვალიერებდა თავის კარტს. სამეულმა, ჩვეულებრივ, მაშასთან მოიყარა თავი ყოველკვირეული თამაშისთვის, - მაღაზიები გვიანობამდე მუშაობდა და შეიძლება კიდეც რაიმეს ყიდვა. ამასთანავე, შეგვიძლია ასეთი თავისუფლება ჩვენს თავს მივცეთ! - შენ მართალი ხარ, - აღნიშნა მარგარიტამ. დაასხა ჩაი და დაიწყო ბეზეს ჰაეროვანი ტკბილღვეზელას თეფშზე დაწყობა. მათ ყველაზე მეტად სწორედ ეს ნამცხვარი უყვარდათ. ნამცხვრის გადმოღებასთან ერთად მარგარიტა საუბარს არ წყვეტდა, - ხომ ხედავთ ხრუშჩოვი ყველგან მთელ ქვეყანაში ახალ სახლებს აშენებს. მერე რა, რომ პატარებია, უფრო სწორედ, ერთი ციცქნები. შენ თუ აქამდე ცხოვრობდი კომუნალურ ბინაში, ორ ან სამ ოჯახთან ერთად, მაინც ძალზე გაგიხარდება, იქნები საკუთარ ნიჟარაში შეყუჟული მოლუსკივით.

ვერა ჩვეულებრივ ფიქრობდა თავისი ქმრის არკადის ბედზე. გაანთავისუფლებენ თუ არა მას? თუ გაანთავისუფლებენ, როდის მოხდება ეს. "ვიმედოვნებ, არკადის მალე გაანთავისუფლებენ. რამდენის გაძლება შეუძლია ადამიანს? ხომ ამბობდნენ, რომ აპირებენ მილიონი პიროვნების რეაბილიტაციას".

საავადმყოფოდან დაბრუნდა სანდრო. მიესალმა ქალებს, გამოიცვალა სამოსი და ფეხები ჩაყო სახლის ფლოსტებში. ყური მოჰკრა, რას ლაპარაკობდნენ ქალები. ხრუშჩოვის შესახებ

საუბრისას ისინი შედარებით მართლები იყვნენ. რა შეიძლება მასში არ მოგწონებოდა? ის აკეთებდა ყველაფერს, რომ მოემარაგებინა ხალხი საქონლით, საკვებით, უზრუნველეყო ბინით და, რაც მთავარია, ის არ ართმევდა ადამიანებს სიცოცხლეს. ეჩვენებოდათ, რომ ხალხი აღმოჩნდა მეორე პლანეტაზე. მთავრობამ დაიწყო ტუსალთა განთავისუფლება და არა კვლავაც ახალ ბანაკებში გამომწყვდევა. თავისუფალმა ქცევამ და სურვილმა, შეცვალოს საბჭოთა კავშირი, ხრუშჩოვს პოპულარობა მოუტანა საზღვარგარეთ. საქმე უკეთესობისკენ წავიდა: სახელმწიფოში იგრძნობოდა ეიფორია, ყველაფრის კეთების ნება და სურვილი გახდა ეპოქის სიმბოლო.

სწორედ საბჭოთა კავშირმა და არა ამერიკამ გაუშვა პირველი თანამგზავრი, გაგზავნა პირველი ადამიანი კოსმოსში. ხუთსართულიანი სახლები ულიფტოდ ე.წ. "ხრუშჩოვკები" სოკოებივით იზრდებოდნენ. ხორცის, კვერცხის და კარტოფილის ყიდვა მაღაზიებში შეიძლებოდა და ეს ყველას შეეძლო გაეკეთებინა. რა თქმა უნდა, ისიც შეიძლებოდა დაგეშვა, შარი მოგედო ხრუშჩოვისთვის, უხეში, მცირე განათლების მქონე კაცისთვის, მაგრამ ძნელი იყო სტალინიც ნამდვილი ერუდიტის დონეზე მიგელოთ, ვინც სამეფო სახლის ეთიკით ცხოვრობდა. ბოლოს და ბოლოს, ხრუშჩოვი წარმომავლობით იყო უბრალო გლეხის ოჯახიდან.

მაშა და მისი მეგობრები საზოგადოებრივი აზრის ბარომეტრები იყვნენ. ყველას ამაღლებული განწყობილება ჰქონდა. განა შეიძლებოდა ამის წარმოდგენა რამდენიმე წლის წინ?

- მაშა, ნუთუ სუკს ჩვენი ლაქლაქის მოსმენა შეუძლია? - შეეკითხა მარგარიტა.

- ღვთის გულისთვის, რაში სჭირდება ეს? თუ მათ აინტერესებთ "დურაკას" ან "კოროლის" თამაშის წესები, მაშინ უსმინონ, - უპასუხა მაშამ.

- საინტერესოა უსმენენ თუ არა სატელეფონო საუბრებს

ან მიკროფონებით ბინებსა და საზოგადოებრივ ადგილებში? - შეეკითხა ვერა.

- უნდა გავაანალიზოთ ეს პრაქტიკული თვალსაზრისით, - უთხრა მაშამ - თუ სუკში არის ათასობით ადამიანი, რომელთა მუშაობა მხოლოდ მოსმენებს ითვალისწინებს და თუ ამისთვის არსებობს აპარატურა, მაშინ რატომ არ უნდა გააკეთონ? ვიღაცამ უნდა უსმინოს, ვიღაცამ უნდა უთვალთვალოს. რა თქმა უნდა, მათაც ექნებათ მოკლე დროში აუცილებლად შესასრულებელი გეგმა.

- მაშა, შენ მანია გაქვს, - უთხრა მარგარიტამ, - როგორ შეიძლება მოუსმინო მილიონობით ტელეფონს მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ეს უბრალოდ სისულელეა.

- მე თუ მანია მაქვს, ამას თავისი მიზეზიც გააჩნია. შენ მხოლოდ იფიქრე. მათ სჭირდებათ თვალთვალის საშუალება. ეს არ ნიშნავს, რომ მუდმივად იჯაშუშონ. ნამდვილად აქვთ მათ იმის შესაძლებლობა, რომ ჩაერთონ ცენტრალურ სატელეფონო სისტემაში. დღემდე ხომ სინჯავენ, სწავლობენ ფოსტას! ხრუშჩოვმა და მისმა ხალხმა ცოტათი მოადუნეს სადავეები, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაივიწყო, ვინ იყო მისი მასწავლებელი და მოძღვარი. სტალინი იყო მკვლელი, მაგრამ თვითონ ის ხომ არ აკეთებდა ყველაფერს. არ ვარ მართალი? არ შეიძლება დემონის ანგელოზად გადაქცევა.

- ზოგჯერ მე მგონია, მაშა, რომ შენ ძალიან ბევრს კითხულობ, - უთხრა ვერამ, - ისინი ამბობენ, რომ მათაც ჩვენზე არანაკლებ ეშინოდათ სტალინის. შენ ამის არ გჯერა?

- ამჟამად კი ამბობენ, მათაც მეტისმეტად ეშინოდათო, - თქვა მაშამ, - თუმცა მაშინ ისინი უპირველეს ბელადად აცხადებდნენ სტალინს. არც ერთ ადამიანს - არც სტალინს, არა ბერიას, ვიმეორებ, არც სტალინს და არც ბერიას, არ შეეძლოთ დაეხოცათ ამდენი ადამიანი და დაეტერორებინათ

დანარჩენები ასე დიდხანს სხვის დაუხმარებლად. შეიძლება ისინი იყვნენ სტალინის მიერ შეშინებულ-დამონებული ჩვეულებრივი ადამიანები და მისი კეთილგანწყობისთვის რომ მიეღწიათ, ბუნებრივია, ეხმარებოდნენ კიდეც. ეს თუ მართალია, დამპალი ვაშლი მაინც დამპლად რჩება და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ და რა ვითარებაში დალპა.

- მაშა, მე არაფერი ვიცი შენი დამპალი ვაშლის თეორიის შესახებ, - უთხრა მარგარიტამ, - მაგრამ რამდენიმე ვაშლი კი ვიყიდე ამ დილით - წითლები და წვნიანები.

- ალბათ ისინი საიდანღაც ჩამოიტანეს, - უთხრა მაშამ ღიმილით, თან ფინჯანისა და ლამბაქების მაგიდიდან ალაგება დაიწყო. მორჩა, წავიდეთ. სანდრო, ჩვენ აბანოში წავედით, - დაიძახა მან მეზობელი ოთახიდან.

- კარგი, შეხვედრამდე, - უპასუხა სანდრომ. ის უკვე შეჩვეული იყო სამეულის ყოველკვირეულ აბანოში სიარულს კარტის თამაშის შემდეგ.

- მაშა, ნუთუ ამდენ ხანს ანდომებს გაზეთების კითხვასა და შესწავლას? - ჩაცმისას ეკითხებოდა ვერა.

- შენ ხუმრობ? ამ პროცესს მართლა დიდი დრო სჭირდება, - უპასუხა მაშამ და მიიხურა კარი.

ყველა მეგობრულად ჩავიდა კიბეზე. მაღლა სართულზე დაკიდული ნათურა ოდნავ ანათებდა სადარბაზოს. საღებავი კედლებს მოსცილებოდა, მაგრამ ქალები ამას არ ამჩნევდნენ, თან ვერას დასმულ შეკითხვას პასუხობდნენ. ის ახლა გაცილებით მეტს კითხულობს, ვიდრე ადრე.

- მე თევზს ვახვევ გაზეთებში, - უთხრა მარგარიტამ.

- არ გეშინია, რომ თევზი შეიწოვს კომუნისტურ იდეებს, ასე ბლომად რომ არის განფენილი გაზეთებში? - დაინტერესდა მაშა.

- რა თქმა უნდა, არა, - განაწყენებული ხმით უპასუხა მარგარიტამ, - მას უკვე ჩვენამდე შთაუნერგეს ყველა არსებული იდეა. თუ ასეა, მაშინ რატომ გამოიყურება ასე ცუდად?

- მე გამიგია, რომ მოსკოვის გაზეთებს პროვინციებში ხმარობენ ტუალეტის ქაღალდის ნაცვლად, - თქვა ვერამ. ამასობაში ისინი მიადგნენ სამუშაო გასასვლელს, კარები შიგნიდან იყო ჩარაზული დიდი რკინის ურდულით.

- ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ადამიანების სიბრძნეს პროვინციიდან, - უპასუხა მაშამ. ამასობაში მეგობრები ქუჩაში გავიდნენ. მზის კაშკაშა სხივებმა რაღაც მომენტში თვალი მოჭრა ქალებს.

კარტის თამაშის შემდეგ ყოველკვირეული ლაშქრობა აბანოში უკვე ტრადიციად ჰქონდათ ქცეული.

კომუნალურ პირობებში მცირე საცხოვრებელი ფართისა და იმის გამო, რომ ცხელი წყალი მუდმივად არ იყო, მოსკოვის მცხოვრებლების მეტი ნაწილი კვირაში ერთხელ ან ორჯერ დადიოდა აბანოში. ძირითადი მიზნის გარდა, იქ შეიძლებოდა მშვენივრად მოდუნებულიყავით. აბანოები ორ ნაწილად იყოფოდა. აქ იყო საშხაპე და საუნა. უმეტესობა საუნაში მხოლოდ 10-15 წუთს ძლებდა. იყვნენ მოყვარულებიც. ისინი ორთქლს 40 წუთს უძლებდნენ. პროცედურის დამთავრებისას აუცილებელი იყო ცივ წყალში ჩაყვინთვა.

ამასთან აბანო, ურთიერთობის საუცხოო ადგილს წარმოადგენდა. ახალი ძალ-ღონით სავსე მეგობრები აბანოს შემდეგ იშლებოდნენ, მიდიოდნენ სახლში ან საყიდლებზე. გზად მაშამ შეიარა გორკის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში. წიგნის მაღაზიები საბჭოთა კავშირში იყო ისეთივე უცნაური, როგორც მთელი ქვეყანა. მკითხველისთვის საჭირო და სასურველი ლიტერატურის შეთავაზების ნაცვლად, რაც მათ უნდოდათ, იყიდებოდა წიგნები, რომელთა წაკითხვასაც საჭიროდ თვლიდა სახელმწიფო.

საზღვარგარეთელი ავტორების, ასევე კომუნისტური ქვეყნების მწერლების წიგნები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ლიტერატურით ან ადაპტირებული თარგმანებით.

შეზღუდული იყო ასევე საბჭოთა კავშირის გამომცემლობათა მიერ დასტამბული წიგნები.

ზოგჯერ საზღვარგარეთ გამოცემული წიგნების მთელი ტირაჟები განკუთვნილი იყო მხოლოდ ექსპორტისთვის, ანდა გასაყიდად საძულველ მაღაზიაში, როგორიც იყო "ბერიოზკა" უცხოელებისთვის. ზოგიერთი წიგნის ყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ წინასწარი გამოწერით. მკითხველი ქვეყნისთვის კარგი წიგნი იყო საგანძური. თუ მისცემდით წიგნს წასაკითხად ვინმეს, არ იყო საჭირო გაგეხსენებინათ, რომ წიგნი ოდნავადაც კი დაზიანებული არ უნდა დაებრუნებინათ. ყველა ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირში იყო მეტი სერიოზული მკითხველი, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

მეგობრებმა მაშა სახლის კარამდე მიაცილეს.

- მე ისევ მალე მინდა მოსვლა, თუ შეიძლება, - თქვა ვერამ.

- დიახ, ვერა, რა თქმა უნდა, შეგიძლია მოხვიდე ჩვენთან. როდის შემდეგ კითხულობ ნებართვას? სანდრო სახლში იქნება. ნახვამდის.

- სანდრო გეთაყვა, არ წახვიდე, ვერა უნდა მოვიდეს და მე დავპირდი, რომ შენ დაუხვდებოდი.

- შენ დარწმუნებული ხარ, რომ მას მე ვჭირდები?

- დიახ, რა თქმა უნდა, შეიძლება გთხოვოს დახმარება მისი ნათესავის ან მეგობრის დაწვენის საკითხზე საავადმყოფოში. ის მალე მოვა... ო, ვფიქრობ, უკვე გამოჩნდა კიდეც.

- ვერა, მობრძანდი, რა საოცარი კაბაა! ძალიან გიხდება.

- მადლობა მაშა, სანდრო სახლშია?

- დიახ, რა თქმა უნდა. სანდრო, ვერა მოვიდა. ცოტა ხანს მაინც მოსწყდი ამ გაზეთებს, მოდი აქ!

- გამარჯობა სანდრო, - მიესალმა ვერა. ყველამ შეამჩნია მისი ვარცხნილობა: საერთოდ ქალის სურვილი, იყოს მიმზიდველი, ყოველთვის შეიმჩნევა. ამ რამდენიმე წლის წინ

მას შავი თმა გაუჭაღარავდა, ახლა თმაშეღებილ ვერას ეცვა წითელი ჩითის კაბა თეთრი რგოლებით, ყურებზე ქარვის საყურე ეკეთა.

- ჩემო მეგობრებო, მე თქვენთვის სიურპრიზი მაქვს. დახუჭეთ, გეთაყვა, თვალები, - ის გავიდა დერეფანში, - კარგი შეგიძლიათ გაახილოთ.

- საკუთარ თვალებს არ ვუჯერებ, - ამოისუნთქა გაკვირვებით მაშამ, - არკადი, ეს შენ ხარ! დიდება შენდა ღმერთო! დაჯექით ორივე, დაჯექით, აი, აქ მობრძანდით.

- არკადი, კეთილი იყოს შენი დაბრუნება შინ, - უთხრა სანდრომ და სწრაფად გავიდა მეზობელ ოთახში წითელი ქართული ღვინის "ხვანჭკარას" მოსატანად, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი იყო სტალინის საყვარელი ღვინის სახელით.

არავის დაუძრავს ხმა იმის შესახებ, როგორ გამოიყურებოდა არკადი. მან ოცდაათი კილოგრამი დაიკლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი. ყოველივე ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, ცუდად არ გამიყურებოდა. შეხედულებით 70 წლისას ჰგავდა. თუმცა 50-ზე მეტისა არ იყო. მისი მუქი თმა რუხი ნაცრისფერი გამხდარიყო. შეუძლებელი იქნებოდა არ შეგემჩნიათ ყველა ტუსაღისთვის დამახასიათებელი მოხრილი მხრები. შეიძლება ეს ციმბირის ყინულოვანი ქარების გამო იყო, შესაძლებელია მეტად მძიმე ყოველდღიური შრომით, ან ფიქრებით იმის ვივთარების შესახებ, რომ არაფრის იმედი არ ჰქონდა.

- არკადი, მოდი შენი დაბრუნების სადღეგრძელო დავლიოთ, - წარმოთქვა სანდრომ.

- მადლობა, თქვენ, ჩემო მეგობრებო, - უპასუხა არკადიმ, - ბევრმა დრომ ჩაიარა, მე მოხარული ვარ, რომ შინ დავბრუნდი. ერთი კვირის წინ გავიგე, რომ შინ დავბრუნდი. ერთი კვირის წინ გავიგე, რომ გვანთავისუფლებდნენ და სრულიად რეაბილიტირებული ვარ.

რეაბილიტირებულის მდგომარეობაში ყოფნას, თავისი განსაკუთრებული "საბჭოთა" მნიშვნელობა ჰქონდა. ეს სიტყვა გაიგივებული სინონიმი იყო სიტყვასთან "რეპრესირებული".

"რეპრესირებული" ნიშნავდა, რომ დაპატიმრებული იყავი არაფრის გამო, დანაშაულში ბრალი დაგდეს რაღაცისთვის, შემდეგ ან ციხეში ჩაგსვეს ან გაგგზავნეს ბანაკში, ანდა დაგხვრიტეს. ესე იგი, ლიკვიდაცია მოგიწყვეს (ეს ისე საბჭოურ ენაზე). იყო რეაბილიტირებული, ნიშნავდა, რომ შენ გაგანთავისუფლეს ციხიდან ან ბანაკიდან ისე, ვითომ შენ იქ არასდროს გაუგზავნიხართ. რეაბილიტაცია შეეძლოთ სიკვდილის შემდეგაც კი.

უაღრესად საჭირო იყო ამ სიტყვების დიდი სიფრთხილით გამოყენება: იყო რეპრესირებული, მოკლულს მაინც არ ნიშნავდა. იყავი ძალით შეგდებული საქონლის გადასაყვან ვაგონში და გაგზავნილი ბანაკში, სადაც გაქციეს მონად, სადაც ნაჭერი პური და წყალწყალა ფაფა ადამიანის სიცოცხლეზე მეტად ფასობდა. ეს ნიშნავდა, ვითომ შენ განიწმინდე, მხოლო ამას ნიშნავდა. სიტყვები "ის იყო რეპრესირებული" ან "იგი იყო დატუსაღებული", ყოველთვის უდრიდა ადამიანის პიროვნების დაკარგვას. შეიძლება კაცი თუ ქალი იმსახურებდა ბანაკში გაგზავნას, მაშინ კი ისევ... რეპრესირებული ადამიანი სიცოცხლისკენ დაბრუნებას ნიშნავდა, შეიძლება არა მთლიანად. შეგეძლოთ სამსახურის მიღება, ასევე ჩადგომა ბინის მიღების მსურველთა რიგში, ზოგჯერ პენსიის გამყოფაც კი. მაგრამ შენ თუ უკვე მოკვდი, სიცოცხლეს არავინ დაგიბრუნებს. თუკი სიკვდილს გადაურჩი, ვერასოდეს შეძლებ იმ საშინელების დავიწყებას და იმ წლების დაბრუნებას.

- არკადი, თავს როგორ გრძნობ? - შეეკითხა მაშა.

- არც ისე ცუდად. ამ ბანაკებს ეძახიან შრომით ბანაკებს, მაგრამ სინამდვილეში - ეს სიკვდილის ბანაკებია. იქ ჩასვლისას წამსვე გრძნობ, რომ შენამდე ასობით ადამიანი მოკვდა იმ

ლოგინში, სადაც უნდა დაწვე და დაიძინო. ეს ფაქტობრივად, ცოცხლად დამარხვას უდრიდა. ომის დროს არასოდეს იცი, რა შეიძლება შეგემთხვეს, მაგრამ გაქვს იარაღი, შენი გაწაფულობა, გყავს ამხანაგები. ბანაკში შენი სიკვდილი გარდაუვალია, უკვე შენს მისვლამდეა დაპროგრამებული.

- მოდი დავლიოთ არკადი! - შესთავაზა სანდრომ, - გაგიმარჯოს, შენი ჯანმრთელობისა იყოს!

- გმადლობთ. გმადლობთ. მე არ ვიცი ჯანმრთელობა რამდენი დამრჩა. ნახევრად მშიერი არსებობა, მძიმე ფიზიკური შრომა, - ადამიანს შეუძლია ეს აიტანოს ერთი კვირა, ორი, შემდეგ მისი სხეული იწყებს დანებებას. ჯერ წაგერთმევა ზურგი, შემდეგ - მხრები, ფეხები. თავი ისე მაგრად გიწყებს ტკივილს, თითქოს ჩაქუჩს გირტყამენ. მე ჯანმრთელი, ნავარჯიშები ვიყავი და ამით გამიმართლა. თუ ბანაკში ხვდებიან ხანდაზმული ან ავადმყოფი ადამიანები, იმას მაშინვე სასაფლაოელით. მე ალბათ კიდევ ერთ თვესაც ველარ გავუძლებდი.

არკადიმ კანკალი დაიწყო. სანდროს სიტყვა არ უთქვამს, ისე დაასხა ერთი ჭიქა.

- სჯობს, ჩვენ წავიდეთ, - წარმოთქვა ვერამ, - არკადის სჭირდება ხანგრძლივი დასვენება. ნახვამდის.

- მაშას ჟრუანტელმა დუარა არკადის მონათხრობისგან. მთელი თავისი ცხოვრება ის იყო ინჟინერი და კარგი მეუღლე. ოდესღაც გამძლე და მაგარი მამაკაცი სრულიად გატეხილი დაბრუნდა სახლში. რაც მთავარია, დაბრუნდა ცოცხალი.

ხრუშჩოვმა ორი წლის განმავლობაში გაანთავისუფლა, რეაბილიტაცია გაუკეთა დაახლოებით მილიონ ადამიანს. შემდეგ კი რა მოხდა? არქტიკა და ციმბირი დარჩნენ მეტად საჭირო მუშახელის გარეშე. ხოლო რუსეთის ევროპულ ნაწილში გაჩნდა ცხრა მილიონი წყვილი ზედმეტი მუშა ხელი. კომუნისტებმა კომპენსაციის მიზნით დააწესეს მაღალი ხელფასები იმ ადამიანებისთვის, ვინც იცხოვრებდა და

იმუშავებდა ციმბირსა და არქტიკაში. გეგმა ამუშავდა - რატომაც არა - რუსებს არასოდეს ეშინოდათ სიცივის: საუკუნეების განმავლობაში სიცივესთან შეგუება ისწავლეს.

- ანდრიუშა, რატომ არ გახვალ გარეთ სუფთა ჰაერზე? მთელი დღე კითხულობ წიგნებს და მეცადინეობ დღეში 20 საათს, - ამბობდა მაშა. მის ბიჭს სახე გაუფერმკრთალდა, როგორიც დამახასიათებელია ბიბლიოთეკარებისთვის, რომლებიც მზეზე თითქმის არ გამოდიოდნენ.

- დედა, შენ ხომ იცი, როგორი კონკურსია უნივერსიტეტში! ჩემს ფაკულტეტზე ადგილის დაკავების 500 მსურველია. თუ არ მივიღე უმაღლესი შეფასება, მე არ მექნება იქ მოხვედრის შანსი.

***

თქვენ იმდენად ძველმოდური ხართ, რომ ეს მოქმედებს ჩემს ნერვებზე. შენ ხომ პედაგოგი ხარ, არ იცი თანამედროვე ქუჩური ჟარგონი! არ გესმის როგორ ფიქრობს ახალგაზრდა თაობა. ეს სულ სხვა სამყაროა!

- ქუჩური ჟარგონი! რატომ უნდა ვიცოდე ქუჩური ჟარგონი? რუსული ენა ძალიან ლამაზია. თქვენ, ახალგაზრდები, უპირატესობას ანიჭებთ რუსული სიტყვების ნაცვლად უცხოურს. ზოგჯერ მე მესმის სტუდენტები როგორ ლაპარაკობენ. ჟღერს თითქოს რუსული ენის მსგავსად, სინამდვილეში კი, სავსებით უაზრობას წარმოადგენს.

- დედა, შენ ნამდვილად უიმედო ხარ! დღეს გაჩნდა ახალი შესაძლებლობები, ახალი იდეები.

- ანდრიუშა, მე იმდენჯერ მსმენია ჩემს ცხოვრებაში ეს, რომ ამისგან უკვე გული მერევა. ახალი ყოველთვის კარგი არ არის, ძველი კი - ყოველთვის ცუდი. შენ რაც უფრო მალე გაიგებ ამას, მით უკეთესია შენთვის.

- მე არ დავიწყებ კამათს, მაგრამ უკვე სრულიად სხვაგვარი ახალგაზრდობაა. ჩვენ უფრო მეტს მოველით ცხოვრებისგან, ვიდრე ჩვენი მშობლები და ჩვენ ვაპირებთ უეჭველად მივაღწიოთ ამას.

მაშამ გაიღიმა. მასაც იმედი ჰქონდა, შვილები უკეთ იცხოვრებდნენ. აი, მხოლოდ ასეთი უხეშები რომ არ იყვნენ. რატომ უნდა იცხოვრონ მათ ცუდად: ორი მსოფლიო ომი, შიმშილი, ბანაკები, რუსი ხალხის მასობრივი ხოცვა და ყველაფერი ეს იყო XX საუკუნეში. რა იმედი ჰქონდა ანდრიუშას მოსკოვის უნივერსიტეტში მოწყობისა! განათლება იყო თვითსრულყოფილების საშუალება, საშუალება მიაღწიო ცხოვრებაში რაიმეს და მოგზაურობაც კი მოახერხო.

უნივერსიტეტში იყო მეცნიერებათა აკადემიისგან გამოყოფილი ცალკე სტრუქტურა. აკადემიას მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ტრადიცია XVIII საუკუნის დასაწყისიდან, პეტრე პირველის დროიდან და მიიღო კიდეც მხარდაჭერა მთავრობისგან, თუმცა მთავრობის წევრების უმრავლესობას შედარებით ცუდი განათლება ჰქონდათ, ანდა საერთოდ თუ ჰქონდათ, ესეც საკითხავია. ისინი მხარს უჭერდნენ მეცნიერებას და ტექნოლოგიებს, რადგან ესმოდათ, რომ ეს არის პროგრესის მამოძრავებელი ძალა. პარტია ერეოდა საზოგადოებრივ მეცნიერებაში, თუმცა არ ეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, რითაც ქვეყანამ მიაღწია მსოფლიო დონეს, პირველ რიგში, მათემატიკისა და ფიზიკის განხრით. საბჭოთა კავშირში ყველა ქვეყანას ასწრებდა მედიცინაში, რაც ძალზე გაზვიადებულ მოვლენას წარმოადგენდა.

მაშას თითქმის შეუძლებლად ეჩვენებოდა ლაპარაკი ამაზე ანდრიუშასთან. მას ახსოვდა ის პატარა, მთლიანად შეფუთული, როცა მხოლოდ მისი ფუნჩულა ლოყები და შუბლი მოჩანდა. ახსოვდა, რამდენს წვალობდა ბიჭუნა ეთქვა პირველი სიტყვა: არა "დედა", ან "მამა", არამედ "კარგი".

ახსოვდა მისი სკოლის წლები, მისი ბავშვური თავგადასავლები და იმ აღმოჩენების ენთუზიაზმი, რასაც ის აკეთებდა. ახლა კი ანდრიუშა ელაპარაკებოდა, რომ ის უიმედოდ ჩამორჩა! და რა შეიძლება უპასუხოს დედამ ამაზე?

***

არ ვიცი, გაზეთები, რადიო და ტელევიზია რატომ მიზიდავენ ასე. შესაძლოა იმიტომ, რომ ვიცოდი: გარშემო ბევრი საინტერესო რამ ხდება. თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის საკმარისად არ ასახავდნენ მომხდარ ამბებს. ხალხს კარგად ესმოდა, რომ ეს ნიშნავდა მათ ცნობიერებაზე გაბატონებას. აგერ უკვე 30 წელზე მეტია, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვსწავლობ.

ეს ჩემთვის ჰობივითაა. თუ ვინმე შემეკითხებოდა, როგორი დასკვნები გამომქონდა, მე პასუხად ვეტყოდი - ზოგჯერ ძნელია რაიმე ახალი ნახო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თუ კარგ მოთმინებას გამოიჩენ (რაც ყველას არ შეუძლია), შეიძლება "ნახო" ეს სიახლე. ბევრ მნიშვნელოვან ამბავს ან საერთოდ არ წერენ, ან წერენ გამრუდებულად.

ჩემი აზრით, მაშა პროტესტს არ გამოთქვამდა ჩემი ჰობის გამო, მით უმეტეს, მე დროს არ ვხარჯავდი ბოთლ არაყზე. უკანასკნელ წლებში ის ზოგჯერ დამცინოდა და მეც ვალში როდი ვრჩებოდი მას.

- სანდრო, მე მივდივარ დიმიტრისთან. გინდა ჩემთან წამოსვლა?

- არა, გმადლობთ. ვალენტინა მიგყავს თან თუ არა?

- არა, შენ ხომ შინ რჩები, სჯობს გაკვეთილები მოამზადოს. თუ გახსოვს ის უკვე მეორეკლასელია. სწავლა არასოდეს არ არის გვიან. ის ხომ მე მგავს, ეს კი მის უდავო ნიჭიერებას მოწმობს.

- მოდი, ნუ გავაგრძელებთ. მან იცის, რა უნდა გააკეთოს?

- რა თქმა უნდა. მხოლოდ ფანქრების გათლა დასჭირდება. შენ რაღას აპირებ?

- ხო, რა თქმა უნდა, უნდა გავუთალო ფანქრები. თანაც რადიოს მოვუსმენ.

- როგორც ყოველთვის, - უთხრა მაშამ და დაიწყო შავი, ჯერ კიდევ მბზინვარე თმის ვარცხნა, - შემეძლო არც შეგკითხოდი. რაიმე გესმის მათი ლაპარაკიდან? რას უსმენ შენ - "ამერიკის ხმას" თუ "ბი-ბისის"? შენ რა, ამერიკანოფობი ხარ?

- არა, არ ვფიქრობ. მე, რა თქმა უნდა, არ მჯერა ჩვენი პროპაგანდის. ამავე დროს, მგონია ამერიკული რადიომაუწყებლობაც მოსაბეზრებელია და ყალბი. ისინი ბევრ რამეს ამახინჯებენ. ზოგჯერ მეტად ტენდენციურები არიან, ვიდრე ჩვენი რადიო. "ბი-ბი-სი" მგონი უფრო გულახდილია. ახალი ამბები რჩება ახალ ამბებად, რასაც თან სდევს შეწყნარების შეგრძნება.

მაგალითად რაში? - შეეკითხა მაშა და გაკვირვებულმა წარბები აწკიპა, ის უკვე წასვლას აპირებდა დამშვიდებული და გულარხეინი იმედით, რომ იყო ადამიანი, ვისთვისაც ვალენტინას დატოვება შეიძლებოდა.

- ისინი იგონებენ რაღაც-რაღაცებს, ამის შესახებ ყვებიან ისევ და ისევ, მსჯელობენ, აანალიზებენ, თითქოს ეს სიმართლე იყოს, შემდეგ კი მოქმედებენ ისე, როგორც ილაპარაკეს.

ყველაზე დიდი ტყუილი მაინც ომის პერიოდს ეხება. როდესაც მათ 1944 წელს გახსნეს მეორე ფრონტი, ჩვენ უკვე გამარჯვებულები ვიყავით გერმანელებზე მოსკოვისათვის ბრძოლაში, სტალინგრადში, ლენინგრადსა და კურსკში. გერმანელებმა დაიწყეს უკან დახევა. რა თქმა უნდა, მეორე ფრონტი აუცილებელი იყო. ამერიკელები კი ისე იქცევიან,

თითქოს ომი მათ მოიგეს და ჩვენ ცოტათი დავეხმარეთ. დაიღუპა 20 მილიონზე მეტი ადამიანი, ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი არმია იყო სამჯერ მეტი მაშინაც კი, როდესაც მეორე ფრონტი გახსნეს.

- რამდენი ამერიკელი დაიღუპა?

- მე გავიგე 350 ათასი დაღუპულა.

- და რატომ იგონებენ, რაც არ ყოფილა?

- ო, შესაძლოა, ეს ნაციონალური სიამაყეა ან სამხედრო დეპარტამენტის პროპაგანდა, არ არის ცნობილი, თუ ამერიკის მთავრობა შეძლებს დაარწმუნოს ამერიკელები და სხვა მცხოვრებლები ამ ტყუილში, მაშინ ისინი შეძლებენ დაარწმუნონ მათთვის საჭირო ყველაფერ სხვა პრობლემებშიც.

- გგონია მათი პროპაგანდა ისე კარგად მუშაობს, როგორც ჩვენ? - იკითხა მაშამ და დაუძახა ვალენტინას, - ვალია, მოდი აქ, დაგვარცხნო თმა, სანამ წავსულვარ.

ვალენტინამ მოირბინა, ჩამოჯდა ლოგინზე და ყურადღებით უსმენდა რაზე იყო ლაპარაკი.

- ვფიქრობ, რომ ამერიკული საინფორმაციო საშუალებები ყველაზე მეტად მსოფლიოს მასშტაბით არიან გაწაფულნი სიყალბეში. ჩვენ ხალხს არ სჯერა საბჭოური ტყუილების, ამერიკელებს კი ეტყობა, სჯერათ ტყუილის, იჯერნებენ მედიის მიერ მიწოდებულ ყოველგვარ ინფორმაციას.

- რა იცი შენ ამერიკელების შესახებ? ვალია, თავი სწორად დაიჭირე და მორჩი წრიალს!

- დიახ, ჩემს ცხოვრებაში მათ შევხვდი მხოლოდ გამარჯვების შემდეგ გერმანიაში ყოფნისას.

მაშინ ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, თუ როგორ გააყალბებდნენ და გაამრუდებდნენ ისტორიას. მაგრამ მე ვინც ვნახე, ძალიან მხიარული ბიჭები იყვნენ.

მე არ ვენდობი ამერიკის მთავრობას და ამერიკულ რადიოს. ამ დროს კი მჯერა უბრალო ამერიკელი ხალხის.

- რამ შეცვალა შენი შეხედულება? ვალია, მოდი კბილები გაიხეხე და ჩემ არყოფნაში კარგად მოიქეცი. ხომ იცი მამაშენს ბავშვების მოვლისა არაფერი ესმის.

- კარგი დედა, - უპასუხა შვიდი წლის ვალენტინამ, - მასზე ვიზრუნებ, მე შევინახე მისი წინდები და რომ მოინდომოს კიდეც, ვერსად შეძლებს წასვლას!

- რა? სად არის ჩემი წინდები? მომეცი ახლავე! - ვალენტინა გაიქცა ოთახიდან გახარებული და სახეგაბრწყინებული.

- მაინც რამ შეგაცვლევინა შეხედულება? - გაუმეორა მაშამ.

- რამდენიმე გადაცემა ვნახე, როგორ უყვართ ამერიკელებს შინაური ცხოველები. მოსკოველებსაც უყვართ ძაღლები, პარიზელებსაც, ინგლისელებს და გერმანელებს კი - არა. სწორედ ამიტომ მათი ნდობა არ შეიძლება.

- ეს რა, საერთაშორისო ურთიერთობის ახალი თეორიაა, - ძაღლური თეორია?

- აი, ნახავ. უბრალოდ გშურს, რომ შენ პირველად ამას ვერ მიხვდი, - სიცილით უპასუხა სანდრომ.

- სხვათა შორის, ძაღლების შესახებ, ვფიქრობ, ვალენტინას უნდა მოვუყვანოთ ლეკვი არა თეორიული, არამედ ისეთი, ყეფა რომ შეუძლია და კუდსაც აქიცინებს!

- მეტისმეტი სიჩუმეა, ამხანაგო ქირურგო. ბავშვებს სჭირდებათ შინაური ცხოველები. შენ მოძებნი თუ მე?

- შენ, შენ და ისევ შენ. ძალიან შეეცადე კეთილი ძაღლი იყოს. ბოლოს რომ გვყავდა, იმან კინაღამ ფეხი მომაჭამა.

- სანდრო, შენ დიდი ბავშვი ხარ. ნახვამდის. გახსოვდეს, რომ ფანქრები გასათლელია.

რადიო ავაწყვე "ბი-ბი-სის" ტალღაზე. დიდად გამაკვირვა იმან, რომ გავიგე ხრუშჩოვი ბრეჟნევს შეუცვლია. მე მხოლოდ მხრები ავიჩეჩე. ნეტავ როგორ ირჩევენ მათ? ხრუშჩოვი არ მაინტერესებდა. ამ დროისთვის ის უკვე პოპ-

ულარული არ იყო: მისი სასოფლო-სამეურნეო რეფორმა კრახით დამთავრდა, ფასებმა ორჯერ აიწია, გაიზარდა დანაშაული. ამ ხნის განმავლობაში კი ხრუშჩოვი მსახიობივით, უფრო მეტიც - ტაკიმასხარასავით გამოიყურებოდა. კიდევ კარგად დამთავრდა მისთვის ყველაფერი.

ახლა უკვე გვყავდა ბრეჟნევი, პოდგორნი და კოსიგინი - სამი ახალი მლიქვნელი. უკეთესი იყო გვეფიქრა, ხრუშჩოვმა ცუდზე ბევრად კარგი საქმეები გააკეთა. ამავე დროს ჩვენ არ ვიცოდით ყველაფერი გაკეთებული ცუდის შესახებ. ნიკიტა სტალინს არ ჩამოჰგავდა კარგი რომ ყოფილიყო. მან გაანთავისუფლა ბანაკებიდან მილიონობით ადამიანი, რაც მართლა კარგი საქმე იყო; მან ააგო სახლები, ესე კარგი იყო. მაგრამ ხრუშჩოვი მაინც ხრუშჩოვია, რაც არის ის არის, მეტი არ შეუძლია. მეტისმეტად უყვარდა კოლმეურნეობები. ის მასხარად გამოიყურებოდა დანარჩენი სამყაროს წინაშე. ეს კი მართლა ცუდი იყო. ერთი საქმეა მასხარას როლს თამაშობდე სახლში, სავსებით განსხვავებულია მეორე - მასხარად გამოიყურებოდე მთელი სამყაროს წინაშე.

- მამა, შენ არ იცი სად არის ფანქრების სათლელი? - დამიძახა ვალენტინამ მეორე ოთახიდან.

- არა, ვალია, არ ვიცი. აი, ეს ფანქრები წაიღე, გათლილია.

- მე მხოლოდ შეგამოწმე. ვიცი, სადაც არის, დედა ამბობდა,თითქოს არაფერიც არ იცი,- მიპასუხა ვალენტინამ და გასაბრაზებლად ენა გამომიყო. ვერ გამიგია, ქალები ჯერ კიდევ ასეთი პატარები რატომ ფიქრობენ, რომ ყოველთვის ჭკვიან არსებებს განასახიერებენ.

შემდეგმა ექვსმა თვემ მშვიდად ჩაიარა. მე ვმუშაობდი საავადმყოფოში, ანდრიუშამ ჩააბარა ყველა გამოცდა და მოეწყო მოსკოვის უნივერსიტეტში. ვალენტინა სულ უფრო და უფრო მომხიბვლელი გოგონა ხდებოდა; დარწმუნებული ვიყავი, მას კარგად ესმოდა ჩემი არსება რომ მთლიანად დაიპყრო. მაშა

მეტად იყო დაკავებული, ვიდრე მე. მიუხედავად ინსტიტუტში რთული საქმიანობისა, ის ასრულებდა მთელ ოჯახურ სამუშაოს.

ჩვენს ოჯახში მატება იყო, გაჩნდა ძაღლის ლეკვი, - სახელად ბელკა. მე თითქმის იმ წამსვე დავუწყე სწვალება. მსურდა, გაეგო ქართული ენა. ასე არაფერი გამოვიდა. ბელკა იგნორირებას გვიკეთებდა მე და ანდრიუშას, ამ დროს კი თვალს მოჰკრავდა თუ არა მაშასა და ვალენტინას, სახლში დაბრუნებულს იმწამსვე შეახტებოდა. მე კი მისი თუნდაც მოფერების შემთხვევაში, ბელკა ხელს მომაჭამდა.

მოსკოვში სეირნობის დროს შევამჩნიე, რომ გაიხსნა რამდენიმე ეკლესია, თუმცა ამას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ თითქმის ყველას მსგავსად, ვისაც კი ვიცნობდი, ეკლესიისკენ არც კი ვიხედებოდით. ჩვენთვის მშვიდად ვლოცულობდი სახლში.

მაშასთვის მოვამზადე სიურპრიზი. ვიცოდი ის არ ბრაზდებოდა და ყველაფერ ამას ღებულობდა ჩემი ქართული ხასიათის ნაწილივით. მოსკოვში ხშირ-ხშირად ჩამოსული ქართველები გაუფრთხილებლად მოდიოდნენ ჩვენთან. რა თქმა უნდა, მათ თავისუფლად შეეძლოთ ჩამოსვლაც და რამდენიმე ხნით გაჩერებაც.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენს რეკორდს წარმოადგენდა თვრამეტი სტუმარი ერთდროულად. მეგონა მაშა ვერ გაუძლებდა. მან კი ყველასათვის გამონახა ადგილი. ვერ წარმომიდგენია როგორ მოახერხა ეს! ყოველ მათგანს ჩამოჰქონდა საქართველოდან ძღვენი, სასმელი და საჭმელი, რაც გვიადვილებდა სტუმრების გამასპინძლების პრობლემას.

- სალამი მაშა! კარგია შინ რომ მოხვედი, ჩვენ სტუმრები გვყავს, ვლაპარაკობდი და თან ბუფეტიდან გამომქონდა ბოთლი "ქინძმარაული" და პატარა თეფშები.

- გამარჯობათ, - თქვა მაშამ შემოსვლისთანავე.

- გამარჯობათ, - ღიმილით უპასუხა სტუმარმა, - მგონი,

ჩვენ სადღაც შევხვედრივართ? - მას მუქი ფერის კოსტიუმი ეცვა, თეთრი წვერი აშშვენებდა, სახე ძალიან კეთილი, თვალები ცისფერი, თითქმის გამჭვირვალე ჰქონდა.

მაშამ დაიწყო ფიქრი, სად შეეძლო ენახა ეს კაცი? აი, თვალები ნამდვილად ნაცნობი იყო.

- მოდით, მე გამოვიცნობ: სანდროსთან ჰოსპიტალში?

- არა, - უპასუხა სტუმარმა, ოდნავ შეცბუნებით.

- დიდ თეატრში ხომ არა?

- მე არასოდეს ვყოფილვარ იქ, - უპასუხა ჩემმა უცნობმა სტუმარმა.

- თქვენ, ალბათ, ომის პერიოდიდან სანდროს ერთ-ერთი ამხანაგი ხართ, ასეა? - შეეკითხა მაშა, ეჭიდებოდა რა უკანასკნელ ხავსს.

- არა! მოდით მე გიკარნახებთ. ეს იყო 25 წლის წინ, თქვენ იყავით ძმასთან, მის ცოლთან და სანდროსთან. რა თქმა უნდა, ჩვენ ფარდულში შევხვდით.

- ფარდული, ფარდული... რა ფარდული 25 წლის წინ? არა, ეს შეუძლებელია. ჩვენთან იყო ჩვენი ბიჭი? თქვენ კი გეხმარებოდათ კაცი და ქალი?

- დიახ, მე - მამა კირილე ვარ, მღვდელი, რომელმაც თქვენი ბიჭი მონათლა.

- როგორ გვიპოვეთ? - შეეკითხა მაშა, სავსებით განცვიფრებული საქმის ასეთი შემობრუნებით.

- ის ჩვენ არ გვეძებდა, პირიქით, ჩვენ ვეძებდით მას, - ჩაერთო ლაპარაკში სანდრო, - ამ დღეებში ვიყავი დიმიტრისთან. საუბრისას მან აღნიშნა, რომ მისი მეგობარი ვიტალი, შენ მას იცნობ, აპირებს სოფელში წასვლას. მე დავურეკე ვიტალის და ვთხოვე მამა კირილესთვის გადაეცა მილოცვა. სოფლიდან დაბრუნების შემდეგ ვიტალიმ შეგვატყობინა, რომ მამა კირილე აპირებდა მოსკოვში ჩამოსვლას და აი ჩვენ აქ ვართ.

- გასაოცარია! რა პატარაა ეს ქვეყანა! - თქვა მაშამ, - მოგვიყევით, როგორ ცხოვრობთ? როგორ არის თქვენი ეკლესია?

- არ ვჩივი. ამჟამად პასუხისმგებელი ვარ ყველა ეკლესიაზე ოლქში. ალბათ, პასუხისმგებლობა ჭალარასთან ერთად მოდის.

- მრევლი ბევრი გყავთ? - ჰკითხა სანდრომ, - ომის შემდეგ ეკლესიის დევნა ცოტათი შეჩერდა. თუმცა მოსკოვში დღეს სულ რამდენიმე ეკლესიაა.

- დიახ, სტალინმა სიცოცხლის ბოლოს შეწყვიტა შეტევა ეკლესიებზე. ამბობენ, რომ ის წინასწარ გრძნობდა, რა ელოდა, ავადმყოფობდა. იმასაც ამბობენ, ის ძალიან ხშირად დადიოდა მეულლის საფლავის სანახავად. გარდა ამისა, დედამისი სიკვდილამდე ყოველდღე ლოცულობდა ეკლესიაში, თითქმის ასი წლის ასაკშიც კი. რა თქმა უნდა, არავინ იცის საკუთარი თავის გარდა, რა აიძულებდა ასე მოქცეულიყო.

- მაინც რა მოხდა? - შეეკითხა მაშა.

- უპირველესად, გაიხსნა სემინარიები, პირველად რევოლუციის შემდეგ. ისევ გაიხსნა ათასობით ეკლესია. მოსკოვის პატრიარქატს ნება დართეს გამოუშვან ყოველთვიური ჟურნალი. უკვე სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირში დაიბეჭდა ბიბლია. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კი საერთოდ უგულებელყოფენ რელიგიას.

- ეს შესანიშნავია, - თქვა სანდრომ. თუმცა ამაზე მოსკოვში მაინც არაფერს ამბობდნენ. ადგილობრივი ორგანიზაციებიც მიხვდებიან, რა სისულელესაც სჩადიან.

- როგორც კი ხრუშჩოვი მაგრად დადგა ფეხზე, დაიწყო ბანაკებიდან ტუსაღების განთავისუფლება, დიდ ქალაქებში სახლების მშენებლობა. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი სიტყვებით. ცხოვრება ნამდვილად უკეთესი გახდა ბევრისთვის. ამ პერიოდში ის ანგრევდა ეკლესიებს, ხურავდა სემინარიებს, ატუსაღებდა მღვდლებს - ასეთი რამ არ მომხდარა ლენინის დროიდან. ხრუშჩოვს სინამდვილეში ძალაუფლება ჰქონდა ექვსი წლის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში დახურა ეკლესიების ორი მესამედი. 69 მოქმედიდან 59 მონასტერი, 8 სემინარიიდან - ხუთი. მთელი ქრისტიანული ისტორიის

პერიოდში ის აღმოჩნდა ეკლესიების ყველაზე საშინელი მდევნელი, ამაოხრებელი.

- მე წარმოდგენაც არ მქონდა, რა ხდებოდა, - თქვა მაშამ, - ის ლაპარაკობდა ათეიზმის ინსტიტუტზე, მეცნიერული ათეიზმის შესახებ, როგორც უწოდებენ. გაზეთები ამით იყო სავსე. ყველა მასწავლებლისგან მკაცრად მოითხოვდნენ სწავლა მხოლოდ ათეიზმიდან გამომდინარე ეწარმოებინათ. ჩვენ ყველაფერი ეს ჩავთვალეთ კომუნისტების მიერ ქრისტიანობის წინააღმდეგ წამოწყებულ ახალ შეტევად.

- ეს არ იყო მხოლოდ განახლებული იერიში, - თქვა მამა კირილემ და მცირე ყლუპვით განაგრძო ჩაის სმა, - ეს იყო გაცილებით უფრო ცუდი. კანონი უკრძალავდა მშობლებს ბავშვებისთვის ესწავლებინათ რელიგია სახლში. მღვდლებს აპატიმრებდნენ, თუ ვინმე 18 წელზე უფრო ნაკლები ასაკისა შემოვიდოდა ეკლესიაში. აკრძალული იყო ზარების რეკვა. ამავე დროს, ათეისტური ჟურნალი გამოდიოდა 800000 ტირაჟით, მაშინ, როცა ქრისტიანული ჟურნალი 12000 ეგზემპლარით და ისიც მხოლოდ რამდენიმე ფურცლით შემოიფარგლებოდა.

- რა აიძულებდა, ასე რომ მოქცეულიყო, - ჰკითხა სანდრომ, - ეს ხომ წარმოუდგენელია. ის ხომ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დაემტკიცებინა საბჭოთა კავშირში ლიბერალიზაციის პროცესი მიმდინარეობსო, - დანამდვილებით არავინ იცის. ერთნი ლაპარაკობდნენ, ის იმდენად ვერ იტანდა სტალინს, რომ რასაც აკეთებდა იყო სტალინის საწინააღმდეგო, თვით რელიგიის ჩათვლით. სხვები ლაპარაკობდნენ, ის ახალგაზრდა და მგრძნობიარე იყო, როცა ლენინმა ყველაფერი იღონა, რათა ძირფესვიანად მოესპო რწმენა. ზოგი დარწმუნებულია, ის ათეიზმს ფილოსოფიად არ თვლიდა ან თვალსაზრისად, თვლიდა საბჭოთა ადამიანის განუყოფელ ნაწილად.

- მერე რამდენად მიაღწია წარმატებას? - შეეკითხა მაშა.

- მღვდლები მაინც საიდუმლოდ განაგრძობდნენ წირ-

ვას, ხალხი სახლებში ლოცულობდა, ეკლესია არ მომკვდარა. რაც უფრო მძლავრი იყო ანტიქრისტიანული თავდასხმა, მით უფრო მეტად ძლიერდებოდა ეკლესია.

- აწი რა შეიძლება მოხდეს, როცა სახელმწიფოს სათავეში ბრეჟნევია? - შეეკითხა სანდრო.

- არა მგონია ველოდოთ უკეთესობისკენ შემობრუნებას. ბრეჟნევი ხრუშჩოვის პროტეჟეა. ისინი წყლის წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს.

- იქნებ თქვენ ცდებით, - უთხრა მაშამ, - სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა ქალიშვილი კარებთან რომ დგას, ჩვენი შვილია, ვალენტინა. ის საქართველოში მონათლეს.

- მოდი ჩემთან, ჩემო გოგონა, - უთხრა მამა კირილემ, - შენ რომელ კლასში სწავლობ?

- მეორეში, მალე მესამეში გადავალ, - უპასუხა მან.

- დაუჯერე მშობლებს, გიყვარდეს მშობლები და მოყვასი შენი. უკვე დროა, წავალ. ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახი.

- გმადლობთ, მამაო კირილე, - უპასუხა მაშამ, - ჩვენ გვჯერა, რომ ეკლესია ყველა გაჭირვებას გაუძლებს. გადაეცით ჩვენი კეთილი სურვილები თქვენს მეგობრებს ეკლესიაში.

- ეკლესია გაძლებს და მყარად იდგება ყველაფრის მიუხედავად.

- გმადლობთ, რომ მობრძანდით, მამაო კირილე, ნახვამდის.

ამას ვინ იფიქრებდა? ვიცოდით კანონები, გაზეთების სტატიები, ჩვენ კი არ გვესმოდა ქრისტიანობის აღმოსაფხვრელი კამპანიის მთელი სიღრმე და სიმძიმე. ამბობენ, სტალინი თავის ჩიბუხს ხრუშჩოვს მოტვლეპილ თავზე აბერტყავდა და ნიკიტუშკა სულელს ეძახდა. ამ დროს კი ის გამოდგა უფრო საშინელი სატანას მოციქული, ვიდრე სტალინი.

მეათე ნაწილი

მოსკოვი. 1982 წელი

ეიძლება, რომ რაიმე ერთსა და იმავე დროს კარგიც იყოს და ცუდიც? მაშამ გვიან გაიგო, ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს ეგრეთ წოდებული რეფორმატორები უძრაობის პერიოდს რომ უწოდებდნენ. მაგრამ, როგორც კი ეს რეფორმატორები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ნათელი გახდა, ბრეჟნევის პერიოდი ოქროს ხანა ყოფილა საბჭოთა კავშირის მილიონობით მცხოვრებთათვის.

არაბეთის ქვეყნებიდან ნავთობზე ემბარგოს დაწესების დროიდან, 1973 წლიდან, სულ უფრო მეტი სახალხო მოხმარების საგნები გახდა ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის. ყველა მომუშავე უზრუნველყოფილი იყო წელიწადში ერთხელ ფასიანი ერთთვიანი შვებულებით. ბევრი მათგანი მას შეღავათიანი საგზურებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ატარებდა. სამუშაო კვირა 5 დღეს შეადგენდა. შაბათს მხოლოდ სკოლებში მეცადინეობდნენ მოსწავლეები. 1967 წლიდან 1977 წლამდე 50 პროცენტით გაიზარდა ხელფასი. ამასთან, განუხრელად, თითქმის ასტრონომიულად იზრდებოდა ალკოჰოლიზმის დონე. ჯანმრთელობაზე ალკოჰოლიზმისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებათა შედეგად მცირდებოდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, განსაკუთრებით იმატა გარემოს გაჭუჭყიანებამ. გადაუწყვეტელი რჩებოდა ეროვნული პრობლემები.

"ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი შრომის საფასურს გვიხდიან, ჩვენ კი ისე ვიქცევით, თითქოს ვმუშაობთ" - სულ

უფრო ხშირად იმეორებდნენ ამ ფრაზას მშრომელები. "როგორ მოგწონს ასეთი განცხადებები?" - იკითხა მაშამ და გაზქურის ღუმელიდან გამოიღო ხორციანი ღვეზელები. მის ბინაში დობილების ყოველკვირეული ტრადიციული კარტის თამაში იმართებოდა.

სანდრო და მაშა ლენინგრადის პროსპექტზე ცხოვრობდნენ, მეტროს სადგურ "აეროვაგზალთან". მოსკოვში ისე ხშირად იცვლებოდა ქუჩების დასახელებანი და ახალმშენებლობებზე იმდენი ქუჩა იქმნებოდა, რომ მილიონობით მცხოვრები და ჩასულები მეტროპოლიტენის სადგურებით ორიენტირებდნენ. მოსკოვის მეტროს დღეში რამდენიმე მილიონი მგზავრი გადაჰყავდა, მართალია განსაკუთრებული მოხერხებულობისა და კომფორტის გარეშე, მაგრამ საკმაო სისწრაფით. მაშას გაეგონა, თითქოს მსოფლიოში არ იყო მგზავრობის ანალოგიური სიიაფის ტრანსპორტი, ვინაიდან მეტროს სახელმწიფო აფინანსებდა.

- უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდებს მუშაობა არ უნდათ, - აღნიშნა მაშამ. აი მე ინსტიტუტში ყოველდღე მესმის: გვინდა ვატაროთ იმპორტული ტანსაცმელი, შევიძინოთ საზღვარგარეთული საქონელი, ვუსმინოთ საზღვარგარეთულ მუსიკას, რა უმსგავსობაა. მიმაჩნია, რომ ყოველივე ამის მიზეზი ხრუშჩოვის ანტირელიგიური პროპაგანდაა. ახალგაზრდობის უმრავლესობას მორალის ნატამალი არ აქვს. შეხედეთ რას უშვრება როკ-მუსიკა მათ ტვინს, თუ ის კიდევ დარჩა მათ თავებში.

- მაშა, შენ როგორც ჩამორჩენილი ადამიანი, ისე მსჯელობ, - შენიშნა ვერამ და ყურადღებით აკვირდებოდა მის ხელებს, კარტის დასტის არევის დროს.

- დავბერდი, ნამდვილად დავბერდი, - დაეთანხმა მაშა, შენ გინდა იცოდე, რაზე ლაყბობენ ისინი ყოველთვის? საზღვარგარეთ წასვლაზე. მათ ავიწყდებათ, რომ საჭიროა მძიმე

შრომა, ოჯახის რჩენა, ქვეყნის დახმარება. მოვალეობაზე უფრო მეტად უნდათ ნახონ პარიზი, ლონდონი, რომი, ნიუ-იორკიც კი. ეს სირცხვილია!

- რატომაა სირცხვილი, - გაიკვირვა ვერამ, - ღმერთო ჩემო, მოგზაურობაში რა არის ცუდი?

- ცხადია არაფერი, მაგრამ მათ ყველაფრის გაკეთება უშრომლად უნდათ, ჰგონიათ, რომ დასავლეთში ქუჩები ოქროთია მოკირწყლული და იქ ჩასვლისთანავე ყველა თქვენი სურვილი შესრულებული იქნება. მე არ ვხუმრობ, შეიძლება გაგიუდე, ისეთი გულუბრყვილოები არიან.

- საზღვარგარეთ გასტროლებზე ნამყოფ დიდი თეატრის მსახიობებს ძალიან მოსწონთ იქაურობა, - თქვა მარგარიტამ და ფრთხილად ჩაკბიჩა ცხელი ღვეზელი.

- ცხადია, მოეწონებოდათ. საზღვარგარეთ თავისუფლად სიარულის წინააღმდეგი მე სულაც არ ვარ, თავადაც სიამოვნებით ვიმოგზაურებდი იტალიაში, ამერიკაშიც, თუმცა ევროპა უფრო მომწონს. ეს ყველაფერი მე დავიმსახურე. ხოლო თანამედროვე ახალგაზრდობას მძიმე მუშაობის გარდა ყველაფერი უნდა.

- მართალია, მუშაობაზე მომაგონდა, თუ იშოვე პალტო, რომელსაც ნახევარ წელიწადზე მეტია ეძებ, - იკითხა ვერამ.

- რა არ მოვიმოქმედე იმ პალტომ საშოვნელად. მთელი ქვეყანა ჩაფლულია ბინძურ ქრთამებში, ხან ბოთლი არაყი, შოკოლადის ნაკრები, ხანდახან ფულიც. მართალია მე ამჟამად ფული მაქვს, მაგრამ ეს არ ცვლის სიტუაციას.

- მე ნებისმიერ საჭირო ტანსაცმელს ან ნივთს შავ ბაზარზე ვყიდულობ, მაღაზიაში ისინი ან უხარისხოა, ან ძალიან ძვირი.

- სხვადასხვა წვრილმანის საყიდლად იზმაილოვის პარკში დავდივარ "რწყილების" ბაზარში. იქ თუ ივაჭრებ,

შეიძლება ფასიც დაგიკლონ. ეს სულ უცხოელების მიზეზ-ით გვჭირს, გაგვაჩანაგეს ამ დოლარებით, მარკებით თუ სტერლინგებით.

- ვერ გამიგია, რატომ არიან უცხოელები საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე?

- ვერა, ეს რა განცხადებაა? გაიკვირვა მაშამ. ჯერ ერთი, ამას სჯობია ჩვენს ნაცვლად სუკის აგენტებმა მიხე-დონ, ეს მათი სამუშაოა. მეორეც, უცხოელები აქ ჩამოდიან ჩვენს დასახმარებლად. ეს შეცდომები ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან იწყება და მოდი ამას კომუნისტებს ნუ დავაბრალებთ. პეტრე დიდს რომ სამასი წლის წინათ უცხ-ოელების წინაშე არ ელაქუცა, დღეს არ იქნებოდა სპეციალ-ური მაღაზიები უცხოელებისთვის, სადაც ჩვენთვის მიუწვ-დომელი ნივთები იყიდება. ბილეთებსაც თეატრების სალა-როში ავიღებდით, რასაც ახლა ვერ ვშოულობთ. რა საჭიროება იყო დაუსრულებელ რიგებში ვმდგარიყავით. პეტრე დიდმა ბევრი კარგი საქმე გაუკეთა რუსეთს, მაგრამ მან, ყველა რუსის მსგავსად, ძალიან შორს შესტოპა. სჯობდა სხვა ქვეყნებიდან გადმოეღო, რაც კარგი იყო, მაგრამ მან აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ რუსეთი არაფრით არ არის ევროპაზე ნაკლები - თუ შენ სურვილი გაქვს გამოიყურებოდე ისე, როგორც რეალობას შეეფერება, უნდა იცოდე, ამ შემთხვევა-ში კარგავ შენი სულიერების მნიშვნელოვან, განუყრელ ნაწ-ილს... ეს ალბათ ქართული ჩაია, მართლა გემრიელია.

- ერთადერთი, რაც ჩვენ უცხოელებისგან გვჭირდება, ეს არის რჩევა, ხოლო მათი რჩევის შინაარსი საბოლოოდ ერთ მტკიცებამდე მიდის - "იყავით ისეთები, როგორებიც ჩვენ ვართ - ჩვენთან კარგია."

- სიმართლე გითხრა, ამ უცხოელებისგან გული მერ-ევა - თქვა მარგარიტამ, - მგონი ჩვენთან ჩამოსული გაბღენ-ძილი, გაზულუქებული და რეგვენი უცხოელები ისე გამ-

ოირჩევიან საშუალო ამერიკელისა და ფრანგისგან, როგორც ბრეჟნევი საშუალო რუსისგან.

- ნუ დაიწყე მაშა, - თქვა ვერამ, - ისედაც აწეული წნევა მაქვს, კარტის დარიგების ვისი რიგია? ძოდი თავიდან დავიწყოთ და მე დავარიგებ!

მაშას ძალიან აღელვებდა ახალგაზრდობის პრობლემები, რასაც ყოველდღიურად აწყდებოდა ინსტიტუტში. მთელი სიმძიმე მე დამაწვა, ვცდილობ, ერთსა და იმავე დროს დედაც ვიყო და მამაც. მადლობა ღმერთს, კარგი ყმაწვილია, მაგრამ რა იცის მან ხელჩართული ბრძოლის შესახებ? რა იცის, როგორ კვეთენ ხანჯლით შუაზე ადამიანებს. როლანდი კეთილშობილი ახალგაზრდაა. ეს მხეცი ავღანელები მას ორ წამში მოკლავენ და რისი გულისთვის? გეკითხებით მე თქვენ? - მარგარიტა, შეიძლება ბრეჟნევი მალე გარდაიცვალოს და ჩვენი ჯარი გამოიყვანონ ავღანეთიდან. მისი ლაპარაკი სულ უფრო და უფრო გაუგებარი ხდება, ალბათ, ყოველ ღამე უკეთებენ სისხლის გადასხმას.

საომარი მოქმედებანი ავღანეთში არ სარგებლობდა პოპულარობით. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობისთვის უბრალოდ გაუგებარი იყო ომის მიზანი, მაგრამ მთავრობას და პოლიტბიუროს ამის შესახებ თავისი განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდათ. ქვეყნისთვის გარედან საფრთხის გაჩენის შემთხვევაში, სახელმწიფო ცდილობს მოახდინოს მთელი თავისი შინაგანი რესურსების მობილიზაცია. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ავღანეთთან ომში საბჭოთა კავშირის ჯარის მოკლე ვადაში გამარჯვების პერსპექტივა არ ჩანდა. ზესახელმწიფოების საერთო ჩვეულებაა დანარჩენ სამყაროს, სხვა ქვეყნების პოზიციებიდან განსხვავებული აზრით უყურონ. ისე გამარჯვების გარდა, არაფერს ელიან და ომის ელვისებური დამთავრების იმედი აქვთ. სხვა ქვეყნები ფრთხილად უნდა იყვნენ ზესახელმწიფოებთან

ურთიერთობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უსიამოვნებები ელოდებათ. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ნავთობისა და გაზის საბადოებით მდიდარი ქვეყნები. ზესახელმწიფოები მიისწრაფვიან, ენგერგოშემცველები მაქსიმალურად იაფ ფასებში ჩაიგდონ ხელში. აი ეს ხდება მოტყუებისა და სპეკულაციის, ომებისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი.

სულ სხვა სიტუაცია იყო მაშას ოჯახში. მას ორი შვილი ჰყავდა. ბავშვებს შორის ასაკში სხვაობა 15 წელი იყო. მას უხდებოდა ორივესთვის ერთნაირი ყურადღების მიქცევა. ბავშვები იყვნენ მისი უმთავრესი საგანძური. მათ საუბარში ირეკლებოდა მღელვარე ეპოქის თავისებურებანი. ანდრეიმ ცოლი დისერტაციის დაცვის შემდეგ შეირთო. დისერტაციაზე იგი ექვსი წელიწადი მუშაობდა.

ანდრეი ყველაფერზე გულგატეხილი იყო, განსაკუთრებით ასაკოვან მშობლებზე. იშვიათად იღიმებოდა, რაც ძალიან აწუხებდა მაშას, ეს დაძაბულობითა და ღრმა განცდებით იყო გამოწვეული. ვალენტინა კი პირიქით ყოველთვის უშუალოდ მომხიბვლელად და მიმზიდველად გამოიყურებოდა, ბავშვობიდან დაწყებული დღე და ღამე კითხულობდა განურჩევლად, რაც კი მოესურვებოდა. ამასთანავე, სათანადო ყურადღებას არ აქცევდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს.

- მარიამ ალექსანდრეს ასულო, ჩვენ გვინდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის კურსში შეტანილი იქნეს დამატებითი ნაწარმოებების სწავლება, - უთხრა მაშას ალექსანდრე სერგეის ძე ნიკოლაევმა, რომელიც 35 წლის განმავლობაში ინსტიტუტის რექტორი იყო. ეს ადამიანი ყოველთვის ცხოვრების დინებას მიჰყვებოდა. მაშა ძას ისე ახლო არ იცნობდა, თუმცა კარგად, ალბათ, საკუთარი მეუღლეც არ იცნობდა. ნიკოლაევი მაშას ყოველთვის ყურა-

დღებით და თავაზიანად ექცეოდა, ხელს არ უშლიდა სწავლება საკუთარი შეხედულებებით წარემართა.

- მაგრამ ალექსანდრ სერგეევიჩ, ჩვენ გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის სტანდარტული კურსი: შოლოხოვი, ბლოკი, გორკი და ა.შ. ჩვენ მათ საკმარისი მოცულობით ვასწავლით.

- დიახ, მათი სწავლება საჭიროა, მაგრამ ამავე დროს, არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ბულგაკოვი და მანდელშტამი, ანდა ჩვენთან პირველად გამოცემული ბუნინის ნაწარმოებები. მე მინდა თქვენ ეს კარგად მოიფიქროთ, გახსოვდეთ, რომ ჩვენს ინსტიტუტს სათანადო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

- ცხადია, ალექსანდრ სერგეევიჩ, კაფკა და ბეკეტიც ხომ არ გამეხსენებინა. მათი წიგნებიც სულ ახლახან გამოვიდა პირველად ჩვენთან.

- არაა საჭირო, მოდით, მათგან ჯერ თავი შორს დავიჭიროთ. მივხედოთ ჩვენ საკუთარ ავტორებს. საერთოდ იდეა ის არის, რომ გავიხსენოთ ბულგაკოვი, ბუნინი, მანდელშტამი, ისე კი განსაკუთრებით ნუ შევჩერდებით მათზე. შეგიძლიათ მოიგონოთ ბალმონტიც, ბელიც, მაგრამ განსაკუთრებით ნუ ჩავუღრმავდებით მათ შემოქმედებას. ჯობია გავაგრძელოთ გორკის, შოლოხოვისა და სხვა უსაფრთხო მწერლების საფუძვლიანი შესწავლა.

თქვენ, ცხადია, უნდა გახსოვდეთ, რომ ბუნინის შემოქმედებას ჩრდილი იმან მიაყენა, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებები საფრანგეთში ემიგრაციის შემდეგ შეიქმნა, კაპიტალისტური პროპაგანდის გავლენით. განსაკუთრებით ხაზი გაუსვით მისი შემოქმედების ამ ნაკლოვანებებს, როდესაც მსმენელებს მათ გააცნობთ. ასევე საჭიროა აღნიშნოთ, რომ მანდელშტამი დიდი პოეტი იყო, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფსიქიკურმა პრობლემებმა საკუთარი კვალი დააჩნია მის პოეზიას.

დაიმახსოვრეთ, ჩვენი სტუდენტები სულელები და გულუბრყვილოები არ არიან. პირველი და მთავარი, რაც აუცილებლადაა გასაკეთებელი, მიზანში უნდა მოვარტყათ. ყურადღებით იყავით თქვენი კომენტარების დროს, არასდროს არ არის ცნობილი, ვინ გისმენთ!

- გმადლობთ გულწრფელობისთვის ალექსანდრ სერგეევიჩ, უაღრესად მადლობელი ვარ. შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ.

- ყოველთვის თქვენს განკარგულებაში მიგულეთ. გისურვებთ წარმატებებს მარია ალექსანდროვნა.

მაშა მიხვდა, რას ლაპარაკობდა ნიკოლაევი და როგორც რექტორი, რას გულისხმობდა ახალი კუთხით ჩაეტარებინა კურსი სტუდენტებისთვის. უკვე გავიდა სრულიად უმიზეზოდ ნერვიულობის წლები. მან იცოდა, სულაც არ იყო მიზანშეწონილი სოლჟენიცინისა და მისი მოთხრობის "ივან დენისოვიჩის ერთი დღის" სწავლება, ანდა ხსენება, თუ როგორ გააძევეს იგი 1974 წელს საბჭოთა კავშირიდან, არც იმის აღნიშვნა იყო საჭირო, მართალი და პატიოსანი მწერლების წიგნები რომ არ იბეჭდებოდა, ანდა ქვეყნდებოდა ძალიან მცირე ტირაჟით, ხოლო საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი ლიტერატურა, თუნდაც ძალზე მდარე ხარისხის ყოფილიყო, უზარმაზარი ტირაჟით ვრცელდებოდა. მაშამ აგრეთვე ისიც იცოდა, თუ როგორ უნდა შეეცვალა ხმის ტონალობა, სათანადოდ გამოეყენებინა ინტონაცია და სხვა ხერხები. ამით აქცენტირება გადაეტანა კარგ ავტორებზე. ამავე დროს, მონოტონური, მოსაწყენი ხმით აცნობდა კონფორმისტი მწერლების შემოქმედებას.

მაშამ იცოდა, დავალებაში არ შედიოდა 200 ათასი ტირაჟით გამოცემული დოსტოევსკის ოცდაათი ტომისგან შემდგარი რჩეული ნაწარმოებების ხსენება, რაც გამოქვეყნებული იქნა დიდი მწერლის დაბადების 150 წლის აღსანი-

შნავად 1971 წელს. საკვირველი იყო, როგორ დართეს ნება კომუნისტებმა მის გამოცემაზე. ალბათ 30 ტომეულის პუბლიკაციის მთავარი დანიშნულება იყო მოსახლეობას დაეხარჯა დაგროვილი მანეთები, რომლებითაც მაინც ვერაფერს შეიძენდა მაღაზიებში. დოსტოევსკი თავისი სულიერი მოძღვრებით საფრთხეს წარმოადგენდა კომუნისტებისთვის, იგი დარწმუნებული იყო, რომ ბოროტების დამარცხება მხოლოდ სიყვარულის ძალით შეიძლებოდა. ქადაგებდა ადამიანის სულიერ აღორძინებას. დოსტოევსკის ნაწარმოებების პუბლიკაცია ერთ პატარა სარკმელს ჰგავდა, ხოლო სოლჟენიცინი კი მეორე ფანჯარად მოიაზრებოდა. რუსეთში ლიტერატურა ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომ ძნელი იყო მისი მნიშვნელობის შეფასება.

ლიტერატურის კურსის ლექციების კითხვა ნორმალურად მიმდინარეობდა. მაშა მაინც დაიღალა ამ თამაშისგან. ახლოვდებოდა პენსიაში გასვლის დროც და ერთ მშვენიერ დღეს განაცხადა კიდევაც თავისი გადაწყვეტილების შესახებ ოჯახში. ამ დროს სანდრომაც გადაწყვიტა პენსიაზე გასვლა. მაშას განზრახული ჰქონდა გადაეკითხა საოჯახო ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, რითაც მთელი ოთახი იყო გამოტენილი და თავიდან გაეცნო თავისი ქმარი, ვინაიდან თვლიდა ცოლ-ქმარს სამსახურში მოუცლელობის გამო მსგავსი შესაძლებლობა სრულად არ ჰქონდათ.

მაშას დედა ჯერ კიდევ ათი წლის წინათ გარდაიცვალა, მაშამ და სანდრომ გადაწყვიტეს, რაიონში მდებარე მისი სახლი უბინაოდ მყოფ დეიდა მარინასთვის გადაეცათ, რადგან თავად მათ მოსკოვიდან წასვლა არ უნდოდათ.

პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით მაშას კოლეგებმა გამოსათხოვარი საღამო ინსტიტუტის სასადილოში მოაწყვეს. განწყობა საზეიმო იყო, ჭერზე ჩამოეკიდათ სხვადასხვა ფერის ჰაერის ბუშტები, მაგიდებზე ყვავილები ელაგა. მაშამ

დაჭრა ამ დღისთვის სპეციალურად გამომცხვარი დიდი ტორტი და უმთავრესად თავისსავე ტოლ კოლეგებს ჩამოურიგა.

სწორედ კოლეგებმა მრავალი გულთბილი სიტყვა მიუძღვნეს იუბილარს, ახალგაზრდა ლექტორ-პედაგოგები კი, ალბათ გულში ხარობდნენ მაშას წასვლით. მათ წინაშე ხომ ახალი პერსპექტივა ჩნდებოდა.

მაშას ახლობლების ფართო წრე ჰქონდა ინსტიტუტშიც და მის გარეთაც. პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის 40 წლის მანძილზე მრავალი ლექტორი შეიცვალა. ზოგი სხვა სამსახურში გადავიდა, პენსიაშიც გავიდნენ, გარდაიცვალნენ. იმის სამწუხარო მოწმეც იყო 17 პედაგოგი, როგორც გადაასახლეს ციმბირის ბანაკებში, თუმცა ძალზე ძნელად ექვემდებარებოდა წარმოდგენას მათი დანაშაულის არსი და მიზეზი.

ახლა მოვიდა ახალგაზრდობა. მათ შეცვალეს პენსიონერების მთელი თაობა. ზოგი ახალგაზრდა მაშას საკუთარ წარსულს აგონებდა. მაშინ ისიც მათსავით სავსე იყო ენერგიითა და იდეებით. უკვირდა, თუ როგორ ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირში ახალი იდეები, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, ჩაეხშოთ ამგვარი მიმართულება მკაცრი კორექტირების საშუალებით.

სამუშაო პერიოდის უკანასკნელ დღეს მაშამ სალექციო ოთახის კედლებიდან ფრთხილად ჩამოხსნა საკუთარი ფულით შეძენილი რუსი მწერლების პორტრეტები. ის ძალზე ხშირად უყურებდა ამ 30 სურათს და უკვე ეგონა თითქოს პირადად იცნობდა ყოველ მათგანს. ამ დროს კი მათი უმრავლესობა გასულ XIX საუკუნეში ცხოვრობდა. ეს სურათები მასთან ერთად დაიდებენ ადგილს ბინაში, მათი ადგილი სწორედ იქ იყო.

ინსტიტუტთან მაშას მრავალი სასიამოვნო მომენტი აკავშირებდა. იყო, ცხადია, უსიამოვნებანიც. მაგრამ არაფერს

ნანობდა - ის ხომ თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა და თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ყოველთვის რაღაცა სასარგებლოს გაკეთება შეძლო.

ვერამ მაშას თხილისგულიანი შოკოლადის სასაჩუქრო ყუთი მოუტანა.

- მაშა, მე შენთან ერთად ბედნიერი ვარ, რომ სანდროსა და შენ ახლა მეტი საშუალება გაქვთ ერთად ყოფნის, მაგრამ რა უნდა გააკეთო მომავალში?

- მოეშვი რა ვერა, ჩვენ ვეცდებით კარგად ვიყოთ. შენ ხომ იცი სანდრო ყოველთვის ჩემი ოცნების გმირს უდრიდა, თუმცა ეს მე მისთვის არასოდეს არ მითქვამს. ვერ წარმომიდგენია, თუ შეიძლებოდა სხვა ვინმესთან ვყოფილიყავი. იგი ჩემი ქმარია, საყვარელი მეუღლე, ჩემი ვარსკვლავი, ჩემი ბავშვი, ჩემი ნაწილი.

- როგორ იქნება ჩვენი კარტის თამაშების საქმე? გავაგრძელებთ ისევ?

- ცხადია. პირობას გაძლევ, რომ ის ისევ მხოლოდ ჩვენი თამაში იქნება და სანდროს არასოდეს ჩავრთავ, თუმცა დარწმუნებული ვარ, თამაში არც იცის. მას შეუძლია გადაბმულად დღეების განმავლობაში ითამაშოს ნარდი, ჭადრაკი, მაგრამ "კინგი", "ჯოკერი", "პრეფერანსი" მის რეპერტუარში არ შედის. ამის გარდა, სანდრო დაკავებული იქნება თავისი გაზეთებისა და მედიცინაზე სტატიების კითხვით.

- ვალენტინას როგორა აქვს საქმე? დიდი ხანია არ მინახავს.

- მგონია ყველაფერი წესრიგში აქვს, ჩვეულებისამებრ ჩაფლულია წიგნებში, თაყვანისმცემლებიც არ აკლია. სანდრო მას ყოველთვის ანებივრებდა, რის გამოც სულ უფრო ჯიუტი ხდება. თუ საგანი იზიდავს, სიამოვნებით სწავლობს, ამასთან, ყველაფრის შესრულებას უკანასკნელი მომენტისთვის სდებს, რაც მე უბრალოდ მაგიჟებს. თუ სამუშაოს შეს-

რულების ვადა არ მიეცი, საქმეს ბოლომდე ხელს არ მოკიდებს. ჩემი სრული ანტიპოდია.

- აბა შენ რას ელოდი, ვალია ხომ სანახევროდ ქართველია! შენ მართალი ხარ, სუფთა ქართული მენტალიტეტი აქვს, ნიჭიერია და წაიზარმაცებს. ლიუდმილა რას შვრება? - ჰკითხა მაშამ.

- მილა ახლა გერმანულს სწავლობს. ამ ახალგაზრდებს ვერ გაუგებ. გერმანელები რუსეთში შემოიჭრნენ, იმუქრებოდნენ ქვეყნის სრული განადგურებით. ახლა კი ჩვენი ბავშვები გერმანულს სწავლობენ, დიდი სურვილიც აქვთ გერმანელებთან ახლობლობის და იქ ცხოვრების.

- მე მგონი გერმანულის სწავლა ასე ჯობია, ვიდრე იძულებით. მტრის ოკუპაციის პირობებში. თითქოს უხეშადაც ჟღერს ამ ენაზე სიტყვები! შეიძლება ლიუდმილაც საზღვარგარეთ აპირებს წასვლას სამოგზაუროდ.

- ეს საშინელებაა, ვალენტინაც ინგლისურს სწავლობს. მე არ მესმის სიტყვები, ის კი ენის გასამართად წამდაუწუმ ხმამაღლა იმეორებს. მხოლოდ ერთი ფრაზა დავიმახსოვრე, რომელიც ჩემი აზრით, დაუმთავრებლად ჟღერს " ოწ დოყუმდო".

- ახლა კი უნდა წავიდე. ყოველივე კარგს გისურვებ.

სანდროსთან ერთად მთელი თავისუფალი დროის გატარება, რაც ახლა საკმარისად ჰქონდათ, მაშასთვის პრობლემა არ იყო. პირველ რიგში, პრობლემებს ოჯახის ფინანსური მდგომარეობა ქმნიდა. მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო პენსია იყო, რაც ქრონიკულად არ ყოფნიდათ. ექიმისა და მასწავლებლის დაბალი ხელფასი, თუნდაც ძალზე მცირე დანაზოგის დაგროვების საშუალებას იძლეოდა. საქმეს არ შველოდა საცხოვრებელი ბინის ქირის სიმბოლური ღირებულება, რაც მათი თვიური ხელფასის 3-2%-ს შეადგენდა. მაშამ და სანდრომ კოოპერატიული ბინის შესაძენი თანხა სანდროს საზღვარგარეთ მუშაობის დროს ხელფასიდან შეა-

გროვეს. პრინციპში კოოპერატიული ბინაც არ ითვლებოდა სრულ საკუთრებად, მაგრამ შედარებით ახლო იყო ამგვარ მცნებასთან. მიმდინარე კომუნალური და სხვა ხარჯებიც უმნიშვნელო იყო - ტელეფონისა და ელექტრომომსახურეობაც რამდენიმე მანეთი ღირდა თვეში, სამედიცინო მომსახურებაც, მთელი უზარმაზარი ქვეყნის მსგავსად, უფასო იყო. ამასთანავე, ისინი მიმაგრებულნი იყვნენ სპეციალურ პოლიკლინიკასა და საავადმყოფოზე, სადაც სანდრო მუშაობდა.

ყველაზე მეტი თანხა პროდუქტების შეძენას მიჰქონდა. ხილი და ბოსტნეულის შეძენა ძირითადად მხოლოდ ბაზარზე შეიძლებოდა. ვერავინ გაბედავდა იმის თქმას, რომ ეს ბაზრები კაპიტალიზმის გამოვლინებას წარმოადგენდნენ. აქ არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ფასებიც შესაბამისად მაღლა იწევოდა სახელმწიფო მაღაზიებთან შედარებით. სასურსათო მაღაზიები, როგორც წესი, ცარიელი იყო და თუ იშვიათად რამე გამოჩნდებოდა, უზარმაზარი რიგი დგებოდა. ამ დროს კი ძირითადად ბულგარეთის ნაწარმი იყიდებოდა. შედარებით უფრო ადვილად შეიძლებოდა რძის პროდუქტების შეძენა. სანდრო რიგში არ დგებოდა, ის, როგორც ომის ვეტერანი, საერთო რიგში დგომისგან თავისუფლდებოდა. რიგში მდგომნი იშვიათად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ომის ვეტერანთა ამ პრივილეგიის გამო. ამიტომაც მაშა მუდმივად აფრთხილებდა სანდროს, რომ ეტარებინა ომში მიღებული ორდენები და მედლები. იწყებოდა მათი ყოფის ახალი ნაწილი, პენსიონერთა ცხოვრება.

***

მე მეჩვენებოდა, რომ ახლა გაცლებით უფრო მენატრებოდა კოლეგები და საავადმყოფო, ვიდრე მუშაობის პერიოდში. ყველაზე უფრო მეტად მაინც პაციენტებთან ურთიერ-

თობა მენატრებოდა. ექიმ-პრაქტიკოსად მუშაობის დროს პაციენტებს ჩემსკენ იზიდავდა სითბო, გულისხმიერება, ის, რომ ჩემი სინდისისა და შესაძლებლობების ფარგლებში ყოველნაირად ვცდილობდი მათთვის მიმეცა გამოჯანმრთელების შანსი. ჩვენ არ გვქონდა დასავლეთის მედიცინის განკარგულებაში არსებული ფანტასტიკური შესაძლებლობანი და ამიტომ მივმართავდით იმპროვიზაციას, პაციენტის დარწმუნებას ორგანიზმის წამლის გარეშე თვითგანკურნების შესაძლებლობის თვალსაზრისით. მართალია, საბჭოთა კავშირში ფარმაცევტული მრეწველობა საკმაოდ განვითარებული იყო, მაგრამ ახალი სამედიცინო პრეპარატები მცირე რაოდენობით და დიდი დაგვიანებით ჩნდებოდა აფთიაქებში. ჩვენ ყურმოკვრით ვიცოდით დასავლეთის ქვეყნებში ექიმების მაღალი ჰონორარებისა და ხელფასის შესახებ, რაზედაც მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია. ისე ბოლომდე არც გვჯეროდა, რომ ეს სიმართლე იყო. ამიტომაც ვშრომოდით და ვაკეთებდით იმას, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა სამედიცინო პრეპარატებისა და წამლების ტოტალური ნაკლებობის პირობებში. ჩვენი პაციენტების ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ავადმყოფობის გართულებანი იყო. ამის მიზეზებიც საკმაოზე მეტი მოიძებნებოდა - ალკოჰოლიზმი, თამბაქოს წევა, გარემოს გაჭუჭყიანება, არასრულფასოვანი კვება და მრავალი სხვა.

ცხადია, უბრალო ადამიანი ვერაფრით გადაწყვეტს გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემას, მაგრამ ელემენტარულად მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება ალკოჰოლის უზომოდ მოხმარებასა და თამბაქოს წევას. ჩვენს საზოგადოებაში ეს ტყუპი მკვლელები უმართავები იყვნენ და არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ, მათი მოხმარებით ადამიანები ცდილობდნენ ყოველდღიური მძიმე ცხოვრებიდან დროებით მაინც გაქცევას. ამის შედეგი კი იყო ჩვენი პა-

ციენტებისა და საერთოდ ქვეყნის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკის კატასტროფული ვარდნა. ამ მონაცემებით საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი დაბალი ადგილი ეჭირა მსოფლიოს ქვეყნებს შორის.

ვალენტინა სიხარულისა და პრობლემების დაუშრობელი წყარო იყო ჩვენს ცხოვრებაში. იგი ჩვენთან ცხოვრობდა, ხოლო უფროსი ვაჟი ანდრიუშა ცოლის მშობლებთან გადავიდა და სისტემატურად, ოღონდ კვირაში ერთხელ მოდიოდა ჩვენს სანახავად.

- მამა, როგორ ცხოვრობ, მე შენთვის ახალი ამბავი მაქვს, - მხიარულად მითხრა ანდრიუშამ.

- რა სიახლეა, ანდრიუშა?

- მე კომუნისტური პარტიის რიგებში მიმიღეს.

- დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მოიქეცი? ხომ იცი ჩვენ, შენი მშობლები არ შევსულვართ პარტიაში.

- ეს მაშინ იყო მამაჩემო, ახლა თუ რაიმეს მიღწევა და წინსვლა გინდა, აუცილებლად პარტიული უნდა იყო. პარტიის წევრობა ეს მომგებიანი ბილეთია წარმატებისკენ. შენ ხომ იცი, რომ ქვეყნის მცხოვრებთა მხოლოდ 5 პროცენტია პარტიული, იმდენად ძნელია პარტიაში შესვლა. მაგრად უჭერენ ხელს.

- მართალია, ყოველთვის 5 პროცენტი იყო პარტიაში, მაგრამ როგორი ხუთი პროცენტი? სამ პროცენტზე მეტი ეგრეთწოდებული მოწინავე მუშები უნდა ყოფილიყვნენ, დანარჩენები კი თბილი ადგილებისთვის მიძვრებოდნენ. შენ იცი რას აკეთებ?

- მისმინე მამა, ხმამაღალი ტონით წარმოთქვა ანდრიუშამ, შეიძლელბა დარწმუნებული იყო, მე ვიცი რასაც ვაკეთებ, სწორედ პარტიის წევრები სარგებლობენ საზოგადოებაში დიდი პრივილეგიებით, ხელფასიდან და თანამდებობიდან დაწყებული ქვეყნის საუკეთესო კურორტებით სარგებლობამდე. სწორედ პარტიულები წარმოადგენენ საზოგადოების ყველაზე გამოჩენილ წევრებს.

- ანდრიუშა, პარტიულების მაღალჩინოსნები შეიძლება ხალხის უმრავლესობაზე გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ოდნავადაც ვერ შეედრებიან მათ პატიოსნებასა და სიკეთეში. ეს შენც კარგად იცი. ხომ ისმენ, რასაც ლაპარაკობენ და ქადაგებენ პარტიის ბელადები თავიანთ ყრილობებზე - ნუთუ საღი აზრის მქონე ადამიანმა შეიძლება აღიქვას ასეთი მარაზმატული ბოდვა? გახსოვს ხრუშჩოვის ლოზუნგი "ჩვენი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში?"

- ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მართალია ეს თუ არა. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია პარტიის მიერ მოცემული გასაღები უზრუნველი და უკეთესი ცხოვრებისთვის. მე შემიძლია ყოველდღე ვუსმინო მათ ცარიელ დაპირებებს და სულელურ პროპაგანდას. ეს არც ისე რთული დასამახსოვრებელია.

- გეთანხმები, ძნელი არ არის, ოღონდ გჭირდება თუ არა შენ ეს ყველაფერი?

- მამაჩემო, ვხედავ ჩვენი ლაპარაკი არაფერს იძლევა. მე მოვედი შენთან საქმის კურსში ჩაყენების მიზნით და არა რჩევის საკითხავად, გაიგე?

- შენ მართლაც მხოლოდ შემატყობინე ანდრიუშა ეს ამბავი.

ბიჭი წამოხტა და დაუმშვიდობებლად წავიდა. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. მთელი ცხოვრება ცდილობ შვილები ნამდვილ ადამიანებად გაზარდო, უთითებ იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებზე, რაც უკვე გაიარე ცხოვრებაში და ცდილობ მათ მაინც ააცილო. მაგრამ რა ხდება? ისინი მაინც იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ და სწორად მიაჩნიათ. უკეთეს შემთხვევაში ამის შესახებ უკვე მომხდარი ფაქტის შემდეგ თუ გაცნობებენ. თქვენ ხედავთ, მათ არასწორ ქცევას, ისინი კი არავითარ რჩევას არ ღებულობენ და სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევიან. რჩება მარტო ის, რომ ილოცო მათ

წარმატებაზე და გვერდიდან არ მოსცილდე დახმარების აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

ბინაში მაშა შემოვიდა პროდუქტებით დატვირთული ხელჩანთებით, გადაღლილი ჩანდა მაღაზიებში მათი მრავალსაათიანი ძებნისა და რიგებში დგომის გამო.

- სალამი მაშა, მე შენთვის ახალი ამბავი მაქვს. უკეთესი იქნება, ჯერ პალტოს თუ გაიხდი.

მაშა ისე შემომყურებდა, თითქოს მინიმუმ მთავრობის შეცვლის შესახებ ცნობას ელოდა.

- აქ ანდრიუშა იყო და განმიცხადა, პარტიის რიგებში შევედიო. ჩვენი აზრი მას ოდნავადაც არ აინტერესებს. უბრალოდ ზრდილობისთვის ინება ჩვენთვის ეცნობებინა ეს ფაქტი.

სიახლემ მაშა ააღელვა და შეაძრწუნა.

- შენ სცადე მასთან გელაპარაკა, საკითხი გაგერჩია?

- ცხადია, ვცადე, თუმცა ჩემი აზრი არ აინტერესებს. მე მთვლის საკმაოდ ხანდაზმულად, ვისაც ამ საკითხების განსჯა აღარ შეუძლია. შეიძლება ის მართალიცაა, ვგრძნობ დღითიდღე სულ უფრო ვბერდები.

- მოდი, დიმიტრის დავურეკოთ, შეიძლება მან შეძლოს რამე.

მაშამ ტელეფონის ნომერი აკრიფა.

- სალამი დიმიტრი, შეგიძლია ჩვენთან მოსვლა? რაღაც პრობლემები წარმოიქმნა და სასწრაფო დახმარება გვჭირდება.

20 წუთის შემდეგ კარებზე ზარმა დარეკა.

- გმადლობ მიტია, რომ მოხვედი. დაჯექი, ჩაი მიირთვი.

- რა ხდება? - იკითხა დიმიტრიმ.

- ანდრიუშა კომუნისტურ პარტიაში შევიდა. აი, რა ხდება! - ისტერიულად წამოიძახა მაშამ.

- ასეთ შემთხვევაში ჩემგან რას ელოდებით? მე უკვე მოხუცი ვარ, არ ვიცი, რით შემიძლია დაგეხმაროთ.

- შენ პარტიის ძველი წევრი ხარ დიმიტრი, იცი მათი ავანჩავანი, ჩვენ ვიფიქრეთ შეძლებდი მის ჭკუაზე მოყვანას, - თქვა სანდრომ.

- აბა როგორ? შეიძლება ის სწორიცაა. პარტიის შემადგენლობა, როგორც თქვენ იცით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალა. ყველა მაღალი თანამდებობის პარტიის წევრია ან კანდიდატი ხდება. არავის აღარ სჯერა მათი ტყუილი მოწოდებების, თუმცა შეიძლება პარტიის 15-მილიონიან არმიაში მოიძებნოს მილიონამდე კაცი, ვისაც ამის სჯერა. დანარჩენები პარტიის წევრობაში მხოლოდ წარმატების მიღწევის საშუალებას ხედავენ. ამისთვის მათი გამტყუნება არ შეიძლება. თუ მიზნის მისაღწევად ფეხით სიარული კი არა, ცხენით გაჯირითება გელოდება, რატომ არ უნდა ისარგებლო ამ ცხენით?

- შენი ნათქვამი სწორია, ყველა მაღალჩინოსანი პარტიის წევრია, შენც ხომ მინისტრის თანაშემწე იყავი პენსიაში გასვლამდე. ნუთუ ეს ქვეყანა უფსკრულისკენ ეშვება?

- ვინ იცის? უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ხალხის ცხოვრების პირობები თითქმის სულ უფრო გაუმჯობესდა. 10 ოჯახიდან 9-ს ტელევიზორი და მაცივარი აქვს, თუკი ეს დიდ კეთილდღეობად ჩაითვლება. ადამიანები ორჯერ მეტ კვერცხსა და კარაქს მოიხმარენ. ყოველწლიურად ძლიერდება ქვეყნის ინდუსტრიული ბაზა.

- ეს რისი შედეგია? იმის, რომ ხალხი შრომობს სისტემისთვის, თუ თვითონ სისტემისა და მმართველობის მუშაობის შედეგს წარმოადგენს, - კითხა მაშამ.

- ნაწილობრივ შეიძლება აღნიშნულის შედეგიც იყოს, მაგრამ ძირითადი მიზეზი არაბეთის და აზიის ქვეყნებიდან ნავთობის ემბარგოა. ამან საზღვარგარეთისკენ გაუხსნა გზა ჩვენ ქვეყანაში მოპოვებულ ნავთობს, გაზს, ოქროს. ხოლო მათი რეალიზაციიდან მიღებული სახსრებით შეძენილია ხორბალი და ფართო მოხმარების საგნები. ემბარგომ ჩვენ გვიშველა.

- ნუთუ ჩვენ ისევ ვყიდულობთ ხორბალს საზღვარგარეთიდან? - გაოცებით იკითხა სანდრომ, - მეგონა სოფლის

მეურნეობაში გატარებული ამდენი რეფორმის შემდეგ, სახელმწიფო შეძლებდა თავისი ხალხის გამოკვებას ადგილობრივად მიღებული პროდუქტებით.

- ამას თქვენ ფიქრობთ, მაგრამ უკრაინის სოფლის მეურნეობაშიც კი უამრავი პრობლემაა. იქ განთქმული შავმიწანიადაგიანი უზარმაზარი ფართობებია. ნუ გვავიწყდება რუსეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ან ყინვაა, ანდა გრძელი ზამთარი მუდმივი გამყინვარების ზონით. ჩვენ ჯერაც ვერ გამოვედით 20-იან წლებში დაშვებული შეცდომებიდან, როდესაც გაუქმდა კერძო საკუთრებაში არსებული ყველა მეურნეობა. კოლექტივიზაციამ ნულამდე დაიყვანა ყველა მიღწევა. ცოტა ხნის წინათ მე წავიკითხე ანგარიში იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ორი კვირის განმავლობაში სამუშაოზე არ გამოსულან მესაქონლეობის ფერმის ბრიგადის მუშები. ისინი გადაჰყვანენ დღესასწაულების აღნიშვნას, ქორწილებთან, დღეობებთან და სხვა მიზეზებთან დაკავშირებულ ლოთობას. ამ დროს არავის უთხრეს, საცოდავ ცხოველებს კვება თუ არა, წყალი ხომ მაინც დასჭირდებოდათ. სოფლის მეურნეობა მართლა წარმოადგენს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავსა და პრობლემას. კოლმეურნეობები არ არიან დაინტერესებული უკეთესი შედეგების მიღებით, მათთვის ეს დაუფასებელი მცირე ანაზღაურების შრომაა. "როგორც გვიხდიან, ისე ვშრომობთ", აი მათი დევიზი. ნამდვილ ფერმერს უყვარს მიწა; იცის, როგორ უნდა დაამუშაოს ის, მეტი მოსავლის მისაღებად; უყვარს შინაური ცხოველები და იცის მათი მოვლა. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში რეალური შედეგები კატასტროფულია. იწყება ხალხის მოტყუება. სტატისტიკურ ანგარიშებში აღნიშნავენ, რომ მიღებულია არნახული მოსავალი. გეგმები ყველა მაჩვენებლებით გადაჭარბებით შესრულდა. ხელმძღვანელმა იცის, რომ ეს აშკარა ტყუილია, თანამდებობისა და მდგო-

მარეობის შენარჩუნების მიზნით კი გაბერილ მონაცემებს გზავნის ზემდგომ ორგანოებში. თუ ამას არ გააკეთებს, ულაპარაკოდ მოხსნიან სამუშაოდან.

შემდგომ კი - მითი წარმოქმნის უფრო ძლიერ მითს. პრობლემა ის არის, რომ ყველა სახის პროდუქტი, რის წარმოებაზეც მეტყველებენ გაბერილი სტატისტიკური ანგარიშები, არ არსებობს ბუნებაში. სცადეთ თავი გამოიკვებოთ რეალურად არარსებული საკვები პროდუქტებით!

- დიმიტრი, არის თუ არა სოფლის მეურნეობის აღორძინების შანსი? - იკითხა სანდრომ.

- შანსი ყოველთვის არის. მე უაღრესად პესიმისტურად ვარ განწყობილი. მხოლოდ სასწაული თუ შეცვლის ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში რამეს. ეს მართლაც ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

- გაზეთებში წერენ, თითქოს ჩვენთან მუშახელის ნაკლებობა უამრავ პრობლემებს ქმნის, - თქვა მაშამ.

- კი, ესეც დიდი პრობლემაა, ჩვენ ხომ ომში 25 მილიონი კაცი დავკარგეთ. ამის გარდა რუსებს ახასიათებთ პესიმიზმი. ყოველივე ეს კრიტიკულ დონემდე ადაბლებს მოსახლეობის მატებას. შობადობის დაბალი დონის შედეგი კი მუშახელის სიმცირეა, აქედან გამომდინარე, სავალალო შედეგებით.

- მიტია, ანდრიუშა ყველა ჩვენთაგანის მსგავსად, იყო მონათლული. ამის შემდეგ ჩვენ ვცდილობდით მის აღზრდას ქრისტიანული მრწამსით, თუმცა არც ის და არც ჩვენ ეკლესიაში არ დავდიოდით. მას არასოდეს წაუკითხავს ბიბლია. მხოლოდ ცნობისმოყვარეობისთვის გადაუთვალიერებია ის ძველი დაფურცლილი წიგნი, ისიც სანდროს მიერ მალულად ჩამოტანილი დანიიდან. მე ეჭვიც კი მეპარება მის მორწმუნეობაში.

- ეს მართალია. ახალგაზრდობა ქალაქში ყოველი მხრიდან განიცდის ზეგავლენას, რელიგია კი არავითარ ზემოქმედებას არ ცდილობს, - აღნიშნა დიმიტრიმ.

- მე ვხედავ, შენ ნორმალურად თვლი ანდრიუშას პარტიაში შესვლას, - თქვა მაშამ.

- ვინა ვარ მე, რომ ის გავამართლო? - თქვა დიმიტრიმ, - ანდრიუშა ჭკვიანი ახალგაზრდაა, თუ სერიოზულად ჩაუფიქრდება, მიხვდება კიდეც, რომ პარტია სინამდვილეში ავთვისებიანი სიმსივნეა და მეტი არაფერი. ეჭვსგარეშეა იგი ბევრისთვის საშვია ზევით, ეს გზა კი დიდ ტყუილსა და ძალიან დიდ სისხლის ღვარზე გადის. მოდით ვაცადოთ მას თვითონ გაერკვიოს საკუთარ ქცევაში. თქვენ უბრალოდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ ფაქტს, თუნდაც ოჯახში სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით.

- მიტია, შენ ოქროკაცი ხარ! როგორ არის შენი ჯანმრთელობის საქმე, - ჰკითხა მაშამ.

- ყველაფერი რიგზეა, მაშა, რიგზე. ხომ იცი სიბერე კარგსაც ერევა: სახსრები მტკივა, გულიც მაწუხებს, ხშირად მაღალი წნევა მაქვს. დანარჩენი კი ყველაფერი კარგადაა.

- ჩვენ ყველას ერთი და იგივე პრობლემები გვაწუხებს, მიტია, - თქვა სიცილით სანდრომ, - გახსოვს შენი თავი ახალგაზრდობისას?

- არა, სანდრო, არა, მე ალბათ მოხუცი დავიბადე. ეჰ, ახლა კი წავედი, მილამ ფორთოხლის შოვნა დამავალა. ამ ბოლო ხანს მაღაზიაში ხომ არ შეგხვედრიათ ციტრუსები?

- აბა სტოლეშნიკოვის ქუჩაზე გაიარე, მეზობელმა მითხრა გუშინ იქ რაღაცა ყოფილაო, - თქვა მაშამ.

ასე რომ, ჩემი შვილი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. გადავწყვიტე, მიმელო დიმიტრის რჩევა და ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიმექცია. ამას კი ვცდილობდი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ გამეკეთებინა. ქვეყანაში იზრდებოდა ავთვისებიანი სიმსივნე - კომუნისტური პარტია რომ ერქვა, მისი მეტასტაზები საზოგადოების ყველა ფენას ჰქონდა მოდებული. ძნელი წარმოსადგენია მე-20 საუკუნეში ამაზე

უფრო სატანისტური ორგანიზაცია. მას ალბათ მხოლოდ ნაციზმს თუ შევადარებთ.

რა ადამიანი უნდა იყო, რომ იცავდე ამ სისტემას, აქეზებდე და აკვირდებოდე ათეული მილიონობით ადამიანის სიკვდილს? ისინი ხომ პარტიის სახელს საგულდაგულოდ ამოფარებულნი უბრალოდ მკვლელები იყვნენ.

საბჭოთა კავშირში ჩვეულებრივად ყველაფერი უკუღმა და ალოგიკური იყო. კომუნისტურ პარტიას აღთქმული ქვეყნის - ე.წ. კომუნიზმის მისაღწევად არაფერი გაუკეთებია ლოზუნგების გარდა. თუმცა უტოპიური მოძღვრების მსგავსად, ყველაფერი ყველას ეკუთვნოდა. ასეთი მიდგომა კერძო საკუთრებას ზედმეტ ბარგად ხდიდა. ჩვენი კომუნისტები სინამდვილეში არც კომუნისტები იყვნენ და არც სოციალისტები, თუმცა ოდესღაც, საუკუნის დამდეგს, მოსწონდათ ეს იარლიყი. ეს კომუნისტები უფრო აფთრებს ჰგავდნენ, მორალზე, პატიოსნებასა და წესიერებაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ისინი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 4-5 პროცენტს შეადგენდნენ, მიუხედავად ამისა, თავდაჯერებულნი თვლიდნენ პარტიის წევრის გამორჩეული მდგომარეობა და უსაზღვრო პრივილეგიები მათ ელიტარულ კასტად აქცევდა.

მე-20 საუკუნეში იყო ამგვარი ჯგუფების წარმოშობის რამდენიმე ეტაპი. ეს ჯგუფები ცდილობდნენ თავისი იდეოლოგიის სხვებისთვის ძალით თავს მოხვევას. ისინი თავს თვლიდნენ მომავლის ტალღად, "ამომავალ მზედ", მომავალმა კი არ აღიარა ისინი, ისევე, როგორც არ მიიღო აწმყომ და წარსულმა. ადრე თუ გვიან, მათი ეს იდეოლოგია, ძალაუფლება და ყველაზე საუკეთესო მეგობარი სიხარბე-უკუნეთში გადაიჩეხებოდა და მათზე მხოლოდ კოშმარული მოგონება დარჩებოდა.

ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ბოლოს და ბოლოს 1982 წლის ნოემბერში გარდაიცვალა. საუკუნო განსასვენებელ კუბოში ჩასვენებული გენერალური მდივნის მკერდზე კიაფობდა ის ურიცხვი ორდენი, რომლებითაც მან თვითონ დაიჯილდოვა თავისი თავი. ქვეყნის მპყრობელის ტახტზე ავიდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი.

მეთერთმეტე ნაწილი

მოსკოვი. 1987 წელი

“ნანინა-ნანინა-ნანა” ხმადაბლა მიიმღეროდა მაშა და ტროტუარის გასწვრივ ტვერის ბულვარში მოთეთრო-მოყავისფრო საბავშვო ეტლს მიაგორებდა. მოსკოვის ცენტრალურ ადგილას ალექსანდრე პუშკინის მოედნის პირდაპირ მდებარეობდა ცნობილი ტვერის ბულვარი. ეს ამწვანებული ფართო ზოლი ისევე, როგორც 200 წლის წინათ, ძირძველი მოსკოველების საყვარელი სასეირნო ადგილი იყო და დარჩა დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ და ცნობილ კუთხედ. რევოლუციამდე პუშკინის ძეგლი ტვერის ბულვარის ბოლოს იდგა, ხოლო მის პირდაპირ კი ვნების მონასტერი მდებარეობდა. მონასტერი კომუნისტებმა დაანგრიეს და მის ადგილას კინოთეატრი ააშენეს, რაც წარმოადგენდა პრობლემის გადაწყვეტის ტიპიურ სბჭოთა მეთოდს.

სწორედ ისტორიულ ტვერის ბულვარში ტროტუარის გასწვრივ მიაგორებდა მაშა თეთრ-ყავისფერ საბავშვო ეტლს. მის უკან კი ასეთივე ეტლს ვალენტინა და სანდრო მიაგორებდნენ. ვალენტინამ თავისი მეუღლე ინგლისელი არგო რიგზი მთარგმნელად მუშაობის დროს გაიცნო. ერთმანეთი შეუყვარდათ და ორი წლის შემდეგ იქორწინეს კიდეც მოსკოვში. შვილის გაბედნიერებას მაშასა და სანდროს განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. სად წაიყვანს ეს ზომაზე მეტად თავაზიანი კოხტა “ფრანტი” მათ ქალიშვილს? ეჭნებათ თუ არა მათ მომავალი შვილიშვილების ნახვის საშუალება? მაშას და სანდროს ვერ გაეგოთ, რატომ ვერ დაიპყრეს

ვალენტინას გული მისმა რუსმა და ქართველმა თაყვანისმ-ცემლებმა. შეიძლება იმიტომ, რომ მათთან შედარებით რიგ-ზი ზედმიწევნით ელეგანტური იყო. ყოველთვის კოპწიად დავარცხნილი ბზინვარე თმით, ნელსაცხებლის სურნელით, უზადოდ გამონასკვული ჰალსტუხით, გაპრიარებული ფეხ-საცმელებითა და იდეალურად დაუთოებული ტანსაცმლით. რიგზი ინგლისური საკონდიტრო ფირმის მოსკოვის ფილ-იალში მუშაობდა. ასე რომ, ვალენტინა თავისი 5 და 3 წლის გოგონებით მანანა და ალისათი ხშირად სტუმრობდა მოსკოვს და მოხუც მშობლებს ახლოს ყოფნის ახარებდა.

- ვალია, მანანამ უკვე დაიძინა, - უთხრა სანდროს და ვალენტინას მათკენ მიბრუნებულმა მაშამ.

- ყოჩაღ დედიკო, მოდი ახლა მე მანანას ეტლს წავიყ-ვან, შენ კი ალისაც დააძინე. უკვე ორივეს ძილის დროა.

- ნუთუ მთელი დღე ასე სძინავთ? - იკითხა სანდრომ. პაპა ხარობდა და ამაყობდა, რომ ასეთი მომხიბვლელი შვილ-იშვილები ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ სანახევროდ უცხ-ოელები იყვნენ.

- მამა, ნუთუ შენ არ იცი, რომ ბავშვები გარეთ, ჰაერზე ეტლებში ზამთრის ყინვების დროსაც კი იძინებენ. ჩვენ ინგლისელ მეზობლებს არანორმალური ვგონივარ. აბა, იმათ ხომ ამას ვერ გააგებინებ!

- მოგწონს შვილო ინგლისში ცხოვრება? - ჰკითხა მაშამ.

- ნამდვილად მომწონს დედა. ისე, რომ იცოდე, ინგ-ლისელთა უმრავლესობის ინტელექტუალური და კულტურუ-ლი დონე ჩვენსაზე ნაკლებია, თუმცა ჩვენ მაინც კარგად ვაფასებთ. იქ ცხოვრება მართლაც სასიამოვნოა. არგო მშვენიერი ქმარია და გოგონებიც არ მაძლევენ მოწყენის საშუალებას.

- ვალია, მეუხერხულება კითხვა, მაგრამ ვერამ თქვა, ინგლისელები გახამებულ საცვლებს ატარებენო, მართალია?

ვალენტინა წამოწითლდა და უპასუხა:

- მართალია დედა, მაგრამ ნუთუ შენ და შენ დობილს მეტი სალაპარაკო არა გაქვთ? არა სჯობია გორბაჩოვისა და მისი მთავრობის წევრების ცხოვრება გაარჩიოთ? დასავლეთში მხოლოდ მათზე ლაპარაკობენ.

- ეს მამას ჰკითხე. ის ჩვენი ადგილობრივი პოლიტიკური ანალიტიკოსია. მე ბავშვებს დავაძინებ, რათა პოლიტიკურ თემაზე ლაპარაკი არ მოისმინონ.

- მამა რას ნიშნავს: ახალი აზროვნება, გარდაქმნა, საჯაროობა? ეს კომუნისტების ახალი მორიგი ლოზუნგებია თუ კიდევ სხვა რამე?

- ისინი ისევე ძნელად გასაგებია რუსებისთვის, როგორც უცხოელებისთვის, - უპასუხა სანდრომ, - სიტყვები ძველია, გორბაჩოვმა კი მათ ახალი მნიშვნელობა მისცა.

- თვითონ გორბაჩოვი საიდანაა? ზოგიერთები ამბობენ, ის ანდროპოვის პროტეჟე იყო და ამიტომაც აღმოჩნდა ასეთ მაღალ თანამდეობაზეო.

- ანდროპოვს უყვარდა სტავროპოლის მხარეში დასვენება. ამ დროს კი გორბაჩოვი იქ კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო და ცხადია, ხვდებოდა დასასვენებლად ჩაბრძანებულ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს. ანდროპოვი ძალიან ჭკვიანი პიროვნება იყო. იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ გორბაჩოვზეც და იმიტომაც დაიახლოვა. ისე, თუ იცი, რომ ბავშვობაში შენ ორივე ნანახი გყავს.

- მამა, რა გაქვს მხედველობაში, არ ვიცი, მე ნამდვილად არ შევხვედრივარ მათ.

- მაშინ ჯერ პატარა იყავი, შენ და მაშა მოსკოვის ახლო სამთავრობო აგარაკების მახლობლად ისვენებდით, გახსოვს შენი ძაღლი ბელკა ავად რომ გაგიხდა. მე იმ დროს საქართველოში ვიყავი, აბა გააგრძელე მაშა.

- მართალია, - დაეთანხმა სანდროს მაშა, - ბელკა ავად გაგვიხდა. შენ კი სულ პატარა იყავი. მე ძაღლის შესახებ ჩვენს მეზობელ ჟენიას ვუამბე. მას მოაგონდა, რომ მეუღლის ნაცნობი მოსკოვში უნდა დაბრუნებულიყო და გვითხრა, ვთხოვ ძაღლიც წაიყვანოსო. მეორე დილით ჩვენს აგარაკთან უზარმაზარი შავი ავტომანქანა გაჩერდა. ჩვენდა გასაკვირად, ავტომობილის კარი იური ანდროპოვმა გააღო და გვითხრა, ბელკას მოსკოვში მე წავიყვანო. ასე რომ, ვფიქრობ, ბელკა შენზე უფრო ადრე და უკეთ იცნობდა ანდროპოვს.

- დედა, შენ უცნაური ქალი ხარ. გორბაჩოვს საიდანღა იცნობდი?

- საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სერგის ძეს ჩემზე კარგად შენ იცნობდი. იგი სტუდენტობის დროს ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიოდა. გორბაჩოვის ახლო მეგობარი ლერა ხომ ჩვენთან ცხოვრობდა. მამაშენს უყვარ-და მასთან საუბარი, ჭკვიან ახალგაზრდად მიაჩნდა. შენ მაშინ წლისაზე მეტი ხნის იყავი, ხშირად გეთამაშებოდა და გაცინებდა.

- გმადლობთ დედიკო. ეს რაც უნდა იყოს, მაინც ძალიან საინტერესო ამბავია. გენერალური მდივანი, რომელზეც მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, ჩემს გასაცინებლად ოინბაზობდა?

- ვალია, ყურს ნუ უგდებ დედაშენს. გორბაჩოვი ხშირად უფრო დაკავებული იყო, ხანდახან პოლიტიკაზე ვსაუბრობდით. მე კი საქართველოდან ჩამოტანილი ჭაჭით ვუმასპინძლდებოდი ხოლმე.

- რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე?

- მიშა პატიოსან ახალგაზრდად მიმაჩნდა. შეხედე ახლა მას! მთელი რუსეთის გამოცანად იქცა. როგორ უნდა მას ამ ხისთავა პოლიტიკოსების აზროვნების შეცვლა. ასე მგონია, განზრახული აქვს შეცვალოს მთელი ხელისუფლება, სამინისტროებისა და სხვა დანარჩენი უწყებების ხელმძღვანელე-

ბი. პრობლემა იმაშია, რომ ვერავინ გაიგო, რა ფორმით გააკეთონ გარდაქმნის მხარდაჭერის დემონსტრირება.

- არა, მაინც როგორი ფორმით აკეთებენ ამას?

- ჩემი ძველი კოლეგა ექიმი მომიყვა, საავადმყოფოში სხვა დაწესებულებების მსგავსად მუშაკები ვარჯიშობენ ზედმეტი წონის დასაკლებად, ანუ სპორტული იერის დასაბრუნებლადო. ამ შემთხვევაში გასაგებია - ისინი ცდილობენ თავისი გარეგნობის შეცვლას იმ იმედით, რომ მათ არ შეცვლიან ახალი აზროვნების ადამიანებით.

- ამაში, მამა, მგონი ცუდი არაფერია. ისე კი მგონია, რომ ნომენკლატურა გორბაჩოვის მიმართ პირფერობასთან ერთად, რისი დიდი გამოცდილებაც აქვთ, მაინც ძველებურად გააგრძელებს საქმიანობას და თუ გორბაჩოვი ჩემს გასაცინებლად სახეს იცვლიდა, ისინიც ისე იოინბაზებენ ახალი გენერალური მდივნის წინ.

- შეიძლება ასეც იყოს. აღსანიშნავია, რომ გორბაჩოვი ცდილობს დემოკრატიულ გზაზე დააყენოს ქვეყანა და ეს გარდაქმნასა და საჯარობასთან ერთად შეადგენს ახალ აზროვნებას. ჩვენს საავადმყოფოში აგერ უკვე ნახევარი წელიწადია ყოველთვე არჩევნები აქვთ. ჩემი ყოფილი კოლეგები საკონდიტროში ტკბილეულობის ვიტრინასთან მდგარი ბავშვებივით იქცევიან. ჯერ მათ მოითხოვეს დირექტორის გადაყენება და მისი ახლებურად მოაზროვნე პიროვნებით შეცვლა. შემდეგ გაანთავისუფლეს ყოფილი დირექტორის მოადგილეები, რომლებიც თურმე ძველებურად განაგრძობდნენ აზროვნებას და ამუხრუჭებდნენ პროგრესულ გარდაქმნებს. ბოლოს კი დარწმუნდნენ, საერთოდ არაფერი გამოვიდა და საქმე უკან მიდიოდა, ისევ ძველი ხელმძღვანელობის დაბრუნება მოითხოვეს.

- მამა, დასავლეთში ყველგან არჩევითობაა და ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, - თქვა ვალენტინამ.

- ეს იმიტომ შვილო, რომ მათი სისტემა ყოველგვარი არჩევა-გადარჩევების დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ჩვენ კი უნდა დავკმაყოფილდეთ კოსმეტიკურად შელამაზებული დამპალი კომუნისტური სისტემით.

- შეიძლება გორბაჩოვს ამის ძირეულად შეცვლა უნდა, - თქვა ვალენტინამ.

- შეიძლება, თუმცა მეეჭვება მან იცოდეს, რას აკეთებს. რუსეთში საერთოდ ტრადიციულად ასეთ პრობლემებს სისხლისღვრით აგვარებდნენ. ახლა რაც ხდება, უფრო სიტყვებით ბაგირის გადაწევა-გადმოწევას ჰგავს.

- მადლობა ღმერთს, მე მგონია ტელევიზია ძალიან შეიცვალა, გაჩნდა მრავალი სატელევიზიო პროგრამა და გადაცემა, ყოველთვის ვიღაცას ამხელენ, ააშკარავებენ ნეგატიურ მოვლენებს. აღარ არის პრობლემები კოლმეურნეობებისა და უხვი მოსავლისთვის ბრძოლის უბანზე.

- მართალი ხარ, შვილო, ახლა პოლიტიკურ ასპარეზზე ბევრი საინტერესო ამბავი ხდება. გორბაჩოვი ამბობს, რომ ცდილობს სოციალიზმს ადამიანური სახე მისცეს, თუ ეს შეიძლება ჩვენთან მოხდეს, - თქვა სანდრომ.

- დასავლეთში გორბაჩოვი ძალიან პოპულარულია, პირდაპირ პოპ-ვარსკვლავია. ამბობენ, რომ ბევრ ქვეყანაში თვით პრეზიდენტის თანამდებობაზე მის არჩევასაც კი არ მოერიდებოდნენ.

- ეჰ, იქ ბევრს ლაპარაკობენ და აკეთებენ, ვალია, ჩვენთან კი სულ სხვაა! სხვადასხვა მიზეზების გამო გორბაჩოვს ეჭვით უყურებენ. ერთი მიზეზთაგანია ის, რომ იგი ხშირად ერთსა და იმავეს იმეორებს. მეორე - ხშირად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა იურიდიული ხასიათის თათბირებსა და დისპუტებში, ისიც უნდა ითქვას, რომ თითქმის დეტალურად ერკვევა ყველა იურიდიულ წვრილმანებში. მაგრამ, ვინ უყურებს თვენთან იურისტებს? დაბოლოს, ხალხის უმრავლესობა თვლის, გორ-

ბაჩოვი ალბათ იმიტომ მოსწონთ ზედმიწევნით დასავლეთს, რომ იგი ჩვენთვის საზიანო საქმეს აკეთებს. სხვა შემთხვევაში ის დასავლეთს არ მოეწონებოდა!

- დედა, მომეცი ეტლი, ახლა მე გავატარებ. გასულ კვირას მოსკოვში ჩამოფრენისას მაშინვე მივაქციე ყურადღება, რომ აეროპორტის თითქმის ყველა გამოსაჩენ ადგილას ჯვარი ეკეთა, რა ხდება?

- თითქმის ყოველდღე ქვეყანაში ახალი ეკლესიის მსახურება იწყება, მათმა რაოდენობამ 13 ათასს გადააჭარბა, ზუსტად ვერავინ ხსნის, რა იყო რელიგიურობისკენ ასეთი შემობრუნებისა და ნახტომის მიზეზი. ცნობილია, რომ გორბაჩოვის დედა ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო და შვილს აუცილებლად მონათლავდა. ჯერჯერობით საკუთარი გამოთქმით მას რაციონალური ათეისტის პოზიცია უკავია. არავინ იცის, ჩვენ მოსასმენად რომელი ვერსიაა განკუთვნილი?

- ეკლესია ემზადება რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავის დღესასწაულისთვის, შეიძლება მათ უნდათ ჩვენი მდიდარი ისტორიის დემონსტრირება უცხოელი სტუმრების წინაშე. ქრისტიანობის 1000 წელი ძალიან დიდი პერიოდია ისტორიაში, მიუხედავად იმისა, თუ ამაზე ჩვენ რას ვფიქრობთ, - თქვა მაშამ.

- ეს სწორია დედა, ასე მგონია, რომ ქვეყანაში შეწყდა ანტირელიგიური პროპაგანდა.

- ძირითადად ასეა. ზოგიერთები კიდევ ლაყბობენ რაღაცებს, მაგრამ მათ უბრალოდ უგულებელყოფენ.

- უი, რამდენი დრო გასულა. ჩქარა წავიდეთ, არგო მალე მოვა შინ, უნდა მივასწრო.

ვალენტინა ოჯახით ერთი კვირის შემდეგ ინგლისში დაბრუნდა. სანდროსა და მაშას არაფერი ჰქონდათ საპრეტენზიო და სასაყვედურო. შვილიშვილები მშვენიერი ბავშვები იყვნენ, ვალენტინა თავს ბედნიერად გრძნობდა არგოსთან.

ცხადია, ხანდაზმულ ბებიასა და პაპას უნდოდათ შვილი და შვილიშვილები გვერდზე ჰყოლოდათ, წელიწადში ერთი-ორი კვირით სტუმრობა ხანშიშესულების, მარტოხელების კომპენსაციას ვერ ახდენდა.

კაცი რომ ბერდება, შვილიშვილები საკუთარი თავის ახალგაზრდობას აგონებენ, ისინი ცხოვრებას სიახლეს ანიჭებენ. რა სასიამოვნო გრძნობაა იმის შეგნება, რომ ვიღაცას კიდევ სჭირდები. ხანდაზმულობის დადგომასთან ერთად ადამიანი სულ უფრო მეტ ახლობელთა მხრიდან თხოულობს ყურადღებას. ის ხომ საზოგადოებას აღარ სჭირდება. მაშას ახსოვდა, რომ დედამისი ამას ეუბნებოდა 1965 წელს, სიკვდილის წინ. შვილისა და შვილიშვილების ეს ხანმოკლე ვიზიტები უფრო მწვავედ გაგრძნობინებს წლის დანარჩენ დღეებში მარტოხელობას. დედამ ამ განცდების შესახებ არაფერი აგრძნობინა ვალენტინას, ის ისედაც დამნაშავედ გრძნობდა თავს, როდესაც მშობლებს მარტო ტოვებდა და პატარები მიჰყავდა. მეორე მხრივ კი, მათთვის უკეთესი იყო დასავლეთში ცხოვრება. იქ გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე რუსეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, თანაც განათლებასაც უკეთესს მიიღებენ.

ამ მარტოხელობიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ის იყო, რომ ცდილობდა გონებაში შვილიშვილებთან ურთიერთობის ყოველი წუთი აღედგინა. მაშა საათობით უყურებდა ვალენტინას გამოგზავნილ ფოტოსურათებსა და ვიდეოკასეტას, რომლებზეც პატარების ცხოვრების სხვადასხვა მომენტები იყო აღბეჭდილი.

ამ ფოტოებს მაშა რამდენიმეჯერ უჩვენებდა ნაცნობებს და მეგობრებს. ფოტოსურათები და ვიდეოფირები ძალიან კარგია, სინამდვილეში კი რა სჯობს, როდესაც პაწაწინები ხელებზე გეხუტებიან, თავს მხრებზე გადებენ და წყნარად იძინებენ, გთხოვენ გაასეირნო პარკში, ზოოლოგიურ ბაღში.

ბებიას ყველაზე მძიმე ხვედრი მაინც ის არის, რომ მან იცის იქ, შორეულ ქვეყნაში შვილიშვილები ყოველდღიურად იზრდებიან. თავად კი იქ არ არის, სადაც უნდა იყოს, სადაც მისი ადგილია.

დედამისიც სულ ამას ფიქრობდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, თუ რატომ გაჰყვა ვალენტინა ყოველთვის პერანგშეხამებულ, ლამაზ ჰალსტუხიან და გაპრიალებულ ფეხსაცმლიან რაფინირებულ ინგლისელს.

***

მე ვერასოდეს ვუგებდი გორბაჩოვს, თუმცა მისი სტუდენტობის პერიოდისას ჩვენს ბინაში ხშირი სტუმრობის დროს გამართული გულითადი საუბრები არაერთი ბოთლი ჭაჭის არყის მირთმევით მთავრდებოდა. შეიძლება მას ან ძალიან ცოტას ვუსხამდი, ანდა იქნებ გადავაჭარბე?

მე გორბაჩოვის მოქმედება პირველად მაშინ არ მომეწონა, როდესაც შევამჩნიე, როგორ ეუფლებოდა მას საკუთარი პიროვნებით გატაცება-ეგომანია, როგორ ხშირად მიმართავდა ის თავის თავს მესამე პირში "პრეზიდენტი ფიქრობს... პრეზიდენტი ამბობს, რომ..." თუ თქვენ დაუფიქრდებით ამ კონკრეტულ, პიროვნებისგან განყენებულ ტერმინს. კიდეც მიხვდებით, რომ ეს ნიშნავს იმ ადამიანის ქცევას, ვის დროსაც სხვა პიროვნება თავისი შეხედულებებით ინერგება მამაკაცში ან ქალში. თუმცა მე მაინც ვერ გავიგე ამ მოვლენის არსი. ბევრი ჩემი მეგობარი იზიარებდა ჩემს აზრს, ჩემს შეხედულებას, რომ გორბაჩოვის სურვილები კარგი იყო. თუმცა ჩვენც შესანიშნავად გვახსოვდა გასულ წლამდე საით მიემართებოდა ამ კეთილი სურვილებით მოკირწყლული გზა. გენერალური მდივნის თანამდებობაზე არჩევის პირველ დღეებში, იგი ამბობდა, რომ ჩვენი პრობლემები - ეს არის ლენი-

ნური გზიდან გადახვევის რეალური შედეგი. რა სისულელეა! მას ალბათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ლენინსა და ლენინიზმზე. გორბაჩოვი საკმაოდ ახალგაზრდა იყო იმ პერიოდში, რომ საკუთარ ტყავზე გამოეცადა ამ გზის სისულელე. ანდა მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო ჩვეული იარლიყის მიკვრით გაემართლებინა მიმდინარე მოვლენები.

ლენინი საშინელი პიროვნება იყო, მეოცე საუკუნის მონსტრი, რომლის თანამებრძოლებიც ისეთივე ურჩხულები და სისხლისმსმელები იყვნენ. ალბათ გორბაჩოვის მთელი არსება ისე იყო გაჟღენთილი კომუნიზმის იდეებით, რომ სხვა განსხვავებული იდეის აღიარება უბრალოდ არ შეეძლო.

ჩვენი ოჯახის ყოველკვირეული სტუმარი, ჩემი უახლოესი მეგობარი დიკაც კი აღტაცებული იყო ახალი ცხოვრებით.

- ამბობენ, რომ ელცინთან შედარებით გორბაჩოვი ნელნელა კარგავს პოპულარობას, - თქვა დიკამ და მოხერხებულად მოთავსდა სასტუმრო ოთახის სავარძელში, - შენ რას ფიქრობ მასზე?

- ელცინი სუსტია, დიკა. იგი თითქმის გამოუსწორებელი ლოთია, მას აკლია ხასიათის სიმტკიცე. ბოლოს და ბოლოს, ის ყველას ცარიელზე დაგვტოვებს, როგორც რუსეთში იციან თქმა - უშარვლოდ გაგვიშვებს.

- მაშინ რით ახსნით ელცინის ასე მზარდ პოპულარობას?

- ეს იმიტომაც ხდება, რომ ხალხის წარმოდგენით იგი ახალი ტიპის პოლიტიკური ლიდერია, სინამდვილეში კი პოპულისტია და ძირითადად ბაქიბუქობს. ელცინი პარტიული მუშაკია, რომელიც იმ ქალაქში მუშაობდა, სადაც მეფე და მისი ოჯახი დახვრიტეს ბოლშევიკებმა. თუ დაავალებდნენ, ისიც არ იტყოდა უარს. განა მის პერიოდში არ დაანგრიეს იპატიევის სახლი რევოლუციის დაწყებისთანავე, სადაც მეფის ოჯახი ამოხოცეს.

გარკვეულ წრეებს ხელს აძლევთ მისი და გ[illegible]ვის დაპირისპირება და ფსონს მასზე ჩამოდიან. [illegible] ცოტა დრო და ადრე თუ გვიან, მიხვდებიან, რომ მათი [illegible] ელცინი მკვდარი ტვირთია. იგი სულაც არ არის გაწ[illegible]წორებული საპირწონე გორბაჩოვის წინააღმდეგ.

ზოგიერთები რჩევას იძლევიან, რომ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ელცინთან, განსაკუთრებით კი მის ოჯახსა და მეგობრებთან ურთიერთობაში. მათ შორის ბევრია პატივმოყვარე, ფულისა და ძალაუფლების მოტრფიალე. ის საკმაოდ სუსტია და მათ ჯეროვან წინააღმდეგობებს ვერ გაუწევს.

- შეხედე რა სიტუაციაა მოკავშირე რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყველგან ძალზე მძიმე გადაუწყვეტი პრობლემებია გადასაწყვეტი - თქვა დიკამ.

- ეს ყველაფერი შეიძლება ცუდად დამთავრდეს, დიკა, - გორბაჩოვი მხარს უჭერს იდეას მათი დამოუკიდებლობის შესახებ, რუსეთი ამით მხოლოდ მოიგებს. საბჭოთა კავშირი ხომ ამ რესპუბლიკებს ეხმარება ფინანსებით, ავითარებს მრეწველობას, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

- მე არ მესმის, როგორ მისცა გორბაჩოვს პარტიამ ასე შორს შეტოპვის უფლება. ისინი ხომ პირველები დაკარგავენ უზრუნველ ცხოვრებას.

- მე ამას სხვანაირად ვუყურებ. მათ მშვენივრად ესმით, თუ ქვეყანამ კაპიტალიზმის გზა აირჩია, პირველი კაპიტალისტები ისინი გახდებიან და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ, მიზნად აქვთ საკუთარი მდგომარეობიდან მაქსიმალური შესაძლებლობანი და სარგებელი გამოწურონ. ათასობით ჩინოვნიკი მალე დიდი კაპიტალის მქონე გავლენიან პიროვნებად მოგვევლინება. ისინი მოიგებენ თუ წააგებენ, ეს არავინ იცის - მე მგონია მათ შესანიშნავად მოეხსენებათ, რომელი მიმართულებით უნდა იმოძრაონ.

- შენ ალბათ გგონია, რომ იმ დღეს მოვესწრებით, როდესაც დისკუსია დაიწყება სოციალიზმის, დემოკრატიისა თუ კაპიტალიზმის უპირატესობის შესახებ? - იკითხა დიკამ.

- შენ ხუმრობ? თუ ეს დღე როდისმე იქნება, მაშინ მე არ ვიცი მივაღწევთ თუ არა ამ დღის მომდევნო დღემდე. მე და შენ ბევრი გადავიტანეთ: პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომები, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, მილიონობით ადამიანის სიკვდილი, მასობრივი განადგურება ბანაკებში, შემდეგ მეორე მსოფლიო ომი - სტალინგრადი, ლენინგრადი, კურსკი, გერმანია. სტალინი, შემდეგ ხრუშჩოვი, რომელიც შეცვალა ბრეჟნევმა და ა.შ. აბა, მოდი სცადე თუნდაც ერთ კაცს თუ ნახავ, რომ ღირსეული ადამიანი იყოს ამ ბანდასა და მათ გარემოცვაში.

- ომის შემდეგ, - თქვა დიკამ, - მე ვიანგარიშე, ომის დროს დაღუპული უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების გვამები გვერდიგვერდ რომ დაგეწყოთ, მთელი მსოფლიოს გარშემო წრის შემორტყმა შეიძლებოდა. შემდეგ ვცადე გამომეანგარიშებინა, რამდენი ადამიანი დაიხოცა 1917 წლიდან - სამოქალაქო ომში, შიმშილობით, ძალადობით, რეპრესიებით. მიახლოებული მონაცემებით მათი რიცხვი 100 მილიონამდეა. თუ მათ გვამებსაც ერთმანეთის გვერდით დავაწყობდი, მთვარემდე მანძილის ნახევარი იქნებოდა, ხომ გესმის სანდრო, მთვარემდე მანძილის ნახევარი. ღმერთო ჩემო, ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი ოცნებები, იმედები მომავალ ცხოვრებაზე, სახლი, მშობლები, მეგობრები. აბა, იფიქრე, რა უდიდესი უბედურებაა. ლენინს, სტალინსა და მათ დამქაშებთან შედარებით ჰიტლერი თავის გარემოცვით დილეტანტებად მოგეჩვენებათ.

- გეთანხმები, - თქვა სანდრომ, - ჰიტლერი თავისი ფაშიზმით არაფერს არ წარმოადგენს კომუნისტებთან შედარებით. მეოცე საუკუნე ჯერ არ დამთავრებულა და ნახე,

რამდენი უბედურება და საშინელება მოგვიტანა. თითქოს მთელი საუკუნე გადაეცა ანტიქრისტეს, ამას წინათ კოშმარული სიზმარი ვნახე და როცა გამეღვიძა, ციე ოფლში ვცურავდი - რამდენი ადამიანი დაიღუპა ჩვენს თვალწინ. ამ საშინელი მოგონების შემდეგ გაღვიძებაც კი არ მინდოდა, ჩემო დიკა.

- ასეთი რამე მეც მომსვლია, - შენიშნა დიკამ, - მარტო ლენინგრადში ვნახე მილიონზე მეტი შიმშილით დახოცილი ადამიანი. ეს ხომ სტატისტიკური ციფრები კი არა, რეალური ადამიანები იყვნენ სახეებით, მშობლებით, მეგობრებით, სახელებითა და ოცნებებით. ბევრი მათგანი გერმანელებს გამოექცა ლენინგრადის ახლო მდებარე დასახლებებიდან. მათ პურის წიგნაკები არ მისცეს, როგორც ქალაქში ჩაუწერლებს და პირველი სწორედ ისინი დაიხოცნენ შიმშილით. შემდეგ მოვიდა ასეულ ათასობით მსხვერპლთა რიგიც. მე მელანდება მათი თვალები, თითქოს მეკითხებიან, რატომ გადარჩი შენ ცოცხალი, ვინ იყავი, რას წარმოადგენდი, რომ კარგი მამა ანდრიუშასა და ვალენტინასთვის, შესანიშნავი, სამაგალითო ექიმი და მომღერალი. ადამიანებთან ურთიერთობაშიც საკმაოდ კომუნიკაბელური ვიყავი. შეიძლება ზოგიერთ მომენტში იქნებ უფრო პირდაპირ უნდა მოვქცეულიყავი, რათა არ მეძებნა რაღაცა შემოვლითი გზები.

ჩვენ სანიმუშო შვილები გავზარდეთ. ეს ძირითადად მაშას დამსახურებაა. მე სულ დაკავებული ვიყავი, ვმსახურობდი სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის მოსკოვშიც, საქართველოშიც. მოსკოვში ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვცხოვრობ, მიუხედავად ამისა, ქართველად დავრჩი და ასეთი ვიქნები ბოლომდე. უსაზღვროდ მენატრება ჩემი სამშობლო, უსაზღვრო სურვილი მავსებს იქ მოვკვდე და ჩემს მიწას მიმაბარონ. საშინელ ნოსტალგიურ გრძნობას განვიცდი. თუკი თქვენ საქართველოდან ხართ, არ შეგიძლიათ თავი სადმე

სხვაგან შინაურად იგრძნოთ, რაც უნდა ბედნიერი ცხოვრება გქონდეთ. ეს შეუძლებელია, ქართველები არ ვარგიან ემიგრანტების როლში. როგორადაც უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ქართველები ერთად უნდა ცხოვრობდნენ ღმერთის წილხვედრ ქვეყანაში, ვიგრძნოთ, შევიტკბოთ და ვეთაყვანოთ მისი მზის სითბოს.

ამდენი ხნის შემდეგაც ის მაწუხებს, რომ მაშა ჩვენი შემოსავლით ვერ ახერხებდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის სასურველ დონემდე მიღწევას. ვითომ კარგად ვიყავით, მაგრამ ყოველთვის რაღაცა გვაკლდა, ფული რაღაცისთვის მუდამ არ გვყოფნიდა. მე წესისამებრ უარს ვამბობდი პაციენტისგან საჩუქრისა თუ რაიმე გასამრჯელოს ალებაზე, თუმცა გარშემო ყველა იღებდა და ამაში მეც არაფერს ვხედავდი საშინელს, ვინაიდან ჩვენი ხელფასი სასაცილოდ მცირე იყო. ფიქრშიც კი არასოდეს გამივლია, თუ ვინმეს შეეძლო ოპერაცია ჩაეტარებინა კარგად ან უხარისხოდ, იმისგან დამოკიდებულად, როგორი იქნებოდა საჩუქარი, ქრთამი თუ გასამრჯელო, რაც გნებავთ, ის დაარქვით. ცხადია, სხვების მსგავსად მოქცევისას გაცილებით გამიუმჯობესდებოდა მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მე უბრალოდ არ შემეძლო ეს მეკეთებინა - იმდენად დამამცირებლად მეჩვენებოდა ამგვარი მოქცევა. სრულიად არ ვთვლი, რომ მართალი ვიყავი, პირიქით, ვფიქრობ, შეიძლება ვცდებოდი კიდეც.

ძალიან მწყინს, რომ ვალენტინას არც კი ვუნახივარ, როცა ახალგაზრდა და ენერგიით სავსე ვიყავი, მწყინს, რომ ახლა ბავშვებთან ერთად იშვიათად ჩამოდის მოსკოვში. მანანას და ალისას სულ უფრო იშვიათად ვნახულობ. მათ ოჯახს უკვე საკუთარი ცხოვრება აქვთ. ვალენტინას ქმარი, ეს არგო რიგზი, მართლაც კარგი ადამიანია. ასე რომ არ ყოფილიყო, ვალია მას ცოლად არ გაჰყვებოდა. ვალია ისეთი მომხიბვლელი და ლამაზი გოგონა იყო, რომ თავისუფლად შეეძლო

თავისი საბედო რუსეთში ან საქართველოში ენახა! როდესაც თქვენ პატარა შვილს უყურებთ, განსაკუთრებით გოგონას, სიყვარულით ივსებით, რაღაც განსაკუთრებით სათუთ არსებას ხედავთ მასში, ის თქვენი სისხლი და ხორცია, თქვენი სულის საუკეთესო ნაწილი. შემდეგ იგი იზრდება, თხოვდება და თქვენ გულის სიღრმეში ეგოიზმის გრძნობა გეღვიძებათ, არ გემეტებათ თქვენი გოგონა ქმრისთვის, არ მიგაჩნიათ ის თქვენი ქალიშვილის ღირსად. ამას, ცხადია, არ ამჟღავნებთ და ჩუმად ლოცულობთ, ფიქრობთ, ნატრობთ თქვენს ცხოვრებაში შემოჭრილი უცხო ადამიანი კარგად ზრუნავდეს თქვენს დაუფასებელ საუნჯეზე და რაც უნდა ბედნიერი იყოს იგი თავის სიყვარულში, მაინც არ იცვლით შეხედულებას მის მეუღლეზე.

მე ძლივსძლივობით ვითმენდი ჩემი გოგონასა და შვილიშვილების მორიგ სტუმრობამდე. ვიცი მანანამ და ალისამ კარგად რომ გამიცნონ, ამისთვის საკმაოდ ხანდაზმული ვარ, ისინი ალბათ დამიმახსოვრებენ ხელჯოხიანი მოხუცის სახით და არ მეეჭვება დროთა მანძილზე ეს სახეც შარშანდელი თოვლივით გაქრება მათ მახსოვრობაში. მე მაინც ბედის კმაყოფილი ვარ, რომ მოვესწარი ამ ანგელოზების ნახვას. თუმცა მაინც ხშირად ვფიქრობ, რატომ გათხოვდა ვალია უცხოელზე? მიუხედავად მისი მრავალი დადებითი თვისებისა, მე ეს უბრალოდ დღევანდლამდე ვერ გამიგია.

- სანდრო, დღეს გორბაჩოვი კრემლს ტოვებს და საბჭოთა კავშირიც გაქრება, მოდი ვნახოთ ეს ისტორიული მომენტი ტელევიზორში, - მითხრა მაშამ, რომელიც ეს წუთია დაბრუნდა სახლში მორიგი ყოველკვირეული ტრადიციული კარტის თამაშებიდან.

- ცხადია, თანახმა ვარ, რა დროს იქნება ეს?

- ალბათ თორმეტის ნახევარზე. გაგალვიძო თუ არა.

- რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ვნახო.

1991 წლის 31 დეკემბერს საბჭოთა კავშირი, მისი შემადგენელი 15-ვე რესპუბლიკის თანხმობით, დაიშალა.

ამდენი სხვადასხვა ტრადიციის, რელიგიის, ისტორიისა და ენების მქონე ერების ერთ სახელმწიფოში ყოფნა არაბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი, ასე თუ ისე, ერთგვაროვნებით გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, საერთო ენა, რელიგია ან ისტორია მაინც ჰქონდათ. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ხალხების გაერთიანებას ცდილობდა. რეპრესიებსაც ხშირად მიმართავდა, სინამდვილეში კი გამოვიდა შეუსაბამო "კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის" უთავბოლო ნარევი. ამ უაზრო ნაკრებს არავითარი მომავალი არ ჰქონდა და ბაბილონის გოდოლივით დაიშალა.

- სანდრო, შეხედე ეკრანს, გორბაჩოვი, რომელიც ტოვებს კრემლს პირდაპირ ეთერშია. ეშვება საბჭოთა კავშირის დროშა და აღიმართება რუსეთის ისტორიული სამფეროვანი დროშა. რა საოცარი დროა! ელცინი ემზადება სალაპარაკოდ.

"ამხანაგებო, მოგილოცავთ ახალ წელს. მე პირობას გაძლევთ, რომ ყოველი თქვენთაგანი ჩვენი ახალი ხელისუფლების დროს ბედნიერი იქნება. მართალია, თქვენი სასურსათო კალათა ასე უცბად არ გაივსება, მაგრამ მე გაძლევთ საზეიმო სიტყვას, რომ ცხრა თვის შემდეგ იგი სამი მეოთხედით მაინც შეივსება!"

- გესმის სანდრო რა მშვენიერი დღე დგება, მე ბედნიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარი. შენც ხომ გიხარია?

სანდრომ შეხედა მაშას, შუბლზე აიწია სათვალე და მცირე პაუზის შემდეგ თქვა:

- გგონია, რომ ელცინი შეასრულებს დაპირებას და მართლა ააყვავებს რუსეთს? - იკითხა მაშამ.

- ჩემო საყვარელო მაშა, ელცინი უმართავი ლოთია. მარტო ეს კმარა, რომ მის დაპირებებში ეჭვი შევიტანო. ამას

გარდა, ის უცხოელების ინტერესების დამცველია, რაც მისი წინამორბედების გაკეთებულ საქმეებზე გაცილებით უარესია. ქვეყანა უცხოეთის კაპიტალისა და შინაური აფთრების ხელში ჩავარდება. უმცირესი ნაწილი ზღაპრულად გამდიდრდება, დანარჩენები კი მათ გადაყრილ საკვებს სანაგვე ყუთებში დაუწყებენ ძებნას. რკინის ფარდა ხომ უმსგავსობა იყო, მაგრამ მეჩვენება, რომ დოლარის ფარდა გაცილებით უარესი იქნება.

- სანდრო, შენ როგორც ყოველთვის, ისევ პესიმისტურად ხარ განწყობილი. მე მჯერა, ელცინი გადაწყვეტს ყველა ჩვენს პრობლემას.

- არსებული უამრავი პრობლემა მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როდესაც ადამიანები გაერთიანებენ დაქსაქსულ ძალებს და თვითონ დაიწყებენ საკუთარი მომავლის შენებას. მხოლოდ ამაშია ქვეყნის ხსნა.

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა 4
მართალი და საინტერესო წიგნი 5
პირველი ნაწილი 15
მეორე ნაწილი 29
მესამე ნაწილი 45
მეოთხე ნაწილი 65
მეხუთე ნაწილი 83
მეექვსე ნაწილი 101
მეშვიდე ნაწილი 121
მერვე ნაწილი 133
მეცხრე ნაწილი 153
მეათე ნაწილი 175
მეთერთმეტე ნაწილი 199